

57/1

114/12



# მეტეოროლოგია

36

1

0368360



1957



საქართველო  
საბჭოთა კავშირი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 34-ე

№ 1

იანვარი, 1957 წ.

საპარტიოლოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორბანო

**უ ი ნ ა ა რ ს ი**

7272

კოსტა ზეთაგური — 'ლექები, თარგმანი კარლო კალაძისა	3
ო. კავთავაძე — ლექსები, თარგმანი მედეა კახიძისა	5
მაქსიმე ცაგარაძე — პეტროვიჩი, მოთხრობა. თარგმანი ვიორჯი შატბერაშვილისა	6
რევაზ ასაძე — ერთი მუქა მიწა, ლექსი. თარგმანი თეიმურაზ ჯანგულაშვილისა, უსახლ- კარო თალია. ლექსი, თარგმანი ალექო შენგელიასი	17
ივანე ცხოვრებოვი — კოსტა, ლექსი. თარგმანი ო. კუბრაძისი	17
გაფთვი — ოსური ზელოდა (ლეგენდა) თარგმანი თეიმურაზ ჯანგულაშვილისა	18
ხარიტონ პლევი — რისის მთა, ლექსი. თარგმანი მედეა კახიძისა	20
კ. კორიევი — უაზბეგს, ლექსი. თარგმანი მედეა კახიძისა	21
ნადი — უსაბაურო, ლექსი. თარგმანი ლადო სულაბერიძისა	21
მ. კაშხერდიევი — საუბარი სატრფოსთან, ლექსი. თარგმანი შოთა ლომსაძისა. ფეტვის უხვი მოსაყალი მოვიდა, ლექსი. თარგმანი ვიორჯი კალანდაძისა	22
მურთაზოვი — ქარი, ლექსი. თარგმანი ვივი მწელაძისა	23
ტორბეკ ჯატიევი — ხამივის კირ-ვარამი, მოთხრობა. თარგმანი აკაკი გეწეძისა	24
ალექსანდრე გომიაშვილი — წუთისოფელი, ლექსი	34
გრიგოლ აბაშიძე — ლაშარელა, რომანი	35
ზურაბ კუზაიძე — ლექსები	83
ალექსანდრე ქუთათელი — მიქელანჯელო, ლექსი	84
ვიქტორ გაბესკირია — ეფსკრელთან, პიესა	89
ალ. ცაგარეშვილი — მოგონებანი ლეე ტოლსტოიზე	124

**ქ ჩ ი ბ ი ა და პ უ ზ ლ ი ც ი ს ბ ი ა**

აკაკი ბელიაშვილი — მოუსვენარი მხატვარი	129
ვიორჯი ციციშვილი — შალვა ჯაღიანის ახალი რომანი	131

**ლიტერატურული მიმკვიდროება**

ა. მამოქტოვი — დანიელ ჭონქაძე და ოსური კულტურა	142
პროფ. დ. ენუქიძე — საბჭოთა საქართველოს კულტურული ერთეულობა საზღვარგარე- თის ქვეყნებთან	147
ლეილა თაქთაქიშვილი — ურუშაძე — მარჯობი უორდრობი	153

იხ. მე-2 გვ.



✓ დენა შენგელია — არმაზი . . . . .

კაზლიკაცია

ქეთ. ხაჩიაშვილი — ანტონ ფურცელაძის დაუბეჭდავი ნაშრომი . . . . . 168  
 გრიგოლ აბაშიძე — ზღაპარი (ბუბლიკაცია და შენიშვნები გივი ფლენტისა) . . . . . 171

წიგნების მიმოხილვა

✓ შალვა აფხაიძე — განთიადიდან შუადღემდე . . . . . 173  
 გურამ კანკავა — მიხეილ ქელიძის ლირიკა . . . . . 175  
 გრიგოლ მაჭავარიანი — იპ. ვართაგეას მოგონებები . . . . . 178  
 აღ. სანადირაძე — ლექსების პირველი წიგნი . . . . . 190  
 ზურაბ კარახალაშვილი — მონოგრაფიული ნარკვევი ფრიდრიხ შილერზე  
 რედაქციისაგან . . . . . 185  
 ფერნანდ „მნათობის“ 1956 წლის ნომრების შინაარსი . . . . . 186  
 ახალი წიგნები . . . . . გარეკანის შესაბამე გე.

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

- დ. ბენაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), კ. ლორთქიფანიძე, პ. რატინი,  
 ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 6. ტელეფონი 3-23-42.  
 ხელმოწერალი დასაბეჭდად 4/11-57 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12.  
 № 01416. ანაწეობის ზომა 7¼ X 12¼. ქაღალდის ზომა 70 X 108. ტარაჯი 6.000, შეკვ. № 757.  
 საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლოგრაფკომპლექსობის  
 ბეკლვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

## ქოსბა ხეთაგაროვი



### ს ა ყ ვ ე ლ უ რ ი

კაცს, გამგონეს ნუ დატუქსავ —  
გულგამწყრალი გეყოლება.  
გაუგონარს — საყვედური  
გახუმრება ეგონება...

ამას წინათ მგელსაც დათვი  
აყვედრიდა: — ჩემო კარგო,  
რისთვის გინდა მსუნაგობით  
ჩვენც პატივი დაგვიკარგო?!

ლუკმა დინჯი მოხერხებით  
მოიპოვო ვანა არ სჯობს?!  
შენ კი თუ არ მოიტაცე —  
გული გერჩის, გული გახრჩობს!

გაუმძღარ მხეცად გთვლიან,  
ო, არ მინდა გაგახელო,

მაგრამ ჩვენშიც მგლობა ხოლმე  
როდი არი სასახელო!

არა. ერთი გაძლომისთვის  
დამცილება არ გვესურს ვნახოთ:  
ცხვრების თვალწინ არ ვიკადრებთ  
მწყემსის კომბლით გავილახოთ!

არ ვიკადრებ კვალზე ნახირს  
გეშაღებულ ცხვირით ვსდიო...  
და შენც გირჩევ მტაცებლობა  
სამარცხეინოდ მიიჩნიო...

— ჰო... შენ ეგ არ დავიწყო...  
დათვის მოუტრა უტბად მგელმა,  
და ლამეში ისევ სადღაც  
თბა წაახრჩო საძაგელმა.

### მოჯამაგირე მწყემსი

(ზღაპარი)

ერთხელ ერთი მუშაკაცი  
მწყემსად დადგა ბაყბაყ მდევთან,  
ტყბილი სული გაიმწარა:  
ზამთარ-ზაფხულ ცხვარს დასდევდა.

მდევს ვეება გოდორივით  
ჰქონდა ღიბი ვებერთელა,  
ცალთვალა და წირპლიანი  
დადიოდა ნელა-ნელა.  
არ იქნა და არ გამრავლდა  
საცოდავი მწყემსის ფარა, —  
ყოველ ახლად შობილ ბატყანს  
მდევი ნთქავდა წარამარა.

გაიტანჯა მუშაკაცი,  
გადაწყვიტა გაეყაროს...  
მაგრამ რა ჰქნას მარტოხელამ,  
რა ძალ-ღონეს დაემყაროს!  
თავი ველარ დააღწია,  
ვერ დატოვა სამსახური  
და მისდევდა შემოდგომას  
ზამთარი და გაზაფხული.  
ერთხელ, როცა სამოვარზე  
გამოვალა ფარა მწყემსმა,

საიდანღაც ბაყბაყ მდევის  
მძიმე სუნთქვა შემოესმა.  
თავს დაადგა საზარელი,  
ცხვირ-პირიდან ასდის ალი,  
ჩანს, არაყი ჩაუცეცხლავს,  
დაბარბაცებს ყოიამყრალი.  
ენა-ბლუ და სმენა-ჩლუნგი  
თვით კაცს იგდებს სასაცილოდ —  
ეუბნება: — სჯობს ერთმანეთს  
ჩვენი მტრობა ავიცილოთ! —  
ვიცო, გინდა გამეყარო,  
სამსახური შენი კმარა.  
და სიტყვასაც თუ მომიგებ,  
შენი იყოს ჩემი ფარა.  
თუ არა და შენ წააგებ,  
შენი წილიც მე დამარჩება!  
— სხვა რა მეთქმის, — ამბობს მწყემსი, —  
კარგი. იყოს შენი ნება.  
— მაშ მითხარი, — იწყებს მდევი, —  
რა სიტყვაა ერთადერთი?  
— ერთადერთი ყოველის შემძლე,  
სიტყვა გახლავთ მხოლოდ ღმერთი!

— ორი რაა მიბასუხე!  
 — მწყემსის ორი შავი თვალი, თავდადებით წლიდან წლამდე რომ დღაცაა შენი ცხვიარი.  
 — სამი? სამზე რაღას იტყვი?  
 — სამფეხაა აკი სუფრა, სადაც უნდა მოილხენდეს სტუმრის გული თავისუფლად.  
 — ოთხი? ოთხს თუ გამოიცნობ, გამდიდრება გწყურებია...  
 — ოთხი შეილო, ვით ერთ დედას, ერთ წელს ემსახურებია.  
 — ხუთი?  
 — ჩემი ხუთი თითი ჩაითვლება მუდამ ხუთად, თუმცა ჯერ ვერ გამომადლა ავი სულის შესახუთად.  
 — მთავარია, ექვსი მითხრა, არ მანალვლებს დანარჩენი.  
 — ექვსჯერ მსურდა, რომ გაგცლოდა, ვერ გავტეხე ძალა შენი...  
 — სიტყვას მუდამ სიტყვა მოსდევს, რომელს ჩათვლი, აბა, შეიდად?  
 — შეიდი თავი მდევს აბია, ფრთხილად მაინც, ნუ ხარ მშვიდად.  
 — მერვედ რაღას გაიხსენებ, ასახსნელი მაინც რვაა...  
 — რვა წელიწადს მწყემსად გყავდი, — ჩემი თავის გაწირვაა.  
 — თუ ბიჭი ხარ, მეცხრე კითხვას უპასუხე აგრე რიხით.  
 — ახ! მეცხრეზე აქ არ გახლდით, გადავედი ცხრა მთას იქით.\*  
 — ცხრა მთის იქით თუ იყავი, პასუხს რატომ არა მცემდი?  
 — არ მეცალა, ათათობით ურაცხენებს ვიტაცებდი.  
 — შეათე ხომ ზღვაა დიდი, ცხენმა როგორ გადასცურა?  
 — ვაჟკაცს კოჭლი კოლოც ზიდავს, თუ ისწრაფვის ვაჟკაცურად.  
 — შენდა ბედად, საგანგებოდ ზაფხულს ზღვაც კი დაუშრია.  
 — არა. ფრთები ჩემზე მძლავრად არწივსაც არ გაუშლია!  
 — ზოგჯერ არწივს ქათამიც ჰგავს, — თვალს თუ მოჰკრავ სიბნელეში!  
 — არა, არა, ჩია ქათამს

როდი მიაქვს მდევის ლეში...  
 — ალბათ ქონდრის კაცის თვალში თაგებიც კი მდევად ჩიხან.  
 — თაგვის ბეჭზე დაასახლებ დარეჯანთ სოფელს განა?  
 — კუდიანობს დედაკაცი, თუ საქათმე ვერ უცვნია.  
 — მაშინ ირველივ შემორბენა კურდღელს რად არ შეუძლია?!  
 — აბა, კურდღელს ნუ დასცინებ, ბაქია ხარ, მოკლეკულა...  
 — გრძელი ბეწვი დარჩეს ოხრად აქ ვინც არის აყლაყულა. ცივ ზამთარშიც გაყინული რბოდეს ველად როგორც შმაგი, მისი ტყავით მხრებს ითბობდეს ისევ ნართი ურჩხმაგი!  
 — ჩანდა აბად ქონდრის კაცად ნართის გვერდით თუ უვლია.  
 — არა, იმის ფეხის ტერფთან ხშირად მამალს უყვილია, მაგრამ იმის ყურს ვერ მისწვდა იგი ისე მალდა იდგა.  
 — ქონდრის კაცი იქნებ ყრუა, გაიგებდი, რომ გეკითხა.  
 — ახ, რას ამბობ, როცა ღალღა თივას თიბავს ოფლის ფრქვევით, ანდა ბნელში კოლოები იციინიან ქვესკნელს ქვევით — იმას ამბად მოაქვს ჩვენთან ვით ზღაპარი მომზიბლავი...  
 თუ ვტყუოდე, დღეს ჩემ თვალწინ შავ კლდეთ მექცეს შენი თავი!.. მწყემსის წყველა თავს გადახდა უმაღ მდევს და ხედავს მწყემსი. წინ შავი კლდე აიშართა ბაყბაყ მდევზე უმაღლესი თავი იხსნა კაცმა... ლალად იალალზე დაჰყავს ცხვიარი, გუშინ ერთი მეც მაჩუქა, როგორც ერთი სანუკვარი... როგორც იმან არ მაჩუქა არაფერი... შინ და გარეთ, ისე იმის აქ მოსვლამდე, იცოცხლეთ და ინეტარეთ!



## საიდუმლო სიყვარული

რა ჭურღულად მომეპარა  
საიდუმლო სიყვარული,  
როგორც ავმა შეგობარმა,  
დაშნით დაჭრა ჩემი გული.

ჰო, რომ იყოს ნება ჩემი,  
გულს ტკივილი დაეუამო,  
რომ შემეძლოს შეძლება  
დაგივიწყო სამუდამოდ.

არ მასვენებს სიყვარული,  
გულში ჰყვავის გაზაფხული,  
დამეკარგა თვალზე რული,  
დავალ ტრფობით დაზაფხული.

ჩემს გულში ვინ ჩაიხედავს,  
ვინ განეკრნოს ტრფობა მწველი,  
განა გული სალი კლდეა  
ოჰ, ჩემს ბოლოს რა მოელის.

შენგან თავი ვერ მიხსნია,  
გული შენი ტარიგია,  
ეს რა მახე დაგიგია,  
გული ფეხქვეშ გაგიგია.

შენმა ცეცხლმა დამანელა,  
სიყვარულო საიდუმლო,  
დე, ჩემს შემდეგ სატანჯველად  
ალარავინ დაიგულო.

## მზის სიყვარული

მე მზის თვალი მიყვარს მაშინ,  
როცა ველი მზიანია,  
მტერთან შებმა ჩემი რაშით,  
არასოდეს მინანია.

მხურვალე მზის სიყვარულში  
დავიწვები აბედივით,  
მე მზეს მხრებზე მზიან დილით  
წამოვიგდებ ნაბადივით.

მისი ეშხით ვირევი და  
მე მზე მიყვარს სხივებუბვი,

მისი ოქროს სირმებიდან  
მომიქსოვეთ ახალუხი.

მე თაკარა მიყვარს, როცა  
ცას ღრუბლები აფარია,  
ველს სიმწვანე აღარ მოსავს,  
როცა ცივი ზამთარია.

გულს მხარებს ცისარტყელა  
მზე წითელი არნახული,  
დე, იცოდეს ჭეყვნად ყველამ,  
მიყვარს მზე და გაზაფხული.

## შემოდგომის სურათი

ხეებს ფოთოლი სცივია,  
ქარის კვილი ისმის,  
გაძარცულ ქედებს სცივათ,  
მზეს ეპარება ნისლი.

აღარ ქვითქვითებს მწყერი,  
აღარც ნიბლია მღერის,

ქარი გულყვითელ ფოთლებს  
ველსა და მინდორს მოსდებს.

გუშინ პატარა ძეწნას  
ლურჯი სამოსი ეცვა.  
... მოწყენილია ველი,  
მოწყენილია ზეცა.



## პეტროვიჩი

ამოხროვა

ეს რამდენიმე წელიწადია, შვებულებას სანატორიუმებში ვატარებ, წელს კი სულ სხვა განზრახვა მქონდა. ვფიქრობდი: „მოდო, სოფელში წავალ, წავიყვან ოჯახს, ვინახულებ ნათესაებს, მეგობრებს, ნაცნობებს. დიდი ხანია მათთან აღარ ვყოფილვარ, მემღვრებიან...“

დაპირებით კი დავაპირე, მაგრამ ჩემი სურვილი სურვილად დარჩა. საქარხნო კომიტეტში გამომიძახეს და ისევ საგზური მომცეს... კი არ იფიქრო, ეს კაცი ტრაბახობსო, არა! ქარხანაში ჩემი პატიოსანი მუშაობისათვის პატივს მცემენ... „სანადირო სერის“ საგზური მარგუნეს. ყოფილხარ როდისმე იქ? არა? ოო, მშვენიერი ადგილია! სანატორიუმში კი არა, ზღაპარია!

ღიახ, სწორედ ასე მითხრეს და არც ვინანე, რომ სოფლის მაგიერ „სანადირო სერისკენ“ გავემგზავრე.

იშვიათი, მზიანი დღე დადგა. მაინც რა ლამაზია ჩვენი მთიანი მხარე. განსაკუთრებით ის კუთხე, სადაც „სანადირო სერია“ შეფენილი. ორივე მხარეს უშველებელი კლდეებია, გარშემო კი მთის კალთებზე ფიჭვის ტყეები. ფიჭვის ტყეებს გადმოჰყურებენ ცისფერი მყინვარები, საიდანაც ოდნავ შესამჩნევად უბერავს მთის ნიაგი.

მერე რომ იცოდე, როგორი მდინარეა იქ, როგორი წყალი! ცრემლივით გამჭვირვალე, ისეთი ცივი, რომ, დალევ თუ არა, კბილებს გაგიყინავს. მაღალ, ყინულოვან კლდეებს მოწყვეტილი აქაფებულნი მოქუხს ვიწრო ხეობაში, უზარმაზარ ლოდებს შორის მოაჩქაფუნებს ტალღებს... აი, უცებ დაიკარგება, თითქოს თვალბუქუნას გეთამაშებოდეს, მერე კი ქვევით მოჰკრავ თვალს, ისევ გამოჩნდება, ლოდებს ქვეშ ნაკადულად გამოჩნდება, ჩუხებს... ასეთი სილამაზე ჯერ არ მი-

ნახავს. მიხვალ პაპანაქება სიცხეში, ადუღებულ ბროლის მსგავს ტალღებს მუქით დასწვდები, შეისხამ სახეზე, მკერდზე, ყელზე და თითქოს ხელახლა იბადები. სიგრილე ცეცხლივით მოგედება სხეულზე.

მერე, როგორი ხეებია იქ!.. ხედავ, კლდეა, შიშველი ტინი და ამ ციკაბოზე სასწაულებრივად დგანან ხეები, სადაც ჩაუშვიათ ფესვები და მთის ქარბუქი არაფრად მიაჩნიათ, შეურყეველად დგანან ზამთარ-ზაფხულ. აი სიცოცხლის ძალა!

მე კი არა, მწერალი, სიტყვის ოსტატი უნდა წერდეს ამას!

პოდა, „სანადირო სერს“ უკვე სადილობის შემდეგ მივალწიე. აეტობუსიდან გადმოვედი და მაღლა მიმავალ ბილიკს შევეყვი. იქ, კლდის ძირას, ტანლამაზ ფიჭვებს შორის, სანატორიუმის მაღალი. კორპუსები ისე ამაყად გამოიყურებოდნენ, თითქოს გრძნობდნენ, რომ ამ არემარეზე ადამიანის ხელს მათი შესაღარი არაფერი გაეკეთებინა... მარცხნივ, მდინარისკენ გავიხედე და ჩემოდნით ხელში ერთ ადგილას გავშეშდი.

ვხედავ, მდინარიდან აღმართზე ძლივ-ძლივობით ამოდის მამაკაცი, ისეთი მსუქანი, რომ თავის ზოლებიან პიჯამოში ვეღარ ეტყევა.

„არა უშავს-რა, — გაიფიქრე, — კარგი რეკლამაა სანატორიუმისთვის! საინტერესოა, რამ გაასივა ასე? ნეტავ რას აქმევენ?“

მისი სახე მეცნაურა. სადაც მინახავს, ვილაცას ვამსგავსებ. უცებ ვიცანი და უნებურად აღმომხდა:

— მისოსტი!

ჩასუქებული კაცი შეჩერდა, შემომხედა, შეუფერებელი სისწრაფით ამო-

ირბინა აღმართი და თავისი გიგანტური ტანით წინ ამეყუდა. მარჯვენა ხელზე გადაკიდებული რბილი, ხაოიანი პირსახოცი თითქმის მიწაზე მოსთრევდა, მძიმედ სუნთქავდა და ისე შემომტყეროდა, თითქოს გაოცებისაგან გაშეშებულიყო.

— ძაბო! ნუთუ შენა ხარ?

— როგორც ხედავ!

მან აუჩქარებლად გადააბიჯა განზე, პირსახოცი ქვაზე ფრთხილად გადააფინა, სახელოები აიწია, ბალნიანი მაჯები გამოაჩინა და მოშინაურებული დათვის მძიმე ნაბიჯით მომიახლოვდა, მერე ხელები შემომხვია და ისეთი ძალით შემომამართია, რომ თვალები ამიჭრელდა, ჩემს თვალწინ ყველაფერი ერთმანეთში აირია: მთებიც, ფიჭვებიც და მდინარეც... ჩემს თავზე უკვე აღარ ვწუხდი, მხოლოდ ის მაფიქრებდა, რომ ხელიდან ჩემოდანი არ გამეპარდნოდა. ჩემოდანში ერთი ბოთლი კარგი ღვინო მქონდა და მეშინოდა არ გამტეხოდა.

— ახ, შე ვირის ჩლიქო!.. ძაღლის კულო!.. — დამაყარა მისოსტმა თავისი ლექსიკონის საალერსო სიტყვები, როცა ბოლოსდაბოლოს ხელი გამიშვა.

ფეხქვეშ ისევ მიწა ვიგრძენი და ჩემოდანი გვერდით მოვიდგი.

— რომ იცოდე, რა მიხარია შენი ნახვა! მაგრამ, გესმის როგორ ესუნთქავ? გული, მეგობარო, გული, ლამის გული ამომეპარდეს! — ქშინავდა მისოსტი.

— ჰო, საცოდავი სანახავი ხარ, ვიზიარებ შენი გულის ლევას, — გავიცინე მე და აღმაცერად გავხედე მას მძლავრ მკერდზე გადაქიმულ ცისფერ მანსურას, რომელიც პიემოს გულისპირიდან მოჩანდა.

მან ჩემი გამოხედვა შეამჩნია, ეშმაკურად ააელვარა შავი, ცოცხალი თვალები და ამოიოხრა:

— ეჰ, შენ გეცინება, მაგრამ აბა დღეში სამჯერ ჩაათრიე ამოდენა სხეული ამ ხევში და ისევ უკან ამოათრიე!

მე მდინარისკენ გავიხედე. მდინარე დღულდა, მზეზე ბრწყინავდა, ქვებს ეხეთქებოდა და მზიარულად მიბტოდა.

— მერე რატომ გვირდება ასე ხშირად ჩასვლა მდინარეზე? — ვკითხე მე.

— ჩემო მეგობარო, ამბობენ, ცივი აბაზანები მარგებელიაო... აბა, წავიდეთ! თუ შენ მხოლოდ იმისათვის ჩამოხვედი, რომ გენახა, რას აკეთებს მისოსტი ამ დაწყვეტილ ხევში? — წამოიძახა მისოსტმა და გულიანად გაიცინა. ასეთი გადამდები სიცილი დიდი ხანია აღარ გამიგონია. ის წინ გამიძღვა.

სანატორიუმისაკენ კარგა დიდი აღმართი იყო. მისოსტი ხშირ-ხშირად ჩერდებოდა, მძიმედ სუნთქავდა და მალალი შუბლიდან ოფლს იწმენდდა.

— ასე, მეგობარო... ხედავ, რას დავემსგავსე? შენ ალბათ გახსოვს ტანწერწეტა, მოხდენილი მისოსტი. ვაი, რომ ის მისოსტი აღარ არსებობს, უწინდებურად ვეღარ მოაფრინდება ნაცრისფერ იორლას, — თქვა მისოსტმა, როცა სანატორიუმის ნაპირა კორპუსთან მივედით და კარის მახლობლად გავჩერდით.

— მაგრამ რას იზამ, ასეთი ნაღვლიანი ფიქრები წელს ვერ დამიწერილებს. მაშ ლაპარაკი არა ღირს... ახლა, მოდი ასე მოვიქცეთ: ჩემს ოთახში დასტოვე შენი ჩემოდანი, პირი დაიხამე, თავი წესრიგში მოიყვანე, თორემ შენისთანა ვაეკაცისათვის უხერხულია გზაში გამტვრიაწებული წარუდგე დირექტორს.

— არა, მისოსტ, მოდი ჯერ ყველა საქმე მოვიშოროთ...

— მაშ კარგი, აი აქ ხის ქვეშ ჩამოჯექ სავარძელში, დაისვენე, მე კი ტანსაცმელს გამოვიცვლი და მერე წავიდეთ დირექტორთან, — მისოსტი კარებში შევიდა, მაგრამ უტეხ ისევ მობრუნდა: — მართლა, რაც მთავარია, ის კი არ მიიქვამსა შენთვის... იცი, ჩვენი მამა აქ არის... თუმცა ჯერ მალარიჩი მოამზადე, შემდეგ კი ახალ ამბავს გეტყვი. უმალარიჩოდ არაფერი გამოვა!

იგი სერიოზული სახით მიეფარა კარს. „ჩვენი მამა“... გაოცებით გავიფიქრე და ფიჭვის ხის ქვეშ სავარძელში ჩამოვჯექი. ირგვლივ მიმოვიხედე: სანატორიუმის ეზოში დამსვენებლები გამოფენილან. ზოგი ხეებქვეშ ჩამომჯდარა, ზო-



გი სეირნობს, მაგრამ მათ შორის არავითარი „მამა“ არა ჩანს... მამაჩემი დიდხანია რაც მოკვდა, მისოსტის მამაც მგონი, აღარ არის ცოცხალი. მაშ ვინ არის ეს „ჩვენი მამა“? მისოსტი კი ისეთი კაცია, ტყუილად არ წამოროშავდა!

პირველად მისოსტს სტალინგრადის ახლოს შევხვდი. ერთ ნაწილში ვმსახურობდი. ერთად ეხოცავდით ფაშისტებს, ერთად მოგვეყავდა ისინი ტყვედ. ერთმა ბედმა ლეიფლ მძასავით შეგვეყვარა ერთმანეთი.

ის ჩემზე უფროსი იყო, მაღალი, ჩასხმული და ისეთი ღონიერი, რომ როგორი მხეცი ფრიციც არ უნდა შესჩებებოდა პირისპირ, არ გაუშვებდა, სანამ ღღინს არ გააცლიდა. იმდროინდელ გაშეთებში ბევრს სწერდნენ მისოსტის გამბედაობაზე და ჯილდოც ბევრი ჰქონდა მიღებული. ომამდე ემტევისის ბრიგადირი იყო და იქ, სანგრებშიც არ ივიწყებდა თავის ტრაქტორებს. ვისხედით და სმენადქვეულნი ვუსმენდით მის ნაამბობს... ჩვენს თვალწინ მიჰქროდნენ მისოსტის ტრაქტორები, რომლებიც სხვა ტრაქტორებს არა ჰგვანდნენ, რაღაც განსაკუთრებულნი და საყვარელნი იყვნენ. მათი ბორბლები კი არ რახრახებდნენ, მღეროდნენ, მინდვრები კი თითქოს ხარობდნენ, როცა ეს უცნაური ტრაქტორები შავი გედებივით მისცურავდნენ ნახნავებში. გვიან შემოდგომით კი მინდვრები მოიწყვდნენ ხოლმე, რადგან სამუშაოები მთავრდებოდა და ტრაქტორებზე სიმღერაც აღარ გაისმოდა... ეჰ, კარგი მოყოლა იცოდა მისოსტმა!

ომის შემდეგ ორი წელიწადი კიდევ იმუშავა ბრიგადირად, მერე სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში შევიდა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ფაკულტეტი ბრწყინვალედ დაასრულა. შემდეგ მისოსტი სამინისტროში წაიყვანეს... წაიყვანეს და სწორედ იქ ჩასუქდა უმოძრაო ცხოვრებისაგან. მაგრამ მან მაინც მოახერხა, როგორც თვითონ ამბობდა, „გამოკცევა“ სამინისტროდან... ახლა ის ემტე-

ესში მუშაობს და კარგადაც მუშაობს. ან კი როგორ შეიძლება ცუდად იმუშაოს ადამიანმა, რომელიც მთელი თავისი არსებით გრძნობს, თუ რა მოწყვნილი არიან მინდვრები, როცა ტრაქტორების სიმღერას არ უსმენენ.

მაგრამ, ვინ არის ეს „ჩვენი მამა“ ვფიქრობ და თან თვალს არ ვაშორებ დამსვენებლებს, ვათვლიერებ, მაგრამ ამოვლ...

მისოსტი გამოჩნდა. მას თეთრი კიტელი და ნაცრისფერი შარავლი ჩაცევა. ქული არ ეხურა. ხეობიდან მონაბერი მსუბუქი სიო ოდნავ ურხვევდა საფეთქლებთან უკვე შექალარავებულ სმირთმას.

— აბა, მეგობარო, რასა იქ?

— რა მიშავს, ვზივარ ჩემთვის...

— რატომაც არა... აქ ბუნებაც მშვენიერია, ხალხიც. დაისვენე, ისიამოვნე, — გარღმა მისოსტმა.

— გამალობთ, ბუნებაც კარგია, ეს მშვიდი საფარქელიც, მაგრამ ვინ არის ის „ჩვენი მამა“? აი, რახანია ვათვლიერებ და... თუ მშა ხარ, ამბხენი.

— ე, მისი პოვნა არც ესე აღვილია! მალარიჩი მოამზადე?

— ეგ ნუ გადარდებს...

— ჰოო, მაშ წავიდეთ!

წავედით ღირექტორთან... საგზურის ჩაბარების შემდეგ მომცეს ოთახი, რომლის ფართო ფანჯრიდან მშვენიერო, ცისფერმყინვარებდიანი პეიზაჟი მოჩანდა.

სანამ პირს დავიბანდი და ტანსაცემელს გამოვიცვლიდი, მისოსტი ხუმრობდა კიდევ, ჩემი ცხოვრების ამბებსაც მეკითხებოდა, მაგრამ ის უცნაური „ჩვენი მამა“ აღარ უხსენებია. მერე წავადა და ერთი საათის შემდეგ ისევ დაბრუნდა. ილიაში ამოედო რაღაც შეხვეული, რომელსაც ძალიან გემრიელი სუნის ასლიოდა.

— წავიდეთ, — მითხრა მან.

მე გაზეთში შევახვეე ჩემი ბოთლი. მისოსტი მახლობელი კორპუსისკენ გამოძღვა. ჯეჯიმი დაფარული კიბე ავიარეთ და მეორე სართულზე დიდ დარბაზში შევედით. დარბაზში თეთრსუფ-

რაგადაფარებულ მაგიდებზე ყვავილე-ბიანი ვაშები იდგა.

„რად მომართია სასადილოში? — გავიფიქრე მე. — ჯერ ვახშობობამდე დიდი დროა. ეტყობა კიდევ რაღაც ოინს მიწყობს“.

მისოსტი მივიდა ნახევრად მრგვალ სარკმელთან, რომელიც სასადილოსა და სამზარეულოს გამყოფ კედელში იყო გამოჭრილი. სარკმელი დახურული იყო. სამზარეულოდან შიშხინი ისმოდა: ეტყობა, ერბოში სწვავდნენ რაღაცას.

მისოსტმა ფანჯარა გამოაღო, თავი შიგ შეჰყო და დაიძახა:

— ქალიშვილო, ერთი ჩემს მეგობარს დაუძახე! აი, იქ რომ ტრიალებს. უთხარი, სტუმრებს ეჩვენეთქო! იარაღასხმული! ცეცხლის საჩხრეკის წამოღება არ დაგავიწყდესთქო! ხელი ჩამავლო, ფანჯარასთან მიმიყვანა და თვითონ განზე გახტა. სარკმელს თვალი არ მოაშორა, ახლავე გამოიხედავს!

ერთ წუთს არ გაეელო, რომ ფანჯრიდან ხანში შესულმა, მწითურმა, სქელულავაშინამა კაცმა გამოყო თავი და მღუმარედ შემომხედა, როგორც მისთვის სრულიად უცნობ ადამიანს. შეძევ თვალბომბუტული დამაშტერდა და უცებ წარბები ზეასწია.

— ძაბო! — ისეთი სიხარულით წამოიძახა და ისე გამოიჩინა ჩემსკენ, თითქოს ფანჯრიდან გადმოძრომა ეწადა;

— პეტროვიჩი! — დავიყვირე მე.

მაგრამ ჩვენ შორის მკვირცხლად ჩაღვა მისოსტი.

— ღვთის გულისათვის... მართალაა, შენ მთლად უფროსი მზარეული ხარ, მაგრამ არ გეგონოს, ჩვენც შენსავით ძუნწები ვართ. აი, ნობათი ძაბოსგან, — უთხრა მან და შეხვეული პეტროვიჩის გაღასცა.

• • •

ვახშმის შემდეგ სამივენი სინატორიუმის ეზოში ფიქვის ქვეშ ჩამოესხედით. მშვენიერი, ისეთი ალერსიანი სალამო იყო, თითქოს ბუნებრივ იზიარებდა ჩვენს სიხარულს. ყოველშემთხვევაში, მაშინ მე ასე მეჩვენებოდა.

მთვარე ამოვიდა და თავს დაგვიდგა ხეებში მდინარე ხმაურით მოათამაშებდა ვერცხლისფერ ჩრდილებს. მთვარის შუქში რაღაც საიდუმლოებრივად ანათებდნენ მყინვარები, ჩუმად ჩურჩულებდნენ ფიქვის ხეები. მათ შორის გამოსკვიოდა ხეივანებში და სანატორიუმის ფანჯრებში ანთებული ელნათურები. მარცხნივ, მოედნიდან ჩვენამდე აღწევდა გარბონისა და სიმღერის ხმები.

ნიკოლაი პეტროვიჩის ძალზე ახარებდა ჩვენი შეხვედრა, ფუსფუსებდა, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, რომ ჩემთვის ესამოეხებინა.

ახლა აღარ მახსოვს, რაზე ვსაუბრობდით, მაგრამ მისოსტის ხუმრობისაგან ფერდები და საფეთქლები მტკიოდა, პეტროვიჩი მთლად ცახცახებდა.

საათზე მეტხანს ვისხედით ასე. შეძევ პეტროვიჩს გაახსენდა, რომ მას სამზარეულოში კიდევ ჰქონდა სამუშაო, ბოდიში მოიხადა და წავიდა.

— ხვალ გავაგრძელოთ ჩვენი საუბარი! — მიიძახა მისოსტმა.

— აუცილებლად! — მთვარის ბინდბუნდიდან გამოეხმაურა პეტროვიჩი.

ჩვენ ორნი დავჩიხით და ახლა პეტროვიჩზე ჩამოვადგეთ საუბარი. ოდესღაც ფრონტზე ეს ჩვენი მზარეული იყო და ისე ზრუნავდა ჯარისკაცებზე, ისეთი გულისხმიერი, ისეთი თავგანწირული იყო, რომ მას „ჩვენი მამა“ შევარქვით.

ერთხელ, როცა უკვე გერმანელების მიწაზე ვიბრძოდით, ასეთი ამბავი შეგვემთხვა: ზამთარი იყო, გათენებისას ერთ ხევში თხრილებში ვისხედით და შეტევისათვის ვემზადებოდით. ჩვენ მარჯვენა ფრთაზე ღრმა თოვლით დაფარული კალთებდაქანებული. ერთი პატარა მალლობი გვეკირა. საღაჯ წინ კი, ამ მალლობის იქით, თხრილებში პიტლერელები იყვნენ ჩასაფრებულნი.

უცებ სროლის ხმა შემოგვესმა. გამოვიხედეთ თხრილებიდან. პიტლერელებმა სროლა აგვიტყვეს და ისევ მიჩუმდნენ.

მისოსტმა მალლობს შეხედა, ნიდაყვი წამკრა და სრულიად სერიოზულად მკითხა:

— განა აქ კუ იცის?

ხუმრობას ვერ მივუხვდი და ახლა მე შევეკითხე:

— რა კუ? აქ კუებს რა უნდათ, ისიც ზამთარში?

— მაშ ის რა არის? შეხედე, აი, ჩვენსკენ რომ მოგორავს, განა კუ არ არის? გახვდება. მართლაც მალლობიდან ქვევით რაღაც მრგვალი მოგორავს, გამომინდება და ისევ გაჰქრება.

ჯერ ნისლი არ გაფანტულიყო და მე ვერაფერი გავარჩიე.

სწორედ ამ დროს მტრებმა ქვემეხები დაგვიშინეს. ჭურვები ჩვენს მახლობლად სკდებოდა. ჩვენ თხრილში ჩაესხედით და „კუ“ მხედველობიდან დაგვეკარგა. როგორც კი ჭურვების სკდომა შეწყდა, უცებ ჩემს გვერდით რაღაც იმ ყრუდ დაიგრუხუნა, თითქოს ზვაგი ჩამოწვაო მთებში. შეხედე, მალლობიდან ფლატზე ჩამოეშვა და ჩვენსკენ ჩამოგორდა თოვლის უშველებელი, უცნაური გუნდა. ეს გუნდა მოძრაობს... რა არის ეს? ჯარისკაცები მიცვიოდნენ, მე და მისოსტმაც მივიარბინეთ, დაეუმიხნეთ ავტომატები, მაგრამ უცებ თოვლის გუნდა, როგორც ზღაპარში, ადამიანის ხმით ალაპარაკდა:

— არ მესროლოთ, ძმებო!

მე ჩექმის ცხვირი წაკვარი: იქნებ თქვას, ვინ არის, რა არის, საიდან? გავვიმხილოს თავისი საიდუმლო...

თოვლის გუნდა კი მოძრაობს, ფართხალებს, და უცებ, ამ თოვლის გუნდიდან გამოძვრა... პეტროვიჩი!

— ხედავთ, კვარცხიდან წიწილებიც იჩიკება! — სიცილით სთქვა მისოსტმა.

ყველანი პეტროვიჩის შემოვეხვიეთ და თოვლის ჩამობერტყვა დაეუწყეთ. მას კი როგორც დედას შეილი, ისე ჩაეხუტებინა გულში უშველებელი თერმობა. თერმობის გამორთმევა გვინდოდა, პეტროვიჩი არ გვანებებდა და რაღაცას ბურტყუნებდა, რას, არ გვესმოდა. ვხედავთ, თოვლი და ქაში უღვაშებზე შეჭყინვია, პირდაპირ ფთილუბად ჰკიდია. ბიჭებმა დაუწყეს ამ ფთილუბის მოცალება, ის კი ყვირის:

— თუ ჩემი უღვაშოდ დატოვებთ გინდათ, თითო-თითო ბეწვს კი ნუ მაწაწყნით, ბარემ ერთბაშად დამაგლოჯეთ! — თან ტყვილისაგან თვალებზე ცრემლი მოსდგამია.

მოვაცილეთ თუ არა მის გაყინულ უღვაშებს ეს უცნაური ლოლუბა, პეტროვიჩი მაშინვე მოგვევარდა:

— სადა გაქვთ ქვაბები? მორტათ ჩქარა! თქვენთან სალაპარაკოდ არა მყალია. თერმობიდან ქაში იღვრება.

ერთი წუთის შემდეგ თხრილში ვისხედით და სიამოვნებით შევექცეოდით ჯერ ისევ თბილ ქაშს. პეტროვიჩი კი თავის აბურძგვნილ უღვაშებზე ხელს ისვამდა და ისეთი ფარული სიხარულით შემოგვეცქეროდა, როგორითაც დედა უყურებს თავის მშვიტ შვილებს, რომლებიც მას გარსშემოსხდომიან და ხარბად სჭამენ გემრიელ, ეს არის ახლა გამომცხვარ ქადას. რა შეედრება ასეთ წუთებში დედის ბედნიერებას?

— პეტროვიჩ, რაო, კიდევ შეგარჩა უღვაშები? — შეეკითხა ერთი ჯარისკაცი.

— ხო, ძალიან გამიჩეჩეთ! სიყვდილამდე არ დამაფიწყდება, მაგრამ ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ უღვაშებს! აი, ეს თერმობი მენანება, ფაშისტებმა გვერდი შეუშტვრიეს. მეგონა, ქაში სულ დაიქცეოდა.

— შენც ადექი და თერმობი ექიმს მიუტანე, ჰოსპიტალში.

— ეხ, ნეტავ შეიძლებოდეს, შენი ენა საკერებლად დაედოს ამ თერმობს! — გაჯავრებით ჩაიქინა ხელი პეტროვიჩმა. ამან ყველა გააცინა:

— პეტროვიჩ, — ვუთხარი მე, — აი, შენ სულ გვიჯავრდები, რომ ჩვენ ფაშისტების ტყვიებს არ ვერიდებით, პირისპირ ვაწყდებით... თვითონ შენ კი... იცოდი, რომ ჩვენ კონსერვებიც გვაქვს, პურიც, მანც არ მოერიდებ ტყვიებს. ასეთ სახიფათო მომენტში ქაში მოგვიტანე!

— სახიფათო? თქვენთვის კი არ არას სახიფათო? — შუბლმეკვრით წაიბურტყუნა პეტროვიჩმა. — განა არ ვიცო-

დი, რომ შეტევასე მიღიხართ? განა შეიძლება, შეტევის წინ ცხელი საკმელო არა სკამით? მაშ მე რისთვის ვაჩ? რის გამოსადეგი ვარ ასეთ შემთხვევაში? როგორ დაგტოვებდით უცხელკერძით? მაგრამ, აი, თქვენი მონახვა კი მთელი წამებაა. სადაც მეგულებით, პივალ და აღარა მხვდებით. პაპიროსის ნაწიწკავები-ლაა დარჩენილი — წინ წასულხართ. პო და, უნდა ვიხეტილაო, გეძებოთ. განა სახაზინო ფეხები მაქვს. მღვდლები ამბობენ: „ქმიბდეთ და პპოვებდეთ“ ე. ი. ივლი და იპოვინო... დღესაც ვფიქრობდი: ვაი თუ ვერ მივუსწრო-მეთქი და გათენებამდე წამოვედი. თანაც ეს ნისლი დადგა... გზა ამერიკა, კინალამ გერმანელებს არ ჩავუვარდი ხელში. ვიარე, ვიარე და გათენებისას აი, ამ მალლობამდე მოვალწიე, დასასვენებლად ჩამოვეკეი, თერმოსი მხრიდან მოვიხსენი. მესმის, სადაც მახლობლად, გერმანელები ბურტყუნებენ. „აჰა, ვფიქრობ, ჩავარდი, პეტროვიჩო! მგონი შენი ქაში ფრიცებს დარჩებათ. მაგრამ არა! ვერ მივართვი! მათთვის კი არ მომიხარშავს. მე ჩემი ბიჭები მელოდებან...“ ჩავიხუტე თერმოსი გულში, წელში წავიხარე და როგორც კი დავიძარი, დამაყარეს ავტომატის ტყვია. — ერთი, მეორე, მესამე.

— მაშ ისინი შენ გესროდნენ? — შევეკითხე მე.

— მაშ აბა სხვას ვის? მე მესროდნენ... მე ამაცდინეს, მაგრამ თერმოსი კი გამიხვრიტეს, უმსგავსებმა. მალლობიდან რომ დავგორდი, ალბათ გადაწყევატეს, — მოვკალითო. მაგრამ სად მცალია სიკვდილისათვის — პეტროვიჩის ტუჩებში დამცინავემა ლიმოლმა გაიელვა. — ასე ჩამოვგორდი თქვენთან. თოვლი სველი იყო, შემომეხვია, ასე მეგონა თავს ვერ დავალწედი. მაგრამ აი, ყველაფერი კარგად დამთავრდა. მიხარია, რომ დავანაყრეთ და როგორც წესია ისე გისტუმრებთ შეტევასე. წარმატებას გისურვებთ! ახლა კი წავალ... ოღონდ სამაგიერო გადაუხადეთ, ძმებო, იმ ფრიცს თერმოსისათვის!

პეტროვიჩმა ცარიელი თერმოსი მხრებზე შემოიგდო, მსუბუქად ამოხტა თხრილიდან და მხრებში მოღუნული გაიქცა — უკან, თავის სამხარეულოსკენ.

აი ეს ეპიზოდი გავიხსენეთ მე და პასოსტმა, როცა სანატორიუმის ეზოში ფიქვის ქვეშ ვისხედით. ვიცინავ, შემდეგ ჩაფიქვრდით, თან მდუმარად შევეურებადით მეორე სართულის გაშუქებულ ფანჯრებს, სადაც ხანდახან გაიელვებდა ხოლმე პეტროვიჩის მოფუფუსე ჩრდლი, რომელსაც მხარეულის ქული ჰქონდა თავზე ჩამოცმული.

და აი, როგორც ცახე მსუბუქი ღრუბლები, ისე მიფრინაედნენ სანატორიუმის უზრუნველი დღეები. მე და მისოსტი ამ დღეებს უფრო ხშირად მდინარეზე ვატარებდით: მზეზე ვიხუხებოდით, ვბანაობდით, ან ბუჩქის ძირას ჩრდლში ვიწეკით და ოხუნჯობაში ვკლავდით დროს.

ხანდახან სალამოს დადგომამდე ჩვენთან მუდამ რალაკით შეწუხებული პეტროვიჩი მოვრდოდა, დაჯდებოდა, მოსწევდა პაპიროსს, გაგვაცივებდა, სწრაფად გაიხდიდა, იბანავებდა და მაშინვე მალა გარბოდა, თავის სამხარეულოში.

— სად გეჩქარება? — მისძახოდა მისოსტი, — არსად გაგეკეცივან შენი ქვაბები და ქურები. ნუ გეშინია, მათ ყურისმგდებელი არ მოაკლდებათ, დაისვენე ჩვენთან!

— ეჰ, არა... თუ ღუმელს გვერდით არ უდგებარ, საკმელი გემრიელი არ გამოვა, — თავისებურად იგერიებდა პეტროვიჩი და ქვიანი ბილიკით ჩქარა აღიოდა აღმართზე.

ასეც ხდებოდა ხოლმე: ვსხედვართ მდინარის პირას, ველით პეტროვიჩს, ის კი არა ჩანს და არა. უპეტროვიჩოდ მოწყენა გვეუფლება. თუმცა დამსვენებლებს შორის ჩვენ უკვე გავჩინეთ ახალი მეგობრები, მხიარული ახალგაზრდები, მაგრამ ნათქვამია „ერთი ძველი მეგობარი ორ ახალს სჯობიაო“...

საოცრად მოგვენატრებოდა ხოლმე პეტროვიჩის ხმის გაგონება, თუნდაც ერთი სიტყვის... ასეთ წუთებში მე და

მისოსტი შეეხედავდით ერთმანეთს, უბ-  
მოდ წამოვდებოდით და მივდიოდით  
სასადილოსკენ. მოვდიოდით — ავბე-  
დავდით მაღლა და ისე შეეყურებდით  
მეორე სართულის ფანჯრებს, როგორც  
კატები შეჰყურებენ საეკუპნაოს, სადაც  
მსუქანი ხორცი ჰკიდია.

— აი, პეტროვიჩი მოადგება ფანჯარას,  
გადმოეყუდება, გაიღივებს და დაგვიძა-  
ხებს:

— რა გინდათ აქ, უსაქმურებო? წა-  
დით, ისეირნეთ! ნუ მიშლით მუშაობას,  
თორემ, აი, მდულარე წყლით გაფუფუ-  
ქავთ!

— იმ ქვეშაირიტად ამაზე უთქვამთ  
„სიკეთისათვის ბოროტად მოგვზღო-  
სო“. ან კიდევ, „საზამთროს მაღლა თა-  
როზე სლებდნენ, ის კი იატაკზე მიგო-  
რავდო...“ — ოხუნჯობდა მისოსტი. —  
ჩვენ მასთან სულით და გულით მოვდი-  
ვართ, ის კი წიწილებსავეთ გაფუფქვას  
გვიპირებს. ერთი ამას დამხებდეთ! რაში  
გვჭირდება. ჩვენ ღმერთი, უშენოდაც  
გვწყალობს. წავიდეთ, ძაბო!

მისოსტი ხელს ჩამკიდებდა და სასა-  
დილოდან შორს მივყავდი. მაგრამ, რო-  
გორ შეგვეკავებინა თავი, რომ პეტრო-  
ვიჩისკენ არ მოგვეხედნა? ჩვენც ვიხე-  
დებოდით, პეტროვიჩი კოტიტა თითს  
გვიქნევდა და სიცილოსაგან თახთახებდა.  
განსაკუთრებით კარგი იყო პეტროვიჩი,  
როცა სადილის დროს, თოვლივით თეთ-  
რი ხალათითა და გაფუფებული ქუდით,  
ბელში ქალაღლითა და ფანქრით შემო-  
ივლდა მაგიდებს და დამსვენებლებს  
ეკითხებოდა, რა უნდოდით ზვალისთვის  
საუზმზე, სადილზე, ვახშამზე? ამ ცე-  
რემონიას ის ძალიან სერიოზულად ეკო-  
დებოდა. თანაც რაღაც საზეიმო ხასიათს  
აძლევდა. ჩვენთან ჩვეულებრივად ყვე-  
ლაზე ბოლოს მოდიოდა ხოლმე, მოვა-  
დოდა, გაგვიღმებდა:

— აბა, ჩემო წიწილებო, როგორა  
ჯრძნობთ თავს? რა სურს თქვენს სულსა  
და გულს?

ერთხელ სწორედ მაშინ მოვიდა ჩვენ-  
თან, როცა ჩვენ მაგიდას ახლადჩამოსუ-  
ლი, მოსკოველი ეურნალისტი ქალი უჯ-

და, ასე ოცდაათი წლის, როგორც შემ-  
დეგ აღმოჩნდა, კარგი, ცოცხალი, მზი-  
რული ქალი. ახლა კი, პეტროვიჩის  
მგზავრობისგან დაღლილი თუ იყო, რა-  
ღაც მოშვებული და ფერდაკარგული  
იჯდა. ხმას არ იღებდა. მისოსტის ქუე-  
მავილური ხუმრობაც კი არ მოქმედებ-  
და მასზე.

პეტროვიჩი ჯერ მას შეეკითხა:

— რას იხებდით ზვალისთვის?

ქალმა რაღაც დაბნეულად შეხედა მას  
და უპასუხა:

— არ ვიცი... რაც გინდათ... რაც ყვე-  
ლას, ის მე...

— არა, ეგ როგორ შეიძლება? —  
უცებ შეიჭმუნა, თითქოს ეწყინა პეტ-  
როვიჩს. — მითხარით, რა გნებავთ და  
იმას დაგიშვებთ. ყოველ აღამიანს  
თავისი გემოვნება აქვს. ერთს არაყან-  
მოსხმული ტოლმა უნდა, მეორეს კი  
მთხარშული ქათამი.

— სულ ერთია. მე ისე ცოტას ვჭამ,  
რომ...

— აი, ეს უკვე არ ვარგა! უნდა სჯა-  
მთ. კვება დასვენების საფუძველია.  
მარტო პროცედურები და ჰაერი, თუ  
კარგი კვება არა გაქვს, არაფერია. მარ-  
თაღს გეუბნებით, ექიმებიც ამას ამბო-  
ბენ. თუ დამსვენებლები არა სჯამენ, მამ  
აქ რას ვაკეთებ? ჩემი პირადი მოვალეო-  
ბაა, ისეთი საქმელი მოვაშვადო, რომ  
თქვენთვის სასიამოვნო და გემრიელი  
იყოს, რომ თქვენზე არაფერი რჩე-  
ბოდეს.

მაგიდაზე დახრილი პეტროვიჩი, რო-  
გორც მამა ქირვეულ შერს, აღერსიან-  
ნად არწმუნებდა, რომ კვება ყოველ-  
გვარ მკურნალობაზე მთავარია.

ბოლოს ქალმა დაუსახელა რაღაც  
ახირებული „კატლერ დე ვოლიი“ სა-  
უზმისთვის და კიდევ რაღაც სადილისა  
და ვახშმისათვის. პეტროვიჩმა ჩაიწერა  
და ჩვენსკენ მობრუნდა.

— აბა, არწივებო, თქვენ რას მიბრ-  
ძანებთ?

მისოსტი, ეტყობა გაჯავრებული იყო  
ამ ეურნალისტ ქალის საქციელით და  
პეტროვიჩის უთხრა:

— იცი რა, პეტროვიჩი, საუზმედ ჩვენი ძველი მეგობრობის მოსაგონებლად, სალდათური ფრონტელი ქაში მოგვიხარშე, სადილად და ვახშმად კი იგივე რაც დღეს.

— სიამოვნებით! — სწრაფად ჩაიბურტყუნა პეტროვიჩმა და სამზარეულოსკენ წავიდა.

ქურნალისტმა ქალმა გაიღიმა და მისოსტს ჰკითხა:

— თქვენ მაგასთან ერთად იყავით ფრონტზე?

— დიახ, ერთად ვიარეთ სტალინგრადიდან ბერლინამდე.

ამაზე შეწყდა საუბარი. ქურნალისტი ქალი უგემურად სკამდა. წვნიანიც და შემწვარიც ნახევარზე მეტი დატოვა.

ვახშამზეც ასევე უგუნებოდ იყო.

მეორე დღეს მე და მისოსტი დილით ადრე ავდექით და გადავწყვიტეთ საუზმემდე მყინვარებისკენ გაგვესივრნა. მივდივართ ფიჭვის ხეების ხეივანში. ვხედავთ სკამზე ზის უკვე დასვენებული და გუნება-გამოკეთებული ჩვენი ქურნალისტი ქალი და ბუნების სილამაზით სტკბება.

ჩვენ მივესალმეთ და ვთხოვეთ, ჩვენთან წამოსულიყო. სიამოვნებით დაგვეთანხმდა. ორი საათი ქვიან ბილიკებზე ვხეტიალობდით და მზიარულნი, გამხნეებულნი პირდაპირ სასადილოში დავბრუნდით.

მაგიდას შემოვესხედით. ოფიციალტმა ჩვენს ქურნალისტ ქალს ის რაღაც „კატლერ დე ვოლიაი“ დაუდგა წინ, ჩვენ კი, ბლომად ერბომოსხმული ქაშით სავესე ორი სალდათური პატარა ქვება.

— თქვენ როდისმე გიქამიით სალდათური ფრონტელი ქაში? — შეეკითხა მისოსტი ქალს, თან ხელებს იფშენებდა და ალერსიანად დაჰყურებდა ქაშს.

— არა. განა გემრიელია?

— აი, გასინჯეთ. ჩემს თეფზე გადმოგლეხეთ, მე კი ქვებიდან გეახლებით. ქვებიდან უფრო გემრიელია. — მისოსტმა თავისი და ჩემი ქვებიდან ქაშის ნაწილი თეფზე გადაიღო ისე, რომ სამივეს თანაბრად შეგვხვედროდა.

— ამდენს რად მაძლევთ? — გაიტონა ქურნალისტი ქალმა.

— ჯერ გასინჯეთ! — დაიწყო ქალმა. — დიდი დამაჯერებლობით უთხრა მისოსტმა.

— ოხ, მართლაც! რა გემრიელია! — გულწრფელად წამოიძახა ქალმა, როცა სალდათური ქაში გასინჯა.

მას მთის ბილიკებით სუფთა ჰაერზე სერიზობის შემდეგ მომივინოდა და სიამოვნებით შესკამა მთელი თეფში. ჩემზე და მისოსტზე ლაპარაკიც ზედმეტია, ქაშს მგლებივით მიეცევიდით. ასე არასოდეს გავმძლავრებართ, როგორც ამ დღეს.

— აბა, ახლა თქვენი „დე ვოლიაი“ მიირთვიეთ! — ვუთხარი მე ქურნალისტ ქალს.

— ო, არა! მეტი არ შემიძლია.

მან განზე გასწია თეფში, რომელზეც „კატლერ დე ვოლიაი“ ეწყო.

ჩვენ კიდევ თითო ჰქია კაკაო დავლიეთ, გამოვედით და ხეივანში დავსხედით.

ქურნალისტი ქალი ოსეთში პირველად იყო და დიდი ინტერესით გვეკითხებოდა, როგორ ცხოვრობენ ოსი კოლმეურნეები.

— რა უნდა გიამბოთ, — ვუთხარი მე, — როცა თქვენ თქვენი საკუთარი თვალით შეგიძლიათ ნახოთ. აქ ახლოს არის ერთი პატარა სოფელი, იქ მე კეთილი მეგობრები მყვანან — გინდათ, გავიაროთ დღეს სადილობამდე. იქამდე სულ ოთხი კილომეტრი იქნება, მეტი არა.

— სიამოვნებით. — გაეხარდა ქურნალისტი ქალს.

ჩვენ აუჩქარებლად, მზიარული ბაჟით გავყევით მთის გზას, რომელაც ფრიალო კლდის ძირას ლამაზად გამლჩლ მეზობელ სოფლისაკენ მიდიოდა. იქ მისოსტს მართლაც აღმოაჩნდა კეთილი მეგობარი. — კოლმეურნე. ის მთიელი ოსის ჩვეულებრივი გულლიობით და სტუმარმოყვარეობით შემოგვეგება. სუფრასთან მიგვიწვია და მშვენი-

ერი, ცევი, ოსური ლუდით, ხაბიზგინებით და ცეარიანი, ახლად შემწვარი ფინინებით გაგვიმასპინძლდა.

ეურნალისტი ქალი აღტაცებული იყო ამ გასეირნებით, მაგრამ საწყალი ისე დაიღალა, რომ, როდესაც სანატორიუმში დაებრუნდით და სასადილოში მივიწყეთ, მან ხელი ჩაიჭინა და თავის ოთახში დასაძინებლად წავიდა. მე და მისოსტი კი თუმცა ხაბიზგინებით და ფინინებით გამაძრებები ვიყავით, პეტროვიჩის ხელოვნებამ დაგვძლია, წავედით სასადილოში და კიდევ ერთხელ მაღიანად ვისადილეთ.

სადლის შემდეგ, საღამოთი მე და მისოსტი მდინარესთან ვისხედით. ვხედავთ მთიდან ჩვენსკენ პეტროვიჩი დაეშვა. ჩაფქრებული, მოლუშული, თათქოს გამზდარა კიდევ. მღუმარედ ჩამოვდა ჩვენ გვერდით და პაპიროსი გააბოლა. ვეკითხები:

— რა მოხდა, პეტროვიჩი? ავად ხომ არა ხარ?

— არა... რა უნდა მომსვლოდა?

— მაშ, რად ხარ ასე მოლუშული? სამზარეულოში უსიამოვნება ხომ არაფერი შეგზვედრია?

— ე, ძმაო... — და პეტროვიჩმა რაღაც მწუხარედ ჩაიჭინა ხელი. — გასაგდები ვარ აქედან, აი რა! სანატორიუმში კი არ არის ჩემი ადგილი, მე სადმე შევქმანდს უნდა ვხარშავდე.

— რად? ვინ გითხრა ეს?

— ვისაც უნდა ეთქვა, ისიც ვიცი.

— რა იცი?

— აბა მაშ რა? ვედილობ, რაც შემოძლია და მაინც არაფერი გამოძღვის. პატროსან სიტყვას გაძლევი! პო, გუშინ კიდევ არაფერი... იმ მოსკოველს, თქვენ მაგიდასთან რომ იჯდა, პირველ დღეს სადილად ის მოვარითით, რაც გვქონდა, ნამგზავრი იყო და მაინც არა სქამა. კარგი მზარეულის დამზადებულზე უარს არ იტყოდა, ჩემს ნახელავს კი ნახევარიც ვერ მოაკლო. გუშინ თქვენ თვალწინ არ შემოიკეთა „დე ვოლიაი?“ საგანგებოდ დილაადრიან ავდექი, არავს ვენდე, მე თვითონ დავამზადე, ის კი

სულაც არ მიჰკარებია. დღეს ხომ სადრულად სულაც არ მოვიდა. მაშ გასაგდები არა ვარ? აქ ხალხი გასასუქებლად მოდის, ფულებს ხარჯავს, მე კი...

მე და მისოსტმა ერთმანეთს გადავხედეთ და გადავიხარხარეთ.

— თქვენ გეცინებათ! — წაბურტყუნა პეტროვიჩმა და პაპიროსის ნაწიწვი გაბრაზებით გადაისროლა. — მე კი დილას აქეთი ველარ ვისვენებ... ღმერთს გეფიცებით, ლამის სანატორიუმში დავტოვო და გაიქცე.

— ოხ, შე წმინდა სული! — მხარზე ხელი დაკრა მისოსტმა და სიცილით უამბო, თუ რატომ არ ისადილა დღეს ეურნალისტმა ქალმა და რატომ არ მუეკარა მის დამზადებულ „კატლეტ დე ვოლიაის“.

— ჩემო კარგო, აი ასე გაგვიმასპინძლდნენ კოლმეურნეობაში! აბა იმ ჩიტს მეტი რა შეუძლია? უნდა გენახა დილით, როგორ ილუქებოდა შენი სალდოთური ქაშით, დატკებოდი!

— რას ამბობ! ნუთუ აგრეა? — უცებ გამხიარულდა პეტროვიჩი, სწრაფად გაიხადა, მდინარეში გადახტა, იბანავა და მაშინვე სამზარეულოსკენ გაიქცა.

ვახშამზე მისოსტმა ეურნალისტ ქალს უთხრა:

— იცით, ელენა ივანოვნა, თქვენს გამო ერთმა კარგმა აღამიანმა დღეს კინალამ ჰქუა დაჰკარგა.

ელენე ივანოვნას მისოსტის ნათქვამი ჩვეულებრივ ეურორტულ უხამს ხუმრობად მოეჩვენა, ამირიზა და ცივად თქვა:

— ოპო, ხედავთ? ვინ არის ნეტაე?

— აი, მიირთვით ვახშამი და მერე გამბობთ.

ქალმა მხრები აიჩეჩა და გულმოდგინედ შეუდგა ქამას, რომ არ გაეგრძელებინა მისთვის არასასიამოვნო საუბარი.

ვახშამის შემდეგ პატარა ჯგუფი, ასე — ათიოდე კაცი, ხეივანში ერთი მგორის პირდაპირ დადგმულ ორ გრძელ სკამზე ჩამოვსხედით. ხეების ფოთლებ შორის გადმოფრქვეული მთვარის შუქსაგან, ხეივანის ჩრდილზე ნათელი ლა-

ქები გაბნეულიყო. მისოსტმა პაპიროსს მოუვიდა და თავისებური მახვილი სიტყვების ჩართვით გვიამბო, ელენა ივანოვანს და ჩვენი პეტროვიჩის ამბავი.

ყველანი გულიანად ხარხარებდნენ, განსაკუთრებით კი ელენე ივანოვნა.

— აი, უცნაური კაცი! — თქვა მან. — განა მისთვის სულ ერთი არ არის ვკამ თუ არა ვკამ?

— საქმეც ის არის, რომ სულერთი არ არის, ისევე, როგორც სულერთი არ იყო მისთვის, როგორ მიდიოდნენ სალდათები შეტევაზე: მშვივრები, თუ მადღრები, — მხურვალედ უპასუხა მისოსტმა და უამბო, თუ ოდესღაც, როგორ ჩამოგორდა დათოვლილი მალაობიდან, ქაშით, სავსე, ტყვიებით დაზვერტილ თერმოსჩაბუტებული პეტროვიჩი. — ტყუილად კი არ შეარქვეს მას „ჩვენი მამა“.

— ის აქაც „ჩვენი მამა“ — სთქვა ერთმა ხანშიშესულმა, ლენინგრაძელმა ინჟინერმა, — ის აქაც საბრძოლო პოსტზე გრძნობს თავს. აი რა არის საკვირველი. ფრონტზე ყველას საბრძოლო განწყობილება იპყრობს და საკვირველი არ არის რომ პეტროვიჩი ისე იქცეოდა, აქ კი, მას მუშაობა უხდება ჩვენისთანა უსაქმურებს შორის, რომლებიც მხოლოდ სკამენ, სეირნობენ, თამაშობენ დომინოს, მღერაინ და ცეკვავენ. მერე ასეთი ბუნების წიაღში, აქ ხომ მთელი დღე პირდაღებული უნდა იდგე და უმზერდე ამ სილამაზეს, აქ ყველაფერი სიზარმაცისკენ გიწვევს, უსაქმურობისკენ, თან, უკიდურეს შემთხვევაში, გულგრილი მუშაობისკენ... პეტროვიჩი კი უთენია, ყველაზე ადრე დგება, ყველაზე გვიან წეება, მთელი დღე შრომობს, ცხელ ღუმელთან ფუსფუსებს. თან ჩვენისთანა ნებიერებისთვის ისე ზრუნავს, როგორც მამა — პატარა შვილებისთვის. აი, რა არის საკვირველი!

— დი...ახ... — ჩაფიქრებით გააგრძელა ეურნალისტმა ქალმა. — ახლა კი მესმის. შე მინდა პეტროვიჩის შესახებ კარგი მოთხრობა დაწერო.

დაწერა მან მოთხრობა თუ არ დაწე-

რა, არ ვიცი. მეორე დღით კი შთაბეჭდილების წიგნში მან კარგი, გულითადი და უბრალო, ნამდვილი დამტკიცებელი ჩაუწერა პეტროვიჩს. ჩვენც ყველამ ხელი მოვეწერეთ. აი რა შემთხვევის გამო: დღით სასაუბროდ დავსხდით, უცებ ეურნალისტ ქალთან მოდის ის ინჟინერი, რომელიც წინადღით ისე აქებდა პეტროვიჩს, აწოდებს მას შთაბეჭდილების წიგნს და ეუბნება:

— ჩვენს ჯგუფს გაუთავდა დასვენება, მივდივართ აქედან, გვიანდა გულათადი მადლობა გადაუხადლოთ ჩვენს უფროს მზარეთს. თქვენ ჩვენზე უკეთ იცით წერა, ჩასწერეთ გეთაყვა.

ეურნალისტმა ქალმა ერთი ხელის მოსმით, სწრაფად დასწერა. ინჟინერმა წიგნი აიღო და თავის მაგიდისკენ წავიდა. მას მაშინვე გარს შემოეხვივნენ დამსვენებლები, რომლებსაც ხელის მოწერა სურდათ.

როცა ყველამ მოაწერა ხელი, ინჟინერმა ოფიციალტ ქალს დაუძახა:

— კატია, სთხოვეთ, თუ შეიძლება, ნიკოლაი პეტროვიჩს!

პეტროვიჩი ცოტა არ იყოს შემფოთებული გამოვიდა და აჩქარებული ნაბიჯით მივიდა ინჟინერთან.

— ნიკოლაი პეტროვიჩ, შეგაწუხებთ, გამომშვიდობება გვიანდა თქვენთან. ჩვენი გულითადი მადლობა თქვენდამი მშვენიერად გამოხატა ელენე ივანოვნამ აი, ამ წიგნში. ნებას მოგვცემთ წაეკითხო?

ის კითხულობდა, პეტროვიჩი კი გულაჩვილებული იდგა მის წინ.

ინჟინერმა დამთავრა კითხვა. მთელმა დარბაზმა ერთსულოვნად დაუქრა ტაში და დაიყვირა:

— გმადლობთ, გმადლობთ, პეტროვიჩი!

ყველაზე მეტად ვევიროდით და ტაშს ვუქრავდით მე და მისოსტი. პეტროვიჩს უნდოდა რაღაც ეპასუხნა, მაგრამ ისე აიღელდა, რომ კრინტიც ვეღარ დასძრა, ხელი ჩაიქნია და თავის სამხარეთლოცენ წაიღია.

თარგმანი გიორგი შატბერაშვილისა





## ერთი მუჟა მიწა

ჩემმა თანამგზავრმა რუსმა პოეტმა სერგეი სმირონოვმა მოსკოვში მცხოვრებ, სამშობლოდან დევნილ ბერძენ პოეტს ალექსის პარინის საბერძნეთიდან ჩამოეტანა ერთი მუჟა მიწა.

თავისით კი არ წამოსულა,  
განდევნეს იგი,  
საბერძნეთიდან გააძევეს კაცი ბერძენი, —  
გზები შეუკრეს მშობელ ქვეყნის საზღვრების იქით  
და მას ემშობლა საბჭოეთის მიწა მზეგრძელი.  
მშობელ კერაში ცრემლით ერწყვიც დედას თვალები  
და მძიმე დარდი გახდა მოხუც მამის მეგზური...  
დღეს მას მოსკოვში, შორეული გზით ნატარები  
ჩამოვლტანეთ ერთი მუჟა მიწა ბერძნული.  
— მამა, რა არის? — ატიტიინდა ბავშვი პატარა,  
როს დინახა პირსახოცში რალაც შეკრული,  
— ეს შენს მშობლებთან საბერძნეთმა გამოგვატანა,  
ეს — სალამს გიძღვნით საბერძნეთის მიწა ბედვრული.  
მღელვარებისგან მამას უცებ ენა დაება,  
დედას მუხლები მოეკვეთა, წაერთვა ძალა,  
კერიის მიწავ, ხარ ცოცხალი და უკვდავება,  
ნატვრად ქცეული, განუყრელი, ძვირფასი მარადი...  
გავშალეთ თეთრი პირსახოცი,

გაშეშდა წამით,  
მერე კი თვალზე შეიმშრალა ცრემლები მალვით,  
დასწვდა და მიწას ეამბორა, ვით სულდგმულ რამეს,  
და მის წინაშე დაიჩოქა პოეტმა კრძალვით.  
— ცრემლს ნუ ღვრი, ძმაო,  
მლაშე არის ეგ მიწა ისევ...  
— დაო, ნუ სტირი,  
იწვის მიწა სისხლდანამული...  
ათინა შეილის იმედიან სიმღერას ისმენს,  
მზესა და დარებს ელოდება თქვენი მამული,  
ვიციტ სამშობლოს სიყვარულის მაღალი სიბრძნე,  
კეთილი მოძმის უანგარო ტრფიალიც ვიციტ.  
მზის სამშობლოში — დიდ მოსკოვში პირველად იგრძნეს  
თქვენმა შეილებმა სიყვარული მშობლიურ მიწის.

### უსახლკარო თოლია



აი, ახლა ჩვენ გვესტუმრა თოლია,  
 ოკეანის სივრცეების მკვიდრი,  
 ფრთებდაღლილი გრივალს  
 გამოჰყოლია,  
 გემზე კუთხე რომ ებოვა მშვიდი.

და რატომღაც იმ გოგონას ვისხენებ,  
 ჰოლანდიის მიწაზე რომ ენახე,  
 დავდივარ და წუთით ველარ ვისვენებ,  
 კვლავ ვჩუჩრულებ მის მშობლიურ  
 სახელს.

უკრაინის ალუბლებს და ველ-  
 მინდვრებს  
 იგონებდა ქალიშვილი ღელვით,  
 და სამშობლოს ამბავს გეთხოვდა  
 შერმინდელს,  
 გადაკარგულს უბრწყინავდა ცრემლი.

— ძმებო, დებო! — მკერდს გვეკვროდა  
 ასული,  
 მშობელ მიწას ეხვეოდა თითქოს,  
 რეინიდან ბორკილებით წასული,  
 როტერდამში კიევზე რომ ფიქრობს.

დაგვატარა ამსტერდამის ქუჩები,  
 ერთი წუთით არ შეგვიშვა ხელი,  
 რომ ამღერდა, ცრემლნარევი, უჩვევი  
 დაიღვარა სიმღერების ჩქერი...

პადე-კალით ნიავს მიაქვს სიმღერა  
 და ლამაზზე იმეორებს ტალღა.  
 ნაკადები, მდინარეს რომ ამღვრევენ,  
 მუხის ტოტებს ჰგვანან, აშლილს  
 მალღა.

ეს ველებიც. ეს ყანებიც ესოდენ  
 ნახატებს რომ გაგონებენ წარმტაცს, —  
 გამღერებს და გინდა ყველას ესმოდეს,  
 არაა გინდა, სიმღერების გარდა!

მაგრამ ქალწულს დარდი გამოჰყოლია,  
 მას მამულის ენატრება მთები.  
 ...დღეს გემბანზეც უსახლკარო თოლიამ  
 მშვიდ კუთხეში დაიკეცა ფრთები.

თარგმანი ალექსო შენგელიასი

7277  
ქ

### ივანე სტოპანოვი



### კო ს ტ ა

შენი მგზნებარე კალმის შეხებით  
 ცეცხლი ჩნდებოდა, ალბათ, ქალღმრთელზე...  
 დღეს სიყვარულით შენს ძეგლს  
 ვეხვევით,  
 შენი სიცოცხლე ქვაში ლაღადებს.

გადაივიწყა წამება ხალხმა,  
 მოკვდა დროება ცრემლღრს, გოდების...  
 და როცა ვუმზერ სამშობლოს ახალს,  
 დიდო მგოსანო, შენ მაგონდები!

წამოვიზარდეთ შენი მართვენი,  
 მზე დაჰფენია ჩვენს ნათელ აზრებს.  
 და ჩვენთან ერთად მიემართები  
 გამარჯვებებით დადაფნულ გზაზე.

ცრემლი არა სდის „ობოლთა დედას“,  
 დედა — ეს სიტყვა მზემდე ამაღლდა...  
 ოქროს ყანებით ბიბინებს, ვხედავ,  
 ველი — სამკვიდრო ძველთა ყაბახთა...

ძმობა შეეფერცეთ ერთურთს ერებმა,  
ვეტრფით სიცოცხლეს ნათელ გზებიანს,  
ჩვენი სიმტკიცე და ძლიერება  
მთებს გოლიათებს, შემურებიათ.

ბურჯად ვუდგავართ საბჭოთა ოჯახს—  
ლამაზ მინდვრიანს, ლამაზ მთებიანს...  
წინ უფრო დიდი ნათელი მოჩანს,  
წინ — კომუნისმის მწვერვალებია!

შენც ჩვენთანა ხარ, მშობლიურ ოსეთს  
კვლავ დაუბრუნდი დიდი მგოსანი,  
დაუნის გვირგვინით გაგისხივოსნეთ  
შუბლი ძველ დროში შეუმოსავი.

კვლავ გვესმის შენი ჰანგები მწველი,  
წლები გრგვინით რომ გადმოიქროლებ  
და იმეორებს სამშობლო ვრცელი  
ხეთაგუროვის უკვდავ სტრიქონებს.

თარგმანი ო. კუპრავანი

## ბავუზი



### ოსური მელოდია

(ლევენდა)

ღვას გორაკზე, სოფლის თავში  
ციხე-კოშკი ძველისძველი,  
დარღვევია გალავანი,  
ჩახვევია სუროს წნელი.  
ციხეს ახსოვს მონობის დრო,  
სისხლი — ცხელი, ცრემლი — მწველი.  
მშრომელ კაცის ტანჯვა, კვნესა,  
და შავბნელი განსაცდელი.  
ფუძის ქვები ქარ-წვიმისგან  
დაშაშრულა ტინებივით,  
აქა-იქა ქონგურები  
მოჩანს ბებრის კბილებივით.  
ჩალამებულ სათოფურებს  
სქელი ხავსი შორევია,  
...ღღეს არც ცრემლის ტბორებია,  
აღარც სისხლის შორევია.  
აყვავებულ მინდორ-ველებს  
მკერდზე წყლული აღარ გასდევს  
და შეხარის ციხე-კოშკი  
კოლმეურნე ახალგაზრდებს.  
ამ კარგ დღეში ვინ დაღონდეს,  
ან სიბერეს ვინ იჩივლებს...  
ციხე ისე შესტრფის ჭაბუთო,  
როგორც პაპა შვილოშვილებს.  
ველად ხალხის შრომა არის,  
სიმღერა და დაძახილი.  
...ციხეს ძველი მოგონება  
ვუღს გაუპობს ხანჯალივით.

მზე ჩავიდა. გრილი სიო  
ჩამოვიდა მთიდან ველად  
და გადასწვდა ციხე-კოშკსაც  
ელექტრონის ცისარტყელა.  
სოფლად ელავს ნათურები,  
როგორც ოქროს ქარქაშები.  
გალავანში შეიყარნენ  
კოლმეურნე ქალ-ვაყები.  
გამოიჭრა წრეში ქალი  
შავთა თვალთა ჩაშუქებით.  
ქაბუკები ტაშს უკრავენ  
და მღერაინ ქაბუკები.  
მიწავ, იგრძენ სილამაზე,  
სიქაბუკე, ცაო, სცანი!  
და ოსური მელოდიის  
ხმა დაიძრა საოცარი.  
ამ ჰანგებზე იწვის გული.  
სულსა სწვდება მისი ეშხი  
და სიმღერა ფრთაშესხმული  
ლალად დაქრის ველში, მთებში.  
ფრთა დაქვეა ნიაფ-ქარამა,  
თითქოს მიწაც იქცა სმენად,  
მხოლოდ ციხემ, ძველმა ციხემ,  
ბებერ გულში იგრძნო ტყენა.  
სიხარული შეუცვალა  
წუხილმა და მძიმე სევდამ,  
ციხეს ამ მწველ მელოდიის  
დაბადება გაახსენდა.

რა იციან კაბუეებმა

ციხის დარდი ძველისძველი,  
რა იციან, როგორ იშვა  
ეს სიმღერა გულის მწველი.  
რა იციან, სულ პირველად  
ვინ ჩამოჰკრა სიმებს ხელი,  
ვინ დაჰკვნესა, ვინ აკურა  
ოსურ ფანდურს ცრემლი ცხელი.  
ძველი არის ეს სიმღერა,  
ეს ამბავიც მოხდა ძველად.  
მახამათი წუთისოფელს  
ატარებდა უდარდელად.

ვერ ნახავდით გლეხაკს უქმად,  
ჰქონდა ერთი ლექმა პური.

«დე, ღარიბი ვიყო, მაგრამ  
გულს არ მწვავდეს სხვისი შური.  
განს რამდენ ხანს ვიცოცხლებ,  
რისთვის მქონდეს კაცის მტრობა?»  
მქონდეს მიწა — ერთი ადლი  
და კეთილი მეზობლობა».

წლებს და შრომას მახამათის  
ჯანიც, მკლავიც შეეწირა  
და მას ბოლოს სიხარულად  
ქალიშვილი შეეძინა.

გაიხარდა აცირუხსი,  
დადგა, ქალი, და რა ქალი?!  
მისებრ კეთილს, მისებრ ლამაზს  
სად ნახავდა კაცის თვალი.  
სახლშიც, კარშიც მარჯვე იყო  
ენატკბილად მოუბარი.

ის გაბადრულ მთვარეს ჰგავდა,  
ვარსკვლავივით ენთო თვალი.  
მოდიოდნენ სასიძონი

და ცოლობას სთხოვდნენ ლამაზს,  
ყველას უკან ისტუმრებდა,  
ვერა სთმობდა ძვირფას მამას.

თავის შვილთან ბედნიერად  
თავსა გრძნობდა მახამათიც.  
ერთურთს ისე შეხაროდნენ,  
დაგატკბობდა ნახვა მათი.

აი, ერთხელ დიდბატონმა  
შემოაღო მათი კარი,  
მოხუცს უთხრა: «ცოლად უნდა  
გამაყოლო შენი ქალი».

«დიდად გამადლობთ, რომ კადრულობ  
ღარიბ კაცთან დამოყვრებას,  
მაგრამ გეტყვი, ჩვენი დღენი  
მდიდარ კაცთან დამოკლებდა.

მიტომ არ მსურს, ჩემი შვილი

უბედოდ რომ გაიწიროს,  
ან ამ გოგომ შენ ცოლობა  
როგორ უნდა გაგიწიოს...»

აცირუხსმა ც'ახსნა ბაგე:

«მეც, ბატონო, სიტყვას გკადრებთ,  
აქ ისეთი არეინ არი,  
თქვენ რომ მონად გამოგადგეთ».

ბატონს რისხვა მოერია,  
თვალით ცეცხლი დააფრქვია,  
«ეგ სიტყვა თუ არ განანო,  
მამე მე კაცი რადა მქვია.

მშიერ-მწყურვალს შეე სიკვდილთან  
ქვის ლოგინში გაქორწინებ,

ღილით ცრემლით გაგაღვიძებ,  
ღამით კვნესით დაგაძინებ.  
შორს ისმოდეს შენი მოთქმა,  
საუკუნოდ მიგცემ წყვიდადს».

და ჯიუტი ქალიშვილი  
ამ ციხეში ჩაამწყვდია.

ბატონს ტყვედ ჰყავს აცირუხსი,  
დღე დღეს მისდევს დანისლული;  
არ დაიდგამს მონის უღელს,  
სიკვდილს ირჩევს ქალის გული.

მოტეხილი, დაცემული  
ვერ იხილოს ის მტრის თვალმა  
და ეს მწველი მელოდია  
ამ ციხეში შეთხზა ქალმა.

«დამიწდი და ნაცრად იქეც,  
ცივო ქვაო, გულქვა ციხეც,  
ტანჯვითა და მწუხარებით  
ყოველ დღეს რომ მათარიღებ.

მე შეგონა, ცრემლის წვიმა  
დაგილობობდა ამ ცივ კედლებს,  
ვერც მუღარა შეგასმინე,  
ვერც სიცოცხლე შეგავედრე.

ჩემი ცრემლით ეგ კედლები  
დადუღაბდა კიდეც უფრო,  
ტყვედა გაყავარ, მაგრამ ჩემს გულს  
ვერასოდეს დაეუფლო.

ველარ ენახე მამის სახლ-კარს,  
ვ'ც ველარ გადავრჩები,  
რკინის ხუნდით დაწერილა  
ჩემი მკაცრი განაჩენი.

წყველ იყოს, სულ პირველად  
დამორჩილდა ბატონს ვინაც,  
სხვას დანებდა უბრძოლველად,  
თვინიერად დაიგმინა».

წყველ იყოს, სულ პირველად  
დამორჩილდა ბატონს ვინაც,  
სხვას დანებდა უბრძოლველად,  
თვინიერად დაიგმინა».

წყველ იყოს, სულ პირველად  
დამორჩილდა ბატონს ვინაც,  
სხვას დანებდა უბრძოლველად,  
თვინიერად დაიგმინა».

თვინიერად დაიგმინა».

აცირუხსის ჰანგი ირველივ  
 მოეფინა შშობელ მხარეს,  
 ენატებლმა ბულბულემა  
 ცხარე ცრემლი გადმოღეარეს,  
 მაღალ მთებს და ბებერ კლდეებს  
 ცრემლი მოსკდათ ფენა-ფენად;  
 მოედურტულე მდინარენიც  
 გაშეშდნენ და იქნენ სმენად.  
 დღედაღამე განუწყვეტლივ  
 მთა-ბარს მწველი ჰანგი ათოვს,  
 ფხალესილ ხანჯალივით  
 გულს უსეკრავს გულქვა ბატონს.  
 ციხეში მყოფ აცირუხსის  
 ხმა რეკავდა, როგორც ზარი,  
 და წუთითაც არ წყდებოდა  
 ეს სიმღერა საოცარი.

ბოლოს მიწყდა. ციხის თავანს  
 დუმილის ფრთა გადეფარა,  
 ციხეს ციდან ცრემლს აფრქვევდა  
 დალაღწაშლილ ღრუბლის ფარა.  
 მახამათი ციხის კედლებს  
 გარს უვლიდა კენესა-ოხვრით,  
 ძლივს იცნობდით განუზომელ  
 მწუხარებით წელში მოხრილს.  
 შვილს ეძახდა: — შე, ზღვის გეღუ,  
 ფარშავანგო ფრთალამაზო,  
 მოდი, სად ხარ, სად გეძებო,  
 მეტი ღონე არა მაქვსო.  
 სად გიპოვნოს მამაშენმა,  
 მას ხომ შენთვის სურდა ბედი...“  
 შვილს მამის ხმა არ ესმოდა  
 საუქუნოდ დუმდა გეღუ.

თარგმანი თეიმურაზ ჯანაშვილისა.

## ხაჩივონ პიივი



## რისის მთა

შენ აღმართულხარ ამყად,  
 რისის მთავ, თეთრქუდიანო.  
 გამელენი შენი დანახვით  
 კანკალეზენ და თრთიანო.

ბევრ საიდუმლოს ინახავ  
 ბევრი დარდი გაქვს ნანახი.  
 თავზე გახურავს ზვიადად  
 ყინულის თეთრი ფაფახი.

შენს მკლავზე წვანან ნისლეები,  
 ცა გულზე გეამბობრება.  
 დაგოფრახეს თურმე ფიჭვები  
 მშიშარა ნიაშორებმა.

მთაო, არა გყავს ბადალი,  
 ფრთამალო ქარი დაგწივის,  
 თითქოს შენიშნა ნადეღი,  
 თავს დაგტრიალებს არწივი.

შენზე ოცნება დიდია,  
 მე შენზე ფიჭვმა დამალა.  
 ჩანჩქერი მყინვარს ჰკიდა,  
 როგორც მოხუცის ჭალარა.

დაბლა მოღეღავს მდინარე,  
 აჭაფებული ხეობა.  
 რისის მთავ, აგაზმიანებს  
 მისი შფოთვა და ღრეობა.

მოღეღავს ბროლის ღიღებად,  
 რომ შენ სიტურფე გაჩვენოს.  
 დედის რძესავით იღვრება  
 შეფეები ტინის გარშემო.

თარგმანი მადამ კახიძისა.



ყ ა ზ ბ ე მ ს

მე, მომიტევე, მთაო,  
ნისლისთმიანო დედაე,  
რომ შენს ღრუბლებთან ვდავობ,  
შენთან ამოსვლას ვებედავ.

როცა ქარი ჯანლს აშლის,  
როცა ბინდი ფრთებს გაშლის,  
მზე კვლავ თამაშობს შენთან,  
როგორც მოხუცთან ბავშვი.

შენ არ გჩვევია დალლა,  
მხრებით ცის კარებს აღებ,  
ქედებს დაჰყურებ დაბლა,  
თერგი გაშხეფებს ტალღებს.

ჩამოთოვლილო დედაე,  
გივლია ბევრი გზები,  
ხან მთებში ხედავ მხედარს,  
ხან თავს გიკრავენ ძნები.

მზე ოქროს სხივებს მოგფენს,  
თავზე მზის ჯილა გშვენის,  
გასცქერი ლამაზ სოფლებს,  
გესმის სიმღერა ჩვენი.

გასცქერი ჩუმი მწერიტ  
მთებში დაკარგულ ბილიკს,  
უცქერი ხალხის ზეიმს,  
თერგის ბორჯვას და ჯიროს.

თავს არასოდეს დახრი,  
არა გჩვევია დარი,  
ცნობისმოყვარე ხალხი  
შენს სანახავად დადის.

შენზე მღერიან ლექსებს,  
არ ავიწყლები მნახველს.  
წიგნში დაწერენ ალბათ  
შენს ათასწლოვან სახელს.

სიამაყე ხარ ჩვენი,  
თავზე მზის ჯილა გშვენის.  
არა გჩვევია სევდა,  
ხარ თეთრთმიანი დედა.

შენ დროთა მატრიანდ  
გადაგაქციეს წლებმა.  
თუ ერთხელ ნახავ ყაზბეგს,  
ძნელია დავიწყება.

თარგმანი მელაა კახიძისა

ნაწი



ოჲში ხომ ხშირად ამგვარად ხდება:  
ველარ მოგწერო იქნებ ბარათიც.  
და ეს, ძვირფასო, ნუ გეწყინება,  
ნუ დამივიწყებ კუბოს კარამდე.

არ დაგშორდები არასდროს სულით!  
ქარი როს ტუბილად დაგიწყებს აღერსს,  
ეს მე ვიქნები, დაბრუნებული  
ყანიდან შენსკენ გულმოფართქალე.

და იადონი ყოველ საღამოს  
შენ ჩემს სიმღერებს გიმღერებს ისევ.  
გაზაფხულისას მოვა და ამოდ  
ჩემს სიყვარულზე ბულბული ისტენს,

რომ სიხარული მოგიზლოს მერეც,  
რომ მოგაგონოს ტრფობის ის წლები...  
მაგრამ როს თოვლი დაფარავს სერებზე  
და გაკრთებიან თეთრი წინწკლები

ეს, დაიჯერე, თვალთნაპერწკლები  
მიწას მოვფანტე მე სათაყვანებს.  
ჩვენ ოჲში თქვენი გულისთვის

კვედებით,  
და, კვლავ ხარობდეს ბალახი მწვანე.

თარგმანი ლადო ხულაბერიძისა.



საუბარი სატროსთან

სალამო ნაზი და მთვარიანი  
 ცისფერ თვალებში დამთვრალი არი,  
 და ჩვენი ბალი ფოთოლთ შრიალით  
 გამხდარა ჩვენი სულის ზიარი.  
 შეხედე ზემოთ, შეხედე ზემოთ,  
 შეხედე ზემოთ, ძვირფასო ჩემო.  
 იქ — როგორც ზღვაში,  
 იქ — როგორც ცაში,  
 მე ფართოდ გაშლილს ვებდავ  
 იალქნებს,  
 როგორც ლურჯ კარებს.  
 და ოცნებებით თუკი მივაგნებთ,  
 წავიდეთ ბარემ  
 ეს მხარე მოჰგავს საოცარ ზღაპარს;  
 მშვიდი სალამო გვიმზერს თვალბში.  
 ჩემი ფიქრები წავიდა სადღაც  
 და ვარსკვლავების ვტებები აღერსით.  
 შეხედე ზემოთ,  
 შეხედე ზემოთ,

იქაც შენა ხარ, ძვირფასო ჩემო.  
 მე მაგ თვალების შუქი მცირედი  
 სიზმრად გამოწყევა მკრთალი  
 ლანდებით.  
 და მიგზავნიან გულში იმედებს  
 ეს შემოდგომის განთიადები.  
 როგორც წყლის სიღრმე გვზიბლავს  
 ფარული.  
 ისე გულები მზიბლავს მკვესავეი.  
 ასე კი ძალუძთ მათ სიყვარული,  
 ვინც კი ცბრამეტის გახდა ჩემსავეით?  
 დაგვმრიალებენ ფოთლები ზემოთ,  
 ტოტს რომ ტოტებში ლურჯად  
 გაუბამს,  
 ყური მომიგდე, ძვირფასო ჩემო,  
 რა შეედრება შენთან საუბარს.

თარგმანი შ.ოთა ლომსაძისა.

ფეტვის უხვი მოსავალი მოვიდა

(ძველი ხალხური სიმღერა)

ჩვენს კალოზე უცხო ჩიტი მოფრინდა.  
 ფეტვის უხვი მოსავალი მოსულა!  
 ფეტვის ხეებზე დაჯდა უცხო  
 ფრინველი.  
 ფეტვის უხვი მოსავალი მოსულა!  
 ჩიტს ქოხიდან ქალი გამოეგება,  
 აიყვანა, კალთა გადაათარა.  
 წაიყვანა ფრთხილად საკუქნაოში;  
 ხორბლის ხეებში დასვა იგი  
 კვერცხებზე.  
 ხარჯობენ და არ იღვევა ხორბალი.  
 უასტირჯი და ფალვარა დადიან,

ფიქრობენ თუ ხალხს როგორ  
 დაეხმარონ.  
 გადაწყვიტეს, გააკეთონ გუთანი.  
 გააკეთეს ის თუთიროს კვირაში.  
 და უღელიც იმ კვირაში გამართეს.  
 ხელნაც მამინ გამოთალეს ხატებმა.  
 იმ კვირაში გამოქედეს სახნისიც.  
 ყალარდოში შემოსულან ხატები  
 და გუთანში ხარიჩები გაუბამთ.  
 გუთანს ტყისკენ ეწევიან ირმები.  
 ირემი ზომ საქონელი არ არის.  
 ხატებს ტყეში გაუშვიათ ირმები.  
 დაუჭირავთ გრძელბეწვება ჯიხვები  
 და უღელი ახლა მათთვის დაუდგამთ.  
 გუთანს მთისკენ ეწევიან ჯიხვები.  
 ჯიხვებისგან, აბა, რა ხეირია! —  
 ხატებს მთაში გაუშვიათ ჯიხვები.

1 მინამღერი — „ფეტვის უხვი მოსავალი მოსულა“ მეორდება ტექსტის ყოველი სტრიქონის შემდეგ.

დაუპირაფეთ ეშვიანი ტახები,  
 ღარტაფისკენ სწევენ გუთანს ტახები.  
 ღარტაფებში გაუშვიათ ტახები.  
 ჩვენ თუთირმა ხარი გამოგვიგზავნა.  
 შავი ხარი, თეთრჩქიანი, თეთრტუჩა.  
 და შეუბამთ შავი ხარი გუთანში.  
 სულ გადუხნავს იმ დალოცვილს  
 მინდვრები.

იმ წელიწადს ფეტვი ბლომად მოსულა.  
 დაკვიტვიტებს მწყერი ფეტვის  
 ალმა-ჩალმა დაჭრიალებს ურემი.  
 მუშახარი შემწე არის გლენჯაყის.  
 ფეტვის უხვი მოსავალი მოსულა!

თარგმანი გიორგი კალანდარიძე

გაბიაზოვი



ქ ა რ ი

ხან  
 თითქოს ღარდი არაფრის არ გაქვს,  
 ხან  
 რალაც სევდა გეტყობა ხმაში...  
 კლდეში და ღრეში გარბიხარ მარდად,  
 თითქოს დამფრთხალი შენ იყო რაში...  
 ხან  
 ფოთოლს მოსწყვეტ, წაიღებ ცეკვით.  
 ხან  
 ხევში ჩახვალ,  
 ხან  
 სხეენზე ახვალ.  
 ხან  
 მოჩურჩულე ბავშვი ხარ, ცელქი,  
 ხან  
 მთელი ქვეყნის მქუხარე ხმა ხარ.

ხან  
 ეფერები უღონო ტირიფს,  
 ხან კლდეს უპირებ გადრეკას ჯიქურ.  
 ხან  
 კიდეც მღერი,  
 ხან  
 კიდეც სტირი,  
 ხან  
 კარგად ხარ და  
 ხან  
 სული გიწუხს...  
 მე მიყვარს შენი მოძრავი ტანი,  
 მე მინდა შენს სულს ვატანდე  
 სტრიქონს...  
 მეც მქონდეს შენი სიგრძე და განი  
 და ქვეყანაზე შენსავეთ ვიყო!

თარგმანი გივი ძნელაძისა



## ხამიცი სპირაჲი

თანასოფლელები ხამიცი სიწობდენ როგორც დინჯ და გამრჯე კაცს, ხოლო ასეთი ლარიბი მთიელი აქ ბევრი იყო. არ იცოდა ხამიცი, რას ერქვა დასვენება, იღვიძებდა ალიონზე, წვებოდა გვიან და ასე დღე და ღამეს ასწორებდა, რათა როგორმე გამოეკვება ჯალაბი. ყანაში მუშაობის შემდეგ გავდოდა შორეულ ტყეში, მოაგროვებდა ფიჩხს, მაგრად გაკოპავდა ღვლერკებით, გაიდებდა ზურგზე და ტვირთქვეშმოხრილი სახლისაკენ გამოსწვედა. დიდი ხანია კეცი. აღარ ზურდებოდა მის ბუხარში, რადგან გამოსაცხოზი არაფერი ჰქონდათ და დროებით მაინც რომ გადაევიწყებინათ ბავშვებს პური და შიმშილი, ოჯახის მანა მთის ფერდობებზე კრეფდა მუჲუნასა და სხვა ველურ ბალახებს, რომელნიც კი საკმელად ვარგოდა. მაგრამ ხამიცი ყველაზე დიდ დროს ერთი ნაბდის გაშლა მიწას უთმობდა; ეს ჩემი ყანაო, ამჲყად ამბობდა იგი.

ხამიცი სპირიდან შორს, ძალიან შორს, იდგა ერთი სალი კლდიანი ციკაბო კბოდე. ამ კბოდეს მდინარისკენ ცხერი ჰქონდა გადმოშვარილი; სწორედ ამ ცხერითან, კლდეზე მოჩანდა პატარა ვაკე, დედიშობილა ბავშვივით შიშველი. ხამიცი წაიყვანა თავისი მეუღლე ხუდალონი, შემოგარენში მუჲა-მუჲა მოაგროვა მიწა და ნაკელი, მოზიდა კალათებით ამ ვაკეზე და ასე, საკუთარი მუჲყითობით გაიჩინა ყანა. ამ მიწაზე იგი ყოველ წელს ქერსა თესავდა, ხოლო ქერის ყანის ირგვლივ, ერთ მწკრივად, არ შიასავით, კარტოფილსა რგავდა. იმ ადგილებში კი, სადაც ნათესი რაიმე მიზნის გამო გაქაჩლებას დაიწყებდა, მიწა არ მომიცდესო, შემფოთდებოდა ხამიცი და ცოლს ჰარბალს გამოარგვევინებდა. თუ სადმე მიწის ბელტს ან უქმად დაყრილ ნაკელსა ნახავდა, თითქოს საუნჯე ეპოვნოს, ფრთხილად აიღებდა.

ძღვენივით მიიტანდა თავის ყანაში, გულმოდგინედ დაფშენიდა და სადაც შრე თხლად ეფინა, პეშვით აყრიდა ამ ნაფშვენს. და ყველაფერს ამას იგი ისე აკეთებდა, რომ ჰარი\* ერთ ნამკეცსაც ვერა სტაკებდა. ამ ყანაში ერთი კენჭი ქვაც არსად ეგდო და, მით უმეტეს, სარეველა ბალახს ვინ გააჩერებდა.

დაიწყებოდა თუ არა ქერის დათაველიანება, ხამიცი ყანაში ილაშებდა დღეს და ითენებდა ღამეს. ასე გრძელდებოდა ქირანხელის აღებამდე. ხამიცი ცას ეწეოდა ხოლმე სიხარულით, როცა მთებიდან დაუბერავდა სუსტი ჰარი და მწიფე თავთავებს ააშრილებდა. ეს იყო ყველაზე კარგი სიმღერა, რომელიც კი მას ოდესმე გაეგონა. ამ სიმღერით დამთვრალი დახორბლებული ყანის პირზე ჩამოჯდებოდა, ყველაზე მზიარულ და მწიფე თავთავს დაჰქერდა ხელში, დაჰქერდა ისე ფრთხილად, როგორც ოქროს ზოდს და თავდავიწყებით ეალერსებოდა.

„ეჲ, ჩემო ქერის პურო, ორი დღის სამკალი მაინც იყო!“—ჩაილაპარაკებდა და ისე ღრმად ამოიხვნეშებდა, იფიქრებდით, ამ ამოხვნეშმას სულიც თან ამოაყოლო.

იმ კბოდიდან, რომელზეც ხამიცი ყანა ჰქონდა, მოჩანდა მთათა შიშველი მწვერვალები, შვეიცრული ყინულები და ზეგვებით ღრმად დაღარული ციკაბო ფერდობები. ყველაფერი ეს სხვის თვალს, შეიძლება ლამაზად სჩვენებოდა, მაგრამ ხამიცი კი არა. სცალოდა იმისთვის, რომ ამ სილამაზის ცქერით დამტკბარიყო. მის კუქში შიმშილი სეირნობდა, დაგლეჯილი პერანგიდან შიშველი მხრები ჰქონდა გადმოყრილი. ხოლო დალიბრულ-დაღურჯებულ კისერს ძლივძლივობითა სწევდა მაღლა. რომ მზისათვის შეეხებდა. არა, ამ სილამაზის საყურებლად არ ეცალა არც ხამი-

ცის და არც მის უსუსურ, უპერანგო ბავშვებს.

— ქეშმარიტად ასე მგონია, რომ ყოვლისშემძლე ღმერთმა ბუნების ყველა ეს სიციულე-უხიაკობანი მანამდე შექმნა, სანამ აღამიანს გააჩენდა. დაე, მაპატიოს ყოვლისშემძლემ, თუ რამეს მე თვითონ ვმსახვე უხიაკად. პოდა, როცა ხალხის ვარამი ამ მთებშიეთ გაიზრდება და მამაზეციერამდე მოაღწევს, იგი ყველა ამ მყინვარს, თოვლიან მწვერვალსა და ზეაეებით დაღარულ ციკაბო, ყველა ამ მოთვალ და ხალხისთვის გამოუხადე-გარ აღგილებს ხოდაბუნებად გადააქცევს და მაშინ მეც მერგება ჩემი წილი მიწა. — ასე ფიქრობდა ხაშიცი.

ერთხელ დილით ხაშიცი ბუხრის წინ, მამის ნაქონ საპატიო სკამზე ჩამოჯდა, მოუხმო მეუღლე ხუდალოსნ და უთხრა:

— ეპ, რომ იცოდე, ქალო, რა საოცარი სიზმარი ვნახე წუხელ...

— შენ ისევ სიზმრებით გინდა გამაბრუო? — გააწყვეტირა ხუდალოსნმა, — ეგებ გგონია, რომ კარგი სიზმრები დააპურებს ოჯახს?

— დამაცა, ქალო, მომისმინე... ვნახე თითქოს ველთა მხრიდან ქექა-ქუხილით გვესტუმრნენ მაცვლისფერო ღრუბლები. და უცებ იმ მთის მწვერვალს, რომელიც ჩვესსა და იმ ველებს შუაა ჩამდგარ, მოედო ხანძარი და ჩაინავლა. შემდეგ კი ჩვენი ყანებიდან იმ ველებამდე მთლიანად გადაიშალა ხოდაბუნები. და ჩვენი სახნაეი მრწყაც იმაში შეერია... რალაც სიხარული გველოდება.

— სანამ შენი სიზმარი ახდება, ჩვემს შეილებს შიმშილოთ სული გაძერება. სჯობს იმაზე იფიქრო, ახლა პური სად ვიშოვოთ. — გაწყრა ხუდალოსნი.

ხუდალოსნი ცხოვრებას ყოველგვარი ოცნების გარეშე უცქეროდა, ფხიზელი თვალთ. ამიტომ აინუნშიაც არ აგდებდა, როცა ხაშიცი თავის სიზმრებს უყვებოდა, ანდა მომავლის იმედებს ღმერთის შემწეობაზე ამყარებდა.

ხაშიცი არასოდეს არ ივიწყებდა მღვდლის ნაქადაგებს. ოცნებობდა სამოთხეზე და ყოველგვარ ამქვეყნიურ გა-

საკირს მოთმინებით იტანდა. თითქმის მთელი ოსეთი მოჯამაგირებით ჰქონდა დავლილი, რათა პური ლუქმა-ლუქმა მოეგრეებინა შერლებსთვის.

სიზმარმა ვერ უშველა ოჯახს. პირიქით, სიზმრის შემდეგ საქმე ისე შებრუნდა, რომ ხაშიცისა და ხუდალოსნ ერთად დაატყდათ თავზე ათასი უბედურება.

თითქოს სიზმარი გამეორდა, ველებიდან ღრუბლები მართლაც მოვიდნენ. ქექა-ქუხილმა შესძრა ცა და მიწა, მუქის სიმსხო სეტყვა ჩამოყარა და დახორბლილი ყანა დარეჯგვა. კოკისპირულმა წვიმამ ნიაღვრები გაამრავლა და ამ ნიაღვრებმა ისე გადაარეცხა ხაშიცის მიერ მუქა-მუქა ნაგროვები მიწა, ყანის ნაცვლად კვლავ შრშველი კბოდე დარჩა. მერმე აულში მოქენდა ბოქაული და მანამდე გაუგონარი, რალაც ახალი გადასახადის ანგარიშში წააბლავლა ხაშიცის ერთადერთი ძროხა. იმავე დღეებში ხაშიცის მშვიერი სახედარი საბალახოდ შორს გარტყუა ბილიცმა, მოამორა აულს და თითქოს მიწა ჩაუწყდაო, დაიკარგა სახედარი. ხაშიცი შემოილივით დარბოდა და ეძებდა პირუტყვს. და აი, ერთხელ ბუჩქის ძირში მან დაინახა მკვდარი მგელი. მგელს ღრანკები დაფჩენილი ჰქონდა და ხაშიციმ მასში დაინახა ის ერთადერთი რამ, რაც დარჩენილიყო მისი ერთგული პირუტყვისაგან. მგლის მყრალი ყელიდან ამოაძრო სახედრის ნალიანი ფლოქვი.

— ასე მოგიხდება, წყეულო! ნალიანი ფლოქვი კი არა, ჩემი შეილების ცოდვა გაჩხერია ყელში! — ამოიგმინა ხაშიცი. — აი, ბოქაულსაც რომ ასევე გაჩხეროდა საყლაპეში ჩემი ერთადერთი ძროხის ბეჭი, აი, ისიც ასევე რომ მენახა სადმე დაგდებული, მკვდარი და ღრანკებდაფჩენილი, ღმერთმანი, მაშინ ძროხისა და სახედრის დაკარგვას ერთნაირად შევეუროგდებოდი.

თავიანთ სახედარს, ძროხასა და ღვარისგან გატაცებულ ქერს დიდხანს დასტიროდნენ ხაშიცი და ხუდალოსნი. შეხედავდა თუ არა შეილებს, ხუდალოსნი ცრემლებს ველარ იკავებდა, ხოლო

ხამიცი ველარ უძლებდა ამ საცქერალს. მან ძალა მოიკრიბა და სცადა დაემშვიდებინა ცოლი:

— ნუ ტირი, ქალო! ცრემლებში ვარამს ვერ ჩაახრჩობ. ყველაფერი ღვთის ნებაა. ჯანი ჯერ ისევ მაგარი მაქვს, წავალ საშოვარზე და მოვიტან პურს.

ხამიციმ ჯოხი იღლიაში ამოიჩარა და გაუღვა გზას, რათა სადმე მდიდრებთან სამუშაო ეშოვნა. თავისი შესაფერისი სამუშაო აქა-იქ კიდეც გამოიხატა, მაგრამ სიღარიბე მიანიც არ ეშვებოდა მის ოჯახს, პირიქით, თანდათან უფრო უქირდა ეკლიან ხელებს. ამასობაში ისეც მოვიდა ბეგარის გადახდის დრო, ხოლო ხამიციც კვლავ არ გააჩნდა არც ერთი გროში. ვინც ვერ შეძლო გადასახადის გასტუმრება, სოფლის მამასახლისმა ყველა დაიბარა, კანცელარიაში გამოცხადდითო. დაუძახეს ხამიცისაც.

კანცელარიაში ხალხს თვითონ ბოქაული ელოდებოდა. მას ნიკაიი ხმლის ვადაზე დაებჯინა და ძირს იცქირებოდა. ხანგამოშვებით ძლიერ ახველებდა და ერთი სტვენა-ხრილოთ ფურთხის ტბას აყენებდა იატაკზე. იგი თავსაც კი არა წევდა მალა, რომ გაეგო, ვინ შედიოდა მასთან. ბოქაულის გვერდში იჯდა სოფლის მამასახლისი და როცა ვინმე შემოცახცახდებოდა, იგი ჩურჩულოთ ეუბნებოდა ბოქაულს, ამაზე ამდენი და ამდენი გადასახადია დარჩენილიო.

კედლის ორივე მხარეს ჩაფრები იდგნენ.

გლეხები შემოსასვლელთან ირეოდნენ. სათითაოდ იძახებდნენ მოსულეებს. ვინც თავის სახელს გარგონებდა, ქუღს მოიხდიდა, პირჯვარს გადაიწერდა და აცახცახებული გადადიოდა ზღურბლზე.

ყვირილი აზანზარებდა კანცელარიას:

— ფული დადე მაგიდაზე, ფული! თითქოს პირი ჰქონდათ შეკრული, ყველა გლეხი გაქირვებით ეძებდა სიტყვას და ერთსა და იმავეს კი ამბობდა:

— ვადა გამიგრძელეთ, ფული არა მაქვს, — და ოსტრად უმატებდა: — ღმერთმანი, არა... არა მაქვს... თორემ...

მოვიდა ხამიციც რიგი. კანცელარიაში შესვლისთანავე მან დაინახა ბოქაულს უღვაშები, რომლებიც ხმლის ეკლის ორივე მხარეზე ბოროტად იყო ჩამოშვებული, და ამით შეშინებულს უნდოდა უკან დაეხია, მაგრამ ერთმა ჩაფრთაგანმა ისე ჰკრა ხელი, ხამიცი პირდაპირ ბოქაულის ფეხებთან დავარდა. დავარდნისას შემთხვევით მხარი გაჰკრა ხმლის და ბოქაულს ხელიდან გააგდებინა.

ბოქაული შეიშინა, ხოლო შეშინებული მამასახლისი ადგილზევე შეტბა.

— შე არა ვარ დამნაშავე! — რაღაც საშინელს მოლოდინმა თავისთავად დააყვირა ხამიცი.

ჩაფარმა საყელოში ჩაავლო ხელი და წამოაჩოქა. ხამიციმ ერთი კი შეხედა ბოქაულის თვალებს და თავი იატაკამდე დახარა.

— დადე ფული! — დაიბღვლა ბოქაულმა.

ხამიციც თავი ისევ დაიხარა იატაკამდე. უქირდა ხმის ამოღება, თითქოს ენაზე ეკოდა მთებამდე ქვეული შიში. ბოლახ იპოვა სიტყვა და ბორძიკით დაიწყო:

— არა მაქვს ფული. ვირი მგელმა შემეკამა, ძროხა შენ წაიყვანე, ქერი დაკთესე და თავის მიწიანად მომტაცა ნიღვარმა...

— მე ზღაპრების მოსამენად არა მცალია! — აენთო ბოქაული. — დახეთ, როგორ იცრემლება, საწყალი. მე შენი ვირისა არაფერი ვიცი, ჯორო, დადე ფული!

— ბატონო ბოქაულო, — ისევ ხმის ცახცახით განაგრძო ხამიციმ, — მეც აღამაინი ვარ, ნუ მიყვირით ასე...

ამ სიტყვებმა უცებ გააცოფა ბოქაული და დაუნდობელი ხელით ხამიციც თვალთაგან ნაპერწკლები გადმოაყრევინა.

— როზგები მაგას, როზგები! — აჯიჯღანდა ბოქაული.

ხამიციც ორი ჩაფარი მიფარდა, თავსა და ქალამნებში ჩაავლეს ხელები და უმაღლე კარებში გაათრიეს. შემოახიუს გაცვეთილი ჩოხა, შინნაქსოვი ხალათი და მწაზე წამოაწვინეს. ერთი თავზე

დააჯდა, მეორე — ფეხებზე, ხოლო მესამე — შოლტი დაუშინა, თითქოსდა, ეს კაცი კი არა, ხარის ტყავიო.

— ჰე, ჰეი! ხამიცისა კლავენ! — იყვარა ვილაც მისმა თანასოფელმა.

კანცელარიას მესერი ერთყა გარშემო, ამ მესერიდან სარი გამოაძრო და ეცა ჩაფრებს.

უმაღვე დაიტაცეს გლეხებმა მესერი. ჩხუბში ჩაება ყველა ჩაფარი. მაგრამ სარებით შეიარაღებულმა მთიელებმა შეუბრალებლად დასცხეს მათ და ჩაფრები შეშინებული თავგებივით გაიფანტნენ. ბოქაულმა ეს რომ დალანდა, კანცელარიის უკანა ფანჯრიდან გადახტა, ამოხვდა თავის ცხენზე და უკანმოუხედავად მოკურცხლა.

როდესაც ხამიცი გონს მოვიდა და თვალი გამოახილა, მან დაინახა თავისი სახლის გაქვარტლული კედლები და გარს შემოხვეული ბავშვები.

— სადა ვარ, რა უბედურებია ჩემს თავზე? — ძლივს ამოღერდა მან.

— ხამიცი, ახლა ნუ გეშინია! — მოკსმა მწოლარეს ვილაცის ხმა. — შენ ქოხში ხარ და არავითარი საფრთხე არ გელის. შენი მწვალებლები ისე დაფრთხნენ, ძლივს გადაგვიჩნენ ცოცხლება. ო, რო იცოდე, როგორ მოკურცხლეს...

— წყალი... — აღმოხდა ხამიცის.

— წყალი კი არა, თქვენ, მამაკაცები, საწამლავის ღირსი ხართ, ასე რამ დაგაქლანუნათ, რომ იმ ბინძურ ნეხვის კიეებს თავს აბრეყებინებთ. სირცხვილი, სირცხვილი თქვენი! — ხმას აუწია ხუდალონმა.

მეტი ჯავრისაგან გაფთვრებულმა ფინჯანი ძლივს აავსო წყლით. და ხამიცის მიუტანა გაფიცებულ ბავშვებთან.

— ჩემო ხუდალონ, შენი ჭირი კი შემეყაროს, ასე არ იქნება, როგორც შენ ამბობ. ის ხალხი მეფემ გამოგვიგზავნა, მეფე კი უბრალო ვინმე ხომ არაა, ღმერთია დედამიწაზე. — დამნაშავესავით ჩაილაპარაკა ერთმა მეზობელმა.

— ნეტავი რას მოგროვილხართ ამ სახეჩამომეწყრილები! წადით, არ დამენახოთ! — დაუტატანა მას ხუდალონმა,

ცრემლიანი თვალებით გადახედა ჩამოძონძილ ბავშვებს და ამოიოხრა: ეს რა ხალხში ჩავვარდი. აი, წავტყავ ამ საწყლებს მდინარისკენ, კატებივით ჩავახრჩობ შიგ და მეც ჩამოვიხრჩობ თავს.

ხამიციმ ლოგინიდან წამოიწია და ცოლს დამშვიდება დაუწყო. მაგრამ ხუდალონი ისევე მძვინვარებდა.

ამ დროს გაიღო კარი.

— ხამიცი, გადარჩი სიკვდილს? — გაისმა ბებრის ხმა.

ამ ხმის გაგონებაზე ყველა გაჩუმდა. ქოხში შემოვიდა მოხუცი, რომელსაც ტარმოღუნული ჯოხი ეჭირა.

ხუდალონი შეცბა, თავსაფარი ისე ჩამოუშვა, რომ მისი სახე არ დაენახა იმ მოხუცს და ქოხის ყველაზე ბნელ კუჩქულში მიიშალა.

მოხუცი ხამიცის თავსასთუმალთან ჩამოჯდა.

მეზობლები შემოეჯარნენ მოხუცს, პატივისცემით მიაჩერდნენ და დადუმებულნი ელოდნენ, როდის დაიწყებდა იგი ლაპარაკს.

— ნეკნები ხომ არ დაგიეცეს? წელი ხომ არა გტკივა? — ჰკითხა მოხუცმა.

— ეჰ, დოლატ, ნეკნები რაღა საკითხავია! — ხელი ჩაიქნია ხამიციმ. — უარეს დღესაც გვაყრიან ის წყეულები, მაგრამ ვითმენთ, რას რხამ...

დოლატს შეეტყო, რომ ხამიცის ნათქვამი არ მოეწონა. გულჯავრიანად შეუტია ავადმყოფს:

— შერედა, ასეთი სისაძაღლე რადემდე უნდა ვითმინოთ? ქვასაც რომ ურტყა მოთმინება არ ეყოფა და ნაპერწყლების სროლას დაიწყებს, ჩვენ კი კაცები ვართ, ქვები ხომ არა.

— აბა, რა ვიღონოთ, დოლატ? — შეეკითხა ხამიცი. — შენა ხარ ჩვენი მახუში და თუ რაიმეს ცუდად ვაკეთებთ, გვასწავლე, უკეთ როგორ მოვიქცეთ.

ქოხში მცირე ხნით ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, როგორც იტყვიან, თითქოს ანგელოსებმა ჩამოიარესო.

— ჩვენ, ლატაკ მთიელებს, ზენამ გამოგვიგზავნა ფანდურის ოქროს ლარებ-

ზე დამკვირვებელი მომღერალი. — უპასუხა მოხეტემა მცირე ღუმლის შემდეგ. — უნდა მოვენახოთ იგი და მოვიხმოთ ჩვენთან. დაე, დაინახოს მან, რომ ასე, როგორც ახლა ვცხოვრობთ, შეუძლებელია სიცოცხლე და გვრწველოს რამე.

გამომგობინდა თუ არა ხამიცი, შეუდგა სამგზავრო მზადებას. ხუდალონსაც ძალიან უნდოდა, რომ მის ქმარს ენახა მთიელთა დასახმარებლად ციდან გამოგზავნილი მომღერალი. მას საქებატურას ზემოთ საგანგებოდ ჰქონდა გადაამალულ ერთი მუქა ფეკილი. ამ ფეკილით სასაგზაო ლავაში გამოუცხო ქმარს და გაისტუმრა. სოფელში არავეინ არ იცოდა თუ რა განიზარა ხამიციმ. მხოლოდ ხუდალონმა გააცოცხლა, გზა დაულოცა და პატარა ლავაშთან ერთად უსაგზა დაიდა სურვილი: მალე გენახოს ის მომღერალიო.

ხამიციმ ზუსტად არ იცოდა, სად ცხოვრობდა მომღერალი. იცოდა მხოლოდ ერთი: რგი ცხოვრობდა ქალაქში, იყო ლევანის შვილი და ერქვა კოსტა. ისიც გაეგონა, რომ თუ გინდა ქალაქში ჩასვლა, მდინარის ნაპირებს უნდა ჩაუყურო.

ხამიცი გაუყვა მთიდან ვიწრო ხეობისაკენ მრავალ დაკლავნილ ბილიცს: მისი მშფოთვარე ფეკრები უფრო სწრაფად გარბოდნენ წინ, ვიდრე მდინარის გაქნებული ზვირთები. ხან ერეკნებოდა, რომ მომწყდარი ქვა ეცემოდა ზურგზე, ხანაც — თითქოს მთელი ის ქიუხი ინგრეოდა, რომლის ქვეშაც თვითონ მიაბიჯებდა. ერთგან დაისვენა, წამით ჩასთვლიმა და მოელანდა, თითქოს ქვეაქუხილით მოვარდა გრიგალი, ტყვიებივით დაუშინა მიწას სეტყვა და მთელი მისი შრამელი და აელადიდება ოჯახთან ერთად უფსკრულში გააქანა. დამფრთხალმა უცებ გამოახილა თვალი და ეს ყველაფერი სიზმარი რომ აღმოჩნდა, შევებით ამოხსენთქა. გულდამწვრდებულმა ისევ მილულა თვალი, მაგრამ ახლაც არ მოასვენა საშინელმა სიზმარმა. აი, თითქოს გაქაფული ცხენებით მოსდევნენ შეიარაღებული ჩაფრები. «ეჰ,

შე მოჯანყე, ჩვენს საჩიველად ჩიდიხარ, არა!» — უყვირა ისინი, ტანსაცმელს აძრობენ და კბოღზე აგდებენ. წივის მათრახი და ხამიცი ტანშიდან შადრეანივით იღვრება სისხლი.

სიზმრით დაღლილი და აფორიაქებული წამოდგა ხამიცი, განაგრძო გზა, მაგრამ მალე მოეკვება მუხლები. ძლივსლა მიათრევედა ფეხებს.

ეგებ გზაშივე დაცემულიყოს, მაგრამ ამ დროს დაღანდა მის წინ, გზის ნაპირზე, კლდის ქვეშიდან მზიარულად მოჩუხჩუხე წყარო, მივიდა, ცივი შეხვეებით გაიგრძა სახე და რაღაც ახალი ძალა იგრძნო, თითქოს ზურგიდან ვიღაცამ ვეებერთელა ტვირთი მოხსნა.

მცირე შესვენების შემდეგ აბგიდან ქერის პური ამოიღო, მოიხადა ქეჩის ქუდი, წყაროს წყლით აავსო რგი, გადაიწერა პირჯვარი და წყალში ამოვლებული ლუქმა პირში ჩაიღო.

წყაროსთან ორი ყმაწვილი მოვიდა. შეხედეს ხამიცი, რომელიც წყალში ამოვლებულ ქერის პურსა ლოლნიდა, სალამი მისცეს და მაშინვე წყაროს მივარდნენ პეშემომარჯვებულეობი.

ყმაწვილებმა წყურველი მოიკლეს და წასვლას აპირებდნენ, მაგრამ ხამიცი ხმამ შეაჩერა ისინი:

— ასე სად მიგეჩქარებთ, ბიჭებო? შეგესვენათ ცოტა.

ყმაწვილებმა გადმოხედეს მას, გაიღიმეს და ჩამოხსდნენ.

— ბიძა, საით გაგიწევია? — ჰკითხა ერთმა.

— საით გამიწევია და... ერთი ეს მითხარი, ვინ გამოთქვა ნაღვლიანი სიმღერა „დოდოი“, აი ის, მეორენიარად „ტირილი მშობლიურ მთათა გამო“ რომ ჰქვია?

— როგორ, გვცდი თუ? — პასუხად გადაიხარხარეს ყმაწვილებმა. — „დოდოის“ მსგავს სიმღერებს სკოლაში არ ასწავლიან. კარგი კი იქნებოდა...

— არც ის იცით, ამ ლექსის შემთხვეული სად ცხოვრობს?

— ლევან ხეთაგუროვის შვილ კოსტაზე გვეკითხები?

— ჰო, ჰო, თქვენი ჭირიმი, კოსტას შესახებ გეკითხებით.

ხაშიცი ლალად წამოხტა, ყმაწვილებს მიუახლოვდა, ქერის პური გაუწოდა და მიიპატიჟა; ბოდრობდა, ამ მცირე უღუფაზე დამეწვიეთო.

— მამასადამი, თქვენ შეგიძლიათ მამასწავლოთ, რომელი გზით წავიდე მასთან, სადაა მისი სახლი? ჰა, მოტეხე ე, მოტეხეთ, ჩემო კარგებო, გეტყობათ, ბევრი გივლიათ, მოგწვივდებოდათ.

ერთმა ყმაწვილმა ლექმა ჩამოატება ქერის პურს, მაღლობა გადაუხადა მას-ბინძელს და შეკითხვა დაუბრუნა:

— მგზავრო, რისთვის დაქებ კოსტას?

მეორეს ეტყობოდა, ეჩქარებოდა წასვლა, ამხანაგს გულმოსვლით შეუტია:

— ისე ეკრთები ყველაფერს, თითქოს ბაბუამისი იყო. რა შენი საქმეა, რატომ დაქებ. — და ხაშიცის მიუბრუნდა: — აი, ამ გზას გაჰყევი პირდაპირ, ნურსად გადაუხევევ. მთებს როცა გასცდები, იქ ჰკითხე ვინმეს, ქალაქის გზა რომელია-თქო და ყველა მგასწავლოს. კოსტა ქალაქში ცხოვრობს.

— ეს მეც ვიცი, რომ ქალაქში ცხოვრობს, მაგრამ ამბობენ, ქალაქი დიდიაო...

— მეტი, აბა, არც მე ვიცი. — მხრები აიჩეჩა იმ ყმაწვილმა და წამოდგა.

— ასე მაქვს გაგონილი, სადღაც განივ ქუჩაზეა კოსტას სახლიო. — უთხრა პირველმა.

ხაშიციმ ვერაფერი გაიგო მათგან იმას გარდა, რომ კოსტა სადღაც განივ ქუჩაზე ცხოვრობდა, მაგრამ მაინც მაღლობა გადაუხადა ყმაწვილებს, დიდხანს სიცოცხლე და მშვიდობის გზა უსურვა. მერე ქუდიდან წყალი გადაღვარა, შინათელი ქუჩა მაგრა გაწურა, დაბერტყა, გასწორა, დაიხურა, იქვე დაგდებული ჯოხი აიღო და დაიძვებულმა მხიარულად განაგრძო გზა.

შორი და ძნელი გზა მოელოდა მას, მაგრამ საწყალი ხაშიცი ისე მიდიოდა, რომ დაგენახათ, იფიქრებდით, ფეხს მიწაზე არ აკარებს, მიფრინავსო.

აი, მივა იგი ქალაქში, ნახავს იმ განივ ქუჩას, იქ კი კოსტას სახლს, თვითონ კოსტასაც, ხელს ჩამოართმევს მაგრაო, გააცნობს თავის თავს და შემდეგ ყველაფერს უამბობს, თუ როგორ უსაშველო ჯაფით და გაჭირვებით ცხოვრობს თვითონ და საერთოდ ყველა მისი მეზობელი.

გასწორივი და განივი ქუჩა იმდენი იყო ქალაქში, ხაშიცის თავგზა დაებნა. რომელ ქუჩაზე ცხოვრობს კოსტა, მოდი და გაიგე ახლა შენ...

ხაშიცი ეკითხებოდა გამეღელ-გამომვლელებს, მაგრამ საქმეს თავი მაინც ვერ მოაბა. კოსტას სახელი თითქმის ყველასა ჰქონდა გაგონილი, ხოლო თუ სადა ცხოვრობდა, ეს მხოლოდ ერთეულებმა იცოდნენ. ორიოდე კაცმა ხაშიცის კრდეც მიასწავლა, ასე და ასე წადიო, მაგრამ რამდენიმე ქუჩას რომ გასცდა, გზა კვლავ დაებნა. ერთხელ იარა, იარა და ისევ იქ მივიდა, საიდანაც წავიდა.

ამასობაში მზე მთების იქით ჩაესვენა და დედამიწაზე ღამის ნაბადი გაიშალა.

ხაშიციმ გადაწყვიტა, ჩემს აულში დაგბრუნდებიო, მაგრამ ახლა ის დაავიწყდა, თუ რომელი მხრიდან შემოვიდა ქალაქში.

დაეხეტებოდა იგი ქუჩებში. რამდენიმე კაცს კრდე შეეკითხა, ესა და ეს გზა მასწავლეთო, მაგრამ ზოგმა თავისი გაქნეით უპასუხა, არ ვიციო, ზოგმა მხოლოდ გაიცინა, ზოგმა კი ისე ჩაუარა, აინუნუნაო არ ჩააგდო მისი შეკითხვა.

სახლებში სინათლეები აანთეს და განათდა ქალაქი, მაგრამ მალე ისევ დაბნელდა, რადგან თითქმის ყველა ფანჯარის დარბაზი სინათლის ანთებისთანავე დასურეს. ქუჩებში სიბნელე გამეფდა. მხოლოდ ერთ ქუჩაზე ლოკლიკობდნენ ფარნები. ეს იყო აღმათ ქალაქის მთავარი ქუჩა. ხაშიციმ გაეკვირვებულ თვალებით გახედა ამ ქუჩას.

„ჩვენ ნათი იმისთვისაც არა გვაქვს, კრაქით სავახშმოოდ გაშლილი სუფრა რომ გაეინათოთ, აქ კი სინათლეს ქუჩაში ანთებენო“. — იფიქრა მან.

ხამიცი მარტო დარჩა ქუჩაში. ბოლუა ქანკილიულმა დაინახა ერთი ბნელი, კედელამონგრეული სახლი და შიგ შეიშალა. ეტყობოდა, იქ არაფერ არა ცხოვრობდა. ხამიციმ ამოარჩია მყუდრო კუნძული და მიწვა სოხანეზე. მიწვა და მკვდარივით ჩაეძინა. შეუმჩნევლად გაიარა ღამემ.

მძინარე კაცი საყვირის უჩვეულო ხმამ გამოაღვიძა. შეშინებული წამოვიარდა, რადგან უკვე გათენებულყო, მტკრიანი ტანსაცმელი დაიბერტყა და ქუჩაში გამოვიდა. დილის საღამა პაერმა ისე გაამხნევა, ერთი ტბილად კიდეც ჩაილინა. ქეჩის რუხი ქედის ფართო ფარფლი, ცვირამდე ჩამოფენილი, მაღლა გადაკეცა და უღრუბლო, მუქ-ლურჯ ცას ახედა. აქა-იქ კიდეც ჰაიტობდნენ ვარსკვლავთა გაფითრებული ნაპერწკლები. ლილისფერი, მაღლა, ძალიან მაღლა წასული მთები ცის ლურჯ ფერში ინთქებოდნენ და იკარგებოდნენ.

შეხედა ამ მთებს ხამიციმ და იმედმოცემული უფრო გამაგრდა.

— არა, არა, შერცხვენილი არ დავბრუნდები მე აქედან. — თავისი ფიქრი თავისდაუნებურად ხმამალა ამოთქვა მან და კვლავ დაიწყო ხეტიალი ქალაქის განივ ქუჩებში. თითქმის ყველა ქიშკარზე აკაკუნებდა, თითქმის ყველა მგზავრს ეკითხებოდა.

დილა უფრო იმედიანი გამოდგა. მართალია, კიდეც დასჭირდა საქამო ბორიკალი, მაგრამ ამ სიარულს უქმად არ ჩაუვლია. მზე უკვე ცის შუაგულს მიესტუმრა, ახლოვდებოდა გლეხის სადილობის დრო, როცა იგი შეხვდა ერთ ოსს.

— კოსტას როგორ არ ვიცნობ, — უთხრა მან ხამიცი, — აი, აგერ, თერგის გაღმა ცხოვრობს, ტაძრის გვერდით. ქუჩის სახელი აღარ მახსოვს, მაგრამ რად გინდა ქუჩის სახელი. გადადი ხიდზე, დიდი ტაძრისკენ აიღე გეზი და კოსტას სახლს იქვე გიჩვენებენ.

ხამიცი ცას ეწია სიხარულით. გადაიარა ხიდი, თერგის მარჯვენა მხარეზე გავიდა და იქ კი დიდხანს აღარ დასჭირ-

ვებია ხეტიალი, არც გამველეთა შეწყობება შეკითხვებით, ერთ კაცს შეეცოდა იგი და თვითონ მიჰყვა იმ კოსტას. ლიან სახლამდე, სადაც კოსტა ცხოვრობდა. ხამიცი ერთხანს შეყოვნდა კართან, მერე გული მიეცა და ფრთხილად დააკაკუნა.

„ეჰ, ნეტავი შინ დამხვდებოდეს! — ინატრა მან. — ენახავ ჩემი თვალით ენახავ ჩაგრულთა ქომავსა და მოამავს. ენახავ და, უჰ, როგორ მოვუყუებები მერე, რა საცოდავადა ეცხოვრობთ მთიელები“.

ჩაფიქრებული ხამიცი კარის კრიალმა გამოაფხიზლა. და მან დაინახა მორჩილი ტანის კაცი. ამ კაცს ოსური შავი ქუდი ეხურა, ხოლო ტანზე ნაირფერი საღებავებით დასვრილი ხალათი ეცვა. მის სასიამოვნო შესახედავ მოგარძო სახეს ღამაზი და შავი უღვაშები ამშვენებდა.

— ღმერთიმც შეგეწევთ, კეთილო კაცო, ბოდიში, მუშაობის დროს რომ გაწუხებთ, — დამნაშავესავით შემკრთალი ხმით მიმართა ხამიციმ მას, — მაგრამ ყველაფერში გეტყობათ, რომ თქვენც ისეთივე მშრომელი ბრძანდებით, როგორც მე ვარ და ამიტომ, გემუდარებით, დამეხმარეთ.

— სიამოვნებით, ძმაო. აი, მობრძანდით ჩვენთან სახლში. მოხარული ვიქნებით თქვენი სტუმრობის.

— გმადლობთ, კეთილო კაცო! ღმერთმა გიბედნიეროთ სიცოცხლე. შემოვალ, მაგრამ დიდი ხნით კი ვერა: მალე უნდა გაგბრუნდე აულში. — მორცხვად უხსნიდა ხამიცი. — მე, იცით... ქალაქში იმიტომ ჩამოვედი, რომ ენახო ლევან ხეთაგუროვის შვილი, კოსტა. აი, ის, ლექსი „ღოდოი“ რომ შეთხზა. ერთმა კაცმა მომასწავლა, კოსტა ამ სახლში ცხოვრობსო და...

— ნუ გეშინია, კოსტა არნად გაგვექცევა. ჯერჯერობით კი, აი, შემობრძანდით ჩვენთან, წაიხმსეთ, დაისვენეთ... გეტყობათ, რომ დაღლილი ხართ. შემობრძანდით, ნუ გრცხვენიათ.

ხამიცი კიდეც გაუკვირდა და კიდეც გაეხარდა: „ეს მშრომელი ოსი თუმცა ქალაქად ცხოვრობს, ოსური ადათები-

სათვის არ „ულალატიო“. შეპყვა მასპინძელს.

— ასე რამ შეგაწუხა, ძვირფასო სტუმარო? — სახლში შესვლისთანავე ჰკითხა დამხედურმა.

— გაქირებდა დიდი მადგია, ძვირფასო ადამიანო, — დაიწყო ხამიციმ, — სწორედ ამის გამო გადმოვლახე ზეადი მთები და ორი დღეა აქ კოსტას დავეძებ.

— დაბრძანდი, ძვირფასო სტუმარო, კოსტას ჯავრი ნუ გაქვს, არ დაგვეყარგება.

მასპინძელი გავიდა, ხამიციმ თვალი მიმოავლო ირგვლივ, დაინახა კედელზე დაკიდებული ნახატები და სულ დაევიწყდა, რომ უნდა დამჯდარიყო.

ხამიციის მოეწონა ეს ნახატები, რომელსაც კი მიაჩერდებოდა, სულ უნდოდა ეცქირა, ველარ ახერხებდა მზერა მეორე ნახატზე გადაეტანა.

აი, მთიელ ქალს ხის სათლით წყალი მოაქვს. ეს სათლი ვიწრო და გრძელ გეჯასა ჰგავს. ეტყობა, მიძიმეა სათლი. ქალის სუსტი და გამზდარი ბეჭი ჩაბუცლევია. ამ ვიწრო და გრძელ გეჯას თოკი აქვს შემორტყმული. ცალ ხელში ამ ქალს სწორედ ეს თოკი აქვს ჩაბუცული, მეორე ხელი კი უპერანგო, ფერმკრთალი ბავშვისთვის ჩაუვლია და მოაბორძივებს.

ამ სურათმა ხამიციის თავისი შეუღლე ხუდალონი მოაგონა. და განა მართო ხუდალონი? მთელი ტანჯვა-წამება, რომელსაც იგი იტანს თავის სიცოცხლეში.

ამ ნახატის გვერდზე სხვა სურათია: ორი მიღებული და ფერმკრთალი ბიჭუნა, აი, ისეთები, როგორც ხამიციის შვილები არიან, გზაზე ქვებსა რანდავენ, თლიან. ფეხები ძონძებით აქვთ შეხვეული.

— ეჰ, ჩვენო ბავშვებო, ჩვენო ახალკავრდობავ, რა ცუდ დროს დაიბადეთ, რა ჯოჯოხეთში იზრდებით! — ამოიკენესა ხამიციმ და ცრემლებით ამოვსებულ თვალები მკვიდრებით ამოიშრალა.

ამ დროს უკან დაბრუნდა მასპინძელი და ხამიცი მას მიუბრუნდა:

— ეს ყველაფერი თქვენ თვითონ დახატეთ?

— დიახ. — მშვიდად ტატმა.

— რა ნაოსტატარია, იფ! — განაგრძო აღტაცებულმა ხამიციმ. — ასე მგონია, სურათები კი არა, ცოცხალი ადამიანები შემომცქერიან და ეს ესაა ბაასს გამომართავენ.

იატაქზე და ოთახის კუთხეებში ელაგა ისეთი სურათები, რომლებზეც წმინდანები იყო გამოხატული, მაგრამ ხამიცი, ღმერთის დიდი მორწმუნე კაცი, ახლა რატომღაც სრულებით არ აქცევდა მათ ყურადღებას. მან მზერა ვერ მოსწყვიტა იმ სურათებს, რომლებშიც მისივე მსგავსი ღატაკი ხალხი იყო გამოხატული.

— ძვირფასო სტუმარო, ერთი ახლა ეს მითხარი, ასე შეუბოვრად რომ ეძებ კოსტას, რა საქმე გაქვს ასეთი? — ჰკითხა მასპინძელმა.

— მინდა ვუთხრა ჩვენი გასაჭირი. ტანჯვა-წამებით ამოგდის სული. კისერზე მიძიმე უღელი დაგვადგეს და გვერეკებიან ისე, თითქოს ხარები ვიყოთ. გვიცვა და სახრით გვახურებენ, გვწია და მათრახებით გვიმასპინძლებიან. რაღა სიტყვა გაეაგრძელო, ყველაფერი ისეა, აი, „დოდოის“ ლექსში რომ ამბობს კოსტა. ამიტომ გადავწყვიტეთ ენახოთ იგი და ჩვენი გასაჭირი ვუთხრაო, რათა...

კარებზე დააკაუნეს და ოსტატი იქითკენ წავიდა.

— კოსტას სიცოცხლე! — ჩაიქირქილა ვილაცამ.

შემოვიდა თმაგადოფრილი მღვდელი, რომელსაც შავი ანატორა კოჭებამდე სწვდებოდა. გამობერილ მუცელზე ესვენა ვერცხლის ძეწკვზე დაკიდებული ჯვარი. ხამიცი გახედა და პირდაღებულ მიასტერდა მასპინძელს.

— ძვირფასო კოსტა, მზადაა ჩემი დაკვეთა? — ჩაიღუღუნა მღვდელმა. — აი, მცირე გასამრჯელოც მოგიტანე უკვე. კოსტა! ეს სახელი გაიგონა თუ არა,



ხამციმ იგრძნო, რომ გულმა სიხარულსაგან ცემას მოუმატა.

შემოსვლისთანავე, მასპინძლის დაეინებით ხამციმ თავისი გაცვეთილი ჩოხა გაიძრო და სკამზე დადო. ახლა მას რატომღაც შერცხვა, მე უნამუსომ, კოსტასთან პირისპირ მდგარმა, როგორ გავბედე ჩოხის გახდაო. უკებ დაავლო ხელი და ჩაცმას აპირებდა, მაგრამ არ აცალა მასპინძელმა, ხელი მოკიდა უაშუაბელ ოთახში გაიყვანა. ამ ოთახს ეტყობოდა, რომ კოსტასთვის ის იყო საწოლიცა და სასადილოც.

— მაპატიე, ძვირფასო სტუმარო. აი, იმ გრძელწვერას გავისტუმრებ და მალე მოვალ. მერმე კი გუნებინანდ ვილაპარაკოთ, რამდენიც მოგეხებასიათება.

ხამციმ დიდხანს იდგა გაბეჭვებული ოთახის შუაგულში, ხოლო როცა კოსტა შემობრუნდა, თავი ველარ შეიკავა: მივარდა და გადაეხვია.

სულ გაბეჭვდა სიხარულისაგან: ასე მშვიერი ჩვილი თუ მივარდება დიდი ხნის უნახვ დედას.

ღელავდა, ძალიან ღელავდა და აღარ იცოდა, რა ექნა.

— კოსტა, ჩვენო კოსტა, დაგვეხმარე, გვიშველე საწყალ ხალხს... — მხოლოდ ამის თქმა მოახერხა.

კოსტამ დასვა იგი, მისი ხელი ხელში აიღო აღერსიანად და დიდხანს ესაუბრა. ხამციმ ხარბად უსმენდა კოსტას. მისი გულითადი ხმა სულში უძვრებოდა.

ბოლოს ასე დაამთავრა სტუმარი:

— ჩემო ძმაო და მეგობარო ხამციმ, ვისთვის მინდა ჩემი სიცოცხლე, თუ არა ჩემი ხალხისთვის. ვეცდები როგორმე დაგეხმაროთ.

ამ სიტყვებმა გაამხნევა ხამციმ. გულსა და ძარღვებში სითბო ჩაელვარა.

„კოსტამ მე მიწოდა ძმა და მეგობარი, მე, ბოგანოს, თავისი ტოლი გამხადა. ამაზე მეტი დაფასება გინდა კიდევ?“ ფიქრობდა იგი და სიამაყე ემატებოდა.

საუბრის შემდეგ ხამციმ ოთახს დაუწყო თვალღებვა. სურდა გაეგო, თუ სად იყო კოსტას ჯალბი, მაგრამ კითხვა ვერ გაუბედა, რცხვენოდა.

კედელზე მიკრულ კანხაზე ეყიდა ოსური ტანსაცმელი. ოთახის ერთი მხარე მთლიანად წიგნებს ეკავებოდა. ციცი, დიდი კოსტა და რა უბრალოდ უკარავს თავი. ჩვენი კაცია, ჩვენი: უბრალო ოსი, საყვარელი ადამიანი“. განაგრძობდა ფიქრს ხამციმ.

უკვე გვიან იყო და კოსტამ სტუმარი სახლიდან არ გაუშვა. რიგიანად ავახშმა და თავის სამუშაო ოთახში გაუშალა ლოგინი.

დღითი ოთახში შემოსულმა კოსტამ დინახა ხამციმ მზად იყო წასასვლელად.

ეჩქარებოდა ხამციმ: უნდოდა, რაც შეიძლება მალე მისულიყო მეზობლებთან და მიეხარებინა, კოსტა ვნახე და არა მარტო ვნახე, მასთან ლამეც გავათიეო. რასაკვირველია, იმასაც ეტყვის: ჩვენი ქირ-ვარამი ვუამბე და შველას დამპირდაო.

გამოთხოვებისას ხამციმ უთხრა კოსტას:

— გეწვევ მთაში, ჩვენო ქომაგო და შემწვევ. თქვენი სტუმრობა ჩვენთვის იქნება მზის გამოჩენა ავღრების შემდეგ.

— აუცილებლად გეწვევით, აუცილებლად. სალამი გადაეცი ჩვენს თანამომხმეებს. გულს ნუ გაიტებით, მომავალი ჩვენი-ა-თქო.

შორს გააცილა კოსტამ სტუმარი, დაემშვიდობა და ერთხელ კიდევ დაამთავრა, აუცილებლად გეწვევით.

ხამციმ გაუყვა გზას და თვალს მიეფარა, კოსტა კი იდგა ისევ გზაჯვარედინზე, იქით გასცქეროდა, სადაც ხამცი მიიშალა და რაღაცას ჩურჩულებდა. ალბათ ახალ ლექსს თუ თხზავდა.

ხამცი ოჯახში დაბრუნდა.

მეზობლებმა მაშინვე გაიგეს მისი დაბრუნების ამბავი და ჯგუფ-ჯგუფად დაიწყეს მოსვლა. რამდენი კაციც იყო, იმდენივე — შეკითხვა, ხოლო მეტი სიხარულისაგან აღელვებული ხამცი კი სულ ერთსა და იმავეს გაიმთხობდა:

— ოსეთს ასეთი კაცი აქამდე არ ჰყოლია. თავმდაბალიო? რას ამბობ, კაცო... მე მასთან ლამეც კი გავათიე. ძმასავით მიმიღო. დამპირდა, სოფელში გესტუმ-

რები მალეო. აუცილებლად გესტუმრებიო.

ზოგიერთ მეზობელს ხამციის ნაამბობი არა სჯეროდა, მაგის ამბავი რომ ვიცო, კოსტა დაესიზმრებოდა და თავისი სიზმარი მართალი ჰგონიაო.

მომსვლელები და კითხვები კი არა წყდებოდა და არა:

- მაღალია? ვის ჰგავს?
- რით გაგიმსპინძლდა?
- რააო, კიდევ რა გიამბო?
- ჩვენებურად იცვამს?
- სამხრეულები ოქროსი აქვს?

— რისი სამხრეულები, რისი ეპოლეტები, რას ამბობ, რას! — გული მოუვიდა ხამციის. — არავითარი ჩინი არა აქვს. საღებავებით დასვერილი ხალაით ეცვა, კარებში რომ გამოხვდა, უნდა გამოგიტყდეთ, მღებავი მეგონა. ის კი თურმე ვეებერთელა სურათებსა ზა-ტავს, უბრალოს კი არა, ძალიან ძვირფასს. ის სურათები რომ დაეინახე, ასე მეგონა, ცოცხალი ადამიანები შემომცქერიან-მეთქი. სიმალით? აი, როგორ გითხრა, ჩემხელა იქნება. შეგვგრემანია, ბრძენის გამოხედვა აქვს. ხომ გინახავთ ნამდვილი ოსი, კოსტაც ისეთია სწორედ. ნულარ მაწუხებთ, თქვენი ჭირიმე, აი, ხვალ თვითონ გვესტუმრება და თქვენი თვალითვე ნახავთ.

დანიშნულ დღეს ხალხი დიდიდანვე მოემზადა და კოსტას დასახვედრად წავიდა სოფლის იქით.

სტუმრის მომლოდინენი ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და, რათა დრო მოეკლათ, ზოგი რას ივანებდა და ზოგი რას.

ერთმა სახელდახელოდ ლექსიც კი შეთხზა და მაშინვე ეს ლექსი სიმღერად აქციეს. კოსტას უმღეროდნენ ისინი. ყველა ცდილობდა სხვაზე უკეთ ემღერა ეს ახალი ლექსი. ვისაც სიმღერა არ გამოსდიოდა, ხამციი გუნდიდან ავდებდა. გული მოსდიოდა მასზე და უწყრებოდა:

— კოსტას არ უყვარს, როცა ერთი ალთას გაჰყვირის და მეორე — ბალთას.

მოხუცმა დოლატმა მოუხსინა ხამციის და უთხრა:

— ეჰ, გამოგონია, კოსტა ისე მღერას, მთელ ოსეთში ვერავინ აჯობებსო.

ამ დროს გზის ნაპირზე ობლად მდგარ ხეზე აცოცებულმა ბავშვებმა ყვირილი ატეხეს:

— მოდის, კოსტა მოდის!

სიმღერა უმაღვე შეწყდა ვინც იჯდა, მაშინვე წამოხტა. ხალხის ნიაღვარი თავქვე დაეშვა. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ ვის გაასწრებდა და პირველი ჩამოართმევდა კოსტას ხელს.

ხალხს შინ შემოეყარა ცხენოსანი; მას თეთრი ჩოხა ეცვა და ზედ შავი ნაბადი ჰქონდა წამოხურული.

წარმოიდგინეთ იმედი, დარდში გაბვეული. აი, ასეთი იყო ის ცხენოსანიც.

მან სწრაფად დააკა ცხენი და გადმობტა.

ხალხს ეგონა, ესაა კოსტაო, შემოეჯარნენ, მაგრამ არ გაუმართლდათ უარაუდი.

— ჩვენ კოსტას ველოდით, ვინ ხარ შენ? — ჰკითხა დოლატმა.

მტერს გაეჰალარავებინა ეს უცხო კაცი. სევედიანი თვლები ცრემლებითა ჰქონდა სავსე. მან დამნაშავესავით დახარა თავი. ეტყობოდა, უჭირდა პასუხის გაცემა.

შეშფოთებულ-შეწუხებული ხალხი მისჩერებოდა მას.

— რა მოხდა, სტუმარო? ღმერთო, გვიშველე! ცუდი ამბის მაცნე ხომ არა ხარ? — პირისპირ დაუდგა ხამციი უცნობს.

— არ ვიცი, რით განუეგმით... — ძლივს ამოიღო ხმა მოსულმა. — გუშან მეფის მოხელეებმა კოსტას ბორკილები დაადვეს და სადღაც შორეულ მხარეში გარტაცეს...

ხალხი საავდროდ გამზადებულ ღრუბელს დაემსგავსა. მათ შორის იდგა ის უცნობი, როგორც იმედო, დარდში გაბვეული, ხოლო ხევი ხენეშით გარბოდა გავლისებული მდინარე.

აქედან მომდინარეობს



წუთისოფელი

დასაბამიდან სიცოცხლით სავე  
წამი წამწამთა არის მსწრობელი  
და ეღაუბა ერთმანეთს ასე  
ორი ცხოვრება — ორი სოფელი.  
ერთი სოფელი ამ ქვეყანაზე  
საყრმე-სილაღე, სიბერე-მწველი,  
ხოლო მეორე — გრძელი სოფელი,  
მარადიული სამყვიდრო ბნელი!

მანც რა არი წუთისოფელი,  
სიცოცხლე წუთით ვის მოსწყინდება?!  
ზენი მზე — სულის მანათობელი,  
როდესაც ქვეყნად გამობრწყინდება, —  
მაშინ გაჩნდება სიბერეც მწველი,  
თვალთა გუგებში შექვი ბინდდება  
და ქაბუკს, ქვეყნად არც გიცხოვრია,  
სული ჩიტივით გაგიფრინდება.

დავბადებულვართ ვინც კი ტირილით,  
ღმირილით ვკვდებით სიკაბუკეში,  
ჩამდგარი არი ორბის ყივილი-  
ჩამქრალა სხივი თვალთა გუგებში

და გვეთხოვება მძიმე ტყვილით  
შთამომავლობა, ჩვენი ნუგეში...  
და თან გადააქვს აწმყოს კვირილი  
საუკუნიდან საუკუნეში.

ასე ყოფილა დღე ცისმარადი,  
გუთნიდედურშიც რეკდა ნალარა...  
ბევრმა გაცვითა ფარ-მუნარადი,  
სახსლი და ოფლი მიწას აღვარა, —  
მეც, ჩემს მამულში ყამირს ვბარავდი,  
მებატებოდა სივრცე ბაღნარად  
და უცბად ისე გაექალარავდი,  
რომ ქირნახული არვინ მახარა.

წუთი რა არი ამ საწუთროში,  
რა უნდა იყოს წუთისოფელი?!  
მაგრამ რადგანაც დღისით და ღამით  
წამი წამწამთა არის მსწრობელი,  
უნდა მზესავით გაანაწილო  
აწმყო, დრო — სულის მანათობელი,  
რომ შეედავოს საუკუნეებს  
შენგან განვლილი წუთისოფელი.



# ღ ა შ ა რ ე ლ ა

მეცამეტე საუკუნის ქართული ქრონიკა.

თავი პირველი

ლაშარისგორჯო

ღამისმთვევლები შეჩოჩქოლდნენ და გაღაგანს მიაწყდნენ: ხმელგორზე ცხენოსნები ამოდიოდნენ, წინ ლურჯაზე ამხედრებული მეფე მოუძლოდათ.

ვილაცამ შორითვე იცნო ხელშეიფე და „ლაშაო“, აღტაცებით ამოიძახა.

ღამისთვევითა და ლოცვით გაბრუნებულ ხატიონებს „ლაშარი“ ჩაესმათ და ძლევამოსილი ღვთაების გამოცხადების სასწაული დაიჯერეს. ხალხი ჩურჩულთ იმეორებდა მთიელთა მფარველია და ლაშქრობის ღმერთის სახელს და კრძალვით შეჰყურებდა მათკენ მომქროლავ ფაფარგამლილ ლურჯაზე მჯდარ მეფეს.

მხედრებმა ამოივაცეს. ხალხი შუაზე გაიყო, მოსულებს გზა მისცეს და მუხლებზე ჩაჩოქეს.

გაღაგანთან დაიქვეითეს ბრწყინვალედ აღჯანმულმა ჰაბუკმა მეფემ და მისმა მხედრებმა.

სალოცავიდან ხევისბერი გამოეგება მეფეს, სანთლები აანთო და დაამწყალაობა. შემდეგ მეფეს რალაც წასჩურჩულა და ლაშას თანხმობა რომ მიიღო, დასტურებს თვალთ ანიშნა.

დასტურები უცებ მოსწყდნენ ადგილიდან და იმწამსვე ვილაცამ ხმაჟალა დაიძახა:

— გზა!... გზა!...

გაღაგანში ბრდღინით შემოვარდა ყელზარიანი კურატი. კურატს რქებზე

ანთებული სანთლები ჰქონდა მიკრული და დაფეთებულ პირუტყვს ოთხი ვაეკაცი ჯაჰვებით ძლივს აეავებდა. როგორც იყო, მოზვერი სასაქლავს ორმოსთან მიაგდეს და ორიგმბრიდან მარგა დაჰქაჩეს.

კურატმა ოდნავ წამოიჩოქა და მორივით სქელი კისერი დაედროცა.

ხევისბერი ზვარაკთან მივიდა, ის იყო სანთლით შებლი შეუტრუსა და ზარი მოხსნა, რომ ლაშას ხმალმაც იელვა და კურატის მოჭრილი თავი მიწაზე გაგორდა.

მეფე ხალისით ასრულებდა მსხვერპლთშეწირვის წესს. იგი მოჯადოებულვით თვალში შესცქეროდა ხევისბერს და მის ნება-სურვილზე მოქმედებდა.



მსხვერპლთშეწირვა და დამწყალობეზა დასრულდა. შალვა ახალციხელმა ხელი მალა აღმართა და ხალხს გაჩუმება ანიშნა. მეფე წინ წარდგა და შეკრებილთ მოკლე სიტყვით მიმართა.

ხალხი გაინაბა და სმენად იქცა.

ომახიანი, ვაეკაციური ხმით ლაპარაკობდა საქართველოს მეფე გიორგი მეოთხე — ლაშა. მსმენელებს ჯერ თავისი ნეტარი დედის, დიდი თამარის უხვი წყალობა და ზრუნვა მოაგონა. მერე გუ-

ლისტიკილით გაჩხენა ტახტისაგან ფხოველთა განდგომა, და მემამოხეთა სასტიკი დასჯა საქართველოს მთავრობის ზოგიერთ თავნება ხელისუფალს დააბრალა. ფხოველთა სარწმუნოებას ქართველთა ჰუმანიტურობის სარწმუნოება უწოდდა და ამიერიდან მთიელებს მის დაცვა-სა და განმტკიცებაში სრული მხარდაჰქერა აღუთქვა.

საქართველოს ხელმწიფის, დიდი თამარის მეგვიდრის სიტყვას ხალხი აღტაცებით ისმენდა, ნაჭრევებით დაღარულ სახეებზე ხევისბერებსა და გვარის მეთაურებს სისარულის ცრემლები სდიოდათ.

როცა მეფემ, სიტყვის დასასრულს, ლამარის ხატისათვის მამულებისა და ქონების შეწირვა გამოაცხადა, ხალხმა ერთბაშად იხველა, მუხლზე დაემხო და ხელაპყრობით მადლობა შეჰლადა.

ჯერ ხევისბერები და თემის უფროსები მოსწვდნენ სამთხვევად მეფის კალთას, მერე მთელი ხალხი ნაგუბარი წყალივით დაიძრა და მეფეს ოთხივ მხრიდან შემოადგა.

აწყდებოდნენ, ერთმანეთს ასწრებდნენ, დედები ჩვილ ყრბებს შორით იტაცებდნენ, ხეიბრები და დავრდომილები გზას იკაფადნენ, მეფის კალთის შეხებას ესწრაფოდნენ.

— ლაშა! ლაშარე! — ისმოდა ფხისწვერებზე შემდგარი მეფის მაკქერლების აღტაცებული ჩურჩული.

თხოთმეტოდე წლის გოგონას დედა ზურგში ამოსდგომოდა და ხალხში მეფისაკენ გზას მიუვლევდა. გოგონას უჭირდა ხალხის ამ ჯგლეთში მხარის გატანა და ძლივსძლივობით, შეშინებულ მიიწვედა წინ. მის პირდაპირ გოლიათი ვაჟაკი იდგა და თვალს არ ამორებდა. დარცხენილი ქალი თვალს ვერ უსწორებდა ვაჟაკის მხერას. სუსტი გოგონა აქამდე, აღმათ, ათასჯერაც გაეცლებოდა ხალხის ამ ზედახორას, მაგრამ დედის მტკიცე ხელი ჯიუტად და დატინებით სწევდა წინ, მეფისაკენ.

სულ ახლა იყო.

გოგონამ ფეხს წვერებზე აიწია, მე-

ფეს პირისპირ შეხედა და, დანახულის ბრწყინვალეობით მოზიბლულმა, აღტაცებით ამოიძახა:

— დმერთო, რა ლამაზია!

რამდენიმე კაციღა ჰყოფდა დედამეილს მეფისაგან. წამით ქალიშვილიმ დედის ხელისაგან განთავისუფლება იგრძნო, უკან მოიხედა და გაოცდა: დედას მანდილიც მოეხურა, რომ სახის ნაკვთი აღარ უჩანდა. დამფრთხალი უკან-უკან მიიწვედა და იქაურობის გაცლას ლამობდა.

მოულოდნელობით გაოცებული გოგონა გაურკვეველმა შიშმა აიტანა, ისიც ანგარიშმოუცემლად შებრუნდა და დედას უკან გამოუდგა.

•••

შუადღე იქნებოდა, სუფრები რომ გაიშალა. ხალხი ხმელგორზე ვერ დაგტია, დაბლა ფერდობებს ჩაჰყენენ და ქალა თეთრი და ლურჯი სუფრებით აქრელდა.

ცალ-ცალკე სუფრებზე ისხდნენ ფშავის სხედასხვა ხევიდან მოსული მახვეწარები, თუშები და ხევისურები, კახეთში გადასახლებული ფხოველები.

უზარმაზარი ქვაბებიდან საკლავის ობშივარი ნისლად დგებოდა, მთვრალი დევებივით მიწოლილი ვეება რუმბები ნელ-ნელა იფუკებოდა, სუფრებზე კახურ ღვინოებს მთის ლუდი და არაყი ენაცვლებოდა.

მეფე და მისი ამაღა — შალვა ახალციხელი და თორღვა პანკელი, თურმან თორელი და ბექა ციხისჯვარელი, მემონი ბოცოსძე და ბიბლა გურჯელი, ფხოვის თავკაცებთან და ხევისბერებთან ერთად, ცალკე უსახდნენ გორაკზე გაშლილ სუფრას.

აქედან ყველაფერი ხელისგულივით ჩანდა: დაბლა გაშლილი სუფრებიც, ჩარდახიანი ურამებიც, ლამაზი ჰრელი ხურჯინებიც, მთიელთა ნაირ-ნაირი ტანსაცმელიც და სუფრიდან სუფრისკენ წაბანდალებული, უკვე შემთვრალი მოქვიფეებიც.

ყველან თავგამეტებული სმა იყო, უწესრიგო ყაყანი და სიმღერა ერთიერთს ფარავდა. მხოლოდ მეფის სუფრანზე იყო სრული წესრიგი. სუფრას ფხოველების აზლობელი კაცი — თორღვა პანკელი თამალობდა.

კარგ გუნებაზე იყო თორღვა, დიდი ხნის ნატვრა აღუბა — ფხოველები საშეფო ტახტს შეარიგა და შემოამტკიცა. დიდი სასმისებით სვამდა საუცეთესო კახურ ღვინოს და დაკლილ ჯიხვებს ხევისბერებთან გადადიოდა.

დინჯად, დარბაისლურად იჯდა ჩაფიქრებული ბუმბერაზი შალვა ახალციხელი. მეფის ამაღაში ყველაზე უფროსი, შამქორის გმირი ცოტას ლაპარაკობდა, დიდრონ სასმისებს იოლად სცლიდა, თავის ადგილზე უდრტვინველად ჯდებოდა და ისევ ფიქრს ეძლეოდა. დროდადრო რომელიმე თანამეცხანზე ფიქრებიდან სიმღერის წამოწყებით გამოარკვევდა და ისიც თავის ძლიერ ბუბუნს შეუერთებდა მომღერლებს.

მომღერლებს თავის ტბილ ხმას შესანიშნავად უწყობდა და გულით ილბენდა თურმან თორღელ.

როგორც კი სადამე ფანდური გაინახუნებდა, ფეხზე წამოდგებოდა, მომღერლის ირგვლივ შემოკრებილი შეუერთდებოდა და ყურადღებით უსმენდა ფხოველ მათქვამებს.

ერთხანს სადღაც გაქრა თორღელი, სუფრისკენ რომ მობრუნდა, ბრმა მეფანდურეს მოუძლოდა. თვალდაშრეტალი ხევსური მიწაზე ჯოხის კაქუნით, თავალებული მოკყევბოდა მისთვის უცნობ კარის მგოსანს. სუფრას რომ მოუახლოვდნენ, თორღელმა დღინით სავსე ჯიხვი მიაწოდა უსინათლო მეფანდურეს.

— მეფე აღღეგრძელე და შემდეგ ლექსი რამ გვითხარ. — შესთხოვა თორღელმა. ბრმამ ფანდური გვერდზე მისდო, სასმისს ორივე ხელი მოხვია, დაილოცა და პირზე მოიყუდა.

— იცოცხლე! გაგმარჯოს! — მადლი გადაუხადა მეფემ — აბა, დაჯექ და ლექსი გვითხარ, ხევსურო!

მელექსემ სასმისი დაცალა, ტრჩებრ მოიწმინდა და ხელის ფათურით ფანდური მოიძია.

თორღელმა ფანდური ხელთ ჩაუდო და უსინათლოს კუნძზე ჩამოჯდომა უშველა.

— ვაჰ, თუ მეფის ღირს ვერ ვთქვა! ხომ არ გამოჯვარდებიან ხელმწიფიანნი? — ღიმილით თქვა ბრმამ და გუძანით ლაშასკენ გაიხედა.

მელექსე პასუხს არ დაელოდა და ფანდურს თითები ჩამოჰკრა.

ლექსო, ამოვთხომ, ოხერო, თორო იქნება ვადებოდე და შენ კი ჩემად სახსოვრად საჯაოსა რჩებოდე. გამღერდნენ ჩემი სწორები, ფანდურის ხმაზე ძველებოდე, ქვეყანა მზიარელობდეს და მე საფლავში ვლპებოდე.

მეფანდურე ტაბილად, სევდის მომგვრელად აედარუნებდა მთის პატარა ფანდურს და ხმას თანდათან უმაღლებდა. ეტყობოდა, საკეთარ სადარდელს, სიკვდილის გარდუვალობასა და სახელისა და უკვდავების წყურვილს მღეროდა მეფანდურე, ხან სისხლი მოაწყებოდა და ქარხალივით წამოუწითლდებოდა სახე, ხან სულ გაეცრიცებოდა და მკვდრის ფერი დაედებოდა.

ნეტავი, ჩემო სახელო, დიდხანამც ოხენებოდე, ჩემო ნათქვამო სიტყვაო. შენამც კი გაჰკვეცდებოდე, სახლო, არ დაიშლებოდე, ცოლო, არ გათხოვდებოდე.

ტიროდნენ მეფანდურის უსინათლო თვალები, ტიროდნენ, რადგან თავის უბედურ მომავალს, ცოლისა და ნათესაეებისაგან, ტოლსწორებისა და მეგობრებისაგან დაეიწყებას, უსინათლოდაც ხედავდნენ. მღეროდა, კი არ მღეროდა, მოთქვამდა ჯერ კიდევ ჯანლონით სავსე, უდროოდ თვალის შუქს მოკლებული ხევსური სიცოცხლის წარმავლობაზე, კაი ყმის სახელისა და გმირობის დაეიწყებაზე... მოთქვამდა და ხმადაბლა მოლულუნე ჩონგური სევდით აე-

სებდა უზედური ვაეკაციის გულის სიღრმიდან ამოსულ კენესას.

უკანასკნელი სიტყვები ამოიშლერა, თუ ამოიგმინა მელექსემ, ერთ მუხლად ჯდეე აეღერა საკრავი, მერე ფანდურის ელრიალი მიწყდა და თავადაც გაიტრუნა. ყველანი სდუმდნენ. აღარც მელექსე მღეროდა და აღარც ფანდური შეივინებდა, სიმღერა კი ისევ ეღერდა მსმენელების ფიქრსა და გულისყურში.

გალერსული მეფანდურე უსინათლო თვალებით გვერდზე რქიერებოდა, ეტყობოდა, სიმღერის ზემოქმედების ძალას ანგარიშობდა. დიდხანს ხმა არავინ გაიღო და დუმილი არავინ დაარღვია. უსინათლო მიხვდა, რომ მსმენელთა გული და გონება დაიპყრო, სახეზე სიამოვნების ღიმილი გადაეფინა, ფანდური ძირს დასდო და ერთი ხმამაღლა ჩაახველა. მაშინ კი გამოეჩვენნენ მსმენელები სიმღერის ჯადოსაგან და ტაშმა ოთხივემხრივ რგრიალა.

ტაში და შექაბილები რომ მიწყნარდა, მეფემ მეფანდურეს მადლობა გადაუხადა და ჩამოსართმევად გამოიწვილ ხელში ოქრო ჩაუღო.

გახარებულმა და წათამამებულმა მელექსემ ისევ გამართა ფანდური.

— ჩალხაუ, ათაბაგის შიძიდების? — ხმადაბლა იკითხა მეფანდურემ.

ჩალხიამ მეფისკენ გაიხედა, მეფემ ღიმილით და თავის დახრით მისცა დასტური.

— შეიძლება! — ნება დართო ჩალხიამ და კვლავ აღუღუნდა ფანდური.

მაში იქრა მხარგრძელი,  
თვალთაგან რისხვის შთოველი,  
დახოცა, შებზე ააგო  
ქალი და ბავშვი ფხოველი.  
შინით ჰკრათის ჰართლი, კახეთი,  
ლიხთიმერეთი ყოველი;  
გამ, თუ აქეთად მობრუნდეს,  
უკეთესს არც ჩვენ მოველიო...

მოკლე სიმღერა მალე ჩამოათავა მეფანდურემ. სუფრაზე მსხდომმა ფშვებევსურებმა ლექსი ჩამოართვეს მელექსეს და თავად განაგრძეს მთის დამრბევისა და ამწიოკებლის დამცინავი და გამმასხრებელი სიმღერა.

ფხოველებმა ათაბაგის გალექსებუთ გული იჯერეს და სიმღერა დაასრულეს. მელექსემ ისევ ფანდური მრწართა ლაშას ნაცნობი სიტყვები შოესნა:

წარმავალია ნათელი,  
სულ მოსიყენრად ბრწყინდება,  
ბინდის ფერია სოფელი,  
უფრო და უფრო ბინდდება.  
რა არი ჩვენი სიოცხლე,  
ჩიტვით ვავიფრინდება,  
ჩვენს ნასახარზეც ოღესმე  
ბალახი აბიზინდება.

მეფანდურე მეფის საყვარელ ლექსს მღეროდა. ეს ლექსი თურმან თორელი-სა იყო და ლაშა დარდიან გუნებაზე, სევდის უკუსაყრელად ამღერებდა ზოლმე განუყრელ ტოლსა და კარის პირველ მგოსანს.

მეფემ თორელისკენ გაიხედა. თურმანს თავი დაეხარა და იმის განცდის სიხარულით, რომ მისი ლექსები ხალხის სამღერლად ქვეულოყენენ, სახე წამოწითლებოდა.

— ეგ ლექსები სულ შენი იყო? — ჰკითხა მეფემ უსინათლოს, როგორც კი ხევესურმა ლექსი ჩამოათავა.

— ჩემი პირველ იყო, თავში ნათქომ, — მიუგო ხევესურმა და ფანდურის ეღარღნი შეაჩერა.

— მხარგრძელის ლექსი?

— შოთაისია, რუსთველის!

— ესა? ეს უკანასკნელი ვისია? — ჩაჰკითხა მეფემ და ღიმილით თორელს გახედა.

— ესეც შოთაისია, სხვის ვის იქნების?! — გაიკვირვა მეფანდურემ და უსინათლო თვალებს ზემოთ ხშირი ქერა წარბები შეჰკრა.

ახლა კი აიღო თავი თორელმა და მეფეს გულლაღად შესცინა.

— მეფეებს და მგოსნებს თამარისა და შოთას შემდეგ ერთი ბედი გეაქვს: რაოდენი ცრხე და არხიც უნდა აშენო, მეფეც, ხალხი მანც იტყვის, თამარის ცრხე და არხიო; რაოდენი ლექსიც უნდა ეთქვათ მგოსნებმა, ხალხი კვლავ ასე იტყვის, რუსთველისაო.

თამადა ახალი სადღეგრძელოს სათქმელად წამოიღვა. სუფრაზე კვლავ სიჩუმე გამეფდა.



ლხინი გრძელდებოდა.

თვითონ მეფე პირველად ყველაფერს ხალისიანად უყურებდა და მოსწონდა კიდევ თავისი მონაწილეობა. ამ დიდ სახალხო ზეიმში, სანამ მის სუფრაზე მორაგებობით არ იწყეს მოსვლა უკვე შემთვრალმა ფშავ-ხევსურებმა და თუ-შებმა.

გრძელ-გრძელ სადღეგრძელოებს ეუბნებოდნენ და ხრინწიანი ხმით გაჰყიდნენ სიმღერებს, სათაყვანებლად იხრებოდნენ და, რაც უფრო სასმელი ეკიდებოდათ, მით უფრო მაღლა მიიწევდნენ საკოცნელად. ბოლოს უფრო მთვრალეები და გაბედულები ხინკლის წვენი-თა და ერბოთი გაქონილი ტუჩებით ზედ ტუჩებზე ეკროდნენ აზიზ მეფეს.

ცხერის ტყავის, ნივრისა და მყრალი ეპიტაურის სუნი თანდათან დაუძმინდა სასახლეების კეთილსურნელებას შეჩვეულ ლამას, გულზე აზიდებდა და თავს ძლივს იკავებდა, რომ იქურობას არ გასცლოდა.

ხმლების ჩახაჩხმა და უეცარმა საბრძოლო ყიჟინამ გამოარკვია ლაშა-გიორგი.

ახოვანი კახელი ხმლით იგერებდა სამი ხევსურის იერიშს.

მამლებივით აქოჩრილი ხევსურები ხმლებით უტევდნენ შუაში მარტო მომწყვდეულ ქაბუჯს.

უმველებელი, ერთი შეხედვით თითქოს ტლანჭი და მოუხეშავი ვაკეცი, გასაოცარი სიმკვირცხლით ბრუნავდა ოთხი ხმლისგან დაკვესებულ ცეცხლში.

იშვიათი ოსტატობით იფარებდა ფარს, ელვისებური სისწრაფით იცილებდა მტრის ფრანგულს და თვითონაც მძლავრად იქნევდა თავის გველისპირულს. ხმლის რამდენიმე სხარტი მოქნევით ერთს ყური მიჰქრა, მეორეს ხელიდან

ხმალი გააგდებინა და თანდათან სამივე წინ გაირეკა.

მერე წამით რაღაც ფეხში გეებლანდა და წაიფორხილა. ხევსურებმა იდროვეს და გულმოცემულებმა აქეთ შემოუტრეს.

მარტოხელა ნელ-ნელა შეავიწროვეს, იძულებული გახადეს ნაბიჯ-ნაბიჯ, ფარისფარებით და ხმლის ქნევით უკან დაეხია.

მოჩხუბრების ირგვლივ ფართო წრედ შეკრულიყვენ სეირის მაყურებლები.

მეფე და მისი ამაღა აღტაცებით შეკყურებდნენ თავგამეტებულ ბუმბერაზს, რომელიც ასეთი ღონითა და მოხერხებით უმკლავდებოდა სამი მთიელის მოძალუბას.

თვითონ მოჩხუბარი თავისი მტრების ხელებისა და ფარ-ხმლის მოძრაობის მეტს ვერაფერს ხედავდა, მაგრამ ახლა, უცებ, თითქოს რაღაც მოელანდაო, გვერდზე გაიხედა და თვალი მოჰქრა იმ დედა-შვილს, დილით რომ მეფის კალთის სამთხვევად მიიწევდნენ.

მანდილით თავპირშებურვილ დედას თვალების მეტი არაფერი უჩანდა. ამ კრიალა შავი თვალების მშერას იგი მეფესა და მის ამაღას არ აცილებდა და ხანდახან თუ გადაიჩანდა მოჩხუბრებზე.

ცისფერკაბიანი გოგონა გარდაცემებით ადევნებდა თვალს ხმლებს, ჩახაჩხს. მის ბავშვურ თვალებში უფრო აღტაცება გამოკრთოდა, დედავდა, ტანის უნებური მოძრაობით ახოვანი ქაბუჯის მოძრაობას იმეორებდა და მარებზე ჩამოშლილ მანდილს თითებში აწვალებდა.

როგორც კი ბუმბერაზმა მის თვალებს თვალი შეასწრო, ძალის უჩვეულო მომატება იგრძნო, ლომივით დაბრუნდა და ისევ იერიშზე გადავიდა. უკან დახეულ, ყურჩამოთლილ მომხდურს გამეტებით, მთელი ძალით მოუქნია ხმალი, მაგრამ თავპირდასისხლიანებულმა ხევსურმა თავისი ფრანგული ქვემოდან შეაგება და ფოლადმა უჩვეულოდ გაიფრიალა.



გატეხილი ხმალი ძირს დაეცა და ხმლის პატრონს დაბლუჯული ვადალა შერჩა ხელში.

ხმალგატეხილმა დაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ ცისფერკაბიანი გოგონას მხრებს მანდილი მოსწყდა და მოჩხუბართა ხმლებს შორის ფარფატით დაეშვა.

ხმლის მოსაქნევად აწვდილი ხელები ცივად დაეშენენ დაბლა და ხალხმაც იგრიალა.

პირველი ლაშა მიიქრა და ხმალგადამტყდარ მებრძოლს გადაეხვია. ვაკეცობა მოუწონა, ძვირფასი ხმალი მოიხსნა და მოულოდნელობისაგან დაბნეულ ბუმბერაზს გაუწოდა.

— ღირსი ხარ! მეფისა და ქვეყნის სამსახურში გეტარებინოს! — ღიმილით უთხრა და მხრებზე ხელი დაჰკრა.

დასაჩუქრებულმა ხმალს დახედა: ხმლის ვადაზე მინანქრით იყო გამოყვანილი ცხენზე ამხედრებული თეთრი გიორგი. ცხენის ფეხებქვეშ გართხმული ვეშაპისთვის შიგ გულში ეძკერებინა შუბი ძლევა მოსილ ქართველთა მფარველს. სიხარულისგან გაოგნებულმა ჰაბუკმა ჯერ ხმალს აკოცა, მერე მეფეს ჩაუვარდა ფეხქვეშ და მუხლებზე მოეხვია. მეფემ ძლივს წამოაყენა.

— რა გქვია, ვაკეცო? — შეეკითხა ლაშა.

— გვარად მიგრიაული ვარ, სახელად ლუხუმს მეძახიან. — მიუგო ბუმბერაზმა.

— რას გეპართლებოდნენ? — თვლით ანიშნა ლაშამ განზე; გამდგარ, ხმლით დაკენწლილ ზეესურებზე.

ზეესურებს ჯერ კიდევ შიშველი ხმლები ჰქონდათ ხელთ, მიწას ხმლის წვერით ჩხვერდნენ და შორიდან თვლით ჰამდნენ მოსისხარს.

— მაშაჩემის სისხლი ემართათ. ჩვენ აქაურები ვართ. მათგან რომ გადავერჩინე, დედას კახეთში გავუხიზნივარ. თხუთმეტი წელია ველისციხეში ვსახლობ და დღეს პირველად მოვედი ლაშარის ხატის ბრძანებით ჩვენს სალოცავში. მოსისხარებმა დედაჩემი იცნეს,

ალბათ, ჩემი ამბავი გამოიკითხეს და თავს დამესხნენ.

— გინდა ჩემს ამაღლებას წაგიყვანო, ტახტისა და მეფის მცველად დაგადგინო? — შეეკითხა მეფე.

— თუკი ჩემს ხლებას იკადრებთ... — ამოდენა სიხარულისგან ენაბორძიკებულმა ლუხუმმა სიტყვის დამთავრება ველარ მოახერხა, ისევ მუხლზე დაეარდა და მეფეს ფეხები დაუკოცა.

მეფემ ლუხუმს წამოაყენა, მისი მოსისხარები იხმო და ოთხივე სუფრისკენ წაიყვანა.

ოთხივეს ყანწები გაუესეს. მეფემ მათი შერიგებისა ბრძანა და მოსისხლებს ერთიმეორე დააკოცინა.

•  
•

კარგად რომ შედამდა, სუფრა აირია. მეფესთან ჩალხია ფხოველი მივიდა და ჩუმად ჰკითხა, განსვენებას ხომ არ იწყებობ.

მეფე ფეხზე წამოდგა, ახალციხელსა და თორელს გაყოლა ანიშნა და სუფრიდან შეუმჩნევლად წავიდა. მხოლოდ ლუხუმმა შეამჩნია, როგორ გაუჩინარდნენ მეფე და მისი მსლებლები დამებნელში ჩარდახიან ურმებთან.

ლუხუმს თვალწინ სულ ის ცისფერკაბიანი გოგონა ედგა, რომლის მანდილმაც სიკვდილს გადაარჩინა. ახლა, როცა სუფრაზე მეფე აღარ იყო, იქ ყოფნა აუცილებლად არ მიიჩნია, სხვებისთვის შეუმჩნევლად წამოდგა და დაბლა, ხატოიანების სუფრებისკენ დაეშვა.

ველისციხელი მახვეწრების სუფრა შორიდანვე, ვინელილების შუქზე შენიშნა. თუმცა დედა იქ ეგულეობდა, გულმა სხვა მხარეს გაუწია და სახელდახელოდ გამართულ თუმთა კარვისკენ აიღო გეზი.

კარვის წინ მისთვის უცნობი თუშბურსხდნენ მინდორზე გაშლილ სუფრას. შეწარხოშებულებს უცნობი ფშავლის თავზე წამოდგომა არაფრად ეპოტნათ. ცერად შეხედეს, მაგრამ მასპინძ-

ლობის წესი ვერ გატეხეს და მოსულს საესე ჯიხვი მიაწოდეს.

ლუხუმმა სასმისი ჩამოართვა და იქაურობას თვალი მოავლო.

— ვის ეძებ? დილიე! — მკაცრად უთხრა სუფრასთან ჩამოქებულმა თუშმა და უცნობს თვალები დაუბრიალა.

ლუხუმმა ჯიხვი ასწია და ის იყო მოიყუდა, რომ დედის ხმა ჩაესმა:

— ჩემი ლუხუმია, შვილებო, ჩემ საძებრად მოსულა.

მიგრიულმა ყანწი დაცალა და კარვისკენ გაოცებით გაიხედა: კარვის კართან ის ცისფერკაბიანი გოგონა იდგა თავდაბრილი, რომლის მანდილმაც წედან სიკედილისგან იხსნა და რომლის საგონებელმაც იგი აქ მოიყვანა.

ლუხუმისა და იმ გოგონას დედები, ხელიხელგაყრილები, მისკენ მოდიოდნენ. გოგონას დედას მანდილი აღარ ებურა, სანდომიანი სახე სრულად მოუჩანდა და ღიმილით უბრწყინავდა.

— მობრძანდი, ლუხუმ, ქეთევანი ჩვენი სტუმარია, შენც აქეთ მობრძანდი. — კეკლუცად მიიწვია გოგონას დედამ.

გაგონებულებით იდგა ლუხუმი, ვერც ხმა ამოელო, ვერც ადგილდან დაძრულიყო.

— კარგია, მომაგენი, ჩვენებს დაეუბარე, რომ ციცინოსთან ვიქნებოდით. — მიეყვავილა დედა ლუხუმს, მკლავში ხელი მოჰკიდა და კარვისკენ წაიყვანა.

იმ კარავთან ყოფნა ლუხუმს ახლა სიცოცხლედ უღირდა, მაგრამ რატომღაც ფეხები მის სურვილს არ ემორჩილებოდნენ, ბორძიკით ძლივს ადგამდა და ორ ქალს გაკავებულებით, თითქმის ძალით ბიჰყავდა.

— ლილე, მოდი, შეილო, ლუხუმს მოეგებე, — მიმართა ქალიშვილს ციცინომ. დარცხვენილი ლილე თავს არ იღებდა.

ლუხუმსაც რატომღაც თავი დაეხარა. უხერხულად იდგა ბეჭბრტყელი მოუხეშავი ვაჟკაცი და ქალის ხელის ჩამოსართმევად მარჯვენის გაწოდება ვერ მოეფიქრებინა.

ლხმოდ ჩამოჯდა მითითებულ სკამზე მიგრიული. ქალებმა საუბარი გააბეს, მაგრამ ლუხუმში ვერ აიყოლრეს, ხმა ვერ ამოაღებინეს გაკრძალულ ჭაბუქს.

— მოსწყინდა ჩვენთან შენს ვაჟს, ქეთევან, ალბათ, კაცებთან ურჩევნია. — გადაულაპარაკა ციცინომ ლუხუმის დედას, ფეხზე წამოდგა და მოქვიფე თუშებს გასძახა:

— უთურგა, მეფის მცველი ლუხუმ მიგრიული თქვენი სტუმარია, მიიღეთ და უმასპინძლეთ!

სუფრიდან ის ვაჟკაცი წამოხტა, წედან რომ თვალის ბრიალით უყურებდა ლუხუმს, კარავთან ძუნძულით მოვიდა, სტუმარს ხელი ჩაავლო და თანამესუფრეებისკენ გაიტაცა.

•••

გვიან ღამით ლაშარის გორი დაიცალა. ხატიონები ქალაში ჩაბარდნენ. მთვრალეებმა და ხნიერებმა ძილს მისცეს თავი. ახალგაზრდებმა წაწლები მოძებნეს და ნაბდები წაიხურეს.

ახალციხელი და ფხოველი გვიან ნაშუაღამევს ავიდნენ ფშაური სახლის ბანზე. გაიხადეს და ლოგინებზე მიწვენენ.

არცერთს არ ეძინა. გულაღმა დაწოლილები ვარსკვლავებით მოქედით ცას შეაკურებდნენ და, თავ-თავის ფიქრს მიცემულნი, ღუმდნენ.

ლაშარის ხვეისბერი ჩალხია ფხოველი არც ისე დიდი ხნის წინათ მეფის ახლობელი კაცი იყო. ბავშვობიდანვე სამშობლოდან გადახვეწილ ჩალხიას მთელი ქვეყანა მოვლილი ჰქონდა.

განათლება ანტიოქიასა და კონსტანტინოპოლში მიეღო, იქაურ ფილოსოფოსებს დამოწაფებოდა და შემდეგ სინას მთაზე ქართულ მონასტერში შესდგომოდა ქადაგებას. მის დამოუკიდებელ აზროვნებასა და თავისუფალ ქადაგებას უამრავი მსმენელი მიეზიდა ქვეყნის ყველა კუთხიდან და ფხოველს

მთელს წინა აზიაში მიმდევრები გასჩენოდა.

ეკლესიის სიწმიდის მცველებს შეუმჩნეველი არ დარჩენოდათ ფხოველი ბრძენის მოღვაწეობა. ჩალხიასათვის ქადაგება აეკრძალათ, ეკლესიიდან მოეკეთათ და, დაწყვეტილი და შეჩვენებული, ლაჭვიდან გაქვევებინათ.

მას შემდეგ ჩალხია ერთ ადგილზე დიდხანს გაჩერებული აღარავის უნახავს. მღვრებისა და მამრიყის კულტურულ ცენტრებში მოგზაურობდა, თავის მოძღვრებას ქადაგებდა და ოფიციალური ეკლესიის მიერ დევნილ თავისუფალ იდეებს აერცვლებდა.

ბოლოს, ხანში რომ შევიდა, გულმა ადრე დაკარგული სამშობლოსკენ გაპოუწია და, ხეტიალით დაღლილმა, საქართველოს მოაშურა.

სწავლულ და განათლებულ ქართველთა მფარველმა და ხელისგამმართველმა თამარმა სიხარულით მიიღო ეკლესიისგან უკვე დაეწიებული ბრძენი, სარჩო-სამყოფელი გაუჩინა, კარის ექიმად დაადგინა და ტახტის მემკვიდრის აღზრდა მიანდო.

მასწავლებელმა იმთავითვე მიიზიდა ყრმა უფლისწული განათლებითა და რაინდული კეთილშობილებით. იგი საინტერესოდ მოუთხრობდა მსოფლიოს გეოგრაფიასა და ისტორიასზე, სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებსა და იდეისათვის წამებულ ადამიანებზე, სამყაროს დაუსაბამობასა, ლეთების უსასრულობასა და განუყოფლობაზე. იგი ისეთივე გატაცებით უამბობდა გონებაგახსნილ ტახტის მემკვიდრეს ბუდასა და ქრისტეს ადამიანურ ბუნებაზე, პლატონისა და არისტოტელეს სიბრძნეზე, როგორც კეისრისა და ალექსანდრე მაკედონელის ფათერაკებით სავსე ცხოვრებისა და ძლევამოსილ ლაშქრობაზე.

მან პირველმა ჩაუწერა საქართველოს მომავალ მეფეს სარწმუნოებისადმი შემწყნარებლობა, დოგმებისა და კანონებისადმი თავისუფალი დამოკიდებულება. მანვე დაანახა ხალხში ჯერ

კიდევ ცოცხალი წარმართობის სიღრმე და ძლიერება.

ფხოველს ფარულად დასწავლული დაყავდა უფლისწული ლაშქრობაზე და ლაშქრობაზე, ილორობასა და ალავერდობაზე, გუდანისა და ლაშარის ხატების დღესასწაულებზე.

ჩალხია თავის თავს გუდანისა და ლაშარის ხატების ყმას და მოხარყეს ეძახდა და, მიუხედავად იმისა, რომ მთაში აღარც სახლ-კარი გააჩნდა და აღარც ახლობლები ჰყავდა, ფხოველებს თავის ნათესავეებად და მოკეთებებად თვლიდა და ცხადად თუ ფარულად მათი კეთილდღეობისა და წარმატებისათვის ზრუნავდა.

თავად ფხოველები ათასგვარ ზღაპარს ამბობდნენ „თამარ დედუფლის აქიმზე“.

— ჩალხია ჯერ კიდევ ბაღს იყვის, ქაჯებს რო გაიტაცის. ტყვეობაში სიუცხლე მასძულდის, თავის მოკვლა ინატრის. ქაჯებს გველთ სახარშავად ციხულზე ქვაბებ ედგის. ჩალხიამ გველ შვამის, ღვინობდა მახკავდის. ცოცხალ დარჩის, გველთ ქამისაგან ბრძენ გაბდის, ფრინველთა და ბალახთ ენა ისწავლის... — ჰყვებოდნენ ფხოველებს, თავიანთ თანამემამულეს „გველისქვამელს“ ეძახდნენ და გულწრფელად სჯეროდათ, რომ ფხოველ ბრძენს ყოველგვარი ცოდნა და საექიმო ხელოვნება ქაჯთა და გველთაგან ჰქონდა ნასწავლი და შეთვისებული.

სამეფო კარზე ბევრი ექვის თვალით უყურებდა ჩალხიას მოღვაწეობას. ვარსკვლავების სათვალთვლო კომპლემისი ერთთავად ყოფნა, წირვა-ლოცვაზე იშვიათი სიარული, მაწანწალა დერვიშებში აღრევა და ხევისბერებთან ხშირი სტუმრობა არ მოსწონდათ. „მჩიბიავსა“ და „მუტლითმზღაპრეს“ ეძახდნენ და ფარულად ღვთის მგობელობასა და ეშმაკეულობას სწამებდნენ.

რაკი ფხოველის გასამტყუნებლად მნიშვნელოვანი საბუთი ხელთ არ ჰქონდათ, ეკლესიის მეთაურები და ფხოვე-

ლის წარმატების გამო შუროთ აღძრული მტრები აშკარად ვერ ბედავდნენ უფლისწულის საყვარელი აღმზრდელისა და კარის ექიმის მხილვას.

ასე დიდხანს გაგრძელდებოდა და, ალბათ, ლაშას გამეფების შემდეგ ფხოველი მეფის პირველი მრჩეველი გახდებოდა, რომ სახელმწიფოსა და პირადად ფხოველის ცხოვრებაშიც მოულოდნელი და მნიშვნელოვანი ამბები არ მომხდარიყო.

დიდი თამარის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ფხოვი, მთიულეთი და დიდოეთი აჯანყდნენ.

უმიწაწყლო, მჭირ მთებსა და კლდეებზე მოსახლე მთიელებს ბატონი არ ჰყავდათ. ნადირობითა და მესაქონლეობით საკუთარი თავიც ძლივს გაჰქონდათ, წლებზე ფეხს იდგამდნენ და ლაშქრისა და ტახტის ბეგარას პირნათლად იხიდიდნენ.

ბოლო დროს კახეთის ერისთავმა წაუპოტინა ხელი მთას, თავისუფლებას მოყვარე მთიელი ვაჟკაცების ლაშარჩილება და საკუთარ ყმებად მთვლა მოინდომა. ტკბილი სიტყვითა და დაპირებით რომ არაფერი გაუვიდა, ერისთავი მძლავრობის გზას დაადგა, მთიელთა სოფლების რბევასა და კლებას მიჰყო ხელი.

მთიელები ფეხზე დადგნენ; ვიწროები გაამაგრეს, ასაკლებად მოსული მტრის მოგერიებას არ დასჯერდნენ და თავის მხრივ კახეთის სოფლებზე იწყეს თავდასხმა. საქმეში სამეფო ხელისუფლება ჩაერია. თავგასულ ერისთავს მადა შეუტყვევეს და მთაზე გაბატონების ოცნებაზე ხელი ააღებინეს. მეორე მხრივ, მთიელებიც არ დაინდეს, სახელმწიფო ბეგარა გაუდიდეს და წარმართობის დევნასა და მთელს მთიანეთში ქრისტიანობის ძალით გავრცელებას შეუდგნენ.

ხალხის დაუკითხავად, წარმართული ხატებისა და სალოცავების ადგილზე ეკლესიების შენება გააჩაღეს და ეს მშენებლობა თავად მთიელებს დააკისრეს.

ინედაც ყოველმხრივ გაპირებული მთიელებს მძიმე ტვირთად დააწესათ მიუვალ მთებსა და ხეობებში შუროს მკვიდრი ეკლესიების მშენებლობა. ერთდროულად რამდენიმე საყდრის შენება უამრავ ფულსა და მუშახელს მოითხოვდა და ერთიცა და მეორეც ღარიბ მთას უნდა გაეღო.

მოსახლეობის ამ უკიდურეს შევიწროებას ქრისტიანობაზე ერთპირად ძალით მოქცევა დაემატა და მთაში აჯანყებამ იფეთქა.

ჩალხია ფხოველი შორიდან ახლო მონაწილეობას იღებდა მთის ამბებში. პირველად, კახეთის ერისთავის მძლავრობისას, მან უშუამდგომლა ფხოველებს მეფის წინაშე, როცა კახეთის ერისთავის ალაგმვის შემდეგ ხელისუფლებამ, მთის კიდევ უფრო შემოშტკიცების მიზნით, მთიელთა ბეგარის მატებასა და ქრისტეს რჯულზე მოსახლეობის მოქცევას მიჰყო ხელი, ჩალხიამ უკვე ველარაფერი გააწყო. ვაზირებმა მეფეს გზა შეუტყრეს, თამარს მთიელთა უკიდურესი მდგომარეობა ვერ გააცნო და, რაკი სამართლისა და მშვიდობის სახსარი ვერ იპოვა, სასახლიდან გაიპარა, ამზოხებულ მთას სათავეში ჩაუდგა და მათთან ერთად იმისებლა ხმალი მთიელთა ძველი სარწმუნოებისა და თავისუფლების დასაცავად.

აჯანყებულებმა კავკასიონის მთიანეთის სხვა ტომებთანაც გამართეს მოლაპარაკება და, ვიდრე დამხმარე ძალა გამოუჩნდებოდათ, იარაღისხმული ქუდზე კაცი გამოიყვანეს საბრძოლველად.

ამზოხებულებმა ცხადად და ფარულად, დღისით და ღამით იწყეს ქრისტეს სჯულის მქადაგებელთა, გადასახადის ამკრეფთა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა ხოცვა, რბევა და ტყვევნა.

აჯანყება თანდათან ფართოვდებოდა, ახალ-ახალ თემებსა და ტომებს ეღებოდა და ხელისუფლებისათვის საშიშ ხასიათს იღებდა.

მაშინ თამარმა ჯერ კიდევ ტახტის ერთგულებაზე მდგარ მთიელებს — დვალელებს, ცხარხმელებს, მოხვეელებს, ხადლელებს, ცხავატელებს, ქართელებს და ერწო-თიანელებს მოუწოდა და ამირსპასალარ ივანე მხარგრძელის მეთაურობით მთაში დიდი ლაშქარი წარგზავნა აჯანყების ჩასაქრობად.

ივანე ათაბაგმა ბრწყინვალედ მოაწყო და ჩაატარა დამსჯელი ლაშქრობა: პირდაპირ კი არ მიაღწა მიუვალ მთებსა და ვიწროებში გამაგრებულ მემზობნებს, ზურგიდან შემოუარა, ხადის მთაზე ავიდა და ფხოვისა და დიდოეთის მთებს თავს წამოადგა.

ფხოველთა და დიდოელთა ზურგში მბრძანებელ სიმაღლეებზე დაბანაკებული ათაბაგის რისხვის დამსახურება ძურძუკებმა თავიანთი არსებობისთვის სახიფათოდ ჩათვალეს და, თუმცა გულით აჯანყებულებს თანაუგრძნობდნენ, მხარგრძელს ძღვენითა და ლაშქრით ეახლნენ და აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში თანადგომა შესთავაზეს.

მთელი ზაფხულის განმავლობაში არბევდა ზემოდან მეფის ლაშქარი გამდგარ ფხოვსა და დიდოეთს. წვაგდნენ და აოხრებდნენ მთიელთა სოფლებს, უწყალოდ ქლევდნენ ქავ-ციხეებში ჩაკეტილ, გაძლიანებულ მემზობნებს.

ბოლოს ძალამ მაინც თავისი გაიტანა, აჯანყებულთა აღტყინებას სძლია და მემზობნეთა სიმტკიცე გასტეხა. შეჭირვებულმა მთიელებმა ათაბაგს მძევლები მისცეს, მსახურება, ხარკი და პირის სიმტკიცე აღუთქვეს.

მძევალთა შორის პირველი ფხოველთა აჯანყების მეთაური და სულისჩამღმელი ჩაღხია იყო.

ათაბაგი მკაცრ სასჯელს უმზადებდა განდგომილთა სულიერსა და სამხედრო ხელმძღვანელს, რომელიც აჯანყების გუზისა და წესრიგის წარმმართველიც იყო და ერთი ვინმე მთიელთაგანივით თავგამეტებით ხმალდახმალ მებრძოლიც. გულმოწყალე თამარის ლობიერებამ და უფლისწულის თავგამოდებამ

გადაარჩინა სასჯელს ფხოველი. პატრონად მყოფმა ბერად აღკვეცა ითხოვა. რაკი ამ ქვეყნიურ ცხოვრებაში წაღის თავისივე სურვილით იღებდა, წაღისი აუსრულეს და ლიხსგალმა, ჯარჯის მონასტერში შეაყენეს ბერად.

ჩაღხიამ ქრისტეს სამსახურში დიდხანს ვერ გაძლო, გული იმერეთში არ დაუდგა, მონასტრიდან გაიპარა და კვლავ ფშვში ამოყო თავი. ფხოველებმა პატივითა და სიხარულით მიიღეს ქირსა და ლხინში მათთან მხარში მდგომი „გველისმკამელი“ და ლაშარის ხატის ხევისბერობა ჩააბარეს.

მთა ტახტის სრულ მორჩილებადა და ერთგულ სამსახურზე იდგა და ბერად შემდგარი ფხოველის ბედიც აღარავის აშფოთებდა.

ვიღრე თამარი კარგად იყო და ქვეყნის მართვის სათავეში იდგა, ფხოველი არავის გახსენებია. მაგრამ ხანი გავიდა. თამარი მოულოდნელად ლოვინად ჩაეარდა და გამოუცნობი სენით დასნეულდა.

სახელმწიფოს მესვეურები საუკეთესო მკურნალებისა და წამლების ძებნაში იყვნენ. მთელს აღმოსავლეთსა და დასავლეთიდან მოჰყავდათ სახელგანთქმული ექიმები, ათასგვარ წამალს და საშუალებას ხმარობდნენ, მაგრამ უქმ იქმნა ყველა ღონე და მკურნალთა ხელოვნება: საქართველოს მეფეთა მეფე, სახიერებითა და ძლევიტ შემოსილი თამარი დღითიდღე ილეოდა, საქართველოს ნელ-ნელა ეცლებოდა ხელიდან თავისი დიდებისა და მშვენიერების გვირგვინი.

ამ განსაცდელმა გაახსენა დიდებულებს და, ყველაზე უწინარეს, მემკვიდრე უფლისწულს, მკურნალთა შორის პირველი, თამარის ექიმყოფილი და აწ ბერად საღმე აღკვეცილი ჩაღხია ფხოველი. ათაბაგმა პირველად შორს დაიპირა მემზობნეთა მეთაურისა და „შმაკეულის“ მოყვანა თამარის სამკურნალოდ. მაგრამ, როცა დიდებულეებმა დედოფლის განკურნების ყოველი იმედი წარიშორეს და მთელი ნუგეში

ლოცვით ღამისთევასა და ლიტანიობაზე დაამყარეს, მაშინ კი ველარ აღუდგნენ წინ უფლისწულის დაჯინებას.

ლაშარმა შალვა ახალციხელი და თურმან თორელი იხალა, მცირე ამალით ფშავში ავიდა და ლაშარის ხატის ხევისბერს ჩაღხიას გამოეცხადა.

დიდად დაუმძიმდა ფხოველს სასახლეში წასვლა, მაგრამ თამარისადმი სასოება და კრძალვა გულში კიდევ უცვლელად შენახოდა და დედის უიმედო მდგომარეობით შეურყეველ საყვარელ აღზრდილს უყოყმანოდ გაჰყვა. თბილისში რომ დაბრუნდნენ, უკვე გვიან იყო.

მეფის პალატაში შესული ფხოველი პირველი შეზღვევისთანავე მიხვდა, რომ მისი მეცნიერება უძლური იქნებოდა სნეულის სხეულში უკვე დასადგურებული სიკვდილის წინააღმდეგ საბრძოლველად. აჯანყებულთა ყოფილი მეთაური მუხლზე დაეარდა და მომავლადეი მეფისაგან შენდობა ითხოვა.

— შეგინდოს უფალმა, — წაიჩურჩულა თამარმა და სანთელივით გაყვითლებული ხელით პირქვედაშხობილი ფხოველისათვის ჯვრის გადასახვა სცადა.

უღონო ხელი აღარ აჰყვა დედოფლის ნებას და მოქრილივით დაეცა ლოგინზევე.

მაშინ თამარმა გაფითრებულ ლაშასა და ატირებულ რუსუდანს ახლო მისვლა ანიშნა.

შენდობილი, უღონოქმნილი მკურნალი ლასლასით გამოვიდა მეფის სასვენებელი პალატიდან.

იმ წუთსავე დიდებულები ეახლნენ მომაკვლავ გვირგვინოსანს. თამარმა ანდერძი ბრძანა, ეზიარა და მიიძინა.

ფხოველს მეფის დამარხვამდეც არ დაუცდია, სასახლე იმ დღესვე დატოვა და ლაშარის ხატს მიაშურა.

— არა, არ მიძინავს, ფიქრს რასმე ვფიქრობ.

— მაინც რას ფიქრობ, ფხოველო?

— რაღლი ვყარე და ვარსკვლავი ვჩხრიკე, შფოთიანი მეფობაელის ჩვენს ხელშია.

— მაგაზე მეტად ვერაფრით გააზარებ ჩვენს მეფეს, შფოთსა და მოუსვენარ ცხოვრებას არა ურჩევნია რა.

— მერე რატომ ომისა და სახელისკენ არ მიუწევს გული?

— გული კი მიუწევს, მაგრამ ძალა არ მოსდევს.

— ეგ როგორ?!

— არ იცი? თამარის სიცოცხლეშივე ივანე მხარგრძელმა მიიღო ამირსპარსალარობის ნიჭი და ათაბაგობაც მიიჩემა. ამით წაართვა მეგვიდრეს ყოველი მეუფება ლაშქარსა და ხალხზე და სამეფოს მართება-განსაგებელს ჩამოაშორა, ხოლო ათაბაგი თავის სახელსა და ქონებას უფრთხილდება და ომი და ლაშქრობა აღარ სურს.

— საკვირველ არიან საქმენი ათაბაგისანი. თავად უებრო მოლაშქრე და მეომარი მოუთხოვრებელი, ვით არჩევს მშვიდობასა და განსვენებას?!

— აგრე მოახსენა მეფენა და დარბაზს ათაბაგმა, არცა მშვილდი თავს იღებსო მარადის გარდაცმულობას, არცა ძალი ორღანოსა მარადის განსხიულობასა, რამეთუ ეამსა ხმარებისასა მათისასა თვითველი მათი უხმარ იპოისო.

— არა ასმენია მხარგრძელს, რომ ქვესა მდებარესა ხავსი მოედების, ხოლო ხმალსა უხმარსა ეანგი მოეკიდების?! სამეფო და ერი საქართველოსი ომსა და შტრის რბევას არის ნაჩვევი, ომითა და შტრის მორევით არის გარდაარეული სიმდიდრე და ყოველი მონაგები ჩვენი სამეფოსი. ხოლო ოდეს ხმალის ქარქაშსა ეგოს, მაშინ იწყოს კლებად სიმდიდრემ და საქონელმა და არღარა მოცემად ხარკისა მოხარკეთა. არა წეს არს დაჩვევა დაუჩვევლისა და გარდაჩვევა დაჩვეულსა.

— ჩაღხია, კძინავს? — გასტეხა სიჩუმე ახალციხელმა.

კიბეზე ლაშა შემოდგა ფეხაკრეფათ. წაწლითან წოლით გამოთავებულს ვაფთარებელი სახე მთვიარის შუქზე მთლად გაკრეცოდა. ფხოველისა და ახალციხელის საუბარი მოესმა, იქვე კიბეზე ჩამოჯდა და სულგანაბლმა ყური მიუვლო.

— ვერე სჯის ათაბაგი, — განაგრძობდა შალვა, — დასაველეთსა და აღმოსაველეთში წინააღმდეგომი აღარავინ ჰყავს საქართველოს სამეფოს, დრო არი მოვისთვლოთ ხმლით მოგებული და ესკამით ნაყოფი ჩვენი ძლიერებისაო. მუზობლების რბევასა და შორეულ ლაშქრობას დავეხსნათ, მივიღოთ ხარკი აურაცხელი და ვიცხოვროთ განსვენებითო.

— მერე რომელი მტერი მივიშვებს განცხრომად და განსვენებად ან რომელი მოხარკე მოიღებს ხარკსა, ოდეს კილად მიცემას ნახავს ბუმბერაზთა ამა სამეფოისა.

— მიუდგომელი კიბეები და სათვალთვალოები უნდა ვაშენოთ საზღვრებსა და გზებზე, რათა მტერმა ვერ შეძლოს უგრძნობლად თავდასხმაო.

— თითქმის დედამიწის ზურგი დამავლია, შალვა, დასაველეთი და აღმოსაველეთი. ძლიერსა და ამაღლებულ სამეფოში კიბე-სიმაგრე არსად მინახავს, რადგან ძლიერი და ძლევაშოსილი თვითონ ესხმის მტერს თავს. ზოლო სუსტსა და უღონო სამეფოებში აურაცხელი ციხე-კოშკი დგას, მაგრამ მძლავრი მტრის შემოსევისას ეს კიბე-კოშკები ვერასოდეს აჩერებენ და ქვეყანას ნგრევისა და ოხრებისაგან ვერ შევლიან.

— ამასაც ამბობს მხარგრძელი, ცოტანი ვართო ქართველები, ირგვლოვ ურიცხვი ურჯულონი გვახვევიანო. ჩვენს ხალხს ახლა უფრო მშვიდობიანი ცხოვრება და მოდგმის გამრავლება სჭირია, რათა დაპყრობილი ქვეყნები ქრისტეს რჯულისა და ქართველობის გავრცელებით შემოვიმტკიცოთო.

— არცთუ ცოტანი არიან, ამჟამად, ქართველები, მას შემდეგ, რაც სომხეთი ჩვენთან არის, რაც მთის ტომები

ჩვენს მორჩილებასა და მეგობრობაზე დგანან. ტრაპიზონის იმპერია ჩვენი ხელის შემყურეა, ზოლო შიშვანისა და აღარაბადაგანი, ხლათი და არზრუმი ჩვენი მოხარკენი არიან, ცოტა აღარ ეთქმის საქართველოს. უმცირესი იყო ალექსანდრე მაკედონელის სამშობლო, მაგრამ უდიდესი ქვეყნები დაიპყრო ამაღლებული სიბრძნითა და მახვილის ძალით, თავის თანამემამულეთა ერთნებაობითა და თანადგომით. ვერცეა შემძლებელ იქნების მეფე ჩვენი საქმეთა დიდთა და საზღაპროთა, უკეთუ შეჰკრავს ერთ ნებად და ერთ ფიქრად ყოველსა ნათესაეთა ქართველთა და მომდგომთა მისთა, მეზობელთა და მოხარკეთა აზრითა მადლითა და საწაღელითა უკეთესითა.

— ვითარ იქმს მეფე ჩვენი ეგოდენ დიდთა და მნიშვნელოვან საქმეთა! არა აქვს ხელმწიფება თვითნიერ ტახტისა და გვირგვინისა. სამეფოს მთავარი და ყოველთა უპირატესად ათაბაგი, ხელმწიფის უმეტესად არიან განდიდებულნი და არ მორჩილებენ მეფას სიტყვასა და ნებას.

— ურჩინი საბოლოოდ დამორჩილებიან ძლიერთა და მძლავრი სძლეეს წინააღმდეგომს ყოველსა. ვგონებ, რომ ჩემს აღზრდილს ლაშას შესწევს ძალა მეფობის განუყოფლად პყრობისა. და თუ ლაშქრით არ არი ძლიერი ლაშა, ესეც იცოდე, მეფეთათვის ძლიერ და აურაცხელ ლაშქარზე უმაჯობესი ძლიერი გონება და ცხოველი აზრია.

ორივენი დადუმდნენ და კვლავ თავთავის ფიქრს გაჰყენენ.

სმენადქცეული მეფე ხარბად იბეჭდავდა გულზე ყოველ სიტყვას მის წაღალ მოწოდებასა და დანიშნულებაზე.

— რაც ამირსპასალარობა ხელთ იდგა და ათაბაგობაც დაიჩემა, — განაგრძობდა ისევე ახალციხელმა, — მხარგრძელმა ყველა სავაზირო და სახელო თავის ნათესავებსა და ერთგულ კაცებს მიუბოძა. მწიგნობართუხუცესს ვაზიროთუპირველესობა ჩამოართვა და საქმეთაგან განაყენა.

— სამეფოსთვის უდიდესი უბედურება ის არის, როცა ერთ კაცს ხელთ უდებენ ათ სახელოს, ხოლო ათ კაცს არცერთს ნიჭს არ აღიარებენ ბოძებად. თამარის სწეულებისა და უძლეურებას დროს შეძლო მხარგრძელმა სხვა ვაზირთაგან ესოდენ უფლების შიტაცება და აწ უკვე ძნელია მის ხელთაგან ძალა-უფლების უკანვე მობრუნება.

— შენი გონივრული რჩევა და ერთგული თანადგომა ძვირად უღირს ჰაბუკ მეფეს. ვგონებ, რომ არც შენ იქნები დიდებულთა და დიდგვარიანთა წინააღმდეგ მეფის ბრძოლაში განზე დგომა და სერიის ყურების მომხრე. იპყარ მწიგნობართუხუცესის საეაზირო და აღამალე და გააძლიერე ვაზირთუპირველესობა, როგორც ეს იყო დიდი დავითის მეფობის ეამს, ნეტარი კუონდოდელის, გიორგის დროს.

— გული აღარ შითქვამს პალატებში ცხოვრებად და არც ღონე მრმდევს ამა ქვეყნის ძლიერთა წინააღმდეგ ბრძოლა-აღმატებელი დიდებაც ბევრი მინახეს, უდიდარი დამცრობაც. წესებთ შეზღუდული სასახლეს ბრწყინვალე ცხოვრებაც ისევე მომბეზრდა, როგორც შურთან ადამიანებთან ურთიერთობას რთული ხლართების რღვევა და სულმუდამ კურდღელივით ფხიზელი ძილი. მე ჩემს ხალხს დავუბრუნდი და ისე შევეჩვიე მათ მარტოვას და სადა ცხოვრებას, მათ პირველქმინილ უბრალოებაა და გულუბუცილობას, რომ აღარ შემოძლია ფშაური ტალავარის გაეკლა არათუ ვაზირის სამოსელზე, მეფის პორფირზეც კი. მეფეთა სიახლოვის სიმწარე ადრე ვიწვნიე და ეს ვიწამე: გონიერ მეფეს ბრძენთა ირგვლივ შემოკრება მართებს, ხოლო ბრძენს — მეფეთაგან სიშორე. მეფეთაგან უკეთესი იგია, ვინც ბრძენთა შორის ტრიალებს, ხოლო ბრძენთაგან უარესი ის არის, ვინც სულ მეფეს კარზე ტრიალებს ერთთავად. ჩემს ხანში შენც მიხედები, რომ ფუფუნება და კეთილდღეობა არ ახარებს ადამიანს, საზრუნავს უმატებს და ლალი ცხოვრებისათვის ფრთებს უკვეცავს. მე ახლა

ღარიბი და უქონელი ვარ, მაგრამ მუწასთან ახლო ვარ და ამით ცხად აღუღლად ვწვდები, დაბალ ხანსაც ვიწვდები ვარ, მაგრამ მაღალს უკეთ ვაწვდავ, საზრუნავი ნაკლები მაქვს, მაგრამ ფრთები დიდი და ძლიერი.

— ნეტავი შენ, ფხოველი! — აღმოხდა გულწრფელად ახალციხელს, ერთი გაიზმორა, კედლისკენ გადაბრუნდა და რულმორეული თვალები მჩხუტა.

— ნეტავი შენც! — გაიმეორა გულში ლაშამ, კიბე ფრთხილად, ფეხაკრეთით აიარა, ლოგინთან მივიდა, გაიხადა და ამდენი შთაბეჭდილებისა და მღელვარე განცდებისაგან დაქანცულს, მაშინვე ჩაქძინა.



მეორე დღეს მზე კარგა შემალღებული იყო, მეფე და მისი ამაღა რომ დაიძრნენ. ქეთევანმა გულში ჩაიკრა და სიხარულისა თუ სინანულის ცრემლით გააცილა თავისი ერთადერთი ვაჟაკი, რომელიც იმ დღიდან პირველად შორდებოდა დედას და პირველად დგამდა ფეხს სახელისა და დიდების, თუ განსაცდელისა და ხიფათის გზაზე.

ლილე ლაშარის გორიდან გაჟურებადა მწყობრის თავში მიმავალ ჰაბუკ მეფეს. გრძნობდა, რომ მარტო თვალი კი არა, გულიც იმ ლურჯაზე ამხედრებულ ჰაბუკ მეფეს მისდევდა, რომლის ბრწყინვალეობამაც ასე მოხიბლა და რომლის ფიქრმაც თავის ახალ მოწიფელობაში წუხელ პირველად გაათენებინა თეთრად ლამე.

მეფის ამაღას უამრავი ხალხი ადევნებოდა ცხენდაცხენ და ქვეითად. ლაშარის სადიდებელი სიმღერით მიაცილებდნენ მთიელები ჰაბუკ მეფეს და მთებით დაბნულ ხეობაში ქუხილივით ისმოდა ფხოველი ვაჟაკების გუგუნე:

ლაშარელის ლურჯასა ფაფარი სხავის  
 გიშრისა,  
 შაჯდება, გაემართება, კოტარ გაჟურება  
 ნისლისა,  
 თავის ყმათ მიეშველება, ხან რომ არ იყვნეს  
 მისვლისა.



## თავი მეორე

## მეფის აღმზრდელი



მცირედს დაჯერება უღონო კაცთა წესა... ვისაც დიდობის სნაქთა ჯდომა უნდა, დიდ შემოსავალს უნდა ეცადოს, და ვისაც თვისის თავის ამალუება და გვირგვინის ნობა ნებაეს, საცადელის ზოსტერი უნდა წელთ შემოირტყას.

ქილია და დამანა.

მეფე და მისი მხლებლები ქალაქში შემოვიდნენ. ქუჩებში და ბანებზე ხალხი გამოსულყო, ხელმწიფესა და მის ბრწყინვალე ამალას ესალმებოდნენ.

ამალის ბოლოში ლხუშ მთავარი მოდიოდა. ტანმოჩილი ცხენი ძლივს მოაბიჯებდა ვეება ტვირთქვეშ. უზარმაზარ ვეკაცს მოკლე უზანგებში ფეხების გაყრა ვერ მოეხერხებინა და თითქმის მიწაზე მიათრევდა. ქალაქელები განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობათ მეფის ამ უცნაურ მხლებელს აკვირდებოდნენ. ბავშვებს ერთი სული ჰქონდათ, უნდოდათ ბრგე ცხენოსნისათვის რამე გამოსაჯავრებელი დაეყვირათ, ან ცხენის საქუესთან ჯოხი შეეჩუჩხურებინათ, მაგრამ უცნობი ცხენოსნის მკაცრ სახესა და ადლიან მათრახს რომ ხედავდნენ, ხმას იკმედდნენ და გზიდან ეცლებოდნენ.



კათალიკოსი წვერს იგლეჯდა, მხარგრძელის დიდ დარბაზში გაბრაზებით გადი-გამოდიოდა და პირიდან ცოფს ჰყრიდა.

გუშინ საღამოსვე იცოდნენ დაწერილებით მხარგრძელმა და კათალიკოსმა ლაშარის ხატში მომხდარი ამბები. კათალიკოსს გულზე ცეცხლი ეკიდებოდა. იგი ჩაბუჯი მეფის მოქმედებას ქრისტეს სარწმუნოების შეურაცხყოფად თვლიდა. ლაშარის ხატში მისი მისვლა, მსხვერპლთშეწირვასა და ხატობაში მისი მონაწილეობა, მეფის მიერ კერპთაყვანისმცემლობის წახალისებად ეჩვენებოდა.

უფრო მეტად კათალიკოსს ლაშარის ხატისათვის მამულების შეწირვა აღშფოთებდა, რადგან ნეტარი თამარის მიცვალების შემდეგ საეკლესიო მამულებს აკლდებოდა, თორემ მეფისაგან აღარაფერი ემატებოდა.

მეფის მიერ ქრისტეს რჯულისადმი აგდებული დამოკიდებულება ერსაც გულს აუყრიდა მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე, ეკლესიის შემოსავალი მოიკლებდა და ხალხის დაბადე ფენებში ჯერ კიდევ ცოცხალი წარმართობა ქალას მოიციმდა, ქრისტიანობას წინ აღუდგებოდა და შეებრძოლებოდა.

კათალიკოსი მტკიცედ იდგა ქრისტეს რჯულზე და ბრძოლისა არ ეშინოდა, მაგრამ წინდახედულმა ეკლესიის მესაქემ კარგად იცოდა, თუ რა დიდ მოკავშირეს იძენდა მეფის სახით ათასჯერ განადგურებული, მაგრამ ფერფლწყაროლი მუგუზალივით ათასჯერ აგიზგიზებული წარმართობა.

ივანე მხარგრძელის საფიქრალი უფრო მწვევე იყო და ხელშესახები.

ახალმა მეფემ პირველმა აქცია ზურგი ათაბაგს, ვარს მისი მმართველობით უქმყოფილო დიდებულები შემოიკრიბა და ყველგან და ყოველთვის მისი აზრისა და რჩევის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა.

ლაშარის ხატში მეფის მისვლასა და ფხოველების მომადლიერებას ივანე სწორედ მისი პოლიტიკის საწინააღმდეგო აშკარა გამოსვლად სთვლიდა, რადგან იცოდა, არც ისე დიდი ხნის წინ, თვითონ ათაბაგმა უხელმძღვანელა მთელთა აჯანყების ჩაქრობას, ამბოხებულ-

თა სანიმუშოდ დასჯასა და გამდგარი მთის ტახტისადმი დამორჩილებას.

დიდმა თამარმა ჯეროვნად დაათვალა ერთგული ათაბაგის სამსახური, წყალობითა და ჯილდოთი ააესო ისედაც უხვად დაჯილდოებული მხარგრძელი, მთელი ქვეყანა ქებას ასხამდა ამირსპასალარის სამხედრო გამჭირიანობასა და იშვიათ მოხერხებას.

შური და ღვარძლი ქვეყნად არასოდეს დაღუპულა და ბოროტი ხითხითაც აღწევდა გამარჯვებული მთავარსარდლის ყურამდე: შალვა ახალციხელი და ცოტნე დადიანი, თორღვა პანელი და ევარყვარე ციხისჯვარელი გესლს ანთხედნენ — იმის მაგივრად, რომ მთიელები მშვიდობიანად შემოერიგებინა და ქართველთა გაერთიანებული ძალით სამეფოს გარეშე მტრები შეემუსრა, მხარგრძელმა თავად ქართველების ხოცვა-ჟლეტაში გამოიჩინა სამხედრო ხელოვნებაო.

ესმოდა ივანეს ბოროტი ენების ნაჩურჩულევი, მაგრამ ყურს არ უგდებდა, რადგან მის მტრებს გულისნადებებს ხმაშალდა გაცხადების ძალა არ შესწევდათ, ხოლო ჩურჩულით ნათქვამთან ბრძოლა არ ღირდა.

მაგრამ აღესრულა თამარი და ტახტზე გიორგი-ლავას ასვლით ყველაფერი გამოიცივალა. მეფემ თავისი აღმზრდელი და ქვეყნის მეთაური განიყენა, მისი აშკარა მტრები დაიახლოვა და მრჩევლებად გაიხადა.

ბავშვობიდან ჯიუტი და თავნება იყო ლაშა, დედისა და მამის ნებიერი უფლისწული პატარობითვე მიჩვეული იყო აჩემებულის გატანას, სხვისი აზრისა და სურვილისათვის ანგარიშგაუწევლობას. თუ ვისმე ერთხელ მაინც შეხედავდა ცუდი თვლით, შერე იმაზე გულს ვეღარ მოიბრუნებდა, მაგრამ თუ ვისმე შეენდობოდა, სავსე გულით იცოდა ნდობა და სიყვარული.

ჯერ კიდევ ხუთი წლისა იყო უფლისწული, გეგუთში სახამთროდ გადასულ თამარს რომ ეახლა ივანე.

ბაღს დავით სოსლანი ეთამაშებო-

და: თამარის თანამეცხედრე, საქართველოს მეფე ოთხზე დამდგარიყო, ზურგზე ხელმათრახიანი ლაშა შეეცხვ და ცხენით დაარბენინებდა ამრდენა ვაჟაკი.

მხარგრძელი რომ დაინახა, შერცხვა სოსლანს, წამოდგა, ბავშვი ხელთ აიყვანა და მსახურთუხუცესს მიეგება.

უფლისწულმა, ეტყობა, თამარის შეწყვეტის მიზეზად ნაჭრევეებით სახედანახული სტუმარი ჩათვალა, წამით დააკერდა და უეცრად წვერში სწვდა. გამეტებით დასწია ყრმამ წვერში მხარგრძელს და შეუღრეკელი ვაჟაკი შეატორტმანა.

სოსლანს ფერი ეცვალა, ბავშვის მოშორება სცადა, მაგრამ ორივე ხელთ ჩაფრენილმა ტახტის პატარა მემკვიდრემ კიდევ უფრო შეუბრალებლად დასწია წვერში მხარგრძელს.

თვალზე სიმწრის ცრემლი მოადვა გოლიათ ვაზირს — შამქორის, ბასიანისა და ნიაღვს მძიმე ბრძოლებში არ დასდგომია ივანეს მსგავსი გაჭირვება. იდგა უგუნური ყრმის მიერ შეურაცხყოფილი დარბაისელი, ბრაზით გული უსკდებოდა, მზად იყო ეტირა და ეჩხუბა, მაგრამ თავს სძლევდა და გაღიმებას ცდილობდა. ტყვილისა და შეკავებული მრისხანებისაგან შეშლილ სახეზე სიხარულის ნიღაბი ვერ ჩერდებოდა და მხარგრძელი უხერხულად ასავსავებდა ხელებს.

როგორც იყო, სოსლანმა მხარგრძელს ბაღი ააგლიჯა. ჯიუტმა ლაშამ ტირილი შორათო, ივანესკენ იწევდა და კვლავ მისი წვერის ჩაბლუჯვას ლამობდა.

ბავშვის ტირილზე გამზრდელები მოცივდნენ, მეფეს უფლისწული ჩამოართვეს და დარბაზიდან ტირილისგან გადაბეირებული გაიყვანეს.

ივანე დაბუტულ წვერს ისწორებდა და შემფოთებულ სოსლანს ამშვილებდა, არაფერია, ყრმა უფლისწულს ყოველივე უპატიებაო.

ამსობაში თამარიც შემობრძანდა. მომხდარი ამბით შეწუხდა, ვაზირი გვერდით დაისვა და ნებიერი შვილის მაგივრად მოუბოდიშა. თამარის თვალთა პირველ გამოხედვაზევე დადნა წყე-

ნისა და ტენის ყინული. მხარგრძელმა სადღაც, გულის რომელიღაც ფარულ კუნჭულში ბედნიერების მოზღვაება იგრძნო და სახე სიხარულით გაებადრა.

მარცხ რა ჯადო ჰქონდა იმ განათლებულს? მისი ერთი გამოხედვა ან ხმის გაგონება მაღამოდ ეღვრებოდა გულში ამ ბუნებით მკაცრსა და სასტიკ ვაჟეაყს. და თავადაც არ იცოდა, რად ხდებოდა ასე, რა იყო მიზეზი ამ უსაზღვრო ერთგულებისა და თავყანისკემისა.

სიყვარული?

ვინ რის, ეგებ სიყვარულიც, მაგრამ ივანე თავის თავსაც არ ენდობოდა ამის გამხელაში, რადგან ასე ახლობელსა და მწყალობელ თამარს, მუდამ შორეულად და მიუწვდომლად სახავდა.

თამარმა მიმზიდველ საუბარში ჩაითრია მხარგრძელი. გატაცებული ვაჟეაყცი, თითქოს მყარს ველარ გრძნობდა ფეხქვეშ, ფრთაშესხმული, ოცნებით სადღაც მაღლა დაფრინავდა და სახიერს პირდაპირ ცქერას ვერ უბედავდა, ისე ლაპარაკობდა თავდაბრილი.

სოსლანს ისევ ბავშვის ტირილი ჩაესმა, გულმა ველარ გაუძლო, ბოდიშას მოუხდელად წამოდგა და შეილის მოაძებნად გაეარდა.

ივანეს არ მოეწონა დავითის ამჩატიება, მიმავალს ქვეშექვეშ გახედა, მაგრამ არაფერი უთქვამს, მხოლოდ თითები აუთამაშდა მღელვარებისაგან სკამის სახელურზე.

თამარმა ღიმილით გააყურა თვალი შეილის სიყვარულით გაგვიებულ მეუღლეს და წყნარ, მომზიბლავი ხმით თქვა:

— ჰქვას კარგავს უფლისწულისთვის ბატონი მეფე, მისი ერთი წამოტარება თავსაც ავიწყებს და ქვეყანასაც.

ივანეს ენაზე ჰქონდა სათქმელი მომდგარი — ასე რცან დაგვიანებით, მომცხოვნების ეამს გაჩენილი შეილების მამებმაო, მაგრამ დაიდუმა და ოდნავ გასაგონი, თამარისთვის შეუმჩნეველი ოხერა აღმოხდა.

ბევრი დრო გავიდა უფლისწულთან უსიამოვნო შეხვედრის დღიდან. ლაშა

მუდამღლე მხარგრძელს თვალწინ ტრიალებდა. შემდეგ, როცა ცოტა შამოიჩიტა, მეფეებმა სულაც მას მიუბარეს მემკვიდრე აღსაზრდელად, მაგრამ ვერ იქნა და კერპ უფლისწულს თავი ვერ შეაყვარა მეფის ერთგულმა მსახურმა. ვერც მოფერებითა და გართობით, ვერც საჩუქრებითა და განებიერებით ტახტის მემკვიდრის გული ვერ მოინადირა.

რაც უფრო ასაკში შედიოდა უფლისწული, მით უფრო აგდებულად ეკიდებოდა აღმზრდელს. გარეგნულად თითქოს თავაზიანობას იჩენდა, მაგრამ ამ თავაზიანობაშიც ნაძალადეობა გამოსჭვროდა და ივანე გულისტკივილით შეპყრებდა თავისი დიდი ამაგის დაუფასებლობას.

ბოლოს, როცა თვითონ ვერ მოიგო ტახტის მემკვიდრის გული, მთელი იმედი თავის უტურტეს ასულზე — თამაზე გადაიტანა.

რა აყლდა ივანე მხარგრძელს თამარის კარზე! სახელმწიფოს პირველი კაცი, თითქმის უგვირგვინო მეფე იყო! იქნებ სწორედ ეს უგვირგვინობა აწუხებდა უსაზღვროდ განდიდებულ კარისკაცს.

თვითონ რომ ვერ შეჰბედა თამარს გვირგვინს, ახლა თავისი ქალს თამთას სილამაზემ აღუძრა გულში იმედი. თამთას გარეგნობა და გონიერება, კეთილი ქცევა და მეფის ღირსი აღზრდა, მამის სმდიდრესა და ძალასთან ერთად, ნუთუ საკმაო არ უნდა ყოფილიყო, რომ ბაგრატიონთა დედოფლის გვირგვინს მხარგრძელთა ასულის ლამაზი თავი დაემშვენებინა?!

ერთად იზრდებოდნენ თამთა და ლაშა. ძალზე უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ ეს გრძნობა არ ჰგავდა იმ სიყვარულს, რომლის იმედიც მხარგრძელს ჰქონდა.

ანებიერებდა და ათამამებდა უფლისწულს აღმზრდელი, არაფერს, ზომახე გადასულსაც არ უშლიდა, რომ მიაი გული მოეგო და თავი შეეყვარებინა. და აკი ამ აღვირის მიშვებამ დაუმსხვრია ეს

ერთი ოცნებაც: ადრე დაქვრივებულ ივანეს მეორე ცოლი ჰყავდა და ერთ მშვენიერ დღეს საწოლ ოთახში წაადგა მხარგრძელი უფლისწულს მეტად საეკვო გარემოებაში.

მხარგრძელის ახალგაზრდა, ცოლის უზნეობასა და თავაშვებულებაზე ბევრს ლაპარაკობდნენ და ზოგი რამ ივანეს ყურსამღეც მიდიოდა. ივანე ზოგს ითმენდა და ზოგს არ იჯერებდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ამბავმა თავზარი დასცა: ცოლის სულმდებლობა და ბრწყინვალე იმედის დამსხვრევა ერთდროულად ირწმუნა.

ცხელ გულზე კინაღამ უფლისწული შემოაცვდა, მაგრამ გონს დროზე მოეგო, თავს ძალა დაატანა და უვნებლად გაუშვა. მერე, ის იყო, ცოლს გამოუდგა მოსაკლავად, მაგრამ შვილები და მსახურები რომ შემოესივნენ, კვლავ გონებას დამორჩილდა, საქვეყნოდ გამოქვენებასა და თავის მოჭრას ისევ გაჩუმება და ჯავრის გულში ჩაეკლა არჩია.

იმ დღიდან გული გაუტყდა ადამიანებზე მხარგრძელს, პატიოსნებას ექვს თვალით დაუწყო ცქერა და წმიდათა წმიდის იქით მზაკვრობისა და უწმიდურების დანახვას ცდილობდა.

უფლისწულს მხარგრძელისას აღარ დაედგომებოდა და მოხერხებულად ვადამარგდა სასახლეში: ვითომ ნადირობიდან შეიარა მეფეების სანახავად, მშობლებს მიესიყვარულა და ისე მოიქცა, რომ თავად გაგიყვით მოყვარულ მამას — დავით სოსლანს ათხოვნინა მშობლებთან დარჩენა.

პირველ ხანად დარცხვენილი ტახტის მემკვიდრე ხეირიანად თვალს ვერ უსწორებდა მისგან უკიდურესად შეურაცხყოფილ გამზრდელს. კვიანამა კარისკაცმა ჯავრი გულში ჩაიხვია, გარეგნულად არაფერს იმჩნევდა, ჩუმად კი ნიჟარა იმის ფიქრსა და საგონებელში იყო, თუ როგორ გადაეღობა გზა ტახტისაკენ ლაშა-გიორგისათვის.

ამ საგონებელმა მისი ფიქრი პირველადვე მეფის ქალზე — რუსუდანზე შეაჩერა.

თამარის ასული რუსუდანი თამარის ტოლი იყო, ისიც მასავით კოხტა და სახიერი, მაგრამ ისიც ლაშავალით თქვენება და ნებეირი.

მხარგრძელს ვაჟიც ჰყავდა, პირმშო, ლაშაზე უმცროსი — ავაგი. პატარობიდან ავადმყოფობით დაჩაგრული ავაგი სუსტი და დონდლო იზრდებოდა. ტოლებში თამაშობასა და გართობას ერიდებოდა და ამხანაგებს რომ მასხარად აღება არ შეეხებდათ, ტოლებში მიუყარებლობასა და მედიდურებას იჩენდა.

ივანე ხედავდა, რომ მისი მემკვიდრე სამამაცო ნიქთა მქონე არ იყო, მაგრამ მაინც იმედს არ კარგავდა, საგანგებოდ ავარჯიშებდა ხმალსა და ცხენოსნობაში, რბენასა და ხტომაში, ცურვასა და მობურთალობაში.

შეწუხებული ავაგი, როგორც დროს იშოვიდა, ლოგინისაკენ მიზნობდა, ავადმყოფობას იგონებდა და მთელი კვირით ბუმბულზე კოტრიალობდა.

სამაგიეროდ, ხარბი და ვეცხლისმოყვარე იყო პატარა მხარგრძელი და, თუმცა არც ეს თვისება მოსწონდა რაინდობით განთქმულ ივანეს, მაინც სჯეროდა, რომ მისი შვილი თანდათან ზნესაც გამოიცივლიდა და ხასიათსაც.

ლაშასაგან იმედგაცრუებული ივანე ერთხანს რუსუდანს შესცქეროდა ოცნების თვალთ: თუ მხარგრძელის ქალს არ ეღიარსა საქართველოს დედოფლობა, ეგებ ბაგრატიონის ასული გამბდარიყო მხარგრძელთა რძალი და შემდეგ, ვინ იცის, როგორ დატრიალდებოდა ჩარხა. ეგებ ბედს ლაშას და ისევ სასახლეში მოეპოვნებინა და დედის ტახტზე აეყვანა ათაბაგის რძალი!

მხარგრძელის ამ იმედსაც არ ეწერა ფრთების გაშლა. პირველი ავაგი ქალშვილებსაც ისევე აბეზრებდა თავს, როგორც ქაბუყებს, და ქალებსაც ისევე სასაცილოდ ჰყავდათ აღებულო, რაგორც ტოლ ვაჟებს.

რაც ასაკში შედიოდა მეფის ასული რუსუდანი, მძულვარებით იმსკვალებოდა ამ უქნარა ამპარტავნისადმი, ხოლო თვითონ ავაგი ქალთმოშიში ხდებოდა

და ახლო არ ეკარებოდა თავისი დის ტოლ-ამხანაგებს.

რაკი მხარგრძელმა ბაგრატიონთა ტახტზე ოცნებისაგან ხელი აიღო, მეტი რაღა დაჩვენოდა, თავის მღვთმარეობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაზე უნდა ეზრუნა და მისი ფიჭვი ისევ რუსულადაა ჩერდებოდა.

რუსულანს ალალი მამასავით უყვარდა თავისი გამზრდელი, ივანეც არაფერს იშურებდა, რომ მისი გული უფრო მოეგო და კიდევ მეტად მიეახლოებინა მეფის ასული.

რუსულანიც მეფის შვილი იყო და რაკი სამეფოს პირველი დიდებული ლაშასაგან კარგს არაფერს ელოდა, მას რუსულანის მომავალზე უნდა ეზრუნა, რომ ჭვეყნის მართვის საჭე ხელიდან არ გაეპარებოდა.

ლაშა ტახტის კანონიერი და უცილო მემკვიდრე, მეფის პირშეო იყო. თამარმა იგი სრცოცხლუშივე თავის თანამოსაყდრედ გამოაცხადა. ტახტის მემკვიდრეს ყველა მეფური თვისება და ზნე ჰქონდა, ახოვანება და ჯანმრთელობაც არ აკლდა, ისე რომ ივანეს მხოლოდ ბედნიერ შემთხვევაზე უხვად ეოცნება და, რადგან ხიფათისა და შემთხვევისაგან, მეფეების ჩათვლით, არც ერთი მოკვდავი არ არის ამ ჭვეყნად დაზღვეულ, ათაბაგიც სწორედ ასეთ შემთხვევას უცდიდა.

შემთხვევა, თუ ხიფათი კი იგვიანებდა. მხარგრძელს წლები ემატებოდა და სიბერე უახლოვდებოდა, ახალგაზრდა მეფე დლითი დღე ძლიერდებოდა და ტახტზე მტკიცდებოდა.

ივანეს მტრები მრავლდებოდნენ, მეფის გარშემო ირახმებოდნენ და უკუ ამკარა გამოსვლასაც აღარ ერიდებოდნენ ათაბაგის წინააღმდეგ.

ხელავდა ივანე, როგორც ცდილობდა მტერი მეფე მის დამცობასა და სახელმწიფოს საჭისაგან განყენებას, ჩუმად, უღრტვიველად იტანდა მეფისაგან შეურაცხებას და ფარულად გადამწყვეტი შეტაკებისათვის ემზადებოდა.

იყოღა ჭვეყანმა ათაბაგმა, რომ მე-

ფესთან განხეთქილების შემთხვევაში მისი განაპირება სასახლიდან იძულებული წასვლით არ გათვალდებოდა და მტრები და მოშურნეები შეეფეს მის მამულებსა და უზომო სიმდიდრეზეც აღძრავდნენ ხელსაყოფად.

ჯიუტი იყო ლაშა, მაგრამ როგორც ფუფუნებასა და ნებივრობაში გაზრდილ ყველა მმართველს, მასაც ნებისყოფა დიდხანს არ ყოფნიდა და განსაცდელში უეცარი წამოჩოქება იყოღა.

თავის სიმართლესა და გამარჯვებაში დარწმუნებული ივანე ათაბაგი მოთმინებით ელოდა გადამწყვეტ ბრძოლას.

ამიტომ ახლა დინჯად იყო და თუმცა კათალიკოსზე მეტ შეურაცხყოფას გრძნობდა, გარეგნულად დიდ აღელვებას არ იჩენდა.

იჯდა სავარძლის ზურგზე მისვენებული, ოდნავ მოჭუტული თვალებით სადღაც შორს რხედებოდა და სახეზე დამციანავი ღიმილის შუქი უთამაშებდა. კათალიკოსი ბრღვენივდა.

ლაშარის ხატში მეფის მთელი ნამოქმედარა ივანეს გაზვიადებულად ათჯერ წინ დაულაგა, მაგრამ ათაბაგი მაინც ვერ აღაშფოთა და წონასწორობიდან ვერ გამოიყვანა. ბოლოს უკანასკნელი საბუთი მოიშველია და პატივმოყვარე მხარგრძელს გესლი ჩააწვეთა:

— არ მინდოდა მეტყვა, რუსთველის ლექსი საქვეყნოდ უმღერიათ, უხარხარიათ და ხალხიც უციინებიათ!

ივანეს სახე შეეცვალა და, თუმცა თავის შეკავება სცადა, აღელვება მაინც ვერ დაფარა.

— რომელი რუსთველის ლექსი?

იყოღა ათაბაგმა, რომელ ლექსზეც იყო ლაპარაკი, მაგრამ არ იმჩნევდა და განგებ ისე იკითხა, ვითომ მისთვის სულ ერთი ყოფილიყოს, ვისი ან რა ლექსი ემღერათ.

— ვმ! რომელი რუსთველის ლექსიო! — მწარედ ჩაიღიმა კათალიკოსმა — მესხი მელექისი, ჭრისტესაგან შეჩვენებული შოთას ლექსი უმღერიათ:



მთაში აიჭრა მხარგრძელი, თვალთიან რისხვის  
 მთოველი,  
 დახოცა, შეზზე ააგო ქალი და ბავშვი ფხოველა,  
 შიშით ჰკრთის ქართლი, კახეთი, ლიხთიმურეთი.  
 ყოველი:  
 ვაჰ, თუ ჰქეთაც მობრუნდეს, უკეთესს არც წეენ  
 მოველიათ.

წამღერებით, მკაფიოდ თქვა ლექსი  
 კათალიკოსმა, დაამთავრა და ათაბაგს  
 შეხედა: ივანეს მრისხანებისაგან სახეზე  
 მგლის ფერი დასდებოდა და თმა-წვერი  
 აწლოდა.

კათალიკოსმა ენაზე იკბინა. ერჩია,  
 მიწა გასკდომოდა და ივანესთვის არ  
 გაეგებინებინა, რომ ეს უმსგავსი ლექსი  
 მანაც, სრულად საქართველოს ეკლე-  
 სიის მეთაურმაც იცოდა.

ივანეს პირველად როდი ესმოდა  
 რუსთველის ლექსი, მაგრამ ახლა უფრო  
 იმან აღაშფოთა, რომ იგი კათალიკოსის  
 ბავეთაგან მოისმინა. როგორ ყოფილა  
 გავრცელებული მესხი მელექსის ეს  
 უხამსობა, თუკი იგი უწმინდესი ტაძრის  
 ყველაზე მღალსა და ლაზლანდარობი-  
 სათვის მუდამ კარდახშულ სფეროშიაც  
 კი შეღწეულა!

გაბრაზებისაგან აცახტახებულმა ივა-  
 ნემ არ იცოდა, ვის ან რას დატაკებოდა.  
 ხელში ქაშანურის ძვირფასი ფიალა მო-  
 ჰყვა, კედელს შეანარცხა და ფეხზე წა-  
 მოვარდა.

უცებ ბალხის გუგუნე და დაფდაფე-  
 ბის ხმა გაისმა.

ივანე გამოერკვა, სარკმელთან მიიქ-  
 რა და კოზიმიტი გადასწია.

სიმღერით მოდიოდა მეფე და მისი  
 ამალა:

ლაშარელის ლურჯისა  
 ფაფარი სხავის გიშრისა,  
 შაჯდება, გაემართება,  
 კოტორ გაყეება ნისლისგან, **საქართველოს მწერთა კავშირი**  
 თავის უმთ მიეშველება,  
 ხან რომ არ იყოს მისვლისა...

ათაბაგის სასახლეს რომ გაუსწორდ-  
 ნენ, ახალციხელმა თორღვა პანკელს  
 მხარი გაჰკრა და გადაულაპარკა:

— მეფეზე დიდი და ბრწყინვალე სა-  
 სახლე მოიწყო, ან კი რატომ არ მოა-  
 წყობდა, მეფის სახელი-და აკლდა, თო-  
 რემ ძალით მეფესაც აღემატებოდა!

სარკმელთან კათალიკოსიც მვიდა  
 და ფარდის მეორე ყურეს ოდნავ ას-  
 წია.

— აჰა, ივლიანე, მეფე იგი მეკერ-  
 პე! — წართქვა კათალიკოსმა და მრის-  
 ხანე თვალებით გახედა ბრწყინვალე  
 ამაღის თავში მიმაჯალ მეფეს.

ახალციხელისა და პანკელის საუბარს  
 თუ მოჰკრა ყური ლაშამ, იმანაც უნე-  
 ბურად მხარგრძელის სასახლეს ახედა.

მოულოდნელად მეფის თვალი ჯერ  
 ათაბაგის და მერე კათალიკოსის თვალთ  
 შეხვდა.

ორთავემ უცებ ფარდა ჩამოუშვეს და-  
 ნაშაულზე წასწრებულუბივით და სარკ-  
 მელს მოსცილდნენ.

— ივლიანე მეკერპე! — ერთხელ კი-  
 დეე კბილის ღრქიალით წართქვა კათა-  
 ლიკოსმა.

— ხოლო ისარმან ზეცისამან მოკლა  
 იგი! — მრისხანედ, გარკვევით თქვა  
 ათაბაგმა და გოლისნადიგბის მოულოდ-  
 ნელი გამეღანებით შეშფოთებულ კა-  
 თალიკოსს თვალი თვალში გაუყარა.

თავი მესამე

გლზნი სასახლეში

სასახლის გაღვანთან მოეგებნენ მე-  
 ფეს მსახურნი და კარისკაცი.

ლურჯას ავჯანდაში მისწვდა ორი  
 ვაკეკი და მეფე ფოთოლივით მსტბუ-  
 ქად გადმოველო უნაგირს.

მეფის ამალამაც დაიქვეითა და ლაშს  
 მიჰყვა სასახლისკენ.

სასახლის ეზო ფერადი მარმარილო-  
 თი იყო მოფენილი. პირველად სარკესა-  
 ვით გაკრიალებულმა მარმარილოს ფე-  
 ლაქანმა მოსკრა თვალი ლეხუმს. ფეხის  
 გაცურებისა ეშინოდა და ნაბიჯს სიფრ-  
 თხილით ადგამდა პრიალა იატაკზე სია-  
 რულს შეუჩვეველი გლეხი.

სასახლე დიდებული იყო გარედან. მაღალი სვეტები და ლამაზი პორტალები, ერთიმეორეში ჩახლართული ჩუქურთმების რთული ხეეულები და ოქროს ფურცლით დაფარული სახურავი მნახველს უჩვეულო სიმდიდრითა და გემოვნებით ხრბლავდნენ.

შიგნით კიდეც უფრო ლამაზი იყო მეფის სასახლე. გადაჩეული სიმდიდრითა და ბრწყინვალეობით დაბრმავებული მიგრიაული გაოგნებული მიჰყვებოდა მეფის ამაღას.

ფართოსვეტებიან დარბაზთა კედლების მოოქროვილ ფონზე იშვიათი ხელოვნებით შესრულებული მოზაიკა ბრწყინავდა. მოზაიკა თამარის მეფობის სიდიადეს, მისი დროის ძლევაშისილ ომებსა და საქართველოს კეთილდღეობისათვის უმშვენიერესი დედოფლის მუდმივ ზრუნვაზე მოუთხოვდა. მარმარილოს მოზაიკით მოხატული იატაკი კიდეც უფრო გასაოცარი ოსტატობით გადმოსცემდა საქართველოს მკენარეულსა და ცხოველების სამყაროს სიმდიდრესა და ქვეყნის ბუნებრივ სილამაზეს.

ყველაზე მეტად ოქროსა და ვეცხლის ესოდენი სიჭარბე კრიდა თვალს ქალაქში პირველად ჩამოსულს და სასახლეების უნახავ მიგრიაულს: დარბაზთა კედლები თუ ქერი, სვეტები თუ იატაკი, ყველაფერი ოქრო-ვეცხლის ფურცლით დაფარულად ეჩვენებოდა.

წყნარად, მსუბუქად მიაბიჯებდნენ მოფარდაგულზე მეფე და მისი მხლებლები.

ყველა გასასვლელთან, მოსახვევთან და კართან მძიმედ შეპურვილი ბუმბერაზები იდგნენ, მეფის დანახვაზე წელში ჩეცებოდნენ და თავს იატაკამდე ხრიდნენ.

სასტუმრო დარბაზში დაეთხოვენ თანხმლები დიდებულები მეფეს და სხვადასხვა გასასვლელით დარბაზებში გაიფანტნენ.

მეფემ საწოლი პალატებისკენ გაიყოლა ლუხუმი. მსახურებმა მეფეს სასვენებელი პალატის კარი გაუღეს.

ლაშამ კარის მცველად ლუხუმი დაადგინა და არავინ შემოუშვაო, უბრძანა.

უზარმაზარ, ოქროქედილ კართან გაქვავდა ფარშუბდაბლუჯული მიგრიაული.

ქალების კისკისმა გამოარკვია. მოფარდაგულის თავში სამი, ერთიმეორეზე უტურფესი ქალი გამოჩნდა. მათგან ყველაზე ლამაზმა და მდიდრულად მორთულმა დანარჩენი ორი სიცილ-კისკისათ უკან გააბრუნა და თვითონ ასკინკილას ცეკვით და სიმღერით პირდაპირ მეფის საწოლისკენ წამოვიდა.

კარს რომ მოუახლოვდა, შეჩერდა, ეტყობოდა, ელოდა, რომ მცველი კარს გაუღებდა, მაგრამ უძრავად გაშეშებულ გოლიათს რომ შეხედა, წამით შეცბა. თავით ფეხებამდის აათვალიერა, ბოლოს ჭრელ პაპიქებზე დააქცერდა და სიცილი აუტყდა.

გოლიათი შეიშმუნა, ტლანქად შეირყა და შეშფოთებულმა ტალავარზე დაიხედა.

კისკისა ქალიშვილმა სახე ისევ კუშტად შეიკრა, ტუჩი აბზიკა და კარს სახელურისკენ წაიღო ხელი. კარის წინ ლუხუმი აღიმართა და გზა გადაუღობა.

— განზე მიდექ, დათვო! — ზიზლით შეუძახა ქალიშვილმა.

მეფის მცველი, თითქოს არც გაუგონიარო, ზურგიით კარსმიყრდნობილი იდგა და წარბსაც არ ხრიდა მოთმინებადუკარგული ქალის წინაშე.

— გზა მომეც-მეთქი — უკვე ანჩხლად შესძახა ქალიშვილმა და მკლავში ჩააფარდა მიგრიაულს.

ლუხუმი კვლავ გაქვავებულივით იდგა, წმაგაკმედილი და გაკერპებული.

ახლა ორივე ხელი ჩაავლო უცნობმა ქალიშვილმა მეფის მცველს, თან ფეხებს აბაკუნებდა და გაავებული გაჰკიოდა:

— შენ ვინა გდიხარ, რომ მე არ მიშვებ, მომეცა-მეთქი, თორემ...

ხმაურზე მეორე კარი გაიღო და ლაშა გამოჩნდა.

გაკაპახებულ ქალსა და გაჯიუტებულ

მცველს რომ შეხედა, გაეცინა, მათკენ წამოვიდა, ქალიშვილს ზურგიდან წამოეპარა და ხელებით თვალები დაუხუტა.

— გამოშვი-მეთქი, ეს ვინაა არი! ლაშა, მიშველე... ლაშა... — და პატარა ბავშვივით ატირდა ქალიშვილი.

— აქა ვარ, აქაა! — გამოაჯავრა ლაშამ, ხელები თვალთაგან მოაშორა და მისკენ შემობრუნებულ, თვალცრემლიანი რუსუდანს გადაეხვია.

მიგრიული მებდაცემულივით შეტორტმანდა, მიხვდა, რომ რალაც დიდი დანაშაული ჩაიდინა, კარს მოცილდა, მუხლზე დაიჩოქა და მეფეს გზა მისცა.

— ეს ჩემი და არის, რუსუდანი, იგი ყოველთვის უნდა გამოატარო! — უთხრა მეფემ, ქალს მხარზე ხელი მოხვია და წაიყვანა.

ზღურბლთან წამით შემოტრიალდა მეფის ასული რუსუდანი, ნამტირალევმა. მცველს გაუღიმა, ენა გამოუყო და პალატში მიიმალა.

სირცხვილისა თუ დანაშაულის შეგნებით შემდრკალი ლუხუმი თავბრუდახვეული წამოდგა, მუხლი ეკვეთებოდა და თვალში ხეირიანად ველარ იხედებოდა, მაგრამ თავს სძლია და ისევ ქანდაკივით აისვეტა მიხურულ კართან.

რეტლასხმულივით იდგა კართან მაგრიაული.

თვალწინ სულ ტუჩაბუებელი მეფის ასული უდგა და ათასჯერ წყევლიდა თავის უგონობასა და ხეპრეობას. როგორ ვერ იცნო ხემწიფის და, როგორ შეირცხვინა თავი სამსახურის დაწყებისთანავე! რას იფიქრებს მეფე, რას იტყვიან კარისკაცები, მსახურები, მცველები...

ფიქრი ასე გაფართოვდა, შორს წავიდა და ლაშარის ხატში ცისფერკაბიან გოგონას მისწვდა.

რას იტყვის ლილე? ან სად არის ახლა იგი? როგორ არა ჰგავს თუმას მოკრძალებული, ჩუმი და ლამაზი გოგონა სასახლის ნებიერს, მოუხრდებელსა და ლამაზ რუსუდანს!

შაინც რომელი უფრო ლამაზია —

ლილე თუ რუსუდანი? — თავისდაუნებურად აეკვიტა ლუხუმს ეს ფიქრი და ცალ-ცალკე იწყო ორდევს სრუეთისა და ნაკლის განხრეკა: ლილე ნაზია და ტანწვრილი, რუსუდანი — ოდნავ უფრო დაბალი და ტანსრული; ლილე შეათვალა და შეავგვრემანი, რუსუდანი — თეთრყიროშიზი და ცისფერთვალუბა; ლილე მინდვრის ყვავილევით მორცხვია და ჩუმი, რუსუდანი — თამამი და კუშტი...

უცებ კარი შიგნიდან გაიღო, ზურგით კარსმიყრდნობილი ლუხუმი წაბარბაცდა, კნალამ წაიქცა, დაფაცურდა, თათქოს თავის საფიქრალს მალავსო, წელში ისევ სწრაფად გასწორდა, გაიჭამა და თავდაბრილმა წარბქვეშ გახედა პალატიდან გამომავალ ლაშასა და რუსუდანს.

რუსუდანს წყენა დავიწყებოდა და უკვე კარგ გუნებაზე იყო. ლუხუმის წინ შეჩერდა და ეშმაკურად უთხრა:

— მეფეს წაწლობა მოსწონებია. შენ, ალბათ, ბევრი წაწალი გეყოლება, ფშაველო!

ლუხუმს სახე აელეწა, თვალები დახარა და ხმა ვერ ამოეღო.

— ღონიერი ჩანს შენი ახალი მცველი, ნახე, რა მაგარი კუნთები აქვს, წელან ძვრა ვერ ვუყავი. — ატირინდა ისევ რუსუდანი, ლუხუმის მარჯვენა მკლავს თავისი ორივე ხელი შემოართყა და ვერკი შემოაწვდინა.

— ღონიერი კი არა, გმირია, ნამდვილი ბუმბერაზი. ხმაღში უნდა გენახა, სამ ხევსურს როგორ მარტო გაუმკლავდა! — შეაქო ლაშამ დარცხენისა თუ სიხარულისაგან სახეწამოწითლებული ლუხუმი. მერე რუსუდანს მოუბრუნდა და სიცილით უჩურჩულა:

— მაგ მკლავებს ერიდე, თორემ ნეკნები არ შეგჩნდება!

რუსუდანს ეშმაკურად გაუღიმა: მაგას ვერ ქალი არ მოუკლავსო, ჩურჩულითვე უპასუხა, ლუხუმისკენ ქუფრად მობრუნდა და მკაცრად უთხრა:

— სასახლეში ფშაურად არ რცემენ,



ფხოველო. აბანოში წადი და ეგ გამკურული ტანსაცმელი გამოიცვალე!

მეფემ თავის დაქნევით დაუდასტურა ლუხუმს რუსუდანის ნათქვამი და დამაიქაურობას გამოჰრდა.



მსახურებმა მოძებნეს მიგრიაული, წაიყვანეს და კარგად ასამხრეს, მერე აბანოსკენ გაუძღვენენ და მექისეს ჩააბარეს.

აბაზანიკენ მიშავალი, ტანშიშველი ლუხუმი აქეთ-იქით იხედებოდა, ფარულად ზომ არაეინ მიუერებსო შიშობდა, ვეება ტერფებს ფრთხილად იდგამდა მარმარილოს ცეც ფილაქანზე.

აბაზანაში, ცხელ წყალში გაწოლილი გოცებით შეჰყურებდა ჰრელ კედლებს. ყველაფერი მდიდრულად იყო ნაკეთები, სიფაქრით და გემოვნებით.

კანი რომ კარგად დაუღობო ცხელმა წყალმა, მექისე შემოვიდა. გამხდარ, გაძვალტყავებულ მექისეს წეროსავით წერლი ფეხები ჰქონდა. შემოსვლასთანავე დაახეულა და მისი ხრინწიანი ხელებმა ლომის ბუხნივით გაისმა გუმბათოვან აბანოს კედლებში.

მექისემ ცხელი წყლით ჰურტლები ააგსო და ლუხუმს გასძახა:

— მოზანდი!

ლუხუმი მიიმედ ამოვიდა აბაზანიდან, თლილი ქვის ტახტზე გაიშობა და თვალი ჰერს მიაპყრო.

მექისე მოუბოდიშებლად ზედ შეადგა ამოდენა ვაჟაკს, ტანის ზელა დაუწყო და ტაცატაცი აუყენა.

პირველად ეუცხოვა მიგრიაულს მექისის ასე მოურიდებელი ქცევა, მერე თანდათან ეამა და დამშვიდდა.

— ქართველი ხარ? — დაბლიდან ეკითხება ლუხუმი მის ზურგზე ჰინკასავით შემჯდარ მექისეს.

— არ ვისი! — მოკლედ უპასუხა მექისემ.

უცნაურმა პასუხმა გააოცა მიგრიაული.

— აგრე გამხდარი რათა ხარ? — ისევ შეეკითხა ლუხუმი.

— აბანომ ისის... — ისევ მოკლედ მისკრა მექისემ. ლუხუმმა შეატყა, რომ მექისე მასთან სალაპარაკოდ არ იყო განწყობილი. ერთხანს გაყურდა, მერე თავიდანვე აკვირებული კითხვა მოეძალა და მექისეს ასძახა:

— მსახურები თუ ასეთ აბანოში იბანენ, მეფეებისა როგორილა იქნება!

— არ ვისი! — ცივად თქვა მექისემ, ზურგზე ხელი დაარტყა და აბაზანაში ჩასვლა ანიშნა.

წყალში დიდხანს არ დააყენა, ისევ უკან მოიხშო და ახლა ქისით დაუწყო წვირის გაცლა. ქისის პირველსავე გასმაზე ჯგაგარივით აიშალა ქონნარევი წვირე ლუხუმის მთელ ტანზე.

— დიდი ხანია ტანი არ დაგიბანია? — იკითხა მექისემ.

— მდინარეში ყოველდღე ვიბანდი. — დარცხვენით მიუტო ლუხუმმა.

— მდინარის სხალი სრვი სხალია... ჩუხჩი არ გაცივლებს, აბანოს სხალი კარგად გასმინდოს... — უხსნიდა მექისე და თან ქისით ტყავს აძრობდა.

როგორც იყო მორჩა, წვირე გაშორდა და მთელმა სხეულმა რაღაც სააჰო სიმსუბუქე იგრძნო.

— გაამოს! — უთხრა მექისემ, უკანასკნელად რომ გადაავლო წყალი, ხის ქოშებში გაყო ფეხები და ხეულებითა და კახაკუხით გავიდა.

აბანოში ახლა სხვა კაცი შემოვიდა, წარბები ქალივით ჰქონდა კობტად გამოქნილი და ტანს კეკლუცად მოარხევდა.

უცნობს ხელით რაღაც კოლოფები მოჰქონდა.

შემოსვლისთანავე ნაზი, ქალური დამილით მიეხალმა ლუხუმს და ტახტზე გვერდით მოუჯდა.

კოლოფები გახსნა, ხელისგულზე რაღაც წამლები დაისრისა და ლუხუმის ტანს დაუწყო ზელა.

ლუხუმს არ ეამა ნელსაცხებლის ნაზი, დამხნედავი სურნელი, მაგრამ იფაქ-

რა, აღბათ, ასეა მიღებული სასახლე-  
შიო, ხმა არ ამოიღო და ნებას დაჰყვა.

ბოლოს თმას მისწვდა უცნობი.

— ეგ რალა საჭირია? — წაილულ-  
ლულა ლუხუმმა.

— ნაბრძანები მაქვს! — მოკლედ მოს-  
კრა ისტატმა და ლუხუმის ჯაგარივით  
გამეშვებული თმის დაღობას შეუდგა.

მასაესა და თმის დავარცხნას რამ  
მორჩა, ლუხუმს ძვირფასი აღმოსავლუ-  
რი ხალათი მოახურა და სულის ერთი  
შებრეტი სანთლები ჩააქრო.

— რად აქრობ? — გაიოცა ლუხუმმა.

— მომყე... — ჩურჩულით უთხრა უც-  
ნაურმა კაცმა, ხელი ჩაჰკიდა და წინ გა-  
უძღვა.

ლუხუმი მინდობილად მიჰყევებოდა.  
მისმა მეგზურმა სადღაც შეახვეყინა,  
ფარდის იქით გაატარა, მერე ხელი  
უშვა და გაქრა.

— სად წახველ, ძმობილო? — გას-  
ძახა მიგრიაულმა და კედლებზე ხელი  
მოაფათურა.

— აქ მო, ლუხუმო! — ოდნავ გასა-  
გონად გამოეხმაურა ქალის ხმა.

ლუხუმი სმენად იქცა. თითქოს ხმა  
ეცნაურა.

— აქეთ მოდი, ნუ გეშინია. — ისევ  
მოესმა ქალის ჩურჩული.

— ვინა ხარ? — გასძახა გაოცებულმა  
ლუხუმმა და გაუბედავად წავიდა იქით,  
საიდანაც ქალის ხმა მოესმა.

რამდენიმე ბიჯი რომ წადგა, ვრაც  
მოეგება, სახესა და ტანს ვერ ხედავდა  
სიბნელეში, მხოლოდ ხელზე ხელის შე-  
ხებით მიხვდა, რომ ქალი უნდა ყოფ-  
ლიყო: გრძელი, ნახი თითები და ფაფუ-  
კი ნები ჰქონდა.

ახლა უცნობ ქალს მიჰყვა ბნელში  
ლუხუმი. ქალი შეჩერდა, დაბლა დაიხა-  
რა, ეტყობოდა, ჩამოჯდა და ლუხუმს  
მოესმა:

— ტახტია, ჩამოჯექ.

ლუხუმი ტახტზე დაეშვა და უცებ  
გაახსენდა, რომ უცნობ ქალთან ნახევ-  
რადმიშველი იყო. შეიმშუშნა, საშინ-  
ლად ეუბნებულა.

— წაწლობა მასწავლე! — უჩურჩუ-  
ლა ქალმა და მოეხვია.

ღიაცის კოცნამ ერთიანად წაშალა ვაჟ-  
კაცი, თავებზე დაეხვია, ქალს ხელი დააე-  
ლო და აიტაცა.

— ნელა... ნელა... ნეკნები დამილე-  
წე, დათვო! — შესძახოდა ქალი და  
ყელზე ეხვეოდა ვაჟკაცს.

„დათვოო“, თითქოს ისევ ეუცნაურა  
ქალის ხმა ლუხუმს, მაგრამ ახლა ფიქრს  
თავი არ ჰქონდა, გონდაკარგული ლომ-  
ნიდა ნახევრად ტიტველ, მკერდსავსე  
ქალს.

წელს ქვევით სწვდა ვაჟკაცი. ქალმა  
იწყინა და ახლო არ მიიკარა.

— ჯერ ვიწაწლოთ. წაწლობა მას-  
წავლე... ჯერ ნუ... ჯერ ნუ... — ჩურ-  
ჩულით ეუბნებოდა ქალი და აცახცახე-  
ბული ხელით ვაჟკაცის ხელს იშორებ-  
და.

გამშაგებულმა ლუხუმმა მაგრად აყო-  
ცა და უცებ, თავისდა უნებურად, ერ-  
თი ისეთი უბინა ზედა ტუჩზე, რომ  
ქალმა ტკივილისაგან შეჰკივლა.

გამწარებულმა მოწყვეტით სტკიცა  
ყბაში და ზე წამოიჭრა.

— საღლა უნდა გამოეჩნდეთ... —  
წაიტირა ქალმა და ქეთინით ბნელში  
გაუჩინარდა.

ლუხუმს ისევ ეცნაურა ქალის ხმა,  
უფრო მაშინ, როცა გაბრაზებულმა  
ამოიტირა. ეუცნაურა და შეკრთა.

— ნუთუ? ნუთუ ის იყო? არა... ეს  
რა საფიქრებელია! — შუბლზე ხელი  
მოისვა აბუნარი ფიქრის მოსაშორებ-  
ლად და ბნელში ზეზე წამოიდგა.

ისევ ფეხის ხმა მოესმა.

ვილაცამ ხელი ჩაჰკიდა და ახლა იმ  
კაცის ხმა ჩაესმა, მომყეო, რომელმაც  
წელან აქ შემოიყვანა.

წინანდელზე მეტი იარეს ბნელში.  
ბოლოს კარის წინ გაჩერდნენ.

— გააღე, ტანთ ჩაიცივი და სასახლის-  
კენ წადი! — უთხრა უცნობმა მიგრია-  
ულს და გაშორდა.

ამდენი მოულოდნელობისაგან გოგ-  
ნებულმა ლუხუმმა კარი ფრთხილად

გააღო. თვალი ნელ-ნელა შეეჩვია სან-თლების შუქს.

პატარა ოთახში იყო. ტახტზე ახალი ტანსაცმელი დაუხვდა, ისეთი, სასახ-

ლეში რომ ეცვათ შეკურვილ მცველებს.

ჩამოჯდა და განდილისაგან გაშტერებული ჩაემას შეუდგა.

## თავი მეოთხე

### ორი ზნა და ორი ბანაჟი

სანამ თამარი ცოცხალი იყო, ყრმობიდანვე მეფის თანამოსაყდრედ გამაცხადებული ლაშა სამეფოს საქმეებში არ ერეოდა, ნადირობასა და სანახაობას, ცხენოსნობასა და მობურთალობას უფრო ეტანებოდა და საქართველოსა და ყმადნაფცი ქვეყნების სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობდა.

უფლისწული ვერ ხედავდა, როგორ ნელ-ნელა და ოსტატურად აცლიდა ხელიდან ძალასა და გავლენას ჰქვიანი მხარგრძელი მის მომავალ მეფობას.

ორნი ძმანი იყვნენ მხარგრძელნი და ორივენი ერთი მეორეზე მეტად საყვარელი და ახლობელი იყვნენ თამარისთვის.

უფროსი — ზაქარია უფრო ახოვანი იყო, ომში უხორცოსავით უშრშარი, წყობაში შეუდრეკელი და სამხედრო საქმის სწორუბოვარი მცოდნე და ხელოვანი. იგი უფრო ალალი და უეშმაყო, გულის მრმყოლი, წრფელი და უანგარო იყო.

უმცროსი, ივანე, გმირობაში ძმას ტოლს არ დაუდებდა, მაგრამ უფრო გონების მიმყოლი, დინჯი და შორს გამკერტი, გულდახურული და ანგარიშვანი იყო.

ძმები თამარის უცვლელი ვაზირები იყვნენ და მაშინდელი საქართველოს სახელისა და ძლიერების განფენასა და ამაღლებაში ორივეს დიდი ღვაწლი მიუძღოდა.

ზაქარია საქართველოს მხედრობის მეთაური, ამირსპარსალარი იყო. ყველა დიდი ომი, ყველა მნიშვნელოვანი ბრძოლა, რომლებმაც მთელს აღმოსავლეთსა და დასავლეთში ქართველთა უძლეველობის სახელი მოჰფინა, მიაი

სამხედრო გეგმით და უშუალო ხელმძღვანელობით გადაიხადეს ქართველებმა.

ივანეს სახლთუხუცესობა ჰქონდა და ისიც ზაქარიას მხარდამხარ თავდადებით იბრძოდა ყველა ომში.

გამკრიახმა მსახურთუხუცესმა იცოდა, რომ სამხედრო ძლიერებაზე დამყარებულ ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველო იყო, სახელმწიფოს ნამდვილი მმართველი მხოლოდ ის იქნებოდა, ვისაც ესოდენ მრავალრიცხოვანი და ძლივეამოსილი ლაშქარი დაემორჩილებოდა.

მხედრობაში თავის გამოჩენისათვის, მოლაშქრეთა შორის სიყვარულისა და პატრვისცემის დამსახურებისათვის არაფერს ზოგავდა ივანე. თავის ხელქვეით სარდლებს უხვად აჯილდოებდა, ერთგულებს დაწინაურებდასა და წინ წაწევად შველოდა და ყველას დასანახავად აშქარად მფარველობდა.

ზაქარიას შემდეგ, თითქოს ივანეს გარდა, სხვა აღარავინ უნდა ყოფილიყო ამირსპარსალარობის ღირსი, მაგრამ ლაშქარს თავისი რჩეული ჰყავდა. უმცროს მხარგრძელზე ბევრად ახალგაზრდა, მაგრამ საბრძოლო დამსახურებით მასზე გადამეტებული.

ეს გმირი შალვა თორელი იყო.

სიკაბუკითვე ომებში დავაყვაცებულ შალვას წყობასა და მტრის კვეთებაში, მშვილდოსნობასა და ცხენოსნობაში სწორი არ ჰყავდა.

ზაქარიამ იმთავითვე შენიშნა და დაათვასა შალვას მხედრული ნიჭი, გამკრიახობა და შემმართველობა. ბრძოლას ყველაზე მძიმე უბანზე გზავნიდა ხოლმე ახალციხელს, კაბუჯ სარდალსაც

ბედი არასოდეს ღალატობდა და უკან მუდამ გამარჯვებული ბრუნდებოდა.

პირველად მთელი მხედრობისა და მეფის ყურადღება შამქორის ბრძოლაში მიიპყრო ახალციხელმა.

ამ ომში შალვა წინამძროლ ჯარს სარდლობდა. დავით სოსლანისა და ორივე მხარგრძელის მეთაურობით მთავარი ლაშქრის მოსვლამ რომ შეაგვიანა, მტრის აურაცხელ მხედრობასთან კარგა ხანს მარტო წინამძროლთ მოუხდათ გამკლავება.

ცენზოკლულმა და ჩაბალახდალუწილმა ახალციხელმა არათუ უკან დაიხია მტრის სიმრავლის წინაშე, არამედ მთავარი ძალის მოშველებისას თავდაცვას სისტემატურად შეუტია სპარსელებს და, იერიშზე გადასულმა, ფიცხელ ბრძოლაში ხელთ იგდო ხალიფასგან დაზოღ წარმოგზავნილი დროშა.

გამარჯვების შემდეგ მთელი ლაშქარი ამ უმნიშვნელოვანესი ნადავლის სანახავად მოდიოდა. ამ ნადავლითვე წარუდგა შალვა თამარს და იმ დღიდან მისი სახელი მთელ სამეფოს პირზე ექერა.

გმირისა და მიუთხრობელი მეომრის ქაბუკობაშივე მოხვეჭილი სახელი შემდგომს ომებში კიდევ უფრო განამტკიცა შალვა ახალციხელმა.

ექვი აღარავის ეპარებოდა, რომ ზაქარიას შემდეგ საქართველოს ძლევა-მოსილი მხედრობის მეთაური, ამირსპარსალარი შალვა ახალციხელი იქნებოდა.

მაგრამ მიიცვალა თუ არა ზაქარია, თამარმა ამირსპარსალარობა მსახურთუხუცეს ივანეს შესთავაზა.

ივანემ, სრულიად დამსახურებულად, მეფის ტახტისა და სამშობლოს ერთგულების გამო თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში ხელმწიფეზე განუსაზღვრელი გავლენა მოიპოვა.

ზაქარია რომ გარდაიცვალა, მხარგრძელმა ისარგებლა მეფის ამ ნდობით, თამარის მიერ შემოთავაზებულ ამირსპარსალარობას არ დასჯერდა და ხელმწიფეს ათაბაგობის პატივი სთხოვა.

ათაბაგები მთელს აღმოსავლეთში სულთანთა აღმზრდელები იყვნენ, მეფეთა მამებად იწოდებოდნენ და მეფის ნაცულობასა და ზოგჯერ მეფობასაც ესწევენენ.

თამარმა უყოყმანოდ მიანიჭა ერთგულ ყმას ათაბაგობის უაღრესი პატივი. მხარგრძელმა ამირსპარსალარობაც შეითავსა, უნებისყრთო მწიგნობართუხუცესს ვაზირთპირველობა თითქმის მიატაცა და სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება ერთად იგდო ხელთ.

თავის ადგილზე მსახურთუხუცესად ივანემ თავისივე ბიძაშვილი, მხარგრძელთა გვირის უმცროსი შტოს წარმომადგენელი ვარამ გაგელი მოიყვანა.

ხალხი და მტრები რომ თავის უზომო თავგერძობაზე არ აელაპარაკებინა, მხარგრძელმა თამარს შალვა ახალციხელის მეჭურჭლეთუხუცესად დანიშნეს სთხოვა.

თამარს ეოცა და არაფრად ექაშნიკა მუდმივად ლაშქარსა და ომებში მყოფი ახალციხელის მეჭურჭლეთუხუცესობა, მაგრამ რაკი შალვასთვის გაეზირება მარცხ აღზევება იყო, მეფემ სახელოვანი სარდლისათვის წყალობა არ დაიშურა.

შალვას დანიშვნით მხარგრძელი, ერთი მხრივ, სამართლიანი კაცის სახელს იმტკიცებდა, მეორე მხრივ, ლაშქარში გავლენიან მეტოქეს იშორებდა სამხედრო საქმისაგან.

მხარგრძელი იმასაც ანგარიშობდა, რომ განუწყვეტლად მოლაშქრე და მეომარი მხედარი მეჭურჭლეთუხუცესის სავაზიროს თავს ვერ გაართმევდა, სამეფოს მართვაში თავის უნიჭობას ყველას აშკარად დანახებდა და მისი აქედანაც მოცილება ძნელი აღარ იქნებოდა.

მხარგრძელს ეს უკანასკნელი ანგარიში არ გამართლდა: ახალციხელმა დიდი მონღოლებითა და პასუხისმგებლობით მოჰკიდა ხელი მისთვის, თითქოს უცხო და შეუფერებელ, მეჭურჭლეთუხუცესობას.

სავაზიროში საქმის მცოდნე, ერთგული თანამშრომლები მოიყვანა, მუშაობა

მთლიანად გადააბალისა და სახელმწიფო საქურძლეში სრული წესრიგი დაამყარა.

ახალციხელის გავლენამ მეფესა და სახელმწიფო საქმეებზე კიდევ უფრო იმატა და ეს განსაკუთრებით შესამჩნევი ლაშას გამეფების შემდეგ გახდა.

თამარმა სიკვდილის წინ დიდებულებს მემკვიდრის ერთგულება და სახელმწიფოს მართვაში ერთნებაობა დაჰფიცა, ხოლო ლაშას ანდერძად დაუბარა: სანამ საქართველოს ძლიერების ორი ბურჯი — მხარგრძელი და ახალციხელი შენი ერთგული და თანამდგომელი იქნებიან, ქვეყანას არ გაუჭირდება და სამეფოს მართვა არ გაგიძნელდება; ეცადე, ეს ორი მთავარი ერთმანეთს შოარიგო, მათი განხეთქილება შენს ძალას შეაჩრევს და სახელმწიფოს დალუბავსო.

სამეფოს ამ ორი ბურჯის მორიგება რომ შეუძლებელი იყო, ლაშას გამეფებისთანავე ცხადი გახდა: მეფე თვითონ იყო იძულებული, თავისი უღრესად შეზღუდული უფლების გაფართოებისათვის ებრძოლა. მისი დონე უმთავრესად მეფის სწორად განდიდებულ ათაბაგის წინააღმდეგ იყო მიმართული და ამ ბრძოლაში მთავარ ქომაგად და მხარის დამჭერად შალვა ახალციხელი ჰყავდა. შალვას თავისი საკუთარი ანგარიშიც ჰქონდა ივანესთან.

ორნი ძმანი იყვნენ ახალციხელებიც. უფროს ახალციხელსაც ივანე ერქვა, ისიც ცნობილი მოღვაწე და გამოჩენილი სარდალი იყო.

სიყრმიტვე მზედრობაში ფეხმდგმულ შალვას გულწრფელად უყვარდა ორივე მხარგრძელი.

ივანე მსახურთუხუცესი ახალგაზრდა შალვაათვის სახელმწიფო გონებისა და მხედრული ვაჟკაცობის განსახიერება იყო, მისი ნაბვა მზნეობასა და სულერ სიმშვიდეს ჰმატებდა საქვეყნო ასპარეზზე ახლად გამოსულ დიდებულს.

უყვარდა ივანესაც ქაბუცი შალვა, მის გმირობასა და ბრძოლაში შემართებას, სიღინჯესა და საზრიანობას აფასებდა.

მაგრამ ფრთხილი იყო საკუთარ აღზე-

ვებაზე დღედაღამ მზრუნავი მსახურთუხუცესი, და ამიტომ ფეხმდგამი ახალციხელები ტახტისაგან შორს ჰყოლოდა და მათი სახელია და გავლენის ზრდა შეეწელებინა.

სწორედ ამ მოსაზრებით დაანრწენი ივანე ახალციხელი ახლად დაპყრობილი კარის ამირად, — იცოდა, რომ თურქებთან გაუთავებელი ბრძოლებით გამართულ მონაპირეს თბილისში ხშირად სასიარულოდ აღარ ეცლებოდა და მეფის კარის ცხოვრებისაგან მოწყვეტილი იქნებოდა.

თვითონ შალვა თამარის სიციცხლეში სულ ერთთავად ლაშქრობასა და ომებში იყო, მეფეს თითქმის თვალით ვერ ხედავდა და მის მიერ მოგებულ ომების გამო ჯილდოებს მეტწილად სხვა ღებულობდა.

შალვა ახალციხელი თვალს ხუჭავდა ამ დაუფასებლობაზე. არც მამულების სიმცირის გამო ამბობდა რასმე, თუმცა მხურჩანეები და მხარგრძელების წინააღმდეგ წამქეზებლები ბევრი ჰყავდა, მოშურნეებს ყურს არ უგდებდა და ორივე მხარგრძელს, და განსაკუთრებით ივანეს, მშობელი მამასავით სიყვარულითა და მოკრძალებით შეჰყურებდა.

ამ სიყვარულის მიზეზი ამადლებული და სხვათათვის უჩინო იყო. ახალციხელს ივანეს უღამაზესი ქალი — თამთა უყვარდა და ეს სიყვარული აბრმავებდა შალვას მსახურთუხუცესის ანგარ მოქმედებაზე.

უღრესად განდიდებულ მხარგრძელს თავისი ქალი თურმე დედოფლად უნდოდა და, როცა ახალგაზრდების სიყვარული იგრძნა და გამეღვანდა, თავისი დიდი ხნის განზრახულს შესასრულებლად ამოქმედდა.

რაკი თამთას საქართველოს დედოფლობა არ იწირა, ივანემ ჩუმიდ საქართველოს მოსაზღვრე მეფეებსა და სულთაებს შორის დაიწყო ღირსეული სასიძოს ძებნა.

თამთას შეუდარებელი სიტურფის ამბავი საქართველოს გარეთაც შორს იყო

გასული და უკვე ბევრი გვირგვინოანის უძლიობის მიზეზად ქცეულიყო.

ივანე მათ ძალასა და სიმდიდრეს წონიდა, ერთიმეორეს აღარებდა და არჩევანის გასათავებლად შესაფერის გარემოებას თუ შემთხვევას უცდიდა.

და შემთხვევამაც არ დაიგვიანა.

ხლათში სალაშქროდ მყოფ მხარგრძელებს ალყაში ჰყავდათ მომწყვდეული ეგვიპტის სულთნის შვილი — ხლათის მელიქი აუჰადი.

ხლათელები, უმთავრესად მოქალაქეები და ხელოსნები, მტერს არ ნებდებოდნენ და კარს მომდგარ ათასგვარ განსაცდელს მხნედ იტანდნენ.

თვითონ სასოწარკვეთილ მელიქს, თრიაქით გაბრუებულ აუჰადს, წინ თამთას სურათი ედო და გაეკრპებული მეციხოვნეების შიში რომ არ ჰქონოდა, მხარგრძელის ღამაში ასულის ტრფობით ჰქუდადაკარგული, საქართველოში მოხვედრისა და თამთას ნახვის სურვლით აქამდისაც ჩაბარდებოდა ტყვედ ქართველებს.

ბედმა სხვაგვარად ინდომა.

ერთ საღამოს შეზარხოშებული ივანე ცხენზე შეჯდა და სულ რაღაც ათიოდე ცხენოსნის თანხლებით ხლათის აუღებელი ციხე-სიმაგრის შემოსავლელად გაემართა.

გზად ხიდი უნდა გაეცლოთ. ხლათელებს ხიდი რამდენიმე ადგილას ჩაეტეხათ და ზედ თივა წაეთარებინათ, რომ გამვლელს ვერაფერი შეემჩნია.

შედგნენ თუ არა ქართველები ხიდზე, ივანეს ცხენს ფეხი შოგ ჩაუვარდა და მხედარი ძირს ისროლა.

ციხე-სიმაგრიდან გაფაციცებით მოთვალთვალე ხლათელებმა დაინახეს, როგორ მისცივიდნენ მზღებლები მხარგრძელს წამოსაყენებლად.

ძლიერი რაზმი ციხიდან გამოვარდა, ქართველებს ეცნენ, ივანე ტყვედ შეიპყრეს და ციხე-სიმაგრეში შეიყვანეს.

იმედგადაწყვეტილმა მელიქმა ფრიად გაიხარა საქმის ასე მოტრიალებით. ეჭვი არ იყო, ივანე მხარგრძელს ქართველები არ დათმობდნენ და ტყვეობიდან მი-

სი გამოსხნისათვის არაფერს დაზოგავდნენ.

მელიქ აუჰადს არა მარტო მხარგრძელ უპირად მოგების სურვილი აღეძრა, არამედ თავისი ოცნების შესრულების — თამთას შერთვას იმედიც ჩაესახა, და მართლაც ყოველივე ასე მოხდა.

ამის დატყვევებით გახვლებულ ზაქარიას პირველად ხლათის მიწასთან გასწორება უნდოდა. დანაქადის ასრულება არაფრად უღირდა, მაგრამ ივანეს სუცოცხლეს საფრთხეში ჩაგდების შეეშინდა.

მელიქმა ორივე მხარგრძელთან მოლაპარაკება გამართა და ტყვის გამოხსნა ძვირად დაუსვა ქართველებს: ხუთი ათასამდე ხლათელი ტყვე გაათავისუფლებინა, ათა ათასი დინარი ფულად გამოართვა და სიტურფით განთქმული ივანეს ქალი ცოლად მოიყვანა.

გუმიადელი მტრები მოყვრებად იქცნენ.

აუჰადი უსაზღვროდ ბედნიერი იყო საქმის ასე მოულოდნელი შემობრუნებით და გულის წადილის ასე იოლად შესრულებით, დიდების მოყვარე ივანე — ეგვიპტის ძლიერ სულთანთან დამოყვრებით და თავისი ქალის ხლათში გადედოფლებით.

საქართველოშიც ყველა კმაყოფილი და მოხარული იყო თამთას გადედოფლებისა და ხლათის მელიქის სახით ახალი მოკავშირის შოვნით.

მხოლოდ თავად ხლათის დედოფალი იყო უბედური გულის სწორთან სამუდამოდ გაყრით და სამშობლოდან გადაკარგვით.

მას არც ეგვიპტის უძლიერესი სულთნის სძლობა ხიბლავდა, არც განცხრომას მოყვარული აუჰადის ცოლობა, არც სიმდიდრით განთქმული ხლათის დედოფლობა.

ვანის ტბის პირად გაშენებულ სამართხის მსგავს ბაღებში გაუთავებელ ნადიმებს იგი სიამოვნებით გაეცეოდა ჯავახეთის ერთი ჩვეულებრივი სოფლის, პატარა თორის წყნარ ცხოვრებაზე, ნაქლებს სახელსა და სიმდიდრეზე, მაგრამ

დიდ სიხარულსა და სიყვარულის ბედნიერებაზე.

იქ დედოფლის ტახტი არ ექნებოდა თამთას, თავს მთავართა ასულები არ ედგებოდნენ შიშუნვარებად, მგოსანნი და მუტრბნი არ უგალობდნენ დამატებობელ პანგებს და მისი მზეთუნახავი პირის სანახავად სიზმრად მასზე შეყვარებული უფლისწულები არ დაიწყებდნენ დენას.

იგი დასჯერდებოდა თორისა და ახალციხის მყუდრო სამყოფელებს, რომელთაც იქ, ჯავახეთში, გლეხები რატომღაც „სასახლეს“ და „პალატებს“ ეძახდნენ, ვაჟაკობაში შეუდარებელ შალვას მკერდზე თავმიდებულ, თუგინდ სოხანეზედაც ტყილად და უშფოთველად დაიძინებდა. თავისი ქართველი მიჯნურებითა და უამრავი თაყვანისმცემელი ჭაბუკებით გარშემორტყმულს თამარის ფერხით მჯდომარეს, თავი უშალვს ტახტზე დაბრძანებული ეგონებოდა.

მის შეუდარებელ პირშვიობას, არცთუ ისე დიდ პატივმოყვარეობას, მაგრამ უზომოდ შეყვარებულ გულს საქართველოს უტურფესი ქალის, უებრო რაინდის ცოლისა და უძლეველი ვაჟაკების ოცნების სახელეც ეყოფოდა უნაპირო ბედნიერებისათვის.

თამთა გრძნობდა, რომ მამას მისთვის რჩეული ბედი უნდოდა და ხლათის დედოფლობა თავისი ქალისათვის უშალვს ბედნიერებად მიაჩნდა. მაგრამ ისიც იცოდა თამთამ, რომ მისი გადედოფლებით ივანემ საკუთარი სიცოცხლე და თავისუფლება იყიდა, და სწორედ ეს ტყენდა უფრო მეტად გულს მამის მოყვარულ ქალს.

იგი თავს გაყიდულად, მამის სიცოცხლისა და დიდების მსხვერპლად მიტანილად რაცხდა და ამის შეგნება კიდევ უფრო უმატებდა სატრფოსაგან განშორების ცეცხლს.

ხლათის ციხესთან მდგარი შალვა ახალციხელი ლამეებს ტეხდა იმის ფიქრში, თუ საიდან მიდგომოდა სმარეს თავისი ერთი მუქა მესხებით, რათა მო-

ულოდნელი იერიშით, ამირსპასალარის უცნობლად, დაეცა ციტადელი და მკერდი აუპადის ძვირფასი ტყვე გაემთხვინა.

როცა ივანეს განთავისუფლებაზე ფიქრით შალვას თვალს ძილი არ ეკარებოდა, ივანე ხლათის მელიქს თავის დახსნის პირობებზე ევაჭრებოდა და საყვარელი ქალის ცოლად მიცემის თანხმობას აძლევდა.

ახალციხელი სიხარულით შეეგება ტყვეობიდან უვნებლად გამოსულ ივანეს. ხლათის მელიქისათვის უამრავი ფულის გადახდას და ტყვეების დაბრუნებას არაფრად აგდებდა, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა, ციხისათვის თავი შეეკლა და თამთასთან ივანეს გამოუხსნელად არ დაბრუნებულყო.

დაზავების მთავარი პირობის — აუპადისთვის თამთას მითხოვების შესახებ ქართველთაგან ლაშქარში მარტო ივანემ და ზაქარიამ იცოდნენ.

საქართველოში დაბრუნებულმა შალვამ გვიან შეიტყო თამთას გათხოვების ამბავი, იმდენად გვიან, რომ თავის გადადებასა და თამთას გამოხსნაზე ფიქრი ზედმეტი იყო. აურაცხელი მზითვით დატყრთული ქარაიანი უკვე ხლათის უდაბურ ველებზე მიიზღაზნებოდა და ძვირფას კუბოში მიუუფლავი მწუხარე თამთა თვალცრემლიანი მიიჩნეოდა.

ჯავრისაგან გახელებული შალვა სამყოფსა და საქმეს გაეცალა, როგორც მიჯნურთა წესი იყო, ველად გაიქრა და თავი ქვაბებსა და ტყეს შეაფარა.

მერე უფლისწული ლაშა, ვარამ გაგული და ბექა ჯაყელი შეუჩნდნენ, ტყიდან და ქვაბებიდან გამოიყვანეს, ნადირობასა და ლხინში აიყოლიეს და თანდათან ცხოვრებაზე გული მოუბრუნეს.

დიდი ხნისა და დიდ ცდის შემდეგ ვარამ გაგულმა თავის დიდ ბიძას შეაროგა შალვა. შერიგება ერქვა, თორემ შალვას გულს მხარგრძელზე რა მოუღებოდა! მის დამლუქველ ივანეს ანგარსა და პატივმოყვარეს, შვილის გამოიდევლსა და დამკარგავს ეძახდა, ცხადად თუ ფარულად.

რაც უფრო ღრმად უკვირდებოდა ახალციხელი მხარგრძელის მოქმედებას, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ მასი უბედურების მიზეზი მისივე მდგომარეობა იყო. შალვა რომ მამულებითა და სიმდიდრით მხარგრძელების ტოლი ყოფილიყო, მაშინ, ალბათ, ახალციხელიც სასურველი სასიძო იქნებოდა ივანეასთვის და, ვინ იცის, იქნებ თავისი ქალი თვითონვე შემოეძლია.

სამშობლოსა და ტახტის ერთგულ ახალციხელს სამსახური არც ქვეყნისთვის დაუკლია და არც მეფისთვის. ქვეყნის გარეშე და შინაურ მტრებთან ბრძოლაში სხვაზე მეტი სისხლიც გაუღია და თავდადებაც გამოუჩენია, მაგრამ „მეფეების წყალობა ხარბი მხარგრძელების მადას ვერ აუღიოდა და სხვისთვის აღარაფერი რჩებოდა“.

ახალციხელს აღარც ახსოვდა, ეს აზრი პირველად თვითონ მოუვიდა თუ სხვა ვინმემ ჩააგონა, მაგრამ ერთხელ რაქის ერისთავთან და დადიანთან წამოცდა და მათაც სათქმელს პირი მოხსნეს, დიდხანს დამარბული გულის ნადები გადმოაღაგეს და ახალციხელს „თვალი აუხილეს“.

— ვინ არიან ეს მხარგრძელები? — ბრდღვინავდნენ რაქის ერისთავი და დადიანი, — კაცმა არ იცის, ქურთის, სპარსის თუ ვისი ჩამომავლები არიან! ჯერ სომეხ ბაგრატიონებს მიუკედლნენ, სოჭხურად მოინათლნენ და ურცხვი სიპდიდრე იშოვეს. მერე, საქართველოს გაძლიერება რომ დაინახეს, ჩვენცენ გადმობარგდნენ.

ახალციხელს სხვა დროს სიცილადაც არ ეყოფოდა მხარგრძელების არაქართველობაზე ლაპარაკი. იგი კარგად ხედავდა, თუ როგორი თავდადებით აცემებდნენ დიდ ქართულ საქმეს, როგორი ერთგულებით ემსახურებოდნენ ქართველ მეფეებს მხარგრძელები. ისიც კარგად იცოდა, რომ დადიანს შური აღაპარაკებდა, რადგან ერთ დროს მიაიწინაპრების კეთილი მამულები და ციხეები, გოორგი რუსის აჯანყებაში მონაწილეობის გამო, მეფემ ვარდან დადი-

ანს ჩამოართვა და მხარგრძელებს მისცა. იცოდა ყოველივე ეს, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო მისი აღშფოთება მხარგრძელის მიმართ, რომ მის ყოველ სიკეთეზე თვალი დახუჭა და ამ ღვაწლმოსილი კარისკაცის მოქმედებაში მხოლოდ ანგარება და ორგულობა დაინახა.

როცა ამ შეხედულებაზე მტკიცედ დადგა, ახალციხელმა აშკარად იწყობრძოლა ათაბაგის ხელისუფლების შეუზღუდველობის წინააღმდეგ.

ამ ბრძოლაში ახალციხელი ეყრდნობოდა ჭაბუკ მეფეს, რომელსაც მცირე ერისთავები და აზნაურები, ვაჭარხელოსნები და მდაბიო მოლაშქრენიც უმაგრებდნენ მხარს. მეფის ამ მომხრეთაგან ყველას თავისი ინტერესი ჰქონდა: მცირე ერისთავები და აზნაურები საკეთარი აღზევებისა და გაძლიერების ერთადერთ პირობად დიდგვარიან მთავართა დასუსტებასა და ჩამომცრობას საზავდნენ, მდაბიო მოლაშქრეებს სწორედ ეს დიდგვაროვანი მთავრები ადგათ ყელზე, რომლებიც გზას უღობავდნენ დაწინაურებისა და ხელისუფლებისაკენ. ათაბაგის ყოელისშემძლეობა განსაკუთრებით ვაჭრებს ჰქონდათ მიზანში ამოღებული, რადგან მხარგრძელი პირველი ხელისუფლებრსა და შემამულის მდგომარეობას არ სჯერადებოდა, ვაჭრობასაც არ უკადრისობდა და საქართველოს მთელი აღებ-მიცემის ხელში ჩავლებას ცდილობდა.

ბუნებრივია, რომ ძალთა ასეთი დაპირისპირებისას თამარის ანდერძი სახელმწაფოს ძლიერების ორი ბურჯის— ივანე მხარგრძელისა და შალვა ახალციხელის თანამშრომლობის აუცილებლობაზე ძალას კარგავდა.

უთანხმოებამ დარბაზის პირველსავე სხდომაზე იჩინა თავი.

თამარმა თავის მემკვიდრესა და ვაზირებს ანდერძად მისი ნუსტის იერუსალიმს წასვენება დაუბარა. ლაშამ დარბაზის პირველსავე სხდომაზე დედის ამ ანდერძის აღსრულება მოითხოვა.

ათაბაგმა მოიწონა მეფის ზრუნვა დედის ანდერძის განხორციელებისათვის,



თავის მხრივაც განაცხადა, თამარის ნეშტი უთუოდ უნდა წავასვენოთ იერუსალიმსო, მაგრამ ესეც დასძინა, ამჟამად ხელსაყრელი პირობები არ არის ესოდენ დიდი და შორეული ლაშქრობისათვის.

— მაინც რა გვიშლის ხელს? — იკითხა მეფემ.

— მხედრობა, მზა არ არის ეგოდენ შორეული და ძნელი ლაშქრობისათვის. — მოახსენა ათაბაგმა.

— ლაშქრისათვის მე ვიზრუნებ. — მოკლედ მოსჭრა მეფემ.

— ლაშქრისათვის ზრუნვა და ლაშქრობის ვაზირობა ამირსპასალარის ხელთ არის. საქართველოს ამირსპასალარად და ათაბაგად მე დამადგინა დიდმა თამარმა დარბაზის ნებთა და თანადგომით. — მტკიცედ განაცხადა მხარგრძელმა.

— მე მეფე ვარ, ხელმწიფე, ყოველთა ვაზირთა უფალი და ყოველთა სამეფოთა საქმეთა განმგებელი.

— დღათუ მეფე ხარ, არაუმეტეს ხარ დიდისა თამარისა, რომელ სათნოებით შეიწყნარებდა განზრახვათა ჩვენთა. შენ ჯერ კიდევ ჰაბუკი ხარ, მეფე-ამიტომ უმჯობეს არს, რამეთუ დასხდომილნი დარბაზსა გამგებელი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერიხებისანი გაკადრებდეთ და გაცნობებდეთ მეფესა და მაშინ-ღა სრულ იქმნას განგებული ჩვენი.

— არა წეს არს მეფეთა ბაგრატიონთა მონად ყოფა ყმათა თვისთა, არცა განყენება საქმეთაგან სახელმწიფოსათა. თანამდებ ვარ ზრუნვად აღსრულებისა დედისა ჩემისა ანდერძისა, მეფეთ მეფისა და დედოფლისა ყოვლის საქართველოსა. — გაცხარდა მეფე.

ათაბაგი დარბაზის ამ პირველსავე სხლომაზე დარწმუნდა, რომ მისი მოლოდინი გამართლდა, ლაშა იოლად არ დათხოვდა თავის უფლებებს და აღმოსავლეთის იმ მეფეების მდგომარეობით არ დაქაყოფილდებოდა, ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს, რომ საბოჭარის გაქცევისა და შვება-განსვენებაში

იყვნენ; ხუთშაბათს, პარასევესა და შაბათს ნადირობასა და შექცევაში რომ ატარებდნენ და მარტოღონად ექვემდებარებოდნენ დასჯდის, სამეფოსა ნაქმესა განაგებდის და სამართალსა უზამდის ცხეთა, ქალაქთა და სოფელთა“.

ჰაბუკ მეფეს ნადირობასა და დროს ტარებაზე სული მისდიოდა, მაგრამ სურმიდანვე უაღრესად პატივისა და უფლების მოყვარე იყო და დედ-მამისაგან უკიდურესად განებთიერებული თუ რასმეს ამოიჩემებდა, თავს გადადებდა წადილის შესრულებისათვის.

ახლა ათაბაგისთვის აშკარა იყო, რომ მეფემ მისი ხელისუფლება ამოიჩემა და ლაშქრისა და სხვა სამეფო საქმის განსაგებლის თავის ხელში აღება განიზრახა უაღრესად განდიდებულ ფეოდალსა და დიდ ვაჭარს თავისი უფლების დასაცავად და შესანარჩუნებლად ძალაც შესწევდა და ჰქუაც მოსდევდა. მაინც ათაბაგმა ამ პირველ შეტაკებაზე საბოლოო განხეთქილება არ ინდომა და ზომიერება არჩია.

მიზეზი მეფესთან წაქივებისა — თამარის ანდერძის ასრულების წინააღმდეგობა ათაბაგს ხალხისა და ლაშქრის თვალში ჩრდილს მიაყენებდა, მაშინ როცა ჰაბუკ მეფეს კეთილშობილისა და დედის ანდერძის ერთგულის სახელს მოუხვეჭავდა. ამიტომ ათაბაგმა ისევ გონიერება მოიშველია. მეფესა და დარბაზს დამაჯერებლად განუმარტა იმჟამად იერუსალიმის დიდი ლაშქრობას განხორციელების შეუძლებლობა.

ჯვაროსანთა ლაშქრობა თითქმის ჩაშლილი იყო და სამამპალიანოს ქართველთა წინააღმდეგ თავისუფალი მოქმედებისათვის ხელი გახსნილი ჰქონდა. ქართველთა ლაშქარს პირისპირ ძლიერი, ჯვაროსნებთან ომებში გამოწრთობილი მუსლიმანები დახედებოდნენ, ხოლო ზურგიდან ერთი მხრივ, საქართველოსადმი მტრულად განწყობილი ბიზანტიის აზიის მფლობელის ლასკარისა და რუმის სულტანის, ხოლო მეორე მხრივ, ადარბადაჯანისა და სპარსეთის თავდასხმის საფრთხე ექნებოდათ.

დარბაზის სწორედ ამ კრებაზე ჩამოაყალიბა მხარგრძელმა თავისი შეხედულება საქართველოს სამეფოს მომავალზე.

მისი აზრით, ქართველებმა საყმაოზე მეტი იომეს და ისედაც მცირერიცხოვანი მოსახლეობა კლებას განიცდიდა. ახლა საჭირო იყო სისხლით მოპოებულს შემომტკიცება და ათვისება, დაპყრობილ ქვეყნებში ქრისტიანობის გავრცელება და მათი მოსახლეობას თანდათან გაქართველება. ქართველებმა ახალი ქვეყნები კი არ უნდა დაიპყრონ, დაპყრობილ ქვეყნებსა და ქალაქებში ციხე-სიმაგრეები უნდა აშენონ და შიგ ძლიერი რაზმები ჩააყენონ, ქვეყნის სანაპიროები უნდა გაამაგრონ, რომ მტერი აქეთ არ დაგვესხას თავსო.

— ხალხი და ლაშქარი დაილაღნენ და ურიცხვი ომის ნაყოფის აღება და შესვენება სურთ. არცა მშვილდი თავს იღებს მარადის გარდაცმულობას, არცა ძალი ორღანოსა მარადის განხიბულობასა, რამეთუ ესმსა ხმარებისა მათისაჲთვითეული მათი უხმარ იპოისო — განაცხადა მხარგრძელმა.

მხარგრძელის წინააღმდეგ ახალციხელმა ილაპარაკა. მან საქართველოს მომავალზე სრულიად განსხვავებული შეხედულება წარმოადგინა: იგი დიდი დავით აღმაშენებლისა და მისი ღირსეული მემკვიდრეების გზის გაგრძელებას მოითხოვდა, რადგან ამ გზამ მოიყვანა საქართველო აწინდელ ძლიერებასა და კეთილდღეობამდე. ახალი ომებითა და ახალი ქვეყნების დაპყრობით უნდა გაეძლიეროთ ჩვენი სამშობლო, ქართველი ხალხი ბრძოლასა და წყობას შეეჩეია და მთელი ჩვენი ძლიერება ამაზე უნდა დავაყაროთ, ხოლო თუ მეომრებს განავენებასა და უქმად ყოფნას შევიჩვევთ, ვაეკაცები დადღვალდებიან, გემოთ მიმყოფნი გახდებიან და გათამამებული მტერი რომ შემოგვიტყვეს, მოგვარების უნარი აღარ ექნებათო.

დარბაზი ისე გაიყარა, რომ არც იერუსალიმზე ლაშქრობის შესახებ მიუღია გადაწყვეტილება და ვერც მომავალს.

ლი მოქმედების პროგრამაზე მოხდა, ერთი მხრივ, მეფისა და ახალციხელისა და, მეორე მხრივ, ათაბაგისა და სხვა ვაზირების შეხედულებათა შეთანხმება.

ერთი რამ ცხადი გახდა მეფისათვის: ათაბაგის ძალა არა მარტო მის სიმდიდრესა და მომხრეების სიმრავლეში იყო, არამედ, უმთავრესად, იმაში, რომ საქართველოს შეიარაღებული მხედრობა მას ემორჩილებოდა და მის ბრძანებას ასრულებდა. ლაშას უყვირდა და ვერ შერიგებოდა იმ უცნაურ გარემოებას, როცა მეფის პირადი გვარდიაც, რომელიც მხოლოდ ორასი რჩეული ვაეკაცი-საგან შედგებოდა, უშუალოდ მეფეს კი არა, ამირსპასალარსა და ათაბაგს ივანეს ემორჩილებოდა.

მეფესა და მის მომხრეებს ან ლაშქრის უფროსობა უნდა ჩაეგდოთ ხელთ, ანდა ამ ლაშქრისათვის სხვა უფრო ძლიერი ძალა უნდა დაეპირისპირებინათ.

ქაბუქმა მეფემ და ახალციხელმა ერთდროულად ერთის მიღწევაც მოინდომეს და მეორისაც.

დიდგვარიან ფეოდალებთან ბრძოლაში ლაშას მუდამ დავით აღმაშენებლის მაგალითი ედგა თვალწინ. თავისი დიდი მიზნის — ურჩი მთავრების ალაგვისა და ძლევამოსილი საგარეო ომების წარმოების განსაზოციელებლად აღმაშენებლის მსგავსად ყოფილთა ლაშქრის გამოყვანას ფიქრობდა მეფე. ეს განზრახვა ახალციხელმაც მოიწონა და მეფემ ყვეჩალების ხანთან — კოტიანთან ქართველი და რუსი დიდგვარების საშუალებით საიდუმლო მოლაპარაკება გამართა.

მხარგრძელსაგან ფარულად რომ ყოფილთა გამოსხმის საქმეს აგვარებდა, მეფე ნელ-ნელა მუდმივ ჯარშიაც თავისი ერთგული მეთაურების გამრავლებას ცდილობდა.

უპირველეს ყოვლისა, მეფემ თავისი პირადი გვარდიის გადახალისება გადაწყვიტა, რათა მხარგრძელს მისი ყოველი ნაბიჯი არ სცოდნოდა. ორასი კაცი-საგან შემდგარი რჩეული ვაეკაცების რაზმი ნელ-ნელა გაზარდა, ძველი, მხარ-

გრძელის მიერ დაყენებული მცველები ახლით შესცვალა და ამ მცირე სპის სათავეში მონაყოფილი, სიყრმოდან მის მცველად ნამსახური ეგარსლანი დანიშნა.

ტანბრგე, თავზეხელაღებული გოლიათი, ძალღივით მეფის ერთგული ეგარსლანი ზვიადი და ქედმაღალიც იყო. ლაშას გულისათვის ცეცხლში გადავარდებოდა, მაგრამ მეფის დიდებულთაგან არავის თავისზე ღირსეულად არ ცნობდა და, თუმცა ამჟამად არ ამქლავებ-

და, ფარულად მეფის ორგულ დიდებულთა დამხობასა და საკუთარ აღზევებაზე ოცნებობდა.

ეგარსლანი გარეგნულად ისევ მხარგრძელს ემორჩილებოდა, მაგრამ მეფის უნებურს არაფერს აკეთებდა, ამირსპარსალარს ჰკუთხდა არ ეკითხებოდა და თავის შეხედულებით მოქმედებდა. მეფის მცველი სპა ნელ-ნელა ათაბაგის ზრუნვისა და ზედამხედველობისაგან თავისუფლდებოდა.

## თავი მესამე

### მეჯუგოვის ცოლი

„სჯობს გამინათოს სული ღვინომ და შენმა შუქმა,  
ვიღრე ამო ღვთის ვედრებით დრო მოვკლა უქმად“.  
ოზარ ჰაიამი.

აგერ რამდენი დღე გავიდა სამეფოს კარზე ლუხუმის მოსვლიდან. ამ ხნის განმავლობაში იგი ანრდილივით ყველგან თან დასდევდა თავის სათაყვანებელ მეფეს.

ლაშას ლამე შინ არ ეძინა. მეტწილად ქალაქგარეთ ბაღებში ატარებდა. სადაც მივიდოდა, ლუხუმს თან წაიყვანდა, კართან მცველად დააყენებდა და შინ იშვიათად შეიყოლებდა. შუალამემდე და ხშირად დილაშდის რჩებოდა ლაშა ამ კარს იქით, რომელსაც ლუხუმში იცავდა.

მიგრაულს წარმოადგენდაც არ ჰქონდა, რა ხდებოდა კარს მიღმა. დროდადრო სიმღერა და ქალების კისკისი მოაღწევდა ხოლმე მის საგუშაგომდე.

უკან დაბრუნებისას მთერალი მეფე ცხენზე ძლივს ჯდებოდა, ერთგულ მცველს მძასავით კოცნიდა და ჯიბეებს ოქრო-ვერცხლით უესებდა.

ლაშა ასეთ შემთხვევებში მეტწილად ვადაცემული დაიარებოდა, ალბათ, მეფის დიდ სახელს უფრთხილდებოდა.

გამთენიანებაბრუნებულს ნაშუადღევამდე ეძინა, მერე, თუ გადაუღებელი სახელმწიფო საქმე არ ჰქონდა, ისევ დროს სატარებლად მიდიოდა, ტივებით მტკვარს დაჰყვებოდა საქეიფოდ, ან და-

ლაშებისას ვარსკვლავების სათვალთვალ კოშკში ავიდოდა და, როგორც ამბობდნენ, ვარსკვლავების ჩხრეკით ქვეყნის ბედსა და მომავალს გებულობდა.

ბევრს დადიოდნენ, და ბევრს ქეიფობდნენ, მაგრამ ლუხუმის სამსახური ისეთი იყო, რომ დასვენებისა და ფიქრისთვის ბევრი დრო ჰქონდა.

იგი მეტწილად მეფის სამყოფელის კართან იდგა, წინ და უკან გადი-გამოდოდა და ფიქრობდა... ანკი სხვა რა უნდა ექნა ცოცხალ კაცს, საქმე არაფერი აწუხებდა და საათობით ისე როგორ გაძლებდა, რომ რამდენიმეჯერ ფიქრით თავისი ლამაზი კახეთი არ შემოეცვლო, დედ-მამის სამშობლო კუთხე ფშავი არ მოენახულებინა და, ბოლოს, თუ შეთვის გზა-წვრილებს არ ასდევნებოდა და თავის სათაყვანებელ ლილეზე არ ეოცნება.

როგორც კი ლილეს მისწვდებოდა მასი ფიქრი, უნდოდა თუ არა, თვალწინ თითქოს უკვე დავიწყებული, აბანოში მომხდარი უსიამო შემთხვევა წარმოუდგებოდა და ისევ ამდენხანს პასუხგაცემელი კითხვა დაუდგებოდა წინ:

— ნუთუ? ნუთუ ის იყო?



მეფესთან ამბები მოჰქონდათ: მთელ საქართველოში, დიდ ტაძრებსა თუ პატარა საყდრებში მღვდელმთავრებმა და უბრალო ზუცესებმა კვლავ წარმართობის წინააღმდეგ იწყეს ქადაგებო. ზოგი იმასაც ამბობდა, მეფის სახელის აშკარა ხსენებას ვერ ბედავენ, თორემ ჩუმ-ჩუმად მეკერპეობის აღდგენას მას სწამებენო.

ხალხში მითქმა-მოთქმა იყო, თითქოს მეფეს ლაშარის ხატში თავისი კერპი აღმართოს და ახლა არმაზსა და ზედა-ზენზედაც წმინდა ნინოს მიერ დამზობილი კერპების აღდგენას შესდგომოდეს.

დილით ადრე ადგა ლაშა, სადღესასწაულოდ გამოეწყო და წირვაზე წაასვლელად გაემზადა. დღეს კათალიკოსს უნდა ეწირა და, როგორც გაგებული ჰქონდა, ქადაგებასაც აპირებდა. ამიტომ ჩქარობდა ხელმწიფე და აქამდისაც სოონში იქნებოდა, რუსუდანს რომ არ შეეგვიანებინა.

მეფის ასულსაც მოესურვებინა საყდარში წასვლა და მშისათვის ეთხოვა— ერთად წავიდეთო.

სასახლეში მოსვლის პირველ დღეს რომ ნახა მიგრიაულმა, მერე აღარ გამოჩენილა რუსუდანი, ამბობდნენ, შეუძლოდ არისო. მაგრამ დის მოყვარული მეფის მზიარლება და სასახლეში გაჟეჟებული უზრუნველობა ამ ნათქვამს არ ეწყობოდა.

დღეს გათენებიდან უგუნებობა დაჰყვა ლუხუმს, ტანი ცუდს უაზრებდა და გაურკვეველის უსიამო მოლოდინში იყო.

როგორც იქნა, გვიან გამობრძანდა მეფის და. კარს რომ მოუახლოვდა, თითქოს შეკრთა და ფეხი აერია. მანაც არ შეიძინია, სახე მოღუშა და ისე გაიარა სწრაფად, დარბაზის შესასვლელთან ვაჭვავებულ მეფის მცველს ზედაც არ შეხედა.

ჯაჭვის ახალი პერანგი ეცვა მიგრიაულს, ხელთ უზარმაზარი ფარ-შუბი

ეპყრა და თავზე ლაშაბა მუზარადი ეხურა.

რუსუდანის დანახვისთანავე საზე-  
ლუწა, დაიბნა, მუხლებში უღონობა იგრძნო და თავი არ აუღია, ისე გაუღო კარი. ვხა რომ მისცა, წამით მზერა ვაპარა და მეფის დის ზედა ტუჩს შეასწრო თვალი: ტუჩს ნაკბენის თუ ნაკრევის კვალი აჩნდა.

კარი მიხურა. ლუხუმი ერთხანს გონდაკარგულივით იდგა. მუხლები ციებიანივით უცახცახებდა და, რომ არ წაქეუულიყო, ორივე ხელთ შუბს დაყრდნობოდა.

თანდათან გონი დაუბრუნდა და თითქმის სიზმარივით დავიწყებული, აბანოში მომხდარი შემთხვევა ხელახლა თვალწინ წარმოუდგა.

გონებაში ერთხელ ჩაქედილი კითხვა ისევ დაჟინებით მოეძალა:

— ნუუ ის იყო? ნუთუ?

— ღმერთმა ნუ ქნასო, — უკვე ხმამალლა აღმოხდა აბეზარი ფიქრით და ტანჯულ ვეკაცს, თავისივე ხმის თვითონვე შეეშინდა და ტანში ცივად გასცრა.

ფიქრიდან გამორკვეულმა იქურობას მოაღლო თვალი: არავინ უყურებდა, არც არავინ უსმენდა, ფარ-შუბი მოიმარჯვა, წელში გასწორდა და კარის წინ ჩუქო, მძიმე ნაბიჯებით დაიწყო ბოლთის ცემა.



ხალხით გაქედილ სიონის ტაძარში მალაღიე ბევრი იყო და დაბალიც, მაგრამ ველისციხელი მეფისმცველი ყველაზე ახოვნებს შორისაც მთელი თავით მალაღი ჩანდა. იგი ჭროლა, გამჭრიანი თვალებით ათვალეირებდა იქ მყოფთ.

ყველაზე წინ, ზედ ამბონთან ცალკერძ მეფე, ვარამ გაგელი და თორელეზი იდგნენ, ცალკერძ მხარგრძელი და მეფის და რუსუდანი.

ლუხუმი ხარბად აკვირდებოდა ჭალარაშერთულ, ჭარმაგ ათაბაგს. მხარბეკ-განიერი და ტანსრული იყო მხარგრძე-

ლი. თეთრგარეული შავი თმა-წვერი სანდომიან იერს აძლევდა ნახმლევეებით გამკაცრებულ მის სახეს.

მამობილის ფართო მკერდზე მიეყრდნო თავი რუსუდანს, ივანეს ცალი ხელი მხარზე მოეხვია შვილზე მეტად საყვარელი აღზრდილისათვის და მშვიდი, გონიერი თვალებით, სასოებაში წასული შეჰყურებდა მფრინავი ანგელოსებით მოხატულ მაღალ ჰერს.

შალვა ახალციხელი მეფის ახლო იდგა. ჩაფიქრებულმა წამით თავი ასწია, მეფის ახალი მცველი რომ შენიშნა, შორიდან გაუღიმა და მიესალმა.

ლუხუმს კმაყოფილებისაგან სახე გიჟებოდა. მეფის ახლობელთაგან თავიდანვე სხვაზე მეტად მოსწონდა მიგრიაულს ახალციხელი. შალვა გულწრფელი იყო და პირდაპირი. მტრის მტრობაც აშკარა იცოდა და მოყვრის სიყვარულიც. მეფე ალალი გოლით უყვარდა და მისი ერთგული ადამიანების დაფასება თავის მოვალეობად მიიჩნდა. შეუდრეკელი და ახოვანი იყო შალვა. ერთმანეთზე ვადაბმული ხშირი წარბები საიდრო ღრუბელივით გადმოხუროდა მის ორბულ ცხვირსა და დიდ შავ თვალებს. მარცხენა ლოყაზე, შუბის ნალწისა თუ ნახმლევის ნაკვალევი ღრმა ფოსოდ აჩნდა. ეს მცირე ღილისოდენა ნაჭრევი უზღებოდა კიდევ, სიმკაცრესა და სიქუფრეს ჰმატებდა მუდამ გასაღიმებლად გამზადებულ მის სახეს. მცირე მღელვარების, სიხარულის ან აღტაცების წუთებში ეს პატარა ფოსო შეუტრყდებოდა, ვერცხლისწყალივით აუთამამდებოდა და მთელ სახის ნახევარს მოსტაცებდა ხოლმე.

მეფის მცველიდან შვება მხარგრძელზე გადაიტანა ახალციხელმა და მაშინვე სახის მარცხენა ნახევარმა ნერვულად უწყო თამაში.

ასე იდგა ხოლმე ამბონის წინ მხარგრძელი ძველადაც, მშვიდი და უდრტყინველი. მხოლოდ მაშინ, ცალ მხარეს რომ რუსუდანი ედგა, მეორეს თამთა უმშვენებდა.

უწყალად მოიგლიჯა მკერდიდან ღვი-

ძლი შვილი დიდების მოყვარე მხარგრძელმა და შორს, საღაღაც ვანის ტბის ნაპირებზე გადაკარგა, საქართველოს უტურფესი ასული ურჯულ სპარსელებს ჩაუგლო ხელთ და ცოცხალიცა და მკვდარიც წასაწყემდად გასწირა.

შორიდან დროდადრო ამბები მოჰქონდათ, თითქოს თამთა თავის ქმარს, ეგვიპტის სულთნის ძეს, მელიქ აუჰადს გაგიყვებით ჰყვარებოდეს, და ქმარზე ვაქვეყნის საქმეებზე უსაზღვრო გავლენა ჰქონოდეს. ხლათელებმა თურმე თავიანთ სათაყვანებელ დედოფალს „გურჯიეთი“ უწოდეს და მის საქებრად ლექსებსა და სიმღერებს თხზავდნენ. მასზე გამოჯნურებული ვაჟკაცების უთვალავ რიცხვს მელიქ აუჰადის უმცროსი ძმა, უფლისწული ამრაფიც მიჰმატებია, სამყოფთაგან გავრილა და ახლა თავის მოკვლავზე ან თავისი ძმის სიკვდილზე ოცნებობს, რომ უღამაზეს დედოფალს დაეპატრონოს.

სჯეროდა შალვას, რომ ყოველივე ეს მართალი იქნებოდა, რადგან თამთას სიღამაზე და გონიერება მან სხვაზე უკეთ იცოდა, მაგრამ თამთას გულშიც ხომ სხვაზე ღრმად იყო ჩახედული ახალციხელი და როგორ დაიჯერებდა, რომ ეს გული მისთვის ასე მალე გაცივდებოდა.

სიყვარულისაგან გახელებულს, წმინდა საყდარში მღვარ შალვას თავში ბოროტი ფიქრები უტრიალებდა. ფიქრიდან მგალობელთა გუნდის სიმღერამ გამოარკვია.

ამბონზე კათალიკოსი შედგა ტაძარში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მლოცველთ სამგზის ჯვარი გადასახა კათალიკოსმა.

ათაბაგმა პირჯვარი გადაიწერა და გულზე მოწამესავით დაიკრიბა უზარმაზარი ხელები.

შალვამ ისევ სასოებაში გარდასულ ათაბაგს შეხედა, მისი წარსული გაიხსენა და თვალწინ დაუდგა „რჯულისათვის მისი თავდადება“.

აღვილად დათმო სომეხთა სარწმუნოება. მხარგრძელმა. ანგარიშმა სომხურად მონათულა უკარნახა მის წინა-

პრებს, ახლა ანგარიშმავე მიაღებინა ივანეს ქართული მართლმადიდებლობა და ისე იოლად მოინათლა ჩვენს რჯულზე, თითქოს ტანსაცმელი გამოეცვალოს.

რამდენჯერ უფიქრია შალვას, რომ ვაქეცი ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი რყო. რაც არ სწამდა არ ირწმუნა, მხედრული პირდაპირობით მეფეებს წინაშე უარი თქვა აღსარების გამოცვლაზე და, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ეკლესიაში გადმოსვლა ბევრ ახალ სიკეთეს უქადდა, მაინც სომხურ რჯულზე დარჩენა არჩია.

კათალიკოსი თანდათან ხმას უმატებდა. კერპთაყვანისმცემლობას გამობდა და შეჩვენებას უგზავნიდა.

ძველი აღთქმის გაკვეთილები გაახსენა მორწმუნეებს, ღვთის მიერ ბოშონთა და კერპთა შემუსვრის არა ერთი მაგალითი მოიყვანა.

მეფე გოცებელი უყურებდა მოხუცი კათალიკოსის გაკაპასებას და სახეზე ღიმილს ვერ იშორებდა.

ბიზანტიური და ქართული ნეოპლატონიზმის მსოფლმხედველობაზე აღზრდილი ლაშა უძღვები ეპისკოპოსებისა და გარყვნილი ბერების ქრისტიანობას უმეცართა თაყვანსაფარად, დაერღო-მილთა და მიხრწნილთა სარწმუნოებად თვლიდა.

ქეიფსა და დროსტარების მოყვარული ქაბუცი მეფე ხორცის დათრგუნვის ქრისტიანულ მოძღვრებაში მიმზიდველს ვერაფერს ხედავდა.

სამაგიეროდ, მშვენიერებისა და ვაქეციობის ტრფიალ ლაშას ძველი ქართული წარმართული რელიგია უაღრესად პოეტური ფერებით ეხატებოდა, თავისი გულბრყვილო ალეგორიებით, ბრწყინვალე დღესასწაულებითა და პროცესიებით, ძალისა და ვაქეციობის ზეიმით.

იგი ქართულ წარმართობას გმირებას რელიგიას ეძახდა, ხოლო ქრისტიანობა ბუნებით მონებისა და გლახაკების სარწმუნოებად მიაჩნდა.

მეფე გულსტივილით ხედავდა, როგორ იჩაგრებოდა და იღვენებოდა ქრისტეს ეკლესიის მიერ გმირობისა და რაინდობის მომღერალი სარწმუნოება.

ბარად ეს სარწმუნოება თითქმის უკვე გამქარაიყო და ახლა მიუვალ მთებში-ლა ითქვამდა სულს. იქაც ეკლესიის მოძალების შედეგად ქრისტეს რჯულთან შეგუებრთა და დათმობით-ლა იგრძელებდა არსებობას.

ქრისტეს სარწმუნოების მქადაგებლები თვითონ მიდიოდნენ ამგვარ დათმობაზე იქ, სადაც ძალით ვერაფერს აწყობდნენ. მთვარისა და მზის ღეთაებათა წარმართულ დღესასწაულებს წმინდა გიორგისა და ღვთისმშობლის სახელით იხდიდა ხალხი და ხევისბერებისა და ქადაგ-მეთხავეების გვერდით სწორად ხუცესები ქრისტიანულ წიგნლოცვას ატარებდნენ.

ხედავდა ლაშა, თუ როგორ იხრწნებოდა მის თვალწინ ერთ დროს მოწინავე, განათლებისა და პროგრესის მედროზე ქრისტიანობა. უზომოდ გამდიდრებული და განებივრებული ეკლესია სიხარბის, უძღვობისა და გარყვნილების მორევში იხრჩობოდა. მისი მეთაურები მამულების შემომტევაზე, საეკლესიო ყმებისათვის გადასახადების გადიდებასა და ამქვეყნიურ ფუფუნებაზე უფრო მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე თავიანთი სამწყსოს მოქცევაზე სიკეთითა და სიწრფოებისაკენ.

ერთ დროს ახლისათვის მებრძოლი ქრისტეს ეკლესია ახლა თვით ებრძოდა ყოველივე სიახლესა და მოწინავეს. მისი მსახურნი ასეეტრზმსა და ღვთის მორჩილებას უქადაგებდნენ მრევლს, თვითონ კი ყველას დასანახავად განცხრომასა და აღვირახსნილობაში ეჯაბრებოდნენ ერისაგანთ — მთავრებსა და დიდებულებს, კარისკაცებსა და დღევაპრებს.

საქართველოს ეკლესია ერთნაირი ფანატრზმით ებრძოდა სომხურ გრიგორიანობასა და ქართულ წარმართობას.

განათლებული მეფე სასაცილოდ იღებდა ეპისკოპოსთა გაუთავებელ კა-

მათსა და თავგამოდებას და თვითონ ყველა სარწმუნოებისადმი შემწყნარებლობას იცავდა: არა მარტო ლამაობასა და ლამაობაში იღებდა მონაწილეობას, არამედ სომხურ ეკლესიასა და მამადიანურ მიზგითშიც თავისი ფეხით მიდიოდა.

ყველა ამ საინტერესო თუ მოსაწყენ-რიტუალებში მეფეს უფრო გარეგნული მხარე იზიდავდა. სექტანტებისა და დოგმატიკოსების დაუსრულებელ ჩხუბს მასხრად იღებდა, ხოლო სარწმუნოებათა გამო ატეხილ ომებს ირონიით უყურებდა.

თავად მეფე არც ერთ სარწმუნოებაზე ბოლომდე მტკიცედ არ მდგარა.

ახალი რწმენა უცებ აღაფრთოვანებდა ხოლმე, მაგრამ უცებვე მოაზერებდა თავს. ნეოპლატონიზმით გატაცებული, ერთხანს სუფიებს დაუკავშირდა, მაგრამ სუფისტური ასკეტიზმისაგანაც ისევე მალე იბრუნა პირი, როგორც ქრისტიანულისაგან. ჭბაუყ მეფეს, რომელსაც ცალ ხელზე მიმინო უჯდა და ცალი ხელით ცხენდაცხენ ყანწის დაცლა ჰქონდა ჩვეულებად გადაქცეული, ომსა, ნადირობასა და ზიფათებში დავაყვაცებულ უფლისწულს, რომელსაც ლამაზი ქალის ერთი გამოხედვა ქვეყანას ერაჩია, ყურანზე მეტად ომარხაიამის სიბრძნე იზიდავდა, ხოლო ქრისტიანული დოგმების ზეპირობას დედანში ჰომეროსისა და ჰორაციუსის კითხვას არჩევდა.

კათალიკოსი თანდათან ხმას უმაღლებდა: რომელთა უწმინდური სარწმუნოების განქიქებას ბერძენთა მუკერა მეფის ივლიანეს ამბავი მოაყოლა. წარმართობისაკენ განათლებული აღმსიანების მობრუნება ველურობაა და პირველყოფილობისაკენ დაბრუნების უგუნურ ცდად წარმოადგინა.

კათალიკოსის მსჯელობამ თანდათან მიიზიდა და დაიპყრო მეფის ყურადღება. მას თვალწინ წარმოუდგა იმპერატორ კონსტანტინისაგან დევნილი, ლეგონერების მიერ ფარზე აყვანილი და იმპერატორად გამოცხადებული განათლე-

ბული და შემმართებელი ივლიანე. ლაზნიოსისა და ედესიოსის მოწაფე იმპერატორი გაბედულად შეუდგა მისთვის საქმლველი ქრისტიანობის წინააღმდეგ ლაშქრობასა და წარმართობის აღდგენას. პოეტურად აღგზნებული იმპერატორი სინამდვილისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა და გმირულად დაეცა ვაჟაკობისა და სილამაზის სარწმუნოების აღდგენისათვის კეთილშობილ ბრძოლაში.

ლამას ფიქრადაც არ მოსვლია, თავისი ნიჭი და შესაძლებლობა ძლიერი და განსწავლული იმპერატორის ნიჭსა და შესაძლებლობაზე მალა დაეყენებინა. ის, რაც ყოვლის შემძლე იმპერატორისათვის აღმოჩნდა მიუწვდომელი, მისთვის მით უფრო ძნელი და შეუძლებელი იქნებოდა.

გული სტიკოდა მეფეს იმპერატორის უღონობაზე, რომელსაც უკან შემოსაბრუნებლად ჩაჭიდებული მძლავრი ხელები მიამტვრია ისტორიის ჩარხის ბრუნვამ.

მით უფრო გულისტკივილით შეჰყურებდა იგი საყუთარ უღონობას. მას წარმართობის აღდგენა და ოფიციალურ რელიგიად აღიარება არც უფიქრია, მაგრამ ეკლესიისაგან ხალხის რწმენის დევნასაც ვერ ურიგდებოდა რწმენის თავისუფლების მომხრე მეფე.

დიდებულები და სამღვდლოება ეკლესიის ავტორიტეტს იცავდნენ და წარმართობის ყოველგვარ გამოვლინებას ცეცხლითა და მახელით ებრძოდნენ. თვითონ შალვა ახალციხელიც, მეფის უახლოესი თანამზრახველი და თანამდგომელიც კი ურყევად იღვა ქრისტეს სარწმუნოებაზე და საქართველოს შემდგომ წარმატებასა და დიდებას ქრისტიანობის განმტკიცებაში ხედავდა, და თუ მაინც მეფესთან ერთად ესწრებოდა ხოლმე სახალხო დღესასწაულებს, ამას უფრო ხალხის სიყვარულის მოსაპოვებლად და ათაბაგის გამოსაწყვეად სჩადიოდა.

ქადაგობის ეშხში შესულმა კათალიკოსმა ცოცხლად დაუხატა მსმენელებს

ივლიანე განდგომილი: თავნებად და უზნეოდ წარმოადგინა იმპერატორი. უჩვეულო გამოცოცხლებით ლაპარაკობდა საქართველოს ეკლესიის მეთაური მეკერპე იმპერატორის გუნებასა და ხასიათზე, გარეგნობასა და ქცევაზე. და ლაშა გიორგი შინაგანად გრძნობდა, რომ კათალიკოსი საქართველოს მეფის ნაცნობ სურათს უხატავდა მსმენელებს.

ეტყობოდა, იქ მყოფ დიდებულთაგანაც ბევრი ჩასწვდომოდა კათალიკოსის ქარაგმას, თავი მეფისაკენ მოებრუნებინათ და მისი სახის მცირედი მოძრაობის ფარულად თვალის დევნებით ცდილობდნენ ნათქვამით მომხდარი შთაბეჭდილების დაქერას.

მეფე კი იღვა თავაწეული, ყურადღებით უსმენდა ქადაგებას და თითქოს მას არაფერი ეხებო, არხეინი, დამცინავი ღიმილით შეკეჟურებდა გაფოფრილი მოხუცის თვალთაგან ცეცხლის ფრქვევას.

კათალიკოსი აშკარად იწვევდა საბრძოლველად ვილაც ძლიერსა და ძალაუფლებით გამპარტავებულს, რომელსაც დაიფიყებოდა რომ ამ ქვეყნიური ხელისუფლება დროებითია და უმაღლესი ხელისუფალი იქ, მაღლა არის, ყოვლის მცოდნე და ყოვლის მხედველი, დაუსაბამო და უსასრულო ღმერთი.

კათალიკოსი კიდევ უფრო გაცხარდა, უკანასკნელად დაარისხა ქრისტეს რჯულის უარყოფლები, ჯოჯოხეთის მარადიული ცეცხლითა და სამუდამო წაწყმედით დაემუქრა ვილაც უძღებესა ქრისტესაგან მიდრეკილს.

— ხოლო ისარმანზეცისაშან მოკლას იგი! — ხელაპყრობით შეღალადა კათალიკოსმა და წამით ჩამოვარდნილ სამარისებურ სიჩუმეში უცებ გაისმა ვაეკაცის ომახიანი ხმა:

— ნუ იყოფინ, უფალო!

კათალიკოსს ხმა ჩაუწყდა და სახე გაუფითრდა. მრისხანედ მოხედა იქით, საიდანაც ხმა გაისმა. მუხლზე დაცემული, ხელაპყრობით მოღალადე ათაბაგი რომ დინახა, გაშრა.

— ნუ იყოფინ, უფალო! არა გარდმოავლინო რისხვა შენი ქართველთა ზე-

დან, იხსენ და დაიფარე მეფე ჩვენი გიორგი!

მლოცველები ერთი კაცებით მოსწუნდნენ, მუხლებზე დაეცნენ და სასოებით გაიმეორეს მხარგრძელის ლაღისი:

— ნუ იყოფინ, უფალო! არა გარდმოავლინო რისხვა შენი ქართველთა ზედან, იხსენ და დაიფარე მეფე ჩვენი გიორგი!

ტაძარში ორნი-ლა იღგნენ ფეხზე — მეფე და კათალიკოსი. ხაფანგში მომწყვდეულევით იყო მეფე. იგი მიხვდა, რომ ათაბაგის ლაღადისმა საფარველი ახადა კათალიკოსის გულს ნადებს, ქარაგმა ახსნა და მთელი მრევლის წინ სააშკარაოზე გამოიყვანა ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოებისაგან მიქცეული საქართველოს მეფე.

ორნი იღგნენ ფეხზე — კაბუცი მეფე და კათალიკოსი. გაფოფრილი კრუხივით უყურებდა მღელვარებისაგან აცახცახებული კათალიკოსი ქორივით გამომხიზრალ ამყ მეფეს.

წამით შეტოკდა ლაშა, ის იყო გადაწყვიტა თვალბდაკუსული მოხუცისათვის ზურგის შექცევა და ტაძრიდან გასვლა, მაგრამ მუხლებზე სასოებით დაცემულ, მისი დღეგრძელობისათვის გულმხურვალედ მლოცველ ამდენ ხალხს რომ შეხედა, გაქვავდა. იგი უცებ მიხვდა, რომ მისი წასვლა ათაბაგსა და კათალიკოსს ახლა ყველაზე მეტად გაახარებდა, ხოლო მისი ტახტისა და პიროვნების ერთგულ თაყვანისმცემლებს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეურაცხყოფდა და გულს გაუტეხდა.

მუხლები უკანალებდა მეფეს, მცირე ბიძგი-ლა უნდოდა, რომ ძირს უღონოდ დაცემულიყო. და ეს ბიძგიც უცებ იგრძნო უკვე მოშვებულმა და ბავშვივით სატირლად გამზადებულმა ლაშამ: ჩაჩოქებული ახალციხელის გოლიათური ხელები სხეებისთვის შეუმჩნეველად მოეხვია მის ფერხთ და მეფე მოწყვეტილი დაეშვა მუხლებზე.

თავი რომ აიღო, კათალიკოსი ველარ



დინახა, საკურთხეველში შებრუნებულყო.

უსაზღვროდ მადლიერი თვალით უყურებდა ახალციხელი მეფეს, და განა მარტო ახალციხელი, — თითქმის ყველა იქ მყოფი, რომელთაც ამ წუთიერი, მაგრამ უმძიმესი ბრძოლის აზრი გაიგეს და განიცადეს.

მხოლოდ ათბაგი იდგა ძველებურად მშვიდი და უდრტივნიელი.

ოცი და მიუჯარებელი გამოხედვით იგი მთლიანად გამოთიშვოდა იქ მყოფთა საერთო განწყობილებას, თითქოს მის გარეშე და მისგან შორს მომხდარაყოს ერთი წუთის წინ დატრიალებული შფოთი.

\*\*\*

ზიარების უკანასკნელი მიმღებნი მიდიოდნენ კათალიკოსთან და სულ ბოლოს ზიარების მთხოვნელი უზარმაზარი ეპეკაცი რომ აყუდა თვალწინ, მხოლოდ მაშინ გამოერკვა მრევლის დალოცვით გატაცებული მღვდელმთავარი. ლუბუმის დანახვამ მაშინვე მეფე გაახსენა და უცებ გამოცოცხლებული თვალები სწრაფად შემოატარა ტაძარში.

მეფე აღარსად ჩანდა, ტაძრიდან უზიარებლად და კათალიკოსის ხელზე უმთხვევლად გამქრალიყო.

მეფეს რომ ტაძარში კათალიკოსის თვალები ამაოდ დაეძებდნენ, იმ დროს ლაშა თავისი საყვარელი ხათუნის — მეკუბოვე ჰამადავლეს ცოლის ალერსით იყო გართული და სიბერისაგან მიხრწნილი კათალიკოსის დამკვანარი ხელის ნაცვლად მთელ ქალაქში სილამაზით განთქმული ქალის გულ-მკერდს კოცნიდა.

ოთახი ლამაზად, გემოვნებით იყო მორთული. კუთხეში სამი კუბოს თავი იდგა აყუდებული. აღმათ, სავაქროში აღარ დატევოდა ჰამადავლეს და სიკვდილის გარდუვალობის ეს მუნჯი მოწმე სიყვარულის ამ სამყოფელშიც შემოეხიზნა. საყვარლის სილამაზითა და ალერსით დაბრმავებულ ლაშას კუბოს თავებისათვის თვალი ისე შეეჩვია, ვე-

ლარც ამჩნევდა ოთახში მათ არსებობას.

არა პირდაპირ, მაგრამ შიშხმელ შეურაცხყოფილ ლაშას წირქს ბოლოს მიხეზიანი ბავშვივით მოუნდა კათალიკოსის გაბრაზება და ამით მაინც მცარე სამაგიეროს გადახდა. სხვა ვერაფერი მოიგონა და ჩუმად, ზიარებისა და დალოცვის მიუღებლად გამოიპარა ტაძრიდან.

ახლა ამ ამბავს სიცილით უყუებოდა მის მკლავზე ნებივრობით უზომოდ ბედნიერ ხათუნს და თან ზემოტუჩთან ამოტვიფრულ პატარა ხალს უკოცნიდა.

— ხელზე, ჯერ ხელზე შემთხვიე, მეფე, ბატონო! — კისკისით ეუბნებოდა ვნებისაგან თვალმბრუნელი ხათუნი, — ოღონდ ეგრე გიყურად ნუ მკოცნი, წყნარად, სასოებით შემთხვიე, ვითომ მე ვარ კათალიკოსი.

ლაშამ ხათუნის ხელი აიღო, სანთელივით ჩამოქნილ თითებს დახედა ამ ხელს მთელი ქვეყნის კათალიკოსები და ხუცები დაენაცვლნო, გულწრფელად, სიცილით უთხრა და გრძელი, ვნებიანი კოცნით დაეწაფა.

ამ რამდენიმე თვის წინ გამოჩნდა თბილისში მაიმახი ჰამადავლე თავისი ულამაზესი ცოლით.

პირველად ავეჯის დიდი სავაქრო გახსნა, წყალგალმა, სასახლის პირდაპირ.

მეფეს და მის მსახურთ თაყვანისმცემლად ყურადღება არ მიუქცევიათ ამ ახალი სავაქრო სახლისათვის: ხალხი ჩვეულებრივ შედიოდა სავაქროში და საწოლებს, მაგიდებს, სკამებსა და ტახტებს ყიდულობდა. ოღონდ ეს კი იყო, რომ უფრო ჭაბუკები ეტანებოდნენ ავეჯის სახელოსნოსა თუ სავაქროს, ცხენიდან ჩამოხტებოდნენ, სავაქროში შევიდოდნენ და დიდხანს, ხშირად ძალიან დიდხანს ელოდნენ მათ მობრუნებას სავაქროს ბოძთან თავჩამოკრული ცხენები.

მეფეს ერთხელაც არ შეუხედავს ამ სავაქროში და იქნებ გვიანამდეც ვერ გაეგო, რა თაფლი იზიდავდა ამოდენა ფუტკარს.

მეგრამ ერთ დღილას მოგვიანებით ამდგარი, თავის საპატრიო სტუმართან შირვანშა რაშიდთან რმ დღის დროსტარების გეგმებს რომ აწყობდა, სარკმელში გაიხედა და სტუმარს ტაბახმელისკენ მიმავალი გზა დაანახვა, სადაც იმ დღეს უნდა ექვიფათ.

უცებ, პირდაპირ სავაქროში, დარაბებთან აყუდებულ კუბოებს მოჰკრა თვალი. სახე გაბრაზებისაგან გაუფითრდა და შირვანშას რომ არ დაენახა, წამსვე კოზიმიტი დაუშვა.

ცოტა ხნის მერე, მარტო რომ დარჩა, მანდატურთუხუცესი იხმო, ავეჯის სავაქროს წინ გამოფენილ კუბოებზე მიუთითა და გამწყრალმა ჰკითხა:

— ეს რას ნიშნავს?!

— ქალაქში ჰირი განდა, მეფეც ბატონო. — შეწუხებული სახით მოახსენა მანდატურთუხუცესმა.

— როდის? რატომ აღრე არ მომხსენდა?

— ხუთი დღის ამბავია. ჯერ რამდენიმე შემთხვევა იყო, ექიმები მოტყუებდნენ, იოლი ეგონათ. უკანასკნელ დღეებში მთელ ქალაქს მოედო და სასნეულოები აიგსო. სწორედ დღეს უნდა მოგვეხსენებინა.

მეფე შეწუხდა, აღელვებულმა გაიარგამოიარა. მერე ისევ სარკმელში გაიხედა და თავმოუბრუნებლად უბრძანა მანდატურთუხუცესს:

— ეგ კუბოები ააღებინეთ, რომ თვალში არ გვეჩხირებოდეს. ხომ ხედავ, როგორი სტუმარი გვყავს. ექიმბაშს მიხმე, სასნეულოები მიინდა მოვიანახულო.

მანდატურთუხუცესმა ავეჯის სავაქროსკენ მანდატურები აფრინა. მეფე ისევ სარკმლიდან უყურებდა: მანდატურები კარგა ხანს დარჩნენ მეკუბოვესთან. მერე უკან გამობრუნდნენ. ცოტა ხნის შემდეგ თვითონ მანდატურთუხუცესი მოადგა სახელოსნოს თავისი ოქროს არგნით.

მანდატურთუხუცესიც დაყოვნდა. უკან რომ მობრუნდა, ქუჩის პირამდე ქალმა მოაცილა. ვაზირი ერთხანს რა-

დაცის ელაპარაკებოდა, ოქროს არგანს წამდაუწუმ მალა აქნედა, პოლოს თავდახრით გამოეშვიდობა და სასახლისკენ სწრაფი ნაბიჯით გამოქანდა.

მეფე შორიდან ხედავდა, მანდატურთუხუცესის მისვლამ სულაც არ იმოქმედა, კუბოები ისევ ქუჩის პირად აყუდებული დარჩა, ხოლო ის ქალი, რომელმაც მეფის ვაზირი გამოაცილა, სავაქროს წინ ტახტზე იჯდა არხეინად.

— სავაქროს პატრონმა ქალმა მოხოვა, მეფემ თვითონ მიბრძანოს, თქვენს ნათქვამს არ ვერწმუნებო. — ღიმილით მოახსენა მანდატურთუხუცესმა.

ლამამ შუბლი მრისხანედ შეიკრა და გაოცებით შეხედა თავხედ ვაზირს.

მანდატურთუხუცესი დაიხარა, მეფეს კალთაზე ემთხვია და ჩურჩულით უთხრა:

— ქალის უნახავი გავცხადა, მეფეც! მსგავსი მშვენიება არც თვალთ გავცივდა და არც ნახატად გვინახავს.

ქაბუკი მეფე უცებ გამოცოცხლდა. სასახლიდან გარეთ გამოვიდა და სავაქრო სახლისკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართა.

აქლოზინებული მანდატურთუხუცესი ძლივს ეწეოდა წინ მიმავალ მეფეს.

მეფის მისვლა რად უნდოდა ამ კუბოების აღებას, ვაზირი თავის მანდატურებს შეუსევდა სავაქროს და რამდენიმე წამში გააქრობდა, მეგრამ ეშმაკი მსახური სავაქროს პატრონის დანახვისთანავე მიხვდა, რომ ამ ქალთან ჩხუბში მეფე მის მხარეზე არ იქნებოდა.

ქალის გასაოცარი სილამაზით დაბნეულმა მანდატურთუხუცესმა ხეირიანად ვერც კი უბრძანა კუბოების დაუყოვნებლივ აღება. პირიქით, თვითონ დაემორჩილა ამ უმშვენიერესი ქალის სურვილს და თავის სიცოცხლეში პირველად გაბედა ასეთი თავხედობა — მეფეს ვიღაც ვაქრის ცოლის ხლებმა სთხოვა. ახლა მეფეს რომ იწვევდა, თან წინასწარ ხარობდა, ვაიმეზო. თან მოხლები ეკრებოდა, ვაითუ არ მოეწონოს და სულ დავიღოპო.

მეფემ სავაქრო სახლის წინ ნაბიჯი

შენეღა და ბოლოს გაშტერებული შეჩერდა.

ლამაზი ქალის მეტი რა ენახა ლაშას, მაგრამ ეს, რომელიც ახლა კეკლუცო ლიმილით შეეგება, მანამდე ნახული ყველა ქალის მშვენიერებას ავიწყებდა.

— მობრძანდით, დიდო მეფევე, მადლობა უფალს, რომ ღირსგვყავი თქვენი ნახვისა! — უთხრა ახალგაზრდა ქალმა და მეფემ თვალი ვერ გაუსწორა უჩვეულო სილამაზეს.

მასპინძელმა სავაქრო სახლში შეიწვია მეფე. თამაში ლაშა დაბნეული იდგა საოცარი მშვენიერების წინაშე და თვალმოუცილებლად მიჰყევბოდა უკან ტანის მიმზიდველი რხევით მიმავალ ასულს.

კართან დარჩენილი მანდატურთუხუცესი მიხვდა, რომ გუმანმა გაუმართლა და გაიმარჯვა.

ლაშა დიდხანს არ გამობრუნებულა სავაქრო სახლიდან. სავაქროს უკან მდიდრულად მოწყობილ ოთახებში მეფეს თავისი საპატრო სტუმარიც დაავიწყდა და ქალაქში გავრცელებული ჭირიც.

იმ დღიდან ლაშა სავაქრო სახლის მუდმივი, მაგრამ ფარული მუშტარი გახდა. იგი ყოველამ, და ზოგჯერ დღისითაც, მეკუბოვის სახლში საიდუმლო შესასვლელით შედიოდა და დიდხანს, ხშირად დილამდისაც კი რჩებოდა.

რა შეუსაბამობა იყო ამ სავაქრო სახლის წინასა და უკანა მხარის შინაარსს შორის! მაშინ როცა წინ, სავაქროში, თვალცრემლიანი ჭირისუფლები კუბოებს ყიდულობდნენ და მიცვალებულ ნათესაებს ოხერით უმზადებდნენ იმქვეყნიურ სახლ-სამყოფელს, სავაქრო სახლის უკანა მხარეს ძვირფას ნახებსა და სტავრა-აბრეშუმებში ჩაფლული მიჯნურები სიყვარულის ნექტარს ეწაფებოდნენ და ამქვეყნიერი ბედნიერებით ტკებოდნენ.

სიყვარულით გაბრუნებული თუ დაბრმავებული მეფე ველარც კი ამჩნევდა, რომ სავაქროს წინ კუბოები არათუ გაქრა, როგორც მისი ადრინდელი სურ-

ვილი იყო, არამედ მათმა რიცხვმა ერთი ათად იმატა, სავაქრო სახლიც თანდათან გაფართოვდა, მეზობელები ქულები შემოიერთა და სიხშირის მთელ უბანზე გაბატონდა.

ქალაქში ჭირი მძვინვარებდა. ამდენი ხალხის გლოვა და ტირილი ახარებდა მხოლოდ ჰამადავლეს გულს, რომელსაც მთელი ქალაქის კუბოებით ვაჭრობა ჰქონდა ხელთ ჩადებული. იგი მალე საქართველოს ყველა დიდ ვაჭარზე მდიდარი იქნებოდა და აღებ-მიცემისა და, ფულის მოგების ეშხში შესულს, თავისი ლამაზი ცოლი აღარ ახსოვდა.

ასე, 'ალბათ, მისი თანაშემწეები და ნოქრები ფიქრობდნენ, თორემ ჰამადავლე აგრე გულუბრყვილო როდი იყო, რომ თავისი გამდიდრებისა და წარმატების ფარული მიზეზი არ სცოდნოდა.

იგი ყურს იყრებდა და თვალს ხუჭავდა მისი მშვენიერი ცოლის მიჯნურის ბრწყინვალეების წინაშე. უფრო მეტიც, ყოველნაირად ხელს უწყობდა ხათუნს მეფის მიღებასა და გამასპინძლებაში. საათობით, და ზოგჯერ მთელ ღამესაც, შინ არ ბრუნდებოდა და მოქმედების სრულ თავისუფლებას აღუევდა ჭახუკი მეფის სიყვარულით გაგიჟებულ ხათუნს.

არავინ იცოდა ამ კაცის ასავალ-დასავალი. ზოგს იგი სომეხი ეგონა, ზოგი სპარსელად თუ ბერძნად თვლიდა. მთელი ქვეყანა მოვლილი ჰქონდა და რამდენიმე ხალხის ენა და ზნე იცოდა.

შესახედავად დუხჭირი ჰამადავლე ცალი ფეხით კოქლიც იყო და, როცა ქუჩაში გაშემებულ ხეობარ ფეხს მოათრევდა, შურით გასიებული ვაჭრები ენაშვარედ იცინოდნენ — ეგ ფეხი ათასების მოსახვეტად აქვს გაშემებულიო.

მისი სიმდიდრე ხომ ზევრს ეხარბებოდა, მაგრამ უფრო მეტს ხათუნის ზღაპრული მშვენიერება შურდა. ვერ აეხსნათ და ვერ ჩამხვდარიყვნენ, თუ რას უნდა აეძლებინა ეგ ზომ ლამაზი ქალი, ამ ხორციითა და სულით მახინჯი კაცის ცოლი გამხდარიყო.

იქნებ სიმდიდრეს? მაგრამ რომელი მდიდარი კაცი იტყოდა ხათუნის ცოლობაზე უარს. ათას მიზეზს დაასახელებდნენ, ათას საბუთს მოიშველებდნენ, მაგრამ კითხვა ისევ აუხსნელი რჩებოდა, და ბოლოს იმ აზრზე დადგებოდნენ, რომ ყველაფერს ბედი უნდა და, თუ კაცს ბედი აქვს, მისთვის არც გარეგნობას აქვს მნიშვნელობა, არც წარმოშობასა და არც სიღარიბეს.

ბევრს პირველად ისიც ვერ გაეგო, თუ რატომ წამოვიძმა სავაჭრო სახლი პამადავლემ მეფის სასახლის პირდაპირ. მიხვედრით იცოდნენ, რა ძვირი უნდა დასჯდომოდა ასეთი ადგილის შოვნა. მეფის რამდენი მოხელე უნდა მოესყიდა, ქალაქის მეურვეებთან რამდენი ქრთამი უნდა დახარჯოდა ამ ფულის გიყს, და მერე რისთვის ყველაფერი?

ასე მსჯელობდნენ ისინი, ვრცე პამადავლეს რთულ ანგარიშს ვერ მისწვდომოდნენ. რა იცოდნენ გამოუცდელმა გულუბრყვილობაში, თუ რა კაკანათს აგებდა პამადავლე სასახლის წინ, რა ჩიტს დასვამდა მიმინოს მოსატყუებლად და რამოდენა მტაცებელს გააბამდა ამ პატარა სავაჭროს ქსელში.

როცა პამადავლე დიდვაჭრებში გაერია და ჩურჩულით მისი გამდიდრების ნამდვილ მიზეზზე დაიწყო ლაპარაკი, მხოლოდ მაშინ მიხვდნენ მეკუბოვის ანგარიშს. მაშინ გაიგეს, თუ რა ძვირად აფასებდა თავის სიღამაზეს მახინჯი პამადავლეს მშვენიერი ცოლიც.

მეფემ პირველად რომ ნახა პამადავლე, გული აერია. უცებ მისი ხათუნის მშვენიერესი თავი დუხჭირ პამადავლეს ჩავარდნილ მკერდზე მისვენებული წარმოიდგინა. უნდოდა, იქვე გაეგლოჯა, მაგრამ თავი შეიკავა და პირი იბრუნა საზიზღარი სანახაობისაგან.

მთელ დღეს იტირა თავისი სიყვარულის უბედურებაზე. ერთი ფიქრი გააფიქრა, მაგასთან ნაწოლ ქალს როგორღა მივეკარებო, მაგრამ საღამოს გულმა ისევ მეკუბოვის სახლისკენ გაუწია და ხათუნის მშვენიერების შუქში დად-

ნა, დაიკარგა კოკლი მეკუბოვის საშინელი ჩვენება.

დროდადრო ეს ჩვენება ისევ თვალწინ დაუდგებოდა ბედნიერ მიჯნურს, თავდავიწყებიდან გამოიყვანდა და მეფე გულის ნადებს გაანდობდა ხოლმე ხათუნს:

— მოკვლავ ან მოგაშორებ, ისე დავკარგავ, კაცმა ვერ გაიგოს მაგის გზაკვალი!

— ნუ, გენაცვალე, ნუ იქმ, თუ ჩემი სიციოცხლე გინდა.— შემოებვეოდა ყელზე თვალცრემლიანი ქალი,— რომ იცოდე, რა ამაგი აქვს ჩემზე, მაგას აღარ იტყოდი... — აქვითინდებოდა ხათუნი.

გულმომბალი ლაშა ჯერ მის დამშვიდებას მოუნდებოდა, მერე ისევ ალერსს დაუბრუნდებოდა და პამადავლეს გულისამრევი ლანდი ისევ სიყვარულის ბურანში იძირებოდა.

• • •

ალერსით დაღლილ მიჯნურებს კარგა ხანს ეძინათ.

პირველმა ლაშამ გამოიღვიძა, მკლავი ფრთხილად გამოაცალა თავქვეშ საყვარელს, ტახტიდან ჩუმად ჩამოვიდა და ტანის ჩაქმას შეუდგა.

ის იყო, უკანასკნელი დილიც შეიკრა, რომ კართან ხამაღალი ლაპარაკი მოესმა:

— ჩემა მზემ, მთელი ქალაქი რომ დაიარო, უკეთეს კუბოს ვერ იშოვი. მახლას, იათადაც გაძლევ, შენი ყისმათი ყოფილა.

ლაპარაკობდა ვიღაც და თან გასაღებებს აჩხაკუნებდა. ეტყობოდა, ვიღაც ხათუნის ოთახს უახლოვდებოდა.

ხათანგში გამომწყვდეულივით მოავლო თვალი იქაურობას ლაშამ: კუთხეებში სამი კუბოს თავი იყო აყულებული.

ისევ კლიტემ გაიჩხაკუნა და ლაშამ კარგად დაინახა, რომ კარის ჭეჭრულტანა დაბნელდა და შიგ გასაღებმა დაიწყო ტრიალი.

ხათუნს დახედა: ისევ მშვიდად და კმაყოფილად ეძინა.

ბევრი ფექრის დრო აღარ იყო, კარებში უკვე კლიტე ტრიალებდა.

ერთ წამს გაიფიქრა, ლოგინში შეგორებულიყო და თავს საბანი წაეხურა. მაგრამ თუ ჰამადავლე შემოვიდოდა, მაშინ რა უნდა ექნა?

ხმალამოლებული დამდგარიყო კართან, ოთახში პირველივე შემომსვლელი აეკათა და გაქეუულიყო? არც ეს აზრი ეჩვენა გონიერულად, იქნებ თვითონ ას მოეკლათ ჰამადავლესა და მის ნოქრებს!

თვალი ისევ უმწეოდ მოავლო ოთახს ლაშამ და კუთხეებში აყუდებულ კუბოს თავებს რომ შეხედა, უცებ გონება გაუნათდა.

ხმალს ხელი დაავლო და აყუდებულ კუბოს თავს მოეფარა.

კუბოს თავი პატარა ზომის აღმოჩნდა, ლაშა მოკრუნხხა, მაგრამ მინც ვერ ჩატია ფართო მხარბეჭვი მოზარდის კუბოს თავქვეშ. უცებ უკანვე გამოვიდა და ახლა მეორე კუთხეში აყუდებულ უზარმაზარ კუბოს თავს შეეფარა.

აქ კი თავისუფლად გაიმართა დამალული მეფე-მიჯნური. კუბოს თავი იმოდენა იყო, ლაშასთანას ერთს კიდევ შეიფარებდა და დამალავდა.

ამ უზარმაზარ სახურავს რომ ახედა, პირველადვე უკუღმართი აზრი მოუვიდა — ახოვანი მხარგრძელისთვის გამოდგებაო. მაგრამ მაშინვე თავისი ველისციხელი მცველი წარმოუდგა თვალწინ, ათაბაგზე გაცილებით ზორბა, მაღალი და ბრვე ვაეკაცი. — სწორედ მისთვის არის ზედგამოჭრილი, ალბათ, ცოცხლადვე თუ აუღეს ზომა ლუხუმს, თორემ სხვა ამოდენა ვაეკაცი ვინ არის საქართველოშიო, წამით გაუელვა თავში ლაშას და მისი მდგომარეობის შეუფერებლად ბავშვივით გაეცინა.

კარი გაიღო, ოთახში ჰამადავლეს სავაკრო სახლის გამგე შემოვიდა. მძინარე ხათუნს რომ შეხედა, შეწუხდა, ფეხისწვერებზე შედგა და ოთახში მის უკან შემოსულ ნოქარს ჩურჩილვით უთხრა:

— როგორ მოხდა, რომ ქალბატონი

შინ არი. განა ჰამადავლემ არ იცოდა, როცა გასაღებს ტოვებდა?

— დილით წირვაზე წავიდა ქალბატონი და ბატონს ჯერ შინ არ ეგულუბოდა. მეც არ დამინახავს, ისე დაბრუნებულა.

სავაკროს გამგემ ტუნზე ხელი მიადო და გაჩუმება ანიშნა.

მუშტარს კუთხეში მდგარ კუბოს თავზე მიუთითა და ფეხაკრეფით გაუძღვა.

სწორედ იმ კუბოს თავთან დადგნენ, რომლის უკანაც მეფე იყო დამალული.

ლაშას სუნთქვა შეეკრა და ყელი გაუშრა. ერთი ჩახველება მთელ სიცოცხლეს ერჩია. მაგრამ ხმის გაღება არ შეიძლებოდა, მორბუხა და ხმალი უფრო მაგრად ჩაბლუჯა ხელში.

— ამაზე მეტი შენი მკვდარი არ იქნება. — ხმადანლა უთხრა მუშტარს სავაკროს გამგემ.

— არა, ზომა კარგია, არა ვწუნობ, აკი გითხარი კიდევ... — წაიბურღლუნა მუშტარმა და ხელით კუბოს თავს წაეტანა.

ლაშას ცახცახი აუვარდა, შიშისაგან სულ მოიკენტა და მუშტარს ოდენა გახდა.

— მა რალას ყოყმანობ? მასალა საუკეთესოა, მუხაა, მეორედ მოსვლამდის გასძლებს. — ისევ ხმამალა თქვა გამგემ და ნათქვამის დასადასტურებლად ორი მოლუნული თითით მაგრად დააკაუნა კუბოს თავზე.

კუბოს თავმა იმოდენა ხმა გამოსცა, რომ თვითონ დამაკუნებელი შეკრთა და შეშინებულმა ლოგინისკენ გაიხედა.

ხათუნმა თვალი გაახილა, მკერდზე საბანი გადაიძრო და იქაურობას თვალი მოავლო.

სიზმარში ეგონა თავი, მიჯნურთან მწოლარეს ზომ არ წამომადგნენ თავსო, ჯერ შეკრთა, მაგრამ ლაშა რომ ველარსად დაინახა, იფიქრა, წასულაო, უცებ დამშვიდდა და კოპები შეკპრა:

— ლმერთო ჩემო, ძილსაც აღარ აცლიან პატროსან ადამიანს! აქ რა გინდათ, როგორ გაბედეთ! — აკივლდა გაანჩხ-

ლებული ხათუნი და ლოგინზე წამოიწია.

მუშტარმა ტიტველი ქალის დანახვაზე თვალზე ხელი აიფარა, სწრაფად პირი იბრუნა და კარისკენ წავიდა რალაც გაურკვეველი ბურღლუნით.

— უკასრავად, ხათუნ, შინ არ გეგონენ... — თავის ქნევით და ვიშვიშით წავიდა კარისკენ ორად მოკეცილი გამგე. ახალგაზრდა ნოქარიც ბოდიშით მიჰყვა უკან, ისე, რომ კართან მისვლამდის ქალბატონის შიშველი გულ-მკერდისთვის თვალი არ მოუშორებია.

— საძაგლებო... ხეპრეებო! მე თქვენ გაჩვენებთ! — გაჰკიოდა ხათუნი, ოქრომკედლით ნაქსოვ ქოშს დასწვდა და მოკეტულ კარს ბრაზით შეანარცხა.

ხათუნი ლოგინზე წამოაჯდა.

უცებ კუბოს თავთან რალაც შეირხა.

შეშინებულმა მეფის მიჯნურმა დაფეთებულ თვალებით გაიხედა.

კუბოს თავი ისევ შეტორტმანდა, მერე დაიძრა და ხათუნს წამით ისე მოეჩვენა,

ნა, თითქოს ეს უზარმაზარი კუბოს თავი მისკენ წამოვიდა.

— ვაიმე! — შეჰკივლა ხათუნმა და კუბოს თავმა იატაკზე მოადინა ბრაზვანი.

მეფე სამალავიდან სიცილით გამოვიდა, მაგრამ ლოგინზე გადაქცეულ ქალს რომ შეხედა, დაიბნა და ღიმილი ტუჩზე შეაცივდა.

ლოგინთან მიიჭრა შეშინებული ლაშა და გულწასულ საყვარელს ჩასძახა:

— ხათუნ, ჩემო სიცოცხლე! რამ შეგაშინა, მე ვარ, შენი ლაშა ვარ...

შეწუხებულ მეფეს ხელები უკანკალებდა, არ იცოდა, რა ექნა და ხან გულმკერდს უკონიდა, ხან ყელ-ყურს და ხანაც მოხუტულ თვალებს, თითქოს კონკნა ყოფილიყოს გულშემოყრილი ქალის მოსაბრუნებელი ერთადერთი წამალი.

საოცარი იყო, მაგრამ წამალმა გასკრა: ქალმა მოიხედა და ოდნავ გახელილი თვალის შუქი მიანათა მისი გონს მოსვლით უზომოდ გახარებულ ლაშას.

## თავი მეთხუთსე

### ხმალზე გაფრენილი კვიცი

ოცდახუთი წლის ქალი იყო ციციხო, როცა თავისი პატარა ლილეოთი მთათუშეთში შეეხიზნა ზეზვა გაფრინდაულს.

არც თვითონ ამხელდა და არც ზეზვა ეტებნებოდა ვისმე მის ვინაობასა და შთამომავლობას.

ოდესღაც დიდი და გავლენიანი გვარიდან ეს ორი სუსტი ქალი-ლა გადარჩენილიყო. ციციხოს ქმარი და ქმრის მთელი ნათესაობა ტახტის ღალატისათვის ამოეხოცათ. ციციხო და ლილე შემთხვევით შინ არ ყოფილიყვნენ, ლილეს უბედურ მამას მოესწრო ცოლის გაფრთხილება და ციციხო მთათუშეთში გაიხიზნულიყო მის ერთგულსა და მრავალგზის ნამსახურ ზეზვასთან.

მას შემდეგ აგერ თხუთმეტი წელი გავიდა, მთათუშეთში ცხოვრობს ციციხო და უზარალო თუშის ქალივით კარაქს დღებავს და მატყლსა ჩეჩავს. ზეზვას

ოჯახი ცდილობს ყოველგვარ სამუშაოს მოარიდოს ნებიერ ცხოვრებას შეჩვეული ერისთავის ქალი, მაგრამ ამ მივიარდნილსა და ქვეყნისაგან მოწყვეტილ მთაში უქმად რა გააძლებინებს აღამიანს! და უზის სართავსა და საქსოვს ზამთრის გრძელსა და ცივ ღამეებში ერისთავის ქალი ციციხო და იგონებს იმ დეკარგულ ბედნიერებას, რომელიც ცხრამთას იქით საღდაც დარჩა და რომელსაც ვერასოდეს ვეღარ დაიბრუნებს.

მეუღლის დიდი და მრავალრიცხოვანი გვარიდან განგებას თუ ციციხოს თავგანწირვას ეს პატარა გოგონა-ლა გადაურჩენია, რომელსაც უზომოდ მოყვარულმა მამამ მზის ძველთა ძველი ღვთაების სახელი — ლილე უწოდა.

სასახლის კარზე საზრდელად გაჩენილი ლილე ქოშში ცხოვრობდა, ბერძნულისა და არაბულის მაგივრად ბალღო-

ბიდან წოვათუშური ისწავლა და ახლა ქართულზე უფრო ის ეხერხებოდა.

რამდენადაც გარემოება ნებას აძლევდა, ციციხო მარცხ ცდილობდა თავისი ქალისათვის შესაფერისი აღზრდა მიეცა. ლილემ ირმისა და ხარის ბეჭზე წერა-კითხვა ისწავლა, ხელსაქმე იცოდა და თავის ტოლ თემ გოგონებში ღირსეული თავდაპყრობით გამოირჩეოდა.

პატარობიდან ჩააგონა დედამ ლილეს, რომ დიდსა და კეთილშობილ გვარს ეკუთვნოდა და ამიტომ სხვებისთვის თავი არ უნდა გაეტოლებინა.

გვარის აღდგენისა და ხელახლა აღზევების მთელ იმედს ამ ერთადერთი შვილის გათხოვებაზე აყარებდა ციციხო და ამიტომ სულ იმას ჩასჩინებდა, რომ მისი მოწოდება საქართველოს დედოფლობა თუ არა, რომელიმე დიდებულის ან ერისთავთ ერისთავის სასახლის ქალბატონობა მაინც იყო!

ლილეს დიდი გვარის საბუთად საბრალლო ციციხოს მოგონებისა და ერთადერთი მედალიონის მეტი აღარაფერი შერჩენოდა. ამ მედალიონში ლილეს ამოწყვეტილი გვარის გერბი იყო მინანქრით გამოხატული: შიშველ ხმალზე გაფრენილი კვიცი.

ეს ერთ დროს ძლიერი და გავლენიანი გვარის გერბი ადრე საბრძოლო დროებზე, კეთილნაშენი ტაძრებისა და ციხეების კედლებზე, ზავისა თუ წყალობის უამრავ საბუთსა და ათასგვარ სიგელ-გუჯარს ამოვენებდა და ვეცხლისა თუ ოქროს ფულის ნიშნებზე დამკვიდრებისგანაც შორს აღარ იყო.

გვარის გაქრობასთან ერთად მისი პერალდიკაც მოისპო — შიშველ ხმალზე გაფრენილი კვიცის გამოხატულება ციხეებთან ერთად გაქრა, ტაძრის კედლებზე ჩამოიფხვია და საგვარეულო დროებთან და სიგელ-გუჯარებთან ერთად ცეცხლში დანთქა.

ბუმბერაზი ვაჟკაცებით გაამაყებულ ზვიადი გვარიდან ეს სუსტი გოგონა-და გადარჩენილიყო, ხოლო უთვალავ საგვარეულო ბეჭდებზე და გერბებზე გამოხატული ხმალზე გაფრენილი რაში

ოქროს პაწაწინა მედალიონში შემალულიყო.

ლილე რომ ჰასაკში გვევლინება, სიფრთხილესა და ზრუნვას უმატა. ასი თვალი და ყური ჰქონდა ციციხოს გამოცხმული, ეშინოდა მისი ქალი რომელიმე უბირ თუშს არ გადააქვდებოდა და გვარის აღდგენისა და აღზევების იმედი სამუდამოდ არ დამსხვრეოდა.

ქმრის ანდერძი მარტო შვილის აღზრდას კი არ ავალებდა. ზეზვას ხელით გადმოცემულ უკანასკნელ ბარათში სასიკვდილოდ განწირული მეუღლე ევედრებოდა: „მიგითვალავ ქალსა ჩემსა ლილეს, დაიცავი მტერთაგან უვნებლად. დაღათუ არა მამაკაცი არს, არამედ დედაცა, თუ ღმერთმან ინებოს აღზრდაი მისი, ვგონებ, რომელ შემძლებელ იყოს პყრობად სამკვიდროისა ჩემისა, რამეთუ კეთილთა ჰასაკითა არს და ჰაეროვან...“

გვარის სამკვიდრო ციციხოს ქმრის მტრებს დაეტაცებინათ და შიგ თვითონ დამკვიდრებულ იყვნენ. მამაპაეულ მამულსა და ციხეებზე უფლების აღდგენაზე ციციხოს ოცნებაც არ შეეძლო, რადგან ლილეს არსებობის გაცხადებაც კი დაუწყვენებლივ აღუხვრიდა საიდუმლოდ გადარჩენილი გვარის უკანასკნელ მემკვიდრეს.

ამიტომ ციციხო ქმრის ანდერძის ასრულების იმედს მთლიანად ლილეს იშვიათ სილამაზეზე აყარებდა. მალა წრეებში აღზრდილმა ერისთავის ქალმა იცოდა, რომ ქალისათვის ტურფა გარეგნობა ის საბუთი იყო, რომელიც ლამაზს ყველა სიგელ-გუჯარზე და მხითვზე იოლად უხსნიდა გზას მამაკაცის გულისკენ.

ყოველ მხრივ ღარიბი და უბედური ლილე ბუნებას ამ მხრივ ზომავზე უხვად დაეჯილდოებინა. მისი მოსხლეტილი ტანი, მიზნედილი შავი თვალები, ყორნისფერი თმა და წარბ-წამწამი უკვე თუმ მეღუქსეების შთაგონებად ქცეულიყვნენ და ფანდურზე მარტო მამაკაცები კი არა, ამყი თუშის ქალებიც მის ქებას ამღერებდნენ.

როგორც გაზაფხულის მზე გამოადეი-  
ძებს და გარეთ გამოიტყუებს სივრცეში  
მიმალულ მძინარ ცხოველს, ისე ლილეს  
პასაჟმა, ქალობაში შესვლამ გამოიყვანა  
თავისი სამალავიდან ციციწო, მან  
ფრთხილად იწყო ჯერ ჯარსა და საფი-  
ზნოში გამოსვლა, მერე ხატსა და დღე-  
სასწაულებზე სიარული. კახეთში ალა-  
ვერდობაზე ჩასვლაც კი გაბედა შვილის  
ბედის მიძიებელმა ქალმა, მაგრამ ამ-  
ოდ: ყველგან იგივე ნახევრადველური  
მთიელები და უბირი გლეხაკები იყე-  
ნენ, დიდგვარიანები სახალხო დღესა-  
სწაულებს ნაკლებად ეტანებოდნენ და  
თუკი სადმე გამოჩნდებოდნენ, მდიდარი  
გლეხებისაგან არც ქვევთ განირჩეო-  
დნენ დიდად და არც მდგომარეობით.

ციციწოს სურვილი მალლა მიიწვედა,  
მიუწოდმლად მალლა, მისი ოცნება მე-  
ფის სასახლეს დასტრიალებდა.

თავის ლილეს თამარ დედოფლის  
ტახტზე რომ წარმოიდგენდა, ჯალათის  
მიერ ცუდით წაგდებული ქმრის თავი  
ისევე ფართო მხარ-ბეჭიდან გაუცინებდა,  
უწყალოდ ამოვლელი გვარის დიდათა  
და პატარათა კენესა (გამუდმებით რომ  
ყურში ესმოდა) წამით მიწყდებოდა და  
ციციწო იმ წუთში ხედავდა, როგორი  
ზარ-ზეიმით უღებდნენ სამოთხის კარს  
მრავალტანჯულ რძალს დაღუპული მე-  
უღლის ურიცხვი ნათესავეები.

იგი ოცნებას ანგელოსის ფრთებით  
მიჰყავდა ზეციური ღრუბლებისაკენ, სა-  
დაც, ციციწოს რწმენით, მისი ქმარი და  
მთელი უდანაშაულოდ ამოწყვეტილი  
საგვარეულო ცხოვრობდა სამარადისო  
ბედნიერი ცხოვრებით.

ეს ფიქრი თუ ოცნება საქართველოს  
დედოფლის ტახტზე ლილეს ხილვისა  
თავისი ცხოვრების მოწოდებად და წმინ-  
და ვალდებულებად გადაქცეოდა ციცი-  
წოს. საკუთარ ჯანმრთელობას და სი-  
ცოცხლეს მხოლოდ იმისთვის უფრთხი-  
ლდებოდა, რომ ქმრის და გვარის წი-  
ნაშე თავის მიერ ნაკისრი ვალდებულება  
შეესრულებინა. მერე კი... მერე სიხარუ-  
ლით წავიდოდა თავის საყვარელ მეუ-  
ღლესთან, რომელთანაც ტბილი ცხოვ-

რების ერთი წელიც არა ჰქონდა გარ-  
რებული. წავიდოდა პირნათელი და მი-  
სი ანდერძის ერთგულად შემსრულებე-  
ლი, რათა წმიდათა საუკუნო ცხოვრე-  
ბით დამტკბარიყო მათთან ერთად.

რამდენ კარგ მთიელს ევირა თვალი  
ლილეს — ზოგ მათგანს ცხვარიც ბლო-  
მად ჰყავდა და ვაჟაკაცაც არ დაიწუ-  
ნებოდა, მაგრამ ციციწოს არც ერთის  
გაგონებაც არ უნდოდა.

ერთი ამინებდა ციციწოს, ლილე არ  
მომტაცონ ამ თავზეხელაღებულმა მთი-  
ელებმაო. ღამე ლილესთან იძინებდა  
ერთ ლოგინში ჩახუტებული, მარტო თა-  
ვის დღეში არ გაუშვებდა გარეთ და შე-  
კრებილობაში მუდამ ზეზვას ვაყებთან  
დაჰყავდა.

ზეზვას ვაყების სახელით ქისტის ქა-  
ლები ატირებულ ბავშვებს აჩუმებდნენ,  
ქრუხში ირემს აღარ ედგომებოდა და ცა-  
ში არწივს, და რომელი თავმოძულებუ-  
ლი ვაჟაკი გაბედავდა მთი შიშით გა-  
ფრინდაულებისთვის ღვიძლ დაზე უფ-  
რო მეტად საყვარელი ნაღობისათვის  
აგი თვალით შეხედვას!

ერთხელ ველისციხეში გათხოვილი  
ბიძაშვილი ეწვია ზეზვას. ქეთევანმა მო-  
სვლისთანავე დაადგა თვალი ლილეს,  
მიუალერსა და წასვლისას საჩუქრები  
უსახსოვრა.

მეორედ რომ ამოვიდა ქეთევანი მთა-  
თუშეთში, მაშინ მიხვდა ციციწო მისი  
პირველად ამოსვლის მიზანსაც. თან ერ-  
თადერთი შვილი ამოიყვანა, უკვე ვაჟ-  
კაცობაში შესული ლუხუმი.

ციციწოს ყურადღება პირველი და-  
ნახვისთანავე მიიქცია ბარიდან ამოსულ-  
მა გოლიათმა. კარში რომ შემოტყულო-  
ყო, ორად მოიხარა ბუმბერაზი და ფარ-  
თო მხარ-ბეჭი გვერდელად ძლივს შე-  
მოიტანა.

უზარამზარი ქვევრის ბადემბივით  
დიდსა და ტლანქ ხელში ჩაიკარგა ჩამო-  
სართმევად გაწვდილი ციციწოს ხელი.

ვაჟაკი არაჩვეულებრივად მალალი  
და ტანბრგე იყო. მშობურ სახეს ორბუ-  
ლი ცხვირი და კროლა, გამჭრიახი თვა-  
ლები სიცივესა და სიმტკიცეს აძლევ-



დნენ, თუმცა მიგრიაული ბავშვებით მორცხვი და მიამიტი იყო.

სახლში შემოსვლიდანვე უცნაურად იქცეოდა სტუმარი. ლილეს ყოველ შეხედვაზე მამალივით უწითლდებოდა თავ-კისერი, თავს დამნაშავესავით ხრიდა და ხელით დასაყრდნობს ეძებდა, თითქოს წაქცივისა ეშინოდა.

როგორც კი ლილე თვალს მოარიდებდა, ლუხუმი თავს აწეუდა და დამშუტული ნადირივით დიდრონი დაფეთებული თვლებით ისე უყურებდა ამ პატარასა და ნახ ქალს, თითქოს ეს არც, ჩაყლავას უპირებდო.

ციცინომ რამდენჯერმე შეასწრო თვალი მისი ერთადერთი ნუგეშისაკენ ასე მხეტურად მზირალ ვაჟაკს, და ამ ტლანქი, მოხვერივით თვალებბრიალა ქაბუკის მიმართ რალაც შინაგანი კრთომა თუ შიში იგრძნო.

დედა და შვილი ველისციხისკენ ისე გაბრუნდნენ, ქეთევანს ციციონოსთვის გადაკრულადაც არაფერი უთქვამს.

შემოდგომასზე ღვინო, ხილი და ჩურჩხელები გამოუგზავნეს მოსაკითხად. ქეთინო ზეზვასადმი მოწერილ ბარათში ციციონოს განსაკუთრებული სიყვარულით მოიკითხავდა და ბოდიშის მოხდით წერდა, ეს მცირე ძღვენი — ხილი და ჩურჩხელები ჩემმა ლუხუმმა შენს მშვენიერ ქალს გამოუგზავნაო.

გლეხი ქალის ამ თავხედობამ მოთმინებიდან გამოიყვანა ციციონო — ჩემს შვილს მაგათი საწყალობელი არაფერი სპირსო, აყვირდა და ცივ მთაში ხილსა და ჩურჩხელებს დანატრებული ლილე ლუხუმის მოსაკითხს ახლოს არ მიაკარა.

მერე ზეზვას ჩააცივდა, ქვ ძღვენი უკანვე გაუგზავნე იმ თავგასულ დედაკაცს, რომ მისმა გაუთლელმა ახმახმა ჩემი შვილის ხსენება აღარ გაბედოსო. შეწუხებულმა ზეზვამ ხილსა და ჩურჩხელებს თავისი ბალები მიუსია, ხოლო ციციონო ალტყმით დაამშვიდა: მე თვითონ ჩავალ ველისციხეში და იმ ჩემს ნათესავს თავად ვეტყვი საკადრისსო.

ეს იყო და ეს, იმ დღიდან ქეთევანს

და ლუხუმს ზეზვას სახლისკენ აღარც ფეხი მოცდენიათ, აღარც მათ წერილს შეუწუხებია გაფრინდაულის ამპარტავანი ხიზნები.

ქეთევანი გულში შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, მაგრამ შვილს არ უმხელდა ზეზვას ნათქვამს. იგი კიდევაც დაივიწყებდა ციციონოს მშვენიერ ქალს, მაგრამ მის არსებობას გამუდმებით ახსენებდა ერთადერთი ვაჟის, ლუხუმის მოუსვენრობა და ჩუმი ოხვრა.

იმ დღიდან, საც მთათუშეთში, ზეზვას სახლის ზღურბლზე გადადგა ფეხი, ლუხუმი საქმეს გულს ველირ უდებდა, ერთ ადგილზე ვერ დგებოდა და ლამე დიდხანს შამფურივით ტრიალებდა ლოგინში ძილატებრილი.

ზოგჯერ ისე გამოებლიტებოდა თვალი ფიქრისაგან, რომ სუფრასე ქამას წყვეტდა, პირს გააჩერებდა და უაზროდ რალაც საგანს დაჟინებით მიაშტერდებოდა.

დედას უფრო ის აწუხებდა, რომ შვილის აფორიაქება მისი ბრალი იყო. მან ნახა პირველად ლილე, ჯერ თვითონ დედა მოიხიბლა ციციონოს ქალის სიტურფით, მერე შვილი წაყვანა მის სახახავად, აჩვენა და დალუპა კიდევ. ხედავდა ყოვლის მხედველი დედის გული შვილის განსაცდელს, არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა და თვითონ შვილზე მეტად იტანჯებოდა, რომ საშველს ვერსად ხედავდა.

თუმცა ქეთევანისათვის ზეზვას არაფერი უთქვამს, რვი მაინც გუმანით ხვდებოდა, რომ მისი შვილის დაწუნების მიზეზი სიღარიბე იყო.

• • •

ქეთევანის ქმარი მგელიკა მიგრიაული რომ მესრსხლებს გაერიდა და ველისციხეში დასახლდა, ერთხანს მიწის დამუშავებას მიჰყვა, მაგრამ ქისტების რბევასა და ვაჟაკებში მემჯობინებობას ნაჩვევმა მთიელმა ყანისა და ვენახის დამუშავებას გული ვერ დაუღო და თო-

ხი და ბარი ისევ ხმაღზე და შუბზე გასცვალა.

იმ დროს ქართველთა მხედრობა საქართველოს სამხრეთ მოსაზღვრე ქვეყნებზე ლაშქრობდა და მგელიკა მიგრიიულიც მხარგრძელების ლაშქარს გაჰყვა, არქეშისა და არდაველის ალებამო მიიღო მონაწილეობა და შინ სახელიანი დაბარუნდა.

როცა მხარგრძელებმა ხორასანზე ილაშქრეს, მგელიკა მიგრიიული იმ დარჩეულ ხუთას მხედართან ერთად შეეკადა პირველი მარანდში, რომელსაც თაყა თმოგველი სარდლობდა.

წინამბრძოლებს ზაქარია ამირსპასალარისაგან ნაბრძანები ჰქონდა, მტრის დიდ ჯარს არ შებრძოლებოდნენ, სანამ მთავარი მხედრობა არ მოეწეოდა. თუ წინ მტრის მნიშვნელოვანი ძალები შემოხვდებოდნენ, თაყაიდინს ამირსპასალარისათვის უნდა ეცნობებინა და ისე მოქცეულიყვნენ, როგორც მთავარსარდალი უბრძანებდათ.

წინამბრძოლებმა მარანდის აღმართი აიარეს და ქალაქის თავზე, ვაკეზე დაბანაკდნენ. კლდეში შეხიზნულმა მარანდელებმა „იხილეს მცირე ლაშქარი და აღიქურეს, მოუხდეს ზარითა და ამბოხებითა, რამეთუ საწუნელ უჩინდეს სიმცროსათვის“.

თაყა თმოგველი თავისი რჩეული ხუთასი ვაჟაკითურთ თავგანწირვით ეკვეთა მომხედურებს, უმრავლესნი დახოცეს, ხოლო მცირედნი-ლა აოტეს და კარგა ხანს სდიეს.

მარანდის თავზე გვიან ამოსული ქართველთა ლაშქარი სანახაობამ გააოცა: თაყაიდინის ბანაკიდან ერთი კაციც აღარსად იყო, ხოლო ბრძოლის ველი მარტოოდენ დახოცილ მარანდელებს დაეთარათ. დათვალეს, მოკლული ხუთასი აღმოჩნდა და ხუთას კაცს ხუთასი შუბი ესვა.

წინამბრძოლ ქართველთა ასეთ კვალწმინდად გაქრობით შეწუხებული ამირსპასალარი საგონებელში ჩაეკარდა, არ იყო და, სად და როგორ ექმნა დაკარგული მეომრები.

ცოტა ხნის შემდეგ მტრის დევნასაგან შემოქცეული ქართველები გამოჩნდნენ. ხუთასივე გმირი ცოცხლად გადაარჩენილიყო და გამარჯვებულ თაყან ერთი კაციც არ დაჰკლებოდა.

თაყა თმოგველი მადლობასა და ჯილდოს ელოდა, მაგრამ მთავარსარდალი კუშტად შეხვდა გამარჯვებულ ხელქვეითს, თავნება ბავშვსავეთ გაუწყრა, ლაშქრის წინაშე დატუქსა და შეარცხვინა ამბის უცნობლად შეგმისათვის.

წინამბრძოლი რაზმი დაშალა მხარგრძელმა, მათგან ერთი ნაწილი თავრეშში დატოვა გარნიზონად, მეორე — მიანაში.

მგელიკა მიგრიიული ამ მეორე რაზმში მოხვდა, რომელიც ნებით, უომრად დამორჩილებულ მიანაში ჩააყენა მხარგრძელმა. ძღვევამოსილმა ქართველთა ლაშქარმა გზა განაგრძო და ხორასნის სიღრმისაკენ გაემართა. ქართველებმა ბრძოლით აიღეს ზანგანი და ყაზვინი მორაბიეს.

დრო გადიოდა, შორს წასული ქართველთა ლაშქრისა აღარათფერი ისმოდა.

მიანაში ვილაყამ ქართველი მხედრობის დამარცხებისა და დაღუპვის ქორი მოიტანა. მიანის ვერაგმა მელიქმა ეს ქორი ირწმუნა, ქართველთა გარნიზონი შეიპყრო და სხვებთან ერთად მგელიკა მიგრიიულიც ძელზე ჩამოკიდა.

ნადავლისა და ნატყვენაე-ს სიმძიმემ და სიმრავლემ ქართველებს ხორასნის სიღრმეში გზის გაგრძელება გაუძნელა და ძღვევამოსილები უკან შემობრუნდნენ.

მიანაში მომხდარი უბედურება რომ შეიტყო, ზაქარია მხარგრძელი გაათრდა. დამნაშავენი დედაბუდიანად ამოაქვლიტინა, თვითონ მელიქი ცოლ-შვილითა და თანამზრახველებითურთ მიწარეთზე ჩამოაკიდებინა, ხოლო ქალაქი მოსწვა და მოაოხრა.

სამშობლოში დაბრუნებული თაყაიდინ თმოგველი მარანდის გმირების ასე უსახელოდ დაღუპვაში თავის თავსაც დამნაშავედ თვლიდა.

თავის ქონების ნაწილი მიანაში და-  
ლუპულთა ოჯახებს გაუყო და თავად  
ბერად აღიკვეცა.

თმოგველის ნაწყალობევით მგელიკას  
ქერივმა მცირე სავენახე ადგილი იყიდა  
და ვაზი ჩაყარა.

ეს პატარა ვენახი იყო მთელი ის მემ-  
კვიდრობა, რაც შორეულ ხორასანში  
ლაშქრობის, ბრძოლისა და გამარჯვებ-  
ების ჯილდოდ დაუტოვა მგელიკა მი-  
გრაიულმა თავის ცოლ-შვილს.

დედა და შვილი თავდადებით შრო-  
მობდნენ, მაგრამ პატარა ვენახს იმდენი  
რა უნდა მიეცა ღარიბი გლეხისათვის,  
რომ საქართველოს ტახტზე მეოცნებე  
ციცინოს ლუხუმი სასურველ სასიძოდ  
სჩვენებოდა.

დედა-შვილი რომ ამ უიმედობასა და  
სასოწარკვეთილებაში იყო, ლაშარის  
დღესასწაულმაც მოაღწია.

ქეთევანმა ჩვენება ნახა: ლაშარი გა-  
მოეცხადა, თავის ძველ ყმას სამსახუ-  
რისა და ბეგარის დაეიწყება უსაყვედუ-  
რა და ხატში მისვლა უბრძანა.

დედა-შვილმა ჩარდახიან ურემს სამ-  
სხვერპლო მოზვერი გამოაბა და ღვინო-  
თა და შესაწირავით ფშავისაკენ გაემარ-  
თა.

ლაშარის ხატში ერთხელ კიდევ პი-  
რისპირ შეხედნენ ლუხუმი და ქეთევანი  
ლილესა და ციციონს.

მედიდური სალამით ერთხელ კიდევ  
ციცყალგადასხმული ქეთევანი თავის  
მოჩარდახელში განაპირდა. ლუხუმი კი  
აჩრდილივით აედევნა ამპარტევან დე-  
და-შვილს.

ციცინო და ლოლე ზედაც არ უყუ-  
რებდნენ ამ „აბეზარ ახმასს“, გაურბო-  
დნენ და კუშტი გამოხედვით იცილებ-

დნენ თავიდან, მაგრამ ლუხუმი მარცხ  
ეშვებოდა, უკან მიტოვებული, წინიდან  
დაუვლიდა და უნდოდით თუ არა, პი-  
რისპირ აწყდებოდათ.

ლოლემ და ციციონომ გადაწყვიტეს,  
ზეზვას ვაყებისთვის შეეჩივლათ, მაგრამ  
მათი შეწყუბება აღარ დასპირდათ.

ლუხუმის მამის, მგელიკას სისხლის  
მძებნელ ხევსურებს შორიდან შეენიშ-  
ნათ მიგრაიულის ქერივი, ხალხში ლუ-  
ხუმის ვინაობა გამოეცხათ და, როცა  
ყველაფერი გაერკვიათ, სისხლის ასაღე-  
ბად აღძრულიყვნენ.

სატრფოს დევნისაგან გაოგნებულ ვე-  
ლისციხელს ხევსურები წინ გადაუდგ-  
ნენ, მხარი გაჰკრეს და საჩხუბრად აე-  
მრიზნენ.

ლუხუმი თვალთ ხალხში დაკარგულ  
ლილეს დაეძებდა და მათი გამოწვევა  
არაფრად ჩაუგდია. შარზე დამდგარ ვაე-  
კაცებს ზედაც არ შეხებდა და გზა განა-  
გრძო.

მაშინ ერთმა ხევსურმა მხარში ხელი  
დაჰკრა და შემობრუნება დაუპირა.

მოსისხარმა მხარიც ვერ უქცია ვე-  
ლისციხელს, მაგრამ ლუხუმი შედგა და  
მგელივით კისერმოუბრუნებლად ჰკით-  
ხა:

— რა გინდა, ძმობილო?

— შენი ძმები ფარეხში მაიკითხოვდი!  
ხმალი გააძრე, თუ ვაყავი ხარ! — დას-  
პყველა ხევსურმა და პირველმა თვითონ  
იშიშვლა ხმალი.

დანარჩენების ხმლებმაც რომ იელვეს  
ლუხუმის ირგვლივ, მხოლოდ მაშინ შე-  
იძრა მიგრაიული, ამოდენა ვაეკაცი  
ბურთივით შეხტა, უკან ისკუპა და მო-  
ქნეულ ხმლებს ხმალი შეაგება.

(გაგრძელება იქნება)



ცაზე გაშლილა ღრუბელი — ჩადრი,  
წყარო კენჭებზე ხტის და ლიკლიკებს...  
ქალო, მთებს იჩით მზე უკვე ჩადის,  
საით მიჰყვები ყანის ბილიკებს?!

გზას ავცდი, ნუკრო ღიმილნათელო,  
ცვარს ამრობს სხივი შენი თვალების...  
მოგყვე?.. ცოდვაა უნდოდ გავთელო  
ბალახზე ნუკრის ნატერფალები.

ბარდნის...

ცა ფიფქებს მოათამაშებს,  
ცა და ხმელეთი თითქოს ერთდება...  
თოვლის ფანტელი ცდილობს ნაეახშმებს  
ბუზრის მიღების ამოთეთრებას.  
თოვის...  
დაფიფქული თრთიან იფნები,  
სოფლის მიდამო თოვლში რინდდება...  
ისე უმანკო არის ფიფქები —  
ბაგის შეხებაც დაგერიდება.

აუწყწია ქარს წიფელები,  
სიმიინდი სიმიინდს ელამუნენ?...  
ვაზის ფოთლებით,  
მწიფე ველებით,  
გალობს, ღუღუნებს დედა ბუნება.  
სიო ველმინდვრებს სალამს ურიგებს,  
შემდეგ ეხვევა ტანზე სიმიინდებს;  
ხან დაიკენესებს სალამურივით,  
ხან ბალახებში ჩაისივილებს.  
კუტკალიების ისმის კრული.  
ვაზის მტევნებში აფრქვევს შუქს თითა.  
მთვარე მისცურავს,  
თითქოს ყრუ არის.  
მიდის არ უსმენს ღამეს წუთითაც.

საით?! ყანაში ყმაწვილკაცების  
ხომ არ ისურვე მონახულება?!  
ლაწვზე ხალები — ხორბლის შარცვლები  
არ აგიკენკონ მოლალურებმა.

მწყრები ჩაცვენილ თავთავებს კენკენ,  
მთებზე ბაცდება ოქროს სირმები...  
მზე ჩადის... ჩემებრ მობრუნდნენ  
შენკენ  
ჩაფიქრებული მზესუმზირები.

თოვის...

შენი სახლი, ეზო, ატმები  
თოვლით თეთრდება და იბარდნება.  
სახეს ვარიდებ, მაგრამ ფანტელი  
შენს კოცნასავით ბაგეს ადნება.  
ეჩქარობ...  
უბეში დავეძებ თუთუნს,  
საქინძეშიაც ძვრება ფანტელი...  
თოვის... მე მოვდივარ, ვერა გრძნობ  
ნუთუ,  
ფანჯრის რაფაზე დადგი სანთელი.

ქვას გადავისერი ახლო ხევისკენ,  
შემდეგ ვეხვევი თივის ბულულებს.  
მიწას მკერდს ვადებ, როგორც დედის  
მკერდს  
და მესმის, იგი თუ რას ბუბუნებს.  
სიმღერის ძარღვი ყელს მეზღინება  
თუ არ ვიმღერებ, ღამის დამხუთოს...  
მსურს ამ ბუნებას ვუთხრა დიდება  
და მისი სუნთქვა დავისაკუთრო.  
აუწყწია ქარს წიფელები,  
სიმიინდს სიმიინდი ელამუნება...  
ბუღმურებით,  
რქაწითელებით,  
მთვარის სხივებით ელავს ბუნება.



## მიქელანჯელო

Non vi si pensa  
Quanto saque costa...  
(არა ფიქრობენ,  
რა სისხლის ფასად არის ნაყიდი...)  
დანტე

### ბარემოვა

ხუტუტომიანი, შევწერა, კუშტი,  
ჭროდათვალემა კაცის სურათი  
ნაცნობ მხატვარმა მარტუა გუშინ  
და მოგონების ზღვაში ვცურავდი.  
მე იმ სურათის ვიცი სათავე,  
საუკუნეთა წაყრილი მტვერი.  
მიქელანჯელოს ახლაც ხატავენ  
ფაენის პატარა და შავი წვერით...  
შავი თავსაფრის ზემოთ ეხურა  
ფართო, შავივე ხავერდის ქუდი,  
სახეზე აჯდა მარჯვედ, გლეხურად  
ნაბეგვი ცხვირი, უწნო და მრუდი.  
პაპა, პეპერაც ჰყავდა ეპიარი  
და ნაშიერი მოქალაქეთა,

ბევრი ბერავდა ათას ზღაპარით  
და როგორც „პერცოვს“, ისე აქებდა, —  
ფულის, ქონებრს რამ ნაწილაკი  
სურდა ხელთ ევლო მელის ზერხითა,  
თორემ არიფის გვარი, ჯილაგი  
და წარმოშობა ფეხზე ეკიდა.  
მხატვარს ზვიადად ეჭირა თავი,  
თუმცა ჯანმრთელობა ჰქონდა კიანი.  
მას მოსასხამი შეენოდა შავი,  
მაღალი ჩექმა დეზებიანი...  
ჩექმა, დეზები, ქუდიც არ გვიდა  
და არც მის გამო ღირს სინანული,  
რომ რითმის ძებნამ დამაქარგვინა  
მხატვრის ბეჭედი მავრიტანული.

### შინაგანი სურათი

ბეჭდის ხატვაზე უფრო ძნელია  
ბეჭდის პატრონის სულის ჩვენება  
და მკითხველებიც მიტომ ელიან,  
რომ არ დაჩრდილოს კაცი წვერებმა...  
ნახონ, რა სისხლით არის ნასყრი  
მხატვრის ქმნილება, გენიის თესლი,  
როგორ შეცურდა სულში ასპიდი —  
ურწმუნოების, ობლობის გესლი.  
შმაგ ოცნებათა ტყვე, პატიმარი  
და ჩაქეტილი საკუთარ თავში,

როგორ იტანჯა მანვე სიზმარით  
ციებ-ცხელებით სნეული ბავშვი.  
ვით სწავდა სევედა და კაეშანი,  
ეფინებოდა სულში წყველიადი,  
როგორ შეელოდა გარდანქეშანის  
ძალა, გენია, ნიჭი დიადი?!  
არ შეგულება ძე ხორციელი  
ისეთი კაცი, რომ დამაჯეროს,  
სრულად დახატოს ფლორენციელი  
დიდი ოსტატი მიქელანჯელო.

### გაგშვობა

სეტინიანოში ზრდიდა გამდელი...  
ბევრჯერ ფრთა გაჰკრა აყვანს  
მერცხალმა,

მაგრამ სულ მალე ჩაქრა კანდელი  
და ყმაწვილს დედა გარდაეცვალა.

გამდელად ჰყავდა ქვის მთელის  
 ცოლი.  
 მიტომ უყვარდა ალბათ მარმარი  
 ქვების ჯავარი, ძარღვი და ზოლი  
 ქარარის მთების კლდეში ნამალი.

### ფლორენცია

ფლორენციაში დაბადებული  
 სან-მარკოს ბაღში ფრენას სწავლობდა,  
 სადაც ლორენცო, ცოდნით ქებული,  
 დიდმშვენიერი ენაშწარობდა.  
 სადაც ცხოვრობდნენ ზღვით და  
 ნილოსით  
 შორს მიმავალი ბაქია, ძველი  
 დიდი ვაჭარი, ფანატრიკოსნი,  
 უნდო, ცბიერი მაკიაველი.  
 სადაც მეფობდნენ შმაგი ვენებანი,  
 ცრუ რწმენა, შუღლი, შიში და ძრწოლა,  
 იეზუიტთა ქადაგებანი  
 ფრთას უკვეცავენენ გონების  
 ლტოლვას.

სად ლეონარდო ბრძენი გზიანი  
 ტანჯეს, მამულში ბედს ვერ ეღიროსა,  
 ხოლო ტკბებოდნენ ოქროსთმიანი  
 მრავალ ვენერით ბოტიჩელისა.  
 სადაც მძლავრობდა მედიჩის გვარი,  
 ვერაგ ჰერცოგთა ჯარი მრავალი,  
 სად გუბდებოდა კაცთ სისხლის ღვარი

ბავშვს მუქ-წაბლისფერ გუგაზე არნად  
 ლურჯი, ყვითელი ციკქნა ლაქები  
 თითქოს ემართა ცის ვალი  
 თვალს ცისარტყელის ქრიდა ლანქერი.

და სახრჩობელას დგამდა მტარვალი.  
 სად ზეცა, თვალს მაიმუბელი,  
 ავ კოცონებმა შეად გაბოლა  
 და კაცთ მტანჯველი და მწამებელი  
 თვითონვე დაწვეს საეონაროლა.  
 იყო თავისი ეპოქის შვილი  
 მიქელანჯელო ბუნაროტი.  
 მზაკვრობამ, მტრობამ დაუფრთხო ძილი  
 და მოანატრა საფლავის ლოდი.  
 თუმც ბევრი ტანჯეს

ფლორენცელთა, —  
 მაინც ახმობდა მათდამი დარდი  
 ენატრებოდა უკვე ხნიერსა  
 თავის ეზოში გაშლილი ვარდი.  
 ენატრებოდა მწვანე ვენახი  
 გაშენებული ფლორენციაში,  
 მშობელ მთებიდან რომ დაენახა  
 ცის და ლავარდის ლურჯი ციალი.  
 ლორენცოს ბალი — მუზეუმის დედა,  
 სასახლეები, კოშკთა შუბები,  
 კვიპაროსები და ზეთის ხეთა  
 დეღვა, ლივლივი შენაშურვები...

### ორავმოვა

ნივთ საბურთალო ფართო მინდორი  
 რომში წაართვა ოსტატმა ყველას  
 და მარმარილო, ქვა და ლითონი  
 გენიის ხელში გაცოცხლდა ხელად.  
 ვერსად გაქცა ქვეყნის ცდუნებას.  
 ის და გენია დარჩნენ მარტონი.  
 მეტად ორმაგი ჰქონდა ბუნება:  
 ხან იყო მონა, ხან კი — ბატონი.  
 პაპს და ჰერცოგებს თუ ეპისკოპოსს —  
 ყველას უფრთხოდა, ვით მგელს  
 ბატონი.

ხან კი არ იყო უნებისყოფო,  
 მასაც უფრთხოდა ყველა მათგანი.  
 იყო წარმართი და ქრისტიანი,  
 უნდო, ურწმუნო და თან მორწმუნე.  
 თუმც მოშურნენი დევდნენ ტიალი,  
 ვერაგ ჰერცოგთა ველარ მოღუნეს.  
 არ მორჩილებდა სოფელს უკუღმართს,  
 ჩამოანგრია ზეცის კამარა.  
 აამეტყველა უცხო ჩუქურთმა  
 და მარმარილო თეთრი, ვარვარა.

### უკვდავი ქმნილებანი

„ქენტავრნი“, „ვაკხი“ და „კუპიდონი“,  
 „ქრისტე“, „მადონა“, „მონები“,  
 „მოსე“...

ეს ქმნილებანი მცირე, დიდრონი  
 კვლავ აბრმავებენ ბრძენსა და  
 მგოსნებს.

## დავითი



დიდი ოსტატის ძალა ვიცანი,  
გმირი „დავითი“ ვიხილე ოდეს.  
ასე მეგონა დევი, ტიტანი  
ატრიალებდა ვეება ლოდებს.  
და მომაგონდა ძველი ცხოვრება,  
რაც მოქანდაკეს გულით უყვარდა.

გვახსოვს და მუდამ ემახსოვრებათ,  
ჯაბნებს რომ თავი არ გაუყვანდა,  
ალყაშემორტყმულ ქალაქს იცავდა,  
მტრის დასაფრთხობად ძერწავდა  
„დავითს“,  
ტყვიას უშვერდა გულის ფიცარსა,  
მზად იყო ომში დაედო თავი.

## მოსე

თავის ჯადოსნურ საჭრისის ქანგით  
აზრის ჯავარი ქვაში ჩაღვარა.  
ლოდებს ებრძოდა ხელქმნილი, შმაგი,  
არ ასვენებდა კაცი ქალარა,  
ზღვაში გასული ებრაელ ხალხის  
ბრძენი ბელადი და მოციქული,  
სახე დამწვარი უდაბნოს აღბით,  
ბებერი, თანაც მხნე, მოწიფული,

შმაგი თვალების მხერა მზიანი,  
კაცი ჩვეული ჰაპანს და ჯაფას,  
ხელი ნაშრომი და ძარღვიანი,  
ჩაქიდებული ათ ცნების დაფას.  
არ ასვენებდა ტანჯული ერის  
დიდი მოსარჩლე და მისი ქება,  
ნაგრივალეები ჯიქური წვერი,  
თმები აყრილი ძველ სიბრძნის რქებად.

## PIETA

ბოლოს მოსწყინდა ღმერთი მრისხანე.  
გახდა მოწყალე, სათნო, კეთილი.  
აზრის შიკრიკნი გრძელ ფრთებს  
ისხამენ,  
რომ აღმაფრენის სცნან გაკვეთილი,  
რომ დიდ ოსტატის გახდნენ მსახური  
და შეინახოს ათასმა ლუვრმა  
კარარის ლოდში გამოსახული  
ძველი Pietà — „ქრისტეზე ურვა“.  
გენიის ცეცხლით ხელქმნილი სრული,  
იმავ გენიის ცეცხლს დაემონა.  
მკვდარ მარმარილოს შთაბერა სული

და ქვა ცოცხალი ყველას ეგონა...  
ზის ღვთისმშობელი დამწუხრებული,  
მარადქალწული გამხდარი ქალი,  
გაქვავებული, გლოვით გვემული,  
გაცოცხლებული ჯადოსნურ ძალით.  
და გარდმოსხნილი ჯვარიდან ქრისტე  
კალთაში უწევს, ვით მკვდარი კრავი  
და დედის ბაგ მდუმარებს ისე,  
როგორც ედემას დახშული კარი.  
განა დასტირის ღმერთს ღვთისმშობელი  
ვხედავ, ცოცხლდება ჩემ წინ ნამდვილ  
ამქვეყნიური ქალი მშრომელი,  
დედა — უბრალო სოფლურ მანდილით.

## ლუსკუმი

იყო სიყრმითვე სასომიხდილი,  
სულით ობოლი, მიუსაფარი,  
ედევნებოდა სენი, სიკვდილი  
დაუნდობელი, როგორც აფთარი.  
არ ეშვებოდა ბედი მდევარი.  
ის ბედი იყო მისივ მეობა  
და ვით გამწვევი ხარი მყევარი  
უღლით ათრევდა ამაოებას.  
და იქ სად სდუმდნენ ძმები მედიჩის  
საფლავი, კუბო, ძვლები, აკლდამა, —

ტანჯვით იხილა ბედის ბეჯითი  
შრომა და ჯაფა, ხრწნა და ჯანდაბა...  
მარადიული ძილი, უკუნე  
თუ გსურს გაიგო შენ როგორია, —  
ძმათა მედიჩთა ნახე ლუსკუმი,  
მისი ზეძირკვლის ალეგორია.  
ნახე უძირო ქვესკნელის ჭური —  
მარად უმზეო ღამის წყვდიადი,  
სიმბოლოები უზომო კმუნვის:  
„ღლე“, „ღამე“, „მწუხარი“ და  
„განთიადი“



ლ ა მ ე

როცა ავ ბედმა ფეხქვეშ გაიგო  
 ბრძენი ოსტატი და მოქანდაკე,  
 როს მისი „ლამე“ ვერვინ გაიგო, —  
 ის თვითონ დადგა მის მოქანდაკედ:  
 „ძილი ტკბილია, ქვად ყოფნაც ტკბილია.  
 ამ გახარწნილ, ავ დროს სჯობს იყო  
 შვედარი.

ეს ზეედრი ახლა საამო არი  
 ჩუ! ნუ მალეიძებ. მიჩნევენსა  
 ასე ამბობდა მიქელანჯელო  
 კაცი უძეო, მწირი, ეული,  
 კაცი ბებერი და სატანჯველად  
 გენიის ცეცხლში გამოხვეული.

საშინელი სამსჯავრო

დღე უწრომელი არა ჰქონია.  
 სწვავდა ვნებები დაუცბრომელი.  
 ვერ მიაღწია დიდ ჰარმონიას,  
 თუმც ჯადო-ნეკის იყო მპყრობელი.  
 ტანგაუხდელმა, ციებცხელებით,  
 როს „საშინელი სამსჯავრო“ შექმნა, —  
 ველარ გაიძრო გამრჯე ხელებით  
 ხორცზე მიკრული გამდნარი ჩექმა.  
 სული მშფოთვარე, მძვინვარი, შმაგი,  
 ღია საფლავის თავზე დახრილი,  
 ზედავდა, ღამით ეამს ღრღინდა თავგი,  
 სად ეგდო ქალა თვალეზბდათხრილი —

და შეაშინა ეამის ობობამ,  
 ცოდვილთა ჯარმა კაცთა და ქალთა.  
 დაჰგმო სოფელი და მარტობამ  
 გადააფარა შავბნელი კალთა.  
 გადააფარა და საუკუნოდ  
 სულს დაუშვიდრა შავი მარხვანი  
 და გახდა კაცი „უკუით ურწმუნო,  
 გულით უნდო და სულით მახვრალი“.  
 მინდა ეგ სენი ბრძენს დაეუწუნო,  
 თუმცა იწამა ღმერთი მაღალი  
 და ბოლოს დაჰგმო შმაგი, უგულო  
 შავი დემონის ავი ხარხარი.

მობუცი

ბრძენ მოქანდაკეს ჯანმა უმუხთლა  
 და მისი შუბლი წლებმა დაღარა.  
 მაგრამ მარჯვენა მუხამ უკურთხა  
 და მოციქულის მისცა ნაღარა.

კლდეს დაჰყრა ურო: მოიძრვა ქანი  
 და წაევიდა ცეცხლის აღმური,  
 მაგრამ დააცხრო მარმარი ქვანი  
 და ქვაზე დასვა ნაზი ამური.

მოქანდაკე და აშური

გამოედვიდა მიქელანჯელოს  
 ჯაფით დალეულს დილაადრიან,  
 ფანჯრებს და ბუხარს, მის  
 სატანჯველად,  
 მზემ მიაშუქა, გარეთ დარია...  
 ბუხარს ამშვენებს ტურფა ფერია,  
 ფრთაგამოსხმული ბავშვი — ამური,  
 ხელთ მშვილდისხარი დაუჭერია,  
 თითქო ჰყვედრისო ბრძენს საამური:  
 „დობლებულა შენი საკანი,  
 არ მოსწრებია წვრილი ცოლ-შვილი,  
 არ გირწვევია ბავშვის აკვანი,  
 ბუდე აღრევე გქონდა მოშლილი.“ —  
 „რალა დროს არის ჩემი ქორწილი. —  
 ფიქრობს ოსტატი, — ვარ მონა ღვთისა.  
 განა კეისრის ვეყავ მორჩილი?!  
 არ მაშინებდა მტარვალთა რისხვა.

აღრე მეწვია ამოება,  
 თუმცა უძეო კაცის ბედს ვშიშობ  
 და ჩავაწვინე ქვაში მეობა,  
 როგორც აკვანში აწვენენ ჰირმშოს.“  
 აღმოხდა ბედის დანაკისრები,  
 მაგრამ ბუხარზე ბავშვი სტიროდა,  
 მას გასტეხოდა მშვილდი, ისრები,  
 ბრძენს — დაკოდლი გული სტკიოდა.  
 დარჩა კედელზე მარად მწუხარი  
 უმანყო ბავშვის ტანი გაკრული  
 და ველარ ათბობს ცივი ბუხარი,  
 რადგან არ ესმის ტკბილი მყურული.  
 „მსურს ჩავიხუტო ფიქრში  
 გართული, —  
 ამბობს ოსტატი, — ბავშვი რძისფერი.  
 მაგრამ არ ესმის ჩემი ქართული,  
 ჩაუკიდნია ჩელს თავკისერი.



თითქო მემდურის, ამრეზილია,  
მართმევს უგულო ეპირს ობობა.  
ასე მგონია ჩემი ჩვილია,  
ვერ ავიტანე ბავშვის ობლობა". —

ასე ამბობდა მიქელანჯელო  
კაცი უძეო, მწირი, ეული,  
უკვე ბებერი და სატანჯელოდ  
გენიის ცეცხლში გამოხვეული.

### მიჯნურობა

„გამარჯვებული“ — გაუხარები  
განა ეტრფოდა ქალს და გოგონას  
მარტოსულივით ქვეყნად მარები  
დაუმეგობრდა პოეტს კოლონას.  
და შეიყვარა ის და ლამაზი  
უცხო ქაბუცი კავალიერი

და სონეტებში აქო თომაზის  
მხატვრობა, ნიჭი, სახე, იერი...  
ეს მიჯნურობა რყო მაღალი,  
წმინდა, უბიწო, თავისუფალი,  
საფლავთა ზედა მარად მავალი,  
აყვავებული, ვით ალუბალი.

### მონა ღვთიის

მზის ჩასვლისათვის სურდა მიესწრო,  
რომ ზღვის ბოროტი დეღვა, ქოთქოთი  
გულში ჩაეხშო მისთვის იესოს  
და კვლავ ეხილა ჯვარი გოლგოთის.  
მოწყალეებისთვის გული არ ეყო,  
გახდა ღვთის გლაბა ალაღმართალი  
და რომ სიყვითე ტაძრად აეგო,  
ხარაჩოების დაღვა ყათარი.

სუსტმა, სნეულმა ამდროულ კაცმა  
გადაიყარა თავზე ნაცარი.  
მარად ემონა მაცხოვრის ჯვარცმას,  
რომ აღეშენა პეტრეს ტაძარი.  
ხელთ საჭრეტელი მჭრელი ეპირა,  
მშვენიერ ტყუილს აქანდაკებდა.  
იაკობივით ქვას შეეკიდა  
და ღმერთს სიყვედრის ეამსაც აქებდა.

### ახდებრივი

ოთხმოცდაათ წელს როს მიაღწია,  
ის დაემსგავსა სულით მათხოვარს,  
ევისარს თავი რომ დააღწია  
და შეუერთდა ქრისტე მაცხოვარს...  
დაბერდა, გახმა წელს უარესად  
და როცა ეამის მეხით დაიწვა,  
მან სული თვისი ღმერთს უანდერძა,  
ხოლო სხეული — შავ დედამიწას.  
და მოისურვა იქ დაემარხათ —  
თავის საყვარელ ფლორენციაში,

მშობელ მთებიდან რომ დაენახა  
ცის და ლაქვარდის ლურჯი ციალი,  
სან-მარკოს ბაღი — მუზეუმის დედა,  
სასახლეები, კოშკთა შუბები,  
კვიპაროსები და ზეთის ხეთა  
ვერცხლისფრად ეღვა, ქუჩა, შუქები...  
უთხრა თომაზის: „აწ დავძაბუნდი...  
ფლორენციაში საფლავს მოცემბნი.  
შინ თუ ცოცხალი აღარ დავბრუნდი,  
მკედარს მიმიტანდეთ ჩემი მოძმენი“.

### გარდაცვალება

დიდ საეარქელში ბუხართან იჯდა  
და სიკვდილს ასე ელოდებოდა.  
ჰა მიაღწია სიცოცხლის მიჯნას.  
თებერგლის მშვიდი მწუხრი დგებოდა.  
სიამისათვის ვერ მოიცალა,  
იტანჯებოდა, როგორც ლაზარე.  
იგი პარასკევს გარდაიცვალა.  
ჩაქრა სიცოცხლე უზარმაზარი...

„დიდმა ოსტატმა სძლია უკუნეთს“, —  
ამბობს დანიელ, თომაზ, გერარდი...  
პეტრეს ტაძარის ზარი გუგუნებს  
და ილიმება ზეცა ფერადი.  
უკვდავებაში რომ დავვაჯეროს,  
ჯადოსნურ გუნდის ისმის გალობა.  
„არ გარდაცვილია მიქელანჯელო“, —  
ჰქუხს მაღლიერი შთამომავლობა.

## 313808 გაბესიაძე



## უფსკრულთან

დრამა 4 მოქმედებად და 7 სურათად

მომხმედნი პირნი:

- ანთიმოზ ტორონჯაძე, მოხუცი კაცი, კოლმურწე.  
თამარი, ანთიმოზის რძალი, 29 — 30 წლის.  
გოგი, თამარის ვაჟი, შეილიშვილი ანთიმოზისა, 11 — 12 წლის.  
ევა, ანთიმოზის შვილობული.  
ევეგენი ამამუკელი, ახალგაზრდა კაცი, ინჟინერი.  
მინადორა, ევეგენის დედა.  
გიგო, ხანდაზმულობის გამო წელში ოდნავ მოხრილი, მაგრამ მკვირცხლი ქვეყისა და სიტყვა-  
პასუხის კაცი, ევეგენის მამის მეგობარი იყო.  
ვარლამ დოჭვირი, გარეგნობით ინტელიგენტი, ამამუკელთა ოჯახთან დაახლოებული ადამიანი.  
ვაგდე, კოლმურწეობის თავმჯდომარე.  
ქუქუტი  
დურამიშხანი, { ევეგენის მეგობრები.  
კატო, ამამუკელთა ეზოში მცხოვრები, ხანშიშესული ქალი, დიასახლისი.  
ასონტუ რუ რუაძე, ახალგაზრდა კაცი, კატოს ნათესავი.  
ვენერა, ახალგაზრდა ქალი, გქოანი.  
ბაჯი, მეეზოვე, ქურთი ქალი.

## პირველი მოქმედება

### პირველი სურათი

(ორი ოთახის კარების გასწვრივ ცისფრად შეღებილი შენაბანდი. კარებს შუა, შემაბანდში, დგას ძველბურთი კამოდი, რომელზედაც დევს საჩუკე, კოლოფები, იქვე, კედელზე, ჰკიდია ნენსების მისაბნევი ბალიში. ერთ მხარეს ბალიზაგადაფარებული ტახტი დგას ღამაზე მთოქებით. ფარადი ქალაღებით შემოხვეული ზის ყუთიდან ამოწედილა საკმაოდ მოზრდილი ლომონის ხე, რომელსაც ორი-სამი ცალი ლომონი მოუსხამს. ერთ კუთხეში ანთებულ ნათქერაზე დევს ფართო სპილენძის ტაშტი, რომლის თავზე ორთქლი ტრიალებს, ეტყობა, რომ მურაბა იხარშება, შენაბანდში მზის სხივები შემოსულან. ნათელი, მზიანი დღეა. ფარდის ახდისას ოთახიდან გამოდის კატო).

კატო — (ნათქერას უახლოვდება, სურფის კოვზით გადაიქაქს მურაბა, ღამაბაქზე ახამს, ამოწმებს). თამარი თამარი (თამარი შეიორე ოთახიდან უბასუბებს: „ახლავე, ქალბატონო კატო, ახლავე“. (თვით კატო ღამაბაქით ხელში თამარის ოთახისაკენ მიიწეხს, ოთახის ღია ფანჯარასთან შედგება, კოვზით იღებს და ღამაბაქზე ახამს მურაბის წვესს) მე მკონია ყყოფა დუღილი, რას იტყვი? (თამარი ფარდის გადასწევს, ღამაბაქს გამოარჩიევს, თვით არ ჩანს, ოთახიდან უბასუბებს: წვენი ჯერ კიდევ თბელი აქვს, იდუღოა) კეთილი, იდუღოს! (ფარდას უფრო განიერად გასწევს) მშვიდობაში მშენიერი კაბა გამოსულა, მაგრამ შაკეპში, სანამდე უნდა იყო? (სიცილით) სხვა ფერისას როდის შეიკურავ? (თამარის ხმა: არასოდეს! ქუდიც რომ ვიხდებო, პრიალეს და თანაც მაყვალეით შევიკა. (აყვირდება) ასე სჯობს, ოდნავ გადაწეული. (ღამაბაქს მაგიდაზე ჩამოიდებს) რა კარგი დღეა!.. გააბიწნებას არაფერი სჯობს თამარი — (ოთახიდან არ გამოსულა). წუბულ კი როგორ წვიმდა!..  
კატო — ორჯერ ავედი სახურავზე, თუნუქები ქვევით დავამაყრე. (გერს აყვირდება) წვიმამ მარტო ერთ ადგილას გამოიყონა. (სიცილით) წვენი სახლი ამ ეზოში, ამ დიდ კედელზე ქო-

ხვით არის მიღებული, მაგრამ, რა ვიცი, ყველას მოსწონს, კობტა, ნათელია, მზიანი... ამ ლიმონებზე იასონმა იცო, რა მიიხრა? მოლაღურებს გვანათო. მართლა რა ღამაზია იასონ ხომ კარგი ყმაწვილია?



ა ა მ ა რ ი — თქვენს ნათესაებში ყველაზე მეტად იასონი მოსწონს.

კ ა ტ ო — აწინაურებენო, ახალ სამუშაოზე გადაუეთო... ერთი კვირაა, არ ჩანს, ნეტავი რა მოუვიდა? (უცებ რაღაცას შეინიშნავს, თამარს დაკინებთ ეძახის) თამარ, თამარ! (ოთახიდან გამოდის თამარი, თავიდან ფეხებამდე შავებით შემოსილი, ღამაზი სახის, ყვლოღურაღ ქალი) აი, დედამისი.

ა ა მ ა რ ი — (ფანჯარაში იხედება). კარგი სახე აქვს, მიშხიღველი.

კ ა ტ ო — შენ ახლოს უნდა ნახო, ისეთი სასიამოვნო ხმა აქვს, ისეთი ტკბილი საუბარი იცის, რომ ვერ მოშორდები.

ა ა მ ა რ ი — შე პირველად ვხვდავ.

კ ა ტ ო — ორი თვე ლოგინად იყო, ორი თვე არც კი იქნება რაც შენ ზემოან ხარ...

ა ა მ ა რ ი — (აყვირდება). აივანზე რატომ გამოსულა? ვერ კიდევ ცეკა.

კ ა ტ ო — სულთა პაერს ეწაფება, უხარია; ორი თვე წოლას ეხუმრები. აა ვეგანიც გამოვიდა (აღერხინა ხმით) თავზე ხელი გადაუსვია! შეილი გაეზარდო, მაკან უნდა თქვას... რასაც ინატრებდა, გაურქნდა. არაა საჭიროო, დედამისი ამბობდა, მაგრამ ვინ უნდავდა ყურს, მოკაცვდა პროფესორებო... ახლა კარგად პყავს და ხედავ, როგორ უხარია.

ა ა მ ა რ ი — თეშალი მოხურა... ბალინიც გამოუტანა.

კ ა ტ ო — რკინაზე დარღნობით ხ-უკი არ ეტკინოსო, ხედავ! ან რა ღამაზი ბალინია! ძველ ოჯახია, ყველაფერი ტყაღურეი აქვთ.

ა ა მ ა რ ი — მათი ქება მეზობლებისაგანაც გამიგია.

კ ა ტ ო — ყელას ხელის გამმართავნი ესენი არიან და საყვედურს იტყვიან? ან, ღმერთმა მისცეთ, რა შეძლება აქეთ! ავარ შეუზოგის შეოლებს, დიდს და პატარას, ყველას ვეგენის ფეხსაცმელებში აცვია როცა ეზოში ბაჯი სარეცხს რეცხს და ვხვდავ, რომ ვეგენის ტუფლებს საბინიანი წყალი ესხმის, პირდაპირ გული მიწებს.

ა ა მ ა რ ი — ეს სახლი მათი იყოო, მათი საკუთრებაო, მართალია?

კ ა ტ ო — მართალია, მათი იყო.

ა ა მ ა რ ი — ამხელა სახლი? კარგი და, მუხუთე სართულზე რატომ ცხოვრობენ?

კ ა ტ ო — წინათ თურმე შეორე სართულზე ცხოვრობდნენ, მაგრამ მერე აქედან, იქიდან რომ შეაკვიროვებს, ხომ იცი ძველი ოჯახების ამბავი, მუხუთე სართული თვითნათვის, საკუთრად, დააშენეს, მუხუთე სართულია, მაგრამ იცი, იქიდან რა სასიამოვნო გადასახედიან? შიშოთ თბილისა ხელის გულივით ჩანს.

ა ა მ ა რ ი — დედას დაუძახა.

კ ა ტ ო — ალბათ სტუმრები მოუვიდათ. (შემოტრიალდებიან). მერე რა მიღება იციან, რა ოთახები აქვთ, რანაირად მორთული! ხომ ასე ღამაზი ყმაწვილია, ხომ ასეთი ოჯახის შეილია, მშოვნელი ხომ არის და არის. მაგრამ იცი, რა უთქვამს? — ცოლად მხოლოდ იმ ქალს მოვიყვან, რომელიც დედაჩემს მოეწონებაო.

ა ა მ ა რ ი — ის ხომ ინტენერია?

კ ა ტ ო — ინტენერია, მაგრამ სხვებს კი არ გავს. მამამისიც მასეთი ყოფილა თურმე, უმაროდებს... ალბათ კარგი ცაცი რომ არის იმის გამო, ღმერთია თუ მუნებაა, არ ზავარებს, ხელს უწყობს... ახლანდელი მათი ცხოვრება რა გასაკვირია... წინათ, ომის წლებში, ერთი ნაჭერი მარგარინი რომ გვენატრებოდა, მაშინ იმ აივანზე, ახლა ესენი რომ იდგნენ, სულ ღორის ფეხებზე იკიდა (ქვედა თამარის სამოსს აკვირდება) საყულო მალაღია ძველებური. მშენდერი კაბაა! მაგრამ ეტყობა, მთლად შავი სამოსისთვის ღმერთი არ გიმეტებს.

ა ა მ ა რ ი — რატომ ამბობ?

კ ა ტ ო — ავითაქვნი როცა წამლებს ამზადებ, როცა მუშაობ, ხომ გაცვია თეთრი ხალათი, ზეთრი ქუდიც გახურია... რომ დავინახავ, გამუხარდება.

ა ა მ ა რ ი — მე კი მერითობება. ჩვენებმა რატომ დაიკვირანეს?

კ ა ტ ო — დასვირნობენ... დღეს მიემგზავრებიან და იკურონ ველი ბაბა და შეილიშვილია.

ა ა მ ა რ ი — კი, მაგრამ...

კ ა ტ ო — ბარგი შეკრულია, ბილეთები ნაყიდა, ყველაფრით გამოწყობილები არიან, უხარიათ და დასვირნობენ, იმითან რა გინდა? ისე კარგი მამამთილი გყავს, მთელ ეზოს შეუყვარდა ანთიმოზი; ბავშვს რომ სოფელში ატანს, ყველამ მოგვიწონა.

ა ა მ ა რ ი — მე კი, რა ვიცი, კარგს შერებით, ამას ვუღი არ შეუხებმა! მაგრამ მოხუციც მეყოლება, სოფელში მარტოა დარჩენილი.

კ ა ტ ო — მე რომ მკითხო, თქვენს-მეტ-მეიღმეტ წლამდე ბავშვი სოფელში უნდა იზრდებოდეს, ბავშვისთვის სოფელს რა სჯობს, მერე ისეთი სოფელი, თქვენ რომ გქონიათ.



- თამარი — სოფელი კი მართალია კარგი გვაქვს.
- კატო — მაგაზე ნუ მეღაპარაკები, მაგ მხრივ ბედნიერი ქალი ხარ (უცუბ წამოხტება) ჩვენკენ მოდის!
- თამარი — (თავის ოთახის კარებთან შედგება). მე არ გამოვიძახო.
- კატო — რატომ?
- თამარი — არ მინდა! (სწრაფად შედის თავის ოთახში).
- კატო — (ვეგენის ოთახში შემოიპატავებს). მობრძანდით, პატარა გოგონა, მობრძანდით! (შემოდის ვეგენი, ღამაზად აცვია, გარეგნულად თიქოს მოკრძალებულია, მაგრამ თავ-მოწონებად ემსხვევა). სასიამოვნოა თქვენი სტუმრობა.
- ვეგენი — ოთახშიც სასიამოვნო სენი დგას.
- კატო — (კმაყოფილია, რომ ასეთი რამ შეინიშნა). მერაბას გხარშავთ, მარწყვის მერაბას. თამარს დაუვალებ. ვლადის მარწყვი მოიტანა, ისეთი დიდები, წითლები და ღამაზები იყო. რომ დამენანა კიდევ მათი მოხარშვა.
- ვეგენი — თვით სად ბრძანდება?
- კატო — აქ არის... დაუძახო?
- ვეგენი — არა, არ შეაწუხოთ. მე თქვენთან გამოგზავნეს, ქალბატონო კატო, დედაჩემ გთხოვთ, რომ თქვენ, თქვენი მუშობლით თუ მდგმურით, არ ვიცი, როგორ ვთქვა...
- კატო — არც ერთი, არც მეორე, ის უკვე ჩემი ქალიშვილია.
- ვეგენი — დიახ, ქალბატონი თამარი, თუ არ გყვები, თამარი ჰქვია...
- კატო — დიახ.
- ვეგენი — მამასადამე, თქვენ, ქალბატონი თამარი, თავისი მამამთილითა და ბავშვით, რა თქმა უნდა, სადილად გეწვევით.
- კატო — (შიაბტივება ძალიან სიამოვნებს). თამარი დღეს მამამთილსა და ბავშვს სოფელში ისტუმრებს.
- ვეგენი — ვიცი, ვიცი, სწორედ ამის გამო (მაჯის საათს დახედავს) თხოვნიტ წუთში უნდა გეწვიოთ. (წასვლას აპირებს).
- კატო — კი, მაგრამ... თამარს, თქვენ პირადად, შგონი არ იცნობთ. (ქაბის). თამარი თამარ-ქალის (ოთახიდან გამოდის თამარი, ქუდი მოუხდია, ეღიმება).
- ვეგენი — ვიცნობთ, პატონო ვიცნობთ! ბოლოს და ბოლოს მუშობლები ვართ. (ხელზე განსაკუთრებული მოკრძალებით ემთხვევა, თავის გვარსაც აცნობს). ამასუცელი (სიცილით) თქვენ მართლებთ თავს, თორემ მე და თქვენი ვაგი დიდი მეგობრები ვართ.
- თამარი — იმ დღეს გოგიას ძლიერ გავუჯერდი.
- ვეგენი — ზემი ბრალია, ბავშვი არაფერ შეაშია, ფრინველიორზე მე ავიღებ.
- თამარი — როგორ შეეშინდი! სანამ გამოჩნდებოდა, მე ჩემი დამემარბა.
- ვეგენი — შემდეგ მეც ბევრი ვაწუხე. ბავშვს ბევრი ვისიამოვნე. მაგრამ თორმე დედამისს ვაწუხებინე, შგონი გუმინწინ იყო. „ბიძია ვეგენი“, შემომესმა ვიღაცის ზახილი, მანქანა შევაჩერე, ვოგია იყო, თავისი ამანაგებით, ტკბილად კი ვიღაპარაკე. მაგრამ სასტიროდ ვიღარ წაიყვანე. თქვენს წყენას მოვერიდე; ისე შესანიშნავი ბავშვია, ნიჭიერი, ტყვიანი. იშვიათად, რომ რაიმე უფროადლებოდ დატოვოს, ყველაფერზე ახსნა-განმარტებს სიითხოვ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი რამეც კი მიხზრა: თქვენ რომ ასეთი ყურადღებით მუტრობით, ყველაფერზე რომ ასე დაწერილებით შიასუხებთ, სხვები ასევე რატომ არ მეტყვიანო ამაზე ევრაფერი ვუბასუხე, დაივინი. მამა კარგად მასსოგო, მითხრა... (თავს გაიქნევს). გული მეტკინა, მოვეფარე. (უცუბ კატოს მიუბრუნდება). მამ ასე, მოვლენ თუ არა, ჩემი თხოვნა გადავიცი. ყველანი მობრძანდით (მიდის).
- კატო — (თამარს გადახეხება). დიდებული ადამიანი არის-მეთქი, რომ ეამობოდი, ხომ მართალ-გყოფილარ? დღეს წამოღვა ფეხზე დედამისი და უკვე გუპატარება. სხვათაშორის, ნუ იფიქრებ, რომ ამას შენ გამო აკეთებენ, სრულიადაც არა! — ახიომოზის პატარეისციმის გამო! იგრძენს, რომ ღირსეული ადამიანია და სურთ, რომ პატარეისციმა გამოხატონ. კიდევ ძველი ოჯახი, თორემ ახლანდელი? (ხელს ჩაიქნევს. შემოიგარდება გოგო, თმასუქში. მკვირიცხია ყმაწვილი).
- გოგო — თბილისის ზღაპრე ვიყავით, რა ღამაში ყოფილა! ღურჯი, ღურჯა... ისე დღავს, როგორც ნამდელი ზღვა.
- თამარი — (შემკრთალია). ასე შორს წასხედი?
- გოგო — რა ახლოს ყოფილა, დედა, ვერ წარმოიდგენ, კუციის სასაფლაოდან უნდა ახვიდე, თორმე, იქვე არის.
- თამარი — ბაბუა სად არის?
- გოგო — აგერ ბაღში ზის, ნაცნობა შეხედა, დაუძახო?

**მამარი** — კარგს ვშერებუი, რომ შენ სოფელში გზაენი (გოგი უმაყოფილა). დაძახე! (გოგი წასვლას აპირებს, დედა შეაჩერებს, ხალათს უსწორებს). ამ დილით ვაგირცებ, დაგიურთავ-  
 უკვე დაგიშვებია. (ბავშვი გარბის).



**კატო** — (სიცილით) ყველანი აქეთ იხედებიან, მთელი ეზო გვაკირდება.

**მამარი** — რატომ?

**კატო** — სულ ვიყო ახლა, რას ღაპარაკობენ, რატომ იცინიან. ყველაფერს კიდე უნდა გამოაბან. ისე, სიმაართედ რომ ეთქვათ, პატარა ამავეი კი არ მომხდარა, ჯერ ევევნი მეზობლებში გადასული მე არ მინახავს, ისე, მაგათი ოჯახის წევრები ყველანი თავზიანი და გულუკოთილი არიან. ყველას დამამარე და ხელის შემწყობი, მაგათ საღამს კაცი ვერ დასწრებს. მაგრამ მეზობლებთან რომ გადავიდეს და ილაპარაკოს? — აა, პა, პა ისე ხომ კობტა ტანი აქვს? რა ძვირფასი კოსტუმი ეცვა, საათს თუ დააკვირდი, საათს? რა საათი ეცეთა რა ღამაზე ამბები აქვს? არა, მართალი სთქვი, ხომ იშვიათი ყმაწვილია?

**მამარი** — კოსტუმის ჯიბიდან რომ აბრუნდების ცხვირსახოცი ქონდა ამოწეული ეს არ მომეწონა.

**კატო** — ასეთ წვირილმან რამეზე ყოველ ადამიანს შეიძლება აუზირდ.

**მამარი** — (სიყაფ). ყოველ შემთხვევაში, მე არავისთან დაახლოვება არ მსურს.

**კატო** — სწორედ ამის გამო გვეშენ პატრეს, თავი ღირსეულად უქირავსო. ამჯერად რამეები რომ არ გიყვარს, სწორედ შეც ამის გამო გცემ პატრეს; ქვრივი ხარ, მაგრამ თეი რომ ამაყად გიპირებს, შენზე რომ უღრას აზრს გულში ვერაფერს ვერ გაატლებს, ეს მომწონს; აქი რომ შენი გულის კარს ვერაფერს ვერ შეადებს, მე ეს კარგად ვიცი, მაგრამ შენზე თუ კი რამე კარგს მტყვიან, რატომ არ უნდა გითხრა? იცი, ამას წინათ ევევნიმ შენზე რა მოიხრა? — მასეთი ღამაზე ქალი თბილისში მეორე არ დიატრება.

**მამარი** — (უნებლიედ ეღიშება). ცუდა გემოვნება პქონია.

**კატო** — რას ნიშნავს, რომ ქალი ხარ, შინზე ხომ გესიამოვნა.

**მამარი** — მე თქვენ ისე შეგეწეეთ, ისე დაგიახლოვდით, ქალბატონო კატო, რომ თქვენთან ყველაფერს გულახდითად ვაპრობ, ისეთ რამესაც, რომელიც ადამიანმა შეიძლება არც კი უნდა ეთქვას, ამიტომ ნუ დამძრახავთ: მე ბევრი მავერიდება, ბევრი ამდევნებია, მე პარათებიც მიმიღია ისეთი შინაარსისა და ისეთი პირებისაგან, რომ მათ მაგიერ გაკწილულბუღვარ: ისეთი რამე კი, რაც თქვენ ახლა მიიხარით, ჩემთვის, გზაზე, მატარებელში თუ დაწესებულებაში მრავალჯერ ვაუტრებიათ, მაგრამ ისინი ჩემთვის ისევე უმნიშვნელონი არიან, როგორც ბავშვობის დროის სათამაშოები. მე ისეთი ქმარი მყავდა, რომ... ის უკვე ექვსი წელია, აღარ არას... მე რა შემიძლია მას გავუეთო? ვერაფერი ყველაფერი ტყუილია, მაგრამ თავიდან, იმ დღიდან გადაწყვიტე, რომ, სანამ ცოცხალი ვარ, მისი სახელი ვატარო. კიდევ მეტს გეტყვით. მე სოღამაზეს ეს რწმენა მამალებს! (კატო ხელებს მოხვევს, ჩაფიქრდება) ამის გარდა, ერთი რამეც უნდა გითხრათ: ახე შეგონია, რომ ის უხილავად მყოფ მჭვთან არის, რომ ის ყველაფერს ხედავს და ამის გამო ვცდილობ ისე მოქცე, რომ მას არ ვაწყენინო, (შორიდებათ). ერთი სისუსტე მახსიათებს, — ხანდახან პირჯვარის გადასახვა ვიცი, რა თქმა უნდა, იმ დროს, როდესაც ამას სხვა ვერ შენიშნავს. მხოლოდ ეს ნაკლი მახსიათებს, თორემ სხვა მხრივ? სხვა მხრივ ნამდვილი თანამედროვე ქალი ვარ, რამდენი აიტაცია თუ საუბარი ჩამიტარებია ყანაში მეამრეშუმე ქალებთან; რამდენი კედლის გაზეთი გამომიშვია... შემოღის ანთიმოზი, წარმოსადგვი, ღამაზე შეხედულების მიხედვი, შემოპყვება გოგი, (თამაზი ეხვევა). მე ტორმწააქების ძრალი ვარ! (ანთიმოზს გულში ვუბრუნება, ეფერება).

**კატო** — პატრეცემული ანთიმოზ, დღეს სადილად ბრძანდება მიწეული, თქვენთან ერთად ჩვენც.

**ანთიმოზი** — ვისთან, ბატონო?

**კატო** — ამაყუელთა ოჯახი არის-მეთქი, რომ გეუბნებოდით, დიახ, ისინი გვთხოვენ.

**ანთიმოზი** — ალბათ ჩემ ძრალს სთხოვენ, მე რა შუაში ვარ, თქვენ მიზრძანდით.

**კატო** — თქვენ, პატრეცემული ანთიმოზ, თქვენ, თორემ ჩვენ ვინ ვაქცევს ყურადღებას.

**გოგი** — წავიდეთ ზოგა ევევნისთან, წავიდეთ!

**მამარი** — გამრეში! (თანაც ტანისამოსს უსწორებს, კამოღზე ჩამოდებულ ხარკესთან მიიფანს. ქორის გაღაუარცხნის, წასაყვანად ამზადებს).

**ანთიმოზი** — მე რომ არ მიცნობენ?

**კატო** — მთელი ეზო გიცნობთ, თქვენი დანახვა უკვე ყველას უხარია; თამარს სულ ეუბნებიან, რა კარგი მამამთელი გყოლია... ეროში ვიღაც ცაღვება შემოსულა და თქვენ თურმე „მო-ბრძანდიო“, ვითქვამთ, არაყი დაგიღვევინებით, ვაწლები და თბილი განიოცტანით. ამას მთელი ეზო ღაპარაკობს.

**ანთიმოზი** — (სიამოვნებს). ცოტაოდენ უხერხულობას გრძნობს). მე თუ ვინმე მაკვირდებოდა, ვერ წარმოვიდგენდი. ჩემთვის, შეუმჩვენელად ვიყავი მეგონა. (ჩაფიქრდება). არა, რაც მარ-

თალია, მართალია, კარგი ხალხი ცხოვრობს ამ ეზოში. საერთოდ კარგი შეიქნა, რომ ჩემ-  
თამარი თბილისში გადავიყვანა. საბოლოოდ ხომ მაინც აქ უნდა ვიყოთ, ბავშვი საშუალო  
დამთავრებს და უნივერსიტეტში ხომ უნდა შევიყვანოთ. (გოგის ეწერება) *განსაკუთრებ-  
ებით კმაყოფილი იმითა ვარ, ქალბატონო კატო, რომ თქვენ შემოგაფარეთ *Зачем? არა! გუ-  
გონით რომ თამარს მარტო უამაგირას იმედით დაეტოვებ. ჩემგან ხელის შეწყობა დიდ  
გაქნებათ, სოფლიდან ყველაფერს მოგაშეუღებთ. ისეთ ღორს ვასუქებ, რომ...* (შემოდის  
ვარლამი, მისი გამოჩენა საერთო მზარალებას იწყებს. გარკვეული შეხედულებით ვარლამი  
ინტელიგენტი და ფაქიზად ნაცხოვრები აღამიანია).*

კატო — საღამო, ბატონო ვარლამ, ძლიერ გვსიამოვნებს თქვენი მოზრძანება (ანთიმოსს). გაიყა-  
ნით, ანთიმოზ ტოროსჯაქს! თამარის მამამთილი გახლავთ.

ვარლამი — (ანთიმოსს ხელს ართმევს, თემდამალ ხალაშს აძლევს). დოკტორი, ბატონო, ვარ-  
ლამ დოქტორი.

ანთიმოსი — დოქტორები ჩვენებურები არიან.

ვარლამი — თქვენ საიდან ბრძანდებით?

ანთიმოსი — წულუკიძის რაიონიდან, ბატონო; ჩვენი სოფელი იქვე, ხონთან არის ახლოს.

არქივანდრიატი ოსები (სემიოგვისკი), რომელმაც შნიშენლოვანი როლი ითამაშა ოსური დამწერლობის განვითარების საქმეში, 1860 წლის 22 თებერვალს წერდა თავად სეიტიპოლემირსკის:

...есть между осетинами и лица, получившие достаточное образование и знающие грамматически как свой, так и русский язык, готовые потрудиться на пользу своих соотечественников в деле распространения между ними национальной грамотности. Таковы из духовных лиц: священник Колнев, священник Сухиев, диакон Аладжиков, учитель Жускаев, учитель Караев, учитель Кантемиров, секретарь грузино-имеретинской синодальной конторы Мжедлон, учитель Тифлисской семинарии Чонкадзе и некоторые другие. Из сих лиц некоторые (среди них имеется иудей и

Д. Чонкадзе.— А. М.) и теперь уже занимаются переводами церковно-богослужбных книг на осетинском языке [საქმიანობის] готовности перевод евангелия [წიგნების] женика, треника, часослова, священной истории“. (Материалы по истории Осетинского народа, т. 5, стр. 85).

ასეთ თარგმანებს ის დადებითი შნიშენლობა ჰქონდათ, რომ ისინი ხელს უწყობდნენ ოსური დამწერლობის განვითარებას და ამზადებდნენ ნიადაგს ოსური ლატერატურული ენისათვის.

შემოქმედებებში ინტერესმა ზონქაძე მიუღროდ დაეკავშირა და ახლო დამეგობრა ყველასთან, ვინც ასე თუ ისე იყო სპეცილისტი ოსურ ენისა და დამატერესებული იყო ოსეთის ისტორიითა და კულტურით. ამათგან უნდა დავასახელოთ ნიკოლოზ ბერძენიშვილი და გიორგი შვედილოშვილი.

დაუღალავი ეურნალისტი, ლატერატურული კრიტიკოსი და შესანიშნავი ეთნოგრაფი ნ. ბერძენიშვილი იყო ოსი ხალხის ენისა და ყოფის ბრწყინვალე მცოდნე. იგი დაიბადა ჩრდილოეთ-ოსეთში (სოფ. არღონში), ჰქონდა შესანიშნავი პირობები შეესწავლა ოსური ენა და ოსური ეთნოგრაფია. ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ პირველი დიდი ეთნოგრაფიული შრომები ოსეთის შესახებ ეკუთვნის სწორედ ნ. ბერძენიშვილს.

იმდენად დიდი იყო ზონქაძის დინტერესება ოსური ენითა და ოსური კულტურით, რომ ისეთ მომენტშიც კი, როდესაც ნათლად გრძობდა სიკვდილის მოახლოებას, განსაკუთრებულ გულისტკიცად გამოთქვამდა დემთავრებულ ანდა ჩაუბარებელი შრომების შესახებ, ასე, მის ანდერძში (1859 წლის 6 აპრილი) ვკითხულობთ:

...4) опеку моего сына может продать все мои вещи, без вмешательства впрочем начальства; вырученные деньги употребить часть на мои похороны, а часть на воспитание сына. 5) Не продавать только мои старые рукописи, а хранить для сына... 8) Прошу Иосифа Ивановича Индуева снестись с Тюриним и если захочет иметь, отослать: мои труды по словарю как тетрадки, так и карточки, перевод литургии Василия Великого, пословицы и поговорки, а также сказки на осетинском языке и мои записки о куртатинских осетинах. Последнее прошу собрать, переписать и так отослать...“ (Хранится в Лит. Музее Грузии).

1860 წლის 5 მარტს დ. ზონქაძე ამ ანდერძს უმატებს შემდეგს:

„Восьмой пункт этого завещания я отменяю по некоторым обстоятельствам. Вместо этого записки о куртатинцах сдать Березинову, который если заблагорассудит,

путь изложит по своему и издаст в каком-нибудь журнале, хотя изложения нет в них, но фактов много. Остальные пусть пропадают, на разбор их ни у кого не останется духу".

კოლასმისაღმა მიწერილ წერილში ჰონჯაძე გულსტიკილით ლაბარაკობს იმის შესახებ, რომ, შეუდგა რა მიზღვევებელი ენერგიით ლუქსიონის შედგენას, ავადმყოფობის გამო იძულებული შეიქნა ეთქვა მუშაობის განგრძობაზე. ოსური ენისაღმა მისი შეუძლებელი ინტერესის დამახასიათებელი ფაქტია, აგრეთვე, ისიც, რომ მის მიერ შედგენილ ყველა საქმიან ქაღალდში არ არის არც ერთი პუნქტი, რომელიც არ იყოს დაყვანილებული ამ საკითხებთან.

რამდენიმე სიტყვა დ. ჰონჯაძის დაბადების თარიღის გამო.

ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ დ. მახარაძე მონოგრაფიაში „დანიელ ჰონჯაძე და მისი დრო“ მივეითებოდა იმ შეუძლობაზე, რომელიც ჰონჯაძის დაბადების თარიღს ეხებოდა. იმ დროს — საბჭოთა საქმეთა მოთვებურების გამო — ძველი იყო გამოყრევით და დაედგინათ საბელოვანი მწერლის დაბადების თარიღი.

უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ჰონჯაძის სოციალურად იყო ახრთა სხვადასხვაობა ამ საკითხში. ნამსახურების სიაში ანდა იმ ცნობებში, რომლებსაც უღვენიდნენ ჰონჯაძეს სამსახურში, მიუთითებდნენ არა დაბადების წელს, არამედ, იმას, თუ რამდენი წლისა იყო დაბადებიდან. ამიტომ, ვინც როგორც იცოდა, ისე წერდა, ახალ „სიათა“ ან ცნობათა შემდგენელი ყურადღებას არ აქცევდნენ განსაზღვრულ თარიღს, წინათ ამა თუ იმ დოკუმენტში აღნიშნულ წელს და მას უმატებდნენ ამ საბუთის შედგენიდან გასულ წლებს.

ამგვარად, ჰონჯაძის საბუთებში შესამჩნევია დიდი შერეობა წელთა რაოდენობაში. ამიტომ შეუძლებელია, რომ მისი დაბადების თარიღი, დადგინდეს ამ „ნამსახურების სიათა“ და სხვა საბუთების მიხედვით; სწორი არ აღმოჩნდა.

შეზღუდ თვითონ ჰონჯაძემ სკადა ეს საკითხი დაუხსნებელია. სტეპროპოლიდან დაბრუნების შემდეგ მან აღადგინა დაბადების მოწმობა, რომელიც აქვე მოგვყავს: „Свидетельство:

По указу Его Императорского Величества из Грузино-Имеретинской Святейшего Правительствующего Синода канторы, учителю осетинского языка в Тифлисской Духовной семинарии Даниилу Георгиеву сыну Чонкадзе, в том, что вследствие прошения его о выдаче ему метрического свидетельства о рождении и крещении его,

учинено было дознание и оказалось, что Даниил, сын священника ведомства Осетинской Духовной комиссии, Георгия Шюева сына, Чонкадзе и законной жены его Мелании Иосифовой, рожден 15 и крещен 17 декабря 1831 года священником Ашского прихода Давидом Мжедловым, при восприимнике казенном крестьянине Фоме Бидорове.

В удостоверение чего и выдано ему, Чонкадзе сие свидетельство за подписью члена Синодальной канторы и с приложением казенной печати. 1856 года апреля 30 дня.

Член Грузино-Имеретинской синодальной канторы:

Архимандрит Геронтий.

Секретарь Мжедлов.

За долж. стол. Иван Бакрадзе.

(ЦГИА Груз.-ССР, ф. 440, № дел. а 564, лист 21).

ეს მეტრიკული მოწმობა დანიელ ჰონჯაძემ წარადგინა თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობაში, რომელმაც გაგზავნა ის, სხვა საბუთებთან ერთად, კიევის სასულიერო — სამოსწავლო ოქმში დანიელ ჰონჯაძისათვის კოლეგიის რეგისტრატორის ხარისხის გამოსათხოვად. ეს საბუთები ჰონჯაძისაგან კოლეგიის რეგისტრატორის მიღების შემდეგ დაუბრუნდა თბილისის სემინარიას, მაგრამ უსულგულო კანცელიარისტებმა ისინი დაკარგეს.

ამგვარად, შემოღწეული საბუთის საფუძველზე, რომელიც შედგენილია თვით დ. ჰონჯაძის მიერ და რომელიც არავითარ ბეჭდს არ იწვევს, მწერლის დაბადების თარიღად უნდა ჩითვალდეს არა 1830 წელი, როგორც აქამდე იგონათ, არამედ 1831 წლის 15 (28) დეკემბერი. ეს ფაქტი აღასტურებს იმას, რომ მწერლის ცხოვრება კიდევ უფრო ხანმოკლე ყოფილა, ვიდრე გვევჩინა უკანასკნელ ხანებამდე.

შემდეგ ცხოვრებამ გატეხა დ. ჰონჯაძის ძალღონე და უკვე 1859 წ. დასაწყისში მისი ავადმყოფობა უარესდება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი არ წყვეტს მუშაობას „სურამის ციხეზე“ და ამავე წელს ამთავრებს მას.

დ. ჰონჯაძე გარდაიცვალა შემოქმედებითი ქალების გაფრთხილების დროს, 1860 წლის 16 ივნისს.

დ. ჰონჯაძის, გ. მეტელიშვილის და ნ. ბერძენიშვილის მოღვაწეობამ ოსეთის კულტურისა და განათლების ასაღრძობებლად ხელი შეუწყო კულტურული კამპიონისა და მეგობრული ერთობის განვითარება-განმტკიცებას ოსსა და ქართველ ხალხებს შორის.



# საბჭოთა საქართველოს კულტურული ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან

დიდი და შესანიშნავი კულტურის მქონე საქართველო ძველთაგანვე იმყოფებოდა კულტურულ ურთიერთობაში უცხო ქვეყნებთან და ხალხებთან როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. უცხო ხალხებთან ეს გაცხოველებული კულტურული ურთიერთობა უმთავრესად ომების შედეგად ზერხდებოდა. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ისტორიული წარსულით, აწმყოთი და მომავლით, ბუნებრივია, იმერობდა უცხო ქვეყნების ყურადღებას. პატარა საქართველოს მთელი თავისი არსებობის ისტორიის მანძილზე უზღებოდა ბრძოლა თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და თავისუფლებისათვის. საქართველოს ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან უმთავრესად კულტურულ ურთიერთობაში გამოიხატებოდა და ეს არა მხოლოდ მეზობელ, არამედ შორეულ ქვეყნებთანაც კი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად, როდესაც გაიდერჩნა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობისათვის საქართველოს ფართო ასპარეზი გადგემალა.

განსაკუთრებით გაფართოვდა კულტურული ურთიერთობა უცხო ქვეყნებთან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. სულ უკანასკნელ წლებში საბჭოთა საქართველო, მისი მნიშვნელოვანი ქალაქები და სოფლები მოინახულეს გერმანის, აზიისა და ამერიკის ქვეყნების წარმომადგენლებმა.

უცხოეთის დელეგაციების და ცალკეული სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის მრავალი ცხადი შეფასებანი საბჭოთა საქართველოში ყოფნის შესახებ თვალსაჩინოდ იმუშობენ იმ დიდ შთაბეჭდილებებზე, რაც მოახდინა სტუმრებზე რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების მიღწევებმა.

ცნობილია, რომ ინგლისელები დიდ ინტერესს იჩენენ საქართველოს ისტორიული წარსულისადმი, მავრამ მათ ყურადღებას უმეტიესად თანამედროვე საბჭოთა საქართველო იპყრობს.

ინგლისელი შერჩალი ჯ. ლინდსეი, რომელმაც მოინახულა საქართველო, წერს: „მე ბევრი გავივდი ხელოვნებისა და ისტორიის მუყენიერ მუზეუმებში თბილისში. მე ზოგი რამ უკვე ვიცოდა ქართული ხალხის დიდი ტრადიციების შესახებ, მისი ძველი სახელმწიფოებრიობის შესახებ, და ხელოვნებისა და ლიტერატურაში მრავალ

ვალ მიღწევათა შესახებ, მავრამ ამ მუზეუმის ნახვის შემდეგ მე უფრო კარგად შევიარაღო იმისათვის, რომ შემეფასებინა ის, თუ საბჭოთა საქართველო როგორ აგებს თავის დიდ სახალხო კულტურას, აკეთებს ამის მტკიცე ეროვნულ ნიადაგზე. მე აღფრთოვანებული ვიყავი თანამედროვე ქართული არქიტექტურის მრავალი მიღწევით და ვიგრძენი არაჩვეულებრივი დამახასიათებელი და მარწმინდელი სტილი“.

ინგლისელი ეტრნალისტი რალფ პარკერი თავის წიგნში „მოსკოვიდან თბილისამდე“ ლაპარაკობს ახალ სოციალისტურ საქართველოზე, უღიღეს გარდაქმნებზე, რომელთაც ადგილი აქვს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ქართველი ხალხის მღალ კულტურულ დონეზე.

საბჭოთა კავშირთან კულტურული ურთიერთობის ინგლისის საზოგადოების დელეგაციებზე 1952 წ. საქართველოში „განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ამ ქვეყნის კულტურულმა მიღწევებმა“ და რომ „თბილისი გადიქცა საშეცნიერო გამოკვლევათა, ხელოვნების, ლიტერატურის და ქართულ ენაზე გამომქმელობის მსხვილ ცენტრად“.

ინგლისის ზანგი პოეტი პიტერ ბლექმენი იღნიშნავს: „ქართველები ამაყობენ თავიანთი ძველი ისტორიით და კიდევ უფრო ამაყობენ თავიანთი ადგილით საბჭოთა სისტემაში“. თავის მზრივ ქართველ ხალხს უყვარს ინგლისის მოწიწი კულტურა და აფასებს მას, ამის მთვენებელი ის გარემოება, რომ ქართულ ენაზე იკვთა ინგლისის აეტორების თხუზელებანი, ქართულად იღმემა ინგლისელ დრამატურგთა პიესები, სრულდება ინგლისელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

მკიღრო კულტურული ურთიერთობა ქონდა და აქვს ზვენს რესპუბლიკას დიდი სახალხო ჩინეთის რესპუბლიკასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთსა და საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობის განვითარება უძველესი დროიდან არის ცნობილი. ამის საეყვთესო დამამტკიცებელი ის, რომ რესთაველს „ეფთბისტაყათანში“ მოპაყენ ეპიზოდები ჩინელების შესახებ.

შოთა არსთაველი ხალხთა შორის მეგობრობის იღვის გამოსახატეად შინაერთავს ჩინურ ანდაზას:

ესე არაყი შართალი ჩინს ქვასა ზედან  
სწერია:  
„ეინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა  
მტერია“.

ოვრათასა და მოკლედ მიმოხილავს მის შემოქ-  
მედებას. ჩინურ ენაზე ითარგმნა აგრეთვე გრ.  
აბაშიძის ლექსები და თ. გოგუღუბის ნაწარმო-  
ვლას განთილი“.

**გიგლიძის შესახებ**

საქართველოში ჩამოსულმა ჩინეთის დელეგა-  
ციის წევრებმა სამშობლოში დაბრუნების შემ-  
დეგ გამოაქვეყნეს შთაბეჭდილებები, რომლებ-  
შიც გაშუქებულია ქართველი ხალხის ცხოვრება.  
მწერალმა მათ დენმა მიუღო რაღაც სტატიები და  
მოგონებები დაწერა საბჭოთა საქართველოს შე-  
სახებ.

თავის გულწრფელი აღტაცება გამოხატა მათ  
დენმა თბილისის ჰიონერთა სასახლის დათვალ-  
იერებისას. „ჰიონერთა სასახლეში შესვლისთანავე  
ჩვენ მამიფე თავი ახალგაზრდებზედ ვიგრძენით,—  
წერს იგი. — სასიხარულო იყო იმის ცქერა, თუ  
როგორ მოხერხებულად ათავსებენ აქ ბავშვები  
სწავლას და სიხარულს შრომასა და დასვენებას-  
თან“.

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის შეგობარობის საზო-  
გადოების წევრებმა მწერლებმა ზან შან იმ და  
იმ ძი ჯიმიც გამოსცეს წიგნები, სადაც გვიცნო-  
ბენ საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებებს.

ცნობილია ჩინელმა პოეტმა და საზოგადო მოღ-  
ვაწემ გო მო-კომ, რომელიც 1954 წელს ეწვია  
საქართველოს, რამდენიმე დღე დაყო ვაგრაში.  
აქ ის შეხვდა 4 წლის ქართველ გოგონას მანანას.  
რომელსაც იქვე უძღვნა პოემა, ხოლო შემდეგ  
იგი გამოაქვეყნა ჩინურ ლიტერატურულ ეურ-  
ნალში და გამოგზავნა საქართველოში. ლექსში  
აღწერილია ვაგრის მშვენიერი მიდამოები ზღო-  
სა და მთების პერსაჟები, მისი აღტაცება ამ ჯე-  
დოსნური სილამაზით. გო მო-კოს პოემა ბალადა გამს-  
კვალელია მისი დიდი სიყვარულით პატარა მან-  
ანასა და საერთოდ ბავშვებისადმი, რომლებსაც  
ყველაზე უფრო ესაქირობათ მშველიობა. ბალა-  
დის ყოველი ნაწილი თავდება ქართულ ენაზე  
ჩართული სიტყვებით:

მე ვაშობო — „დიდი მადლობა“,  
მე ვაშობო — „ნახვამდის“.

მშვენიერი ლექსი უძღვნა თბილისის ცნობილმა  
ჩინელმა პოეტმა ჩენ სიუ ჩაომ. მისი „სალამი  
შენ, თბილისო!“ აღსაცხა „საქართველოს მშვე-  
ნიერი დედაქალაქის“ ზოტებით.

არა ერთ სხვა ჩინელ მწერალსა და საზოგადო  
მოღვაწეს გამოუთქვამს თავისი აღტაცება საქარ-  
თველოში მოგზაურობით. მათი ლექსები, სტატი-  
ები და წიგნები ხელს უწყობენ ხალხთა შორის  
შეგობარობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

კულტურული ურთიერთობა აქვს საქართვე-  
ლოს საბჭოთა რესპუბლიკას დიდი ინდოეთის  
რესპუბლიკასთან.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ურდევე ოჯახში  
მტკიცედ გაერთიანებული ქართველი ხალხის პე-  
ტიციონერმა დიდი ინდოელი ხალხისადმი ძველთა-  
ვანვე მომდინარეობს. იგი ვითარდება საუფ-

1938 წელს თბილისში ჩამოვიდა დიდი ჩინელი  
მწერალი ემი სიოა. ქართულმა გაზეთებმა ფარ-  
თოდ გააშუქეს ემი სიოას მოგზაურობა.

ძველთაგანვე არსებული კულტურული ურთი-  
ერთობა ჩინეთსა და საქართველოს შორის გან-  
საკუთრებით განვითარდა და გაძლიერდა 1949  
წლიდან, როდესაც ჩინელი ხალხი ეკონომიური  
და კულტურული განვითარების დამოუკიდებელ  
გზას დაადგა.

ქართულ ენაზე ითარგმნა ლუ სინის შოთხ-  
არბები, ცალკე წიგნად გამოიცა თანამედროვე  
ჩინელი პროზაიკოსების მოთხრობათა კრებული,  
რომელშიც მოთავსებულია ჩაო შუ-ლის, ლუ  
ბაი-იუს, შაო ცი-ნანის, იუან იუ-მინის, ლუიეის,  
კან-ჩოს და სხვათა ნაწარმოებები. სხებგაშემა  
ქართულ ენაზე გამოსცა ძველი ჩინეთის—ტანის  
ეპოქის უდიდესი პოეტისა და პემანისტის ზო  
ძიუ-ის ლექსები. ჩვენმა საბლიტგამმა გამოსცა  
აგრეთვე ჩინური მოთხრობებისა და ზღაპრების  
კრებული.

ქართველი მწერლების ნაწარმოებებიც სულ  
უფრო მეტი რაოდენობით ითარგმნება ჩინურ  
ენაზე. „ვეფხისტყაოსანი“ მწერალმა ლი ლი ემ  
ჯერ კიდევ 1943 წელს თარგმნა ჩინურად ინ-  
გლისურა თარგმანიდან. ამ თარგმანის პირველი  
2000 ცალი ფართლად იბეჭდებოდა, რადგან გო-  
მინდინელმა, რომლებიც მაშინ ჩინეთში ბე-  
ტონობდნენ, აკრძალეს ამ წიგნის გამოცემა.  
მხოლოდ 1954 წელს გამოიცა იგი პეკინში დიდი  
ტირაჟით.

ლი დი ე თარგმანის წინასიტყვაობაში წერს:  
„საქართველო უძველესი ისტორიის და კულ-  
ტურის მქონე ქვეყანაა. ქართული ლიტერატურა  
ჯერ კიდევ IV საუკუნეშია ცნობილი. პოემა  
„ვეფხისტყაოსანი“ ქართული ლიტერატურის  
ძეგირტასი განძია. ჩვენ, ჩინელი მწერლები, იმ  
აზრასა ვართ, რომ დღეს ჩინეთის ეკონომიური  
და კულტურული აღორძინების პირობებში ფრი-  
ად მნიშვნელოვანია რუსთაველის პოემის თარ-  
გმნა ჩინურ ენაზე“.

ლუა ქიანელის „გვადი ბიგვა“ თარგმნა მწე-  
რალმა ჩენ და ვეიმ. თარგმანი გამოიცა პეკინში,  
1954 წ. 26. 000 ტირაჟით. წინასიტყვაობაში ჩენ  
და ვეი ჩინელ მკითხველს აცნობს ქიანელის პე-

ნების მიხედვით მკიდრო კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის საფუძველზე.

ინდოეთში ქართული ხალხის კეთილშეგობრული ურთიერთობის გარკვევისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებს, ლიტერატურულ ძეგლებს და ქრონიკებს საყურადღებო ცნობები შემოინახათ. ქართული მატარებელი „ქართლის ცხოვრება“ ინდოეთში საქართველოს ურთიერთობას ეხებენ გარდასაღის შეფიქრებულ (V საუკუნე) ანგარიშობს, თუმცა ინდოელ და ქართველ ხალხთა შორის ბევრად ადრე აღმოცენებული ის ურთიერთობა უსათუოდ მოგვიანებით პოელობას ასახავს მატარებელი.

ინდოელი და ქართველი ხალხების ისტორიულმა შეგობრობამ ყველაზე ნათელი ასახვა ქართულ მწერლობაში პოვა. ძველი ქართველი მწერლები და კულტურის გამომჩინილი მოღვაწენი ყარაღ იცნობდნენ ინდოეთს, მის მდიდარ კულტურასა და ლიტერატურას, რასაც ფართოდ იყენებდნენ თავიანთ შემოქმედებაში. მაგალითად, უძველესი ქართული რომანის — „სიხარბე ბალაქარის“ სიუჟეტი ინდოეთის ცხოვრებიდან არის აღებული. მასში მხატვრული ოსტატობით არის გადმოცემული ინდოეთის შეფის აბენესისა და მისი შვილის იოდასაჟის ამბები.

XII საუკუნეში ინდოეთ-საქართველოს ეკონომიკური და კულტურული კავშირი კიდევ უფრო მტკიცდება. ფეოდალურ საქართველოს ტერიტორიაზე გავლით იმ დროს ერთმანეთს უკავშირდებოდნენ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნები. ამ პერიოდში საქართველო-ინდოეთის ეკონომიკური და კულტურული კავშირი თავისი განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს. შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ გენიალურმა შოთა რუსთაველმა ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის სამშობლოდ დიდი ინდოეთი დასახა. პონტო-თათართა შემოსევებში ინდოეთისა და საქართველოს ეს კავშირი შეაფერხა. ბიზანტიის იმპერიის დამხობამ, ზნელთაშუა ზღვაზე თურქების გაბატონებამ სავსებით შეკეტა საქართველოზე გამავალი დიდი სავაჭრო გზა. XV საუკუნიდან ინდოეთში თანდათან ბატონდებოდა ევროპელი კოლონიზატორები. საქართველოს სამეფო დანაწილდა და ირან-ოსმალეთის აგრესიული თავდასხმების ასპარეზად იქცა. ასეთი დიდი განსაუღრის მიუხედავად, საქართველოს და ინდოეთს შორის კავშირი მაინც არ გაქრა.

ამ პერიოდში ინდური ფავარატების კრებულს „პანჩატან — ტრას“ („ხუთ წიგნი“), რომელიც წვენში უკვე ცნობილი იყო XI საუკუნეში, მეფე ვახტანგ მეექვსე და საბა-სულთან ორბელიანის სპარსულადან ქართულად თარგმნის „ქილილა და დამანას“ სახელწოდებით.

მეთვრამეტე საუკუნიდან ინგლისის კოლონიად ქცეულ ინდოეთთან საქართველოს კავშირურობა ახალი თავისებურებებით ხასიათდება. 1738 წელს კაბუჯი უფლისწული, შემდეგში

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე ქართველთა ამაღლი იყო ინდოეთში და ახლო ვაჭრობა ამ ქვეყანას. ჩვენამდე მოღწეულია მეფის ბრძანების მიერ თავისი დისადმი მოწერილი ბარამხმევი, სადაც იგი გადმოსცემს ინდოეთში მიღებულ შთაბეჭდილებებს, განცდებსა და თავგადასავალს.

ინდოეთში ინგლისის იმპერიალიზმის გაბატონებისა და ინდოეთის კოლონიად გადაქცევის შემდეგ, ურთიერთობა ჩვენსა და ინდოეთს შორის შეწყდა, რაც გულისწერობით აღინიშნა გასულ წელს თბილისში მუჟმა ინდოეთის ერთ-ერთმა უდიდესმა მწერალმა კრიშან ჩანდრმა. მან თქვა: „საქართველოსა და ინდოეთის ხალხების კავშირს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ძველი ინდოეთის მრავალ ანდაზასა და თქმულებებში ნახსენებია საქართველო. დამახასიათებელია, რომ ინდოეთში ცნებები „ლაზხა“ და „ქართული“ სინონიმებად ითვლებოდა. მაგალითად, თუ ჩვენში უნდოდათ რაიმე შექმათ ან მაღალი შეფასება მიეცათ, იტყვიდნენ: „ეს ქართულია“. ეს თქმულებები და გადმოცემები წარმოიშვა ძველად, მაგრამ შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში ჩვენს ქვეყნებს შორის კავშირი შეწყდა“.

ინგლისის ბატონობით შეწყვეტილი ურთიერთობა აღდგა და ფართო ხასიათს იღებს. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში სამპოთა კავშირი მონიხა ინდოეთის 20 მეტმა დელეგაციამ. რომლებშიც შედიოდნენ პოლიტიკური, სახელმწიფო, საზოგადო მოღვაწენი; მათ შორის იყვნენ მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

ინდოეთის დიდმა მწერალმა რაბინდრანათ თაგორმა 1927 წელს მონიხა სამპოთა კავშირის და დაწერა წიგნი „მწერლები რუსეთზე“, რომელშიც დიდი როლი შეასრულა ინდოეთის საზოგადოებისათვის სამპოთა კავშირის ნამდვილი მდგომარეობის გაცნობის საქმეში.

ახლანქართულად გამოვიდა რაბინდრანათ თაგორის ჩრეული ნაწარმოების ერთტომეული. ინდოეთის ამ დიდი მწერლის მინიატურები ადრე ითარგმნა და გამოქვეყნდა (ს. შანშიაშვილის, ლაფრ. მიძიგურის და სხვათა მიერ).

სსრ კავშირისა და ინდოეთის დაახლოების საქმეს ხელი შეუწყო 1955 წლის მაისში კრიშნამურტი რაოს შეთავრებით ინდოეთის პარლამენტის დელეგაციის ჩამოსვლა სამპოთა კავშირში.

საქართველოში სოციალისტური მშენებლობის უდიდეს მასშტაბზე ამხვილებს ინდოელი მკითხველის ყურადღებას ცნობილი ევრნალიტი მამუდ მუხაფირი. იგი საქართველოში 1952 წელს იყო. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1954 წელს, მან ბომბეში გამოსცა წიგნი — „სოციალისტის საძიებლად“, რომელშიც ცალკე თავებად შევიდა საქართველოში მოგზაურობის აღწერა. „ატომანქანის სარკმელთან მიღებული პირველი შთაბეჭდილება თბილისის შესახებ ის იყო რომ ეს ქალაქი მშენებლობას მოეცავს, — ქა

ლავის თითქმის ემეტისი ნაწილი ხარაზოებშია ჩასმული". მაშნულ მუხაფიერი დაწერილებით აღწერის სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობას და აღაყენს: „სამგორის და უფრო მცირე მოცულობის შრავალი სხვა სარწყავი სისტემები, რომლებსაც უკვე აშენდა ან შენდება, დიდ უღებურ ტერიტორიებს გადააქვევს ინტენსიური სოფლის მეურნეობის რაიონებად.

თუ ვაგიხსენებთ, რომ საქართველოში ოთხ მილიონამდე მოსახლეობაა, ადგილი წარმოსადგენი იქნება, როგორ გაამდიდრებს და ააყვავებს საქართველოს ამ გვეგების განხორციელება“.

ინდოეთის ცნობილი პედაგოგი ინგვალ სინკი 1951 წელს ბომბეში ინგლისურ ენაზე გამოცემულ წიგნში — „რეპორტაჟი რუსეთის შესახებ“, სადაც საქართველოს დაიშობილი აქვს ორი თავი, წერს: „რეკოლეციამ ქართველებს თავისუფლება მოტანა. ეს თავისუფლება იწყება იმით, რომ ყველას აქვს უფლება ატაროს თავისი საკუთარი სახელი და ილაპარაკოს შშობლიურ ენაზე. ზოგიერთისათვის შეიძლება ეს თითქმის არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ ქართველები მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, და ეს იმიტომ, რომ ისინი ამაყი ხალხია. ისინი ერთნაირად ამაყობენ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში მიღწეული წარმატებებით და თავისი უძველესი კულტურული მემკვიდრეობით. ქართველებს აქვთ მოზღვავებელი ტექნიკანტი, თავისუფლებისათვის უძლიერესი სიყვარული, გონიერების შეხამება თითქმის ექსტრავაგანტურ რომანტიზმსა და ქემორის გრძობასთან.

არც ერთი ქართველი, — განაგრძობს ინდოელი ფერანალისტი სინკი, — თავის ხალხს მცირე ან უმნიშვნელო ხალხად არ თვლის, მათს უშუბტესობა ინაწილებს გრძობას, რომელიც სიძინ ჩიჭოყვამ გამოთქვა ლექსში „ვინა თქვა, პატარაო სამშობლო ჩემი?“ და მართლაც, ვინა თქვა, რომ საქართველო პატარაა? ქართველებს ხომ სამართლიანად შეუძლიათ განაცხადონ, რომ აკობრობის კულტურის საგანძურში შეიტანეს თავიანთი დიდი წვლილი. ისინი ამტკიცებენ, რომ პირველი საწინახელი საქართველოში იქნა სრულყოფილი, და სტალინი ხომ გორში დაიბადა. და ეს სიამაყე ბავშობა არ არის; ის არის ნაწილი კოლექტიური თავმჯდომარეობის ღრმა გრძობისა, ურთიპროსოდაც არ არსებობს მორალურად საღი ხალხი. ამ სიამაყეში სანატრესუი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ ის საყოველთაოა, მას ყველა საფეხურზე შეხვდებით.

ქართველი ხალხისათვის რეკოლეციას სხვა რომ აღარაფერი მოეტანა, საკუთარი ენის დამარუნების უდიდესი სამართლიანი ფაქტიც საკმაო იქნებოდა მის გასამართლებლად, მაგრამ საქმეც სწორედ ისაა, რომ რეკოლეციამ გაყოლებით მეტი მოიტანა: მან შექმნა პირობები საქართველოს ახალი ოქროს ხანისათვის“.

ინდოელი ეტრნალისტი ბ. ვიკის თავის შთა-

ბეჭდილებებში საქართველოში მოგზაურობის შესახებ აღნიშნავს: „კავშირი საქართველოსა და ინდოეთის შორის დამყარდა მრავალე ხუცუყენის წინათ, რაზედაც მოწმობენ სერეფო-სტეფენოვიჩი ორ ენაში. როგორც ინდოეთის წარმომადგენელი აღფრთოვანებელი ვიყავი, როდესაც ვაგვიტ, რომ ისეთი ინდური სიტყვები, როგორებიცაა „თამბაქო“, „პური“, „ქეჩი“, „ქაჩანა“, არის ქართული ენაშიც. ჩვენი ინდოელი პოეტები თავინთ ბალებში უძლიერიან სტეშარტმოყვარე და ლამაზ ქართველ ხალხს“.

საბუთა ქვეყნიდან მეცნიერებისა და კულტურის მემკათა არა ერთი დღეგაცია ჩასულა ინდოეთში. ამ დღეგაცეებში მონაწილეობდნენ ჩვენი სახელმძბვეკილი მეცნიერები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრები პროფესორები გ. ახვლედიანი და ვ. კუბარაძე.

კულტურული ურთიერთობა ჩვენსა და ინდოეთის შორის ფართოვდება. ქართულ ენაზე ითარგმნა „რამაიანი“, კრიშნა ჩანდრის შოიხრობები, ვალადოლისა და ჩატო-პადაიას ლექსები და შოთხრობები. 80 წლის ვალადოლმა საქართველოს მიუძღვნა ორი ლექსი — „თბილისი“ და „მოდლობა“, ჰინდის ენაზე ითარგმნა ჩვენი მსოყვანი მწერლის ლეო ქიჩინის „ტარიელ გოლეა“ და „გველი ბიგვა“. კულტურული, გეოგრაფიური და პოლიტიკური ურთიერთობის ის ვადრმავება აფართოვებს და განამტკიცებს ქართველი და ინდოელი ხალხების მეგობრობას.

ახლის მეორე მნიშვნელოვანი ქვეყნის — ბირმის მშვიდობის მომხრეთა დღეგაცეამ საქართველოში ყოფნისას განაცხადა: „ჩვენ დავინახეთ, რომ ქართველები ერთგული, უბრალო, მიზნიდველი, გულწინადა, სტეშარტმოყვარე, ლამაზი და მშვიდობისმოყვარე ხალხია“.

გაცხოველდა კულტურული ურთიერთობა ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან. მკადრო მაგალთისათვის საქმარასია მივეთხოთ რეკონსტიტუციონალური ურთიერთობაზე.

ქართველ-რემინელთა მეგობრობას დიდი ისტორია აქვს. ამას მოწმობს საქართველოსა და რემინეთის შორის კულტურული კავშირის მრავალიცხოვანი ფაქტი, არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლები რემინეთისა და საქართველოში, წარსულის გამოჩენილი პოლეაწთა სახელები — ანთიმ ივერი ანუ მიხეილ იმტეანოვიჩი, ბესიკი და სხვ.

ამ ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობის განვითარების საქმეში დიდი როლი თამაშა XVII — XVIII საუკუნეებში ცნობილმა განმანათლებელმა ანთიმ ივერიანემ. წარმომოხობ ქართველი, ანთიმ, ტყვედ ჩაუვარდა თურქებს, საიდანაც ის გაათავისუფლა ვალაჰიის შართველმა კონსტანტინე ბრინკოვიანემ. ანთიმმა ნახა თავშესაფარი რემინეთის მიწაზე, რომელსაც ის თავის მეორე საშობლოს უწოდებდა. ანთიმმა სრულყოფილად შეისწავლა რემინელი ენა და

სწავლა დაიწყო საერთაშორისო სტაჟში. მუდრად იყო რა დაკავშირებული მთელი თავისი მოღვაწეობით რუმინეთის კულტურასთან, იგი ერთი წუთითაც არ იფიქრებდა თავის სამშობლოს — საქართველოს.

როგორც კი მიიღო ცნობა ამის შესახებ რომ ქართლის მეფე ვახტანგ VI ამირებს სტამბის დაარსებას, ანთიმია დაუყოვნებლივ მიმართა კონსტანტინე ბრინკოვიანუს თხოვნით, დახმარებოდა ქართველებს ამ საქმეში. ანთიმო აგზავნის საქართველოში თავის საეკლესიო მოწვევს მიხედვით იმტანოვიჩს, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა 1703 წელს. 1709 წელს თბილისში მიხეილის მონაწილეობით და მეთაურობით დაარსდა პირველი ქართული სტამბა.

იმტანოვიჩმა დაბეჭდა თავის სტამბაში მრავალი საეკლესიო და საერო წიგნი ქართულ ენაზე. კულტურული ურთიერთობა საქართველოსა და რუმინეთის შორის ვითარდებოდა შემდეგნაირად, მაგრამ ამ ურთიერთობამ უღივს განვითარებას მიაღწია რუმინეთის ფაშისტური რეჟიმისაგან განთავისუფლების შემდეგ.

1949 წელს ქართველ მეცნიერთა დელეგაცია აკადემიკოსების ა. შანიძის, ნ. ბერძენიშვილის და დოქ. კ. გიგინეიშვილის შემადგენლობით იყოფებოდა რუმინეთში. ქ. იასში ისინი დანტერესდნენ ცნობილი ქართველი პოეტის ბესიკ გაბაშვილის საფლავით, რაკი ვარაუდობდნენ რომ ის ამ ქალაქშია დასაფლავებული.

რუმინელ ისტორიკოსების დახმარებით მათ მართლაც შეძლეს აღმოაჩინათ ბესიკის საფლავის ქვა. ბესიკი დაკრძალული უყოფია წმიდა პარასკევას ეკლესიაში „სულია ვინკის“ სასაფლაოზე, მაგრამ რაკი ეკლესია დაანგრეულა, საფლავის ქვა 1922 წელს გადაუტანიათ გოლიას ტაძარში.

1950 წ. ქართველმა პოეტმა გიორგი ლეონიძემ, პირველმა ბესიკის თანამემამულეთაგან, მოინახულა მისი საფლავი.

საქართველოსა და რუმინეთს შორის კულტურული ურთიერთობის განვითარებამ თავისი გამოხატულება პოვა აგრეთვე რუმინელ მწერალთა ნაწარმოებების გამოქვეყნებაში საქართველოში.

1955 წ. პოეტმა გრ. ანაშიმემ გადათარგმნა ქართულ ენაზე რუმინეთის დიდი პოეტის მიხეილ ვინინესკუს ლექსების კრებული.

1953 წელს თბილისში დიდი წარმატებით მოეწყო გამოფენა „რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა სოციალიზმის მშენებლობის გზაზე“, რომელიც მოაწყო სსრკ-რუმინეთის მეგობრული ურთიერთობის საზოგადოებამ („არლეს“).

„არლეს“ მუდრა კავშირი აქვს საქართველოსთან, სისტემატურად გზავნის ეურნალებს, გაზეთებს, ახალ ლიტერატურას, ხელს უწყობს რუმინეთის ხალხის ისტორიის, კულტურის, ცხოვრებისა და შემოქმედების გაეცნობას. რუმი-

ნეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა აკადემიკოსმა კონსტანტინესკიანმა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორიან დოგართან ერთად 1955 წლის შემოდგომაზე მოინახულა საქართველო.

1956 წელს ოქტომბერში რუმინელმა გაზეთმა „ვიცა ნოა“ მოათავსა „არლესის“ დელეგაციის წევრთა შობებულებანი, ხოლო ამ საზოგადოების გენერალურმა მდივანმა, ი. შორარემ საქართველოს მიმდევნა წერილი სათაურით „დავიწყყარა შობებულებანი“, ის წერს: „ვიცა საბჭოთა კავშირში მივგზავრება უკრის შეარჩიოს, რის დათვალიერება უკლესი. ჩვენი არსებული შეჩერდა საქართველოზე, რუსთაველის მზიურ სამშობლოზე, ამირკავკასიის ერთ-ერთ რესპუბლიკაზე, რომელთანაც ჩვენ გვაკავშირებს ძველი წარსული. თბილისის ისტორიას აქვს ბევრი საუკეთესო ფურცელი, მაგრამ არასდროს საქართველო არ იყო ისე აუვალებული, როგორც საბჭოთა ხელისუფლების წლებში. საქართველოში ჩვენ ვნახეთ მრავალი სამრეწველო დაწესებულება და განვითარებული ეივათი წარმოების მაღალი დონი და ტექნიკით. ტრიკოტაჟის კომბინატი 25 ეროვნების 3 ათასი მუშა მუშაობს.“

მაგრამ რამაც ჩვენ უღარავდა იგველვა და ალგავთოვანა, ეს იყო საბჭოთა ადამიანი, ქართველის ფართო, კეთილშობილური ბუნება. ყველან ჩვენ გვიღებდნენ ძმური სიყვარულით. ჩვენ დავტოვეთ მზიური საქართველო, წამოვიღეთ თან ღრმა სიყვარულის გრძობები ამ გულთაღ შრომისმოყვარე ხალხისადმი.“

ხეზოსლოვაციელი ეურნალისტი იან კოპეცი, რომელიც იყო საქართველოში, წერს: „პარასკევას არ დაეიწყებ ჩემს პირველ შეხვედრას საქართველოსთან. ქვეყანა ზღაპრული კოლხიისა და იბერიისა, რომელია სილამაზისა და საგანძურების ბერძენი ისტორიკოსები მოგეობობდნენ ჩვენ წელთაღიხებამდე დიდი ხნით ადრე, ჩვენ წარმოვიგედა მართლაც ზღაპრულად.“

დიდია ამ ქვეყნის ისტორია. მისი სიმდიდრე იხიდავდა დამპყრობთ. რომი, ბიზანტია, არაბები, სპარსნი, თურქები, სეულიდენ ერთმანეთს თავიანთ ხარბ თარეშში და მხოლოდ ხანმოკლე იყო დამოუკიდებლობის პერიოდი. თავგანწირულად ბრძოდა თავისუფლებისათვის ქართველი ხალხი. ამ ბრძოლაში წარმოიქმნა დიდი კულტურა. მრავალი საუკუნით ადრე, სანამ პირველმა ვეროპელმა გადასტერა ოცენად და ფიცი შედგა ახალ სიყვაროში, ქართველ ენაზე უკვე ძვრდა პოპროსი და ვერგილუსი, ხოლო XII საუკუნეში აქ წარმოიშვა თავისუფლების დიდი მოძღვრალი შოთა რუსთაველი.“

პოლონი მწერალი ვეი ბროშევიჩი წერს: „შეხვედრა საქართველოსთან — ეს იყო ჩემთვის შეხვედრა მეგობართან, რომელიც შორს იმყოფება, მაგრამ გულით ახლოა. პირაღმა შეხვედრამ ამ შესანიშნავ ქვეყანასთან, მის მშვენიერ



აღმისწავლეთან მომგვარა მე ისეთი მდიდარი შთაბეჭდილებანი, რომ მის ასაწერად წიგნებიც არ იკმარებენ“.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართული ლიტერატურა. 1954 წელს „ვეფხისტყაოსანი“ გამოვიდა უნგრეთში ვერეშე შანდორის თარგმანით და ზინის ილუსტრაციებით. 1955 წელს ბერლინში გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი თარგმანი გერმანულ ენაზე, შესრულებული ავსტრიელი პოეტის ჰერგო ჰებერტის მიერ; ეს არის ნაყოფი ქართველ მწერლებთან და ლიტერატურათმცოდნეებთან მრავალი წლის შემოქმედებითი თანამშრომლობისა. რამდენიმე წლის განმავლობაში ჰერგო ჰებერტი იმყოფებოდა საქართველოში, სწავლობდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას, მისი ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიას. კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ გამოქვეყნებულ იქნა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თარგმანი შესრულებულია მწერალ გერმან ბარმის მიერ, გ. ლორთქიძის ლექსების კრებულები გამოვიდა ჩეხურ და უნგრულ ენებზე. ჩეხურ ენაზე გამოვიდა ა. კვიციანიძის რომანი „ლულო“ და თ. დონაშვილის „ადღება“, ქართული ხალხური ზღაპრები და ა. ანტონოვიჩის „დიდი მოტრავი“. ლუო ქიანელის რომანი „ველი ბიგვა“ გადათარგმნა გერმანულ, ბულგარულ, უნგრულ და სლოვაკურ ენებზე.

მაგრამ ქართული ლიტერატურისადმი სიყვარული მხოლოდ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში როდი შეზღუდვად. მას დიდი გასავალი აქვს სხვა სისტემის ქვეყნებშიაც. კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ ითარგმნა ფრანგულად, თარგმანი შესრულებულია მწერალ ვორაკუს მიერ, ლეო ქიანელის „ველი ბიგვა“ — ინგლისურად და ესპანურად. გასაგებია, რომ ესპანური თარგმანი განკეთებულა ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის.

ზორიელ ლათინურ ამერიკასთანაც აქვს კულტურული ურთიერთობა საბჭოთა საქართველოს შემოიკვლია ლეის სეარესი ლაპარაკობს საბჭოთა საქართველოს მიღწევებზე, საბჭოთა ხალხების მეგობრობის დიდ ძალაზე. საქართველო, ამბობს დი. აპატარა, მაგრამ დიდი ისტორიის ქვეყანაა, რომელსაც თითქმის არაფერ იცნობს დასავლეთში. ჩვენი ქვეყნებში განსაკუთრებული დღემოლით უფლიან გვერდს უღრმეს ცვლილებებსა და უდიდეს წარმატებებს, რაც მიღწეულია აქ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. ჩვენ ვნახეთ ეროვნული სახიანო ძალა, მისი აღთქმა და მხატვრული ნაწარმოებნი, რთაც მნიშვნელოვანი აღვიდა უკეთათ საბჭოთა ხალხების შემოქმედებაში. ეროვნული პრობლემის ბრძნული გადაწყვეტა და, იმავე დროს, საბჭოთა კავშირში შეტყობება მრავალრიცხოვან ხალხების ერთიანობის განმტკიცება უზრუნველყოფენ მშვენიერ საქართველოს ბედნიერ აწმყოსა და მომავალს“.

მექსიკელმა ეურნალისტმა ედმუნდო ვალდესმა თბილისის შესახებ თქვა, რომ ის „ნაწილობრივ მოგვაგონებს მექსიკის ზოგიერთ ქალაქს“. „თბილისს, — დასძინა ედმუნდო ვალდესმა, — აქვს დიდი ისტორია და, რასაკვირველია, უმდიდრესი ტრადიციები“.

ბრაზილიელმა ეურნალისტმა პაულო ბონაფესმა თქვა: „საქართველო, სადაც არ არის წერტილების უტოლიანობა, წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის მშვენიერ ნიმუშს. საქართველო მოგვაგონებს ჩვენს სამშობლოს. თქვენი ტყეები და მთები, თქვენი კლიმატი და თქვენი საუკეთესო საქმელები წაგავან ჩვენსას. ჩვენ არასდროს არ დავივიწყებთ თქვენს არაჩვეულებრივ სტუმართმოყვარეობას“.

ბრაზილიის კულტურის მოღვაწეთა დღევანდელმა საქართველოში ყოფნის შედეგად განიცხადა: „ჩვენ აქ მოხალდეთა ვიყავით საქართველოს პერზაიის სიმშვენიერით, მისი კეთილშობილი კლიმატით, ჩვენ განვიცხადებულ ვიყავით მისი ბუნებრივი რესურსების სიმდიდრით. მაგრამ კიდევ უფრო მეტი აღფრთოვანება გამოიწვია ჩვენში ქართული კულტურის მიღწევებმა, რაც ეყარება სახალხო ტრადიციებს და განუწყვეტლივ მიდის წინ. ჩვენ ვნახეთ ეს კულტურა სხვადასხვა გამოვლინებაში: ეროვნული ხელოვნების ყოველ სახეში, ქართული სკოლის, მუზეუმებისა და საგანმეოლოების ბრწყინვალე ორგანიზებაში. შერწყმობა და სოფლის მეურნეობა, რომელიც ჩვენ ვავეცანით, მოწმობენ პროგრესისა და ცივილიზაციის მაღალ დონეზე, რომელსაც ქართველმა ხალხმა მიაღწია“.

საბჭოთა კავშირთან კულტურული ურთიერთობის ირანის საზოგადოების დღევანდელმა საქართველოში მოგზაურობის შესახებ პრესკონფერენციაზე აღნიშნა: „ჩვენმა მოგზაურობამ საქართველოში, ისე როგორც სხვა შთაბეჭდილებებმა, აშკარად გვიჩვენებს, როგორ გონიერულად და სწორადაა გადაწყვეტილი საბჭოთა ქვეყანაში ეროვნული საკითხი, და რომ ძმური მეგობრობა ხალხთა შორის, რომელიც საფუძვლად უდევს ამ თანამშრომლებთანობას, სიყვარულის ურთიერთ პატივისცემას, მტკიცე და ურყევა საქართველოში, რომლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უმადლესი განათლება აქვს, ჩვენ ვიყავით საერთო კულტურის უმადლესი დონის მოწამენი“.

საბჭოთა საქართველო, აფართოებს რა კულტურული ურთიერთობას საზღვარგარეთის ქვეყნებთან, ხელს უწყობს ხალხებისა და სახელმწიფოების ერთმანეთთან დაახლოებას და სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას. ორი სხვადასხვა სისტემის ქვეყნების თანარსებობისა და მშვიდობიანი შეჯიბრების ღუნდური პრინციპი მოითხოვს, ასეთ ურთიერთობას. კულტურული ურთიერთობა საბჭოთა საქართველოსა და უცხო ქვეყნებს შორის ემსახურება საყოველთაო მშვიდობას.



# მარტორი უორდროვი

იმ უცხოელთა შორის, რომლებიც დაინტერესდნენ საქართველოთი, მისი გვირუკი წარსულითა და აწმყოთი, მისი ხალხის ზნე-ჩვეულებით, მისი ისტორიითა და ლიტერატურით, ოლივერ და მარჯორი უორდროვები, შეიძლება ითქვას, ყველაზე ღვაწლმოსილი არიან.

თუმცა ინგლისელები XIX საუკუნეში აღმოსავლეთისაკენ ისწრაფოდნენ, მგერამ ძალიან ცოტა რამ იცოდნენ საქართველოს შესახებ. ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ე. შორდილი „Journal Royal Asiatic Society“-ში წერდა: „ქართველების შესახებ უწერიათ რამდენსავე მოგზაურებს, მაგალითებზე ბანკამ ბრისის, გარნა მათი მშვენიერი ქვეყანა მეტად ნაკლებად მოეძლია ინგლისელთა მიერ... და ეს ქვეყანა კი უტურფისი კუთხეა დედამიწაზედ. იგი სწორედ ღირსია იმ შესახებ—ბოტბისა, რომლითაც შეაქო იგი ბ-მა არტურ ლეისტმა ზემოხსენებულს მახულებამთ. მეცობრებნი ახოვანი არიან, ერი ღირსია თვისის ქვეყნისა. ინგლისში თითქმის არა იციან რა ამ ერის ენისა და ლიტერატურის შესახებ. გარნა უკვე ვხედავთ წინასწარ ნიშნებს იმისას რომ მალე უკეთ გავცნობით ამ ქვეყანას“<sup>1</sup>.

ო. და მ. უორდროვებმა შეისწავლეს ჩვენი ქვეყნის ადია და კარგი, სულითა და გულით შეიყვარეს, შეისისხლბორცეს მცირერიცხოვანი, მგერამ სულით უტბი, სიმართლის დამცველი, თავისუფლებისმოყვარე ერი და მიზნად დასახეს გაეცეთებინათ ყველაფერი იმისათვის, რომ ამ Terra Incognita-ს კარები გაეღოთ დასავლეთის ქვეყნებისათვის. მათ საფუძველი ჩაუყარეს ინგლისში ქართველოლოგიის საქმეს და ბევრი მშვენიერი დაინტერესეს თავისი შრომებით ქართული ენის, ქართველი ერის ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ. მათ დაინახვეს მსოფლიოს, რომ საქართველო ბარბაროსთა ქვეყანა კი არ იყო, არამედ უძველესი ქვეყანა, რომელსაც უმდიდრესი კულტურული წარსული ჰქონდა და რომ მან თავისი ლიტერატურითა და ხელოვნებით XII — XIII საუკუნეებში წინ გაუსწრო დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანას.

სამწუხაროა, რომ ცოტაოდენი ცნობა მოგვეპოვება მ. უორდროვის შესახებ. ერთადერთი სარწმუნო წყარო, რომელიც ნათესს ფენს მ. უორდროვის ბიოგრაფიას, ეს არის უორდ-

როვის წინასიტყვაობა, მოთავსებული 1912 წ. „Royal Asiatic Society“-ს მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“.

მარჯორი სკოტ უორდროვი დაიბადა 1869 წლის 26 ნოემბერს და გარდაიცვალა 1909 წელს, 7 დეკემბერს ბუქარესტში. იმ დროისათვის დიდად განათლებული ადამიანი — მ. უორდროვი ფლობდა შეიქ ენას: ფრანგულს, გერმანულს, იტალიურს, რუსულს, რუმინულს, ქართულსა და ინგლისურს.

როგორც ოლივერი წერს, თავისი სიკოცხლის უმეტესი წლები მას საზღვარგარეთ გავტარებია, სწავლობდა რა სხვადასხვა ქვეყნის ენას. ლიტერატურასა და ხელოვნებას.

მ. უორდროვს ინტერესი ქართული ენისა და საქართველოსადმი მას შემდეგ გაეღვირა, რაც მისმა ძმამ ოლივერ უორდროვმა 1888 წელს, საქართველოში მოგზაურობის შედეგად, გამოსცა უცხოელთათვის მეტად საინტერესო წიგნი „საქართველოს სამეფო“.

აი, რას წერს მ. უორდროვი 1894 წელს „ლონდონში გამოცემული „ქართული ხალხური ზღაპრების“ წინასიტყვაობაში:

„რამდენიმე წლის წინათ ჩემი ძმის მიერ დაწერილმა წიგნმა პირველად გააღვირა ჩემი ინტერესი კავკასიისადმი და მისი მამაცი და მშვენიერი მკვიდრებისადმი“.

თავის მიგნში, ოლივერ უორდროვი თუმცა არასრულად, მგერამ შეძლებისდაგვარად ასახავს საქართველოს გვირუკ წარსულს, მის აწმყოს, მის მდიდარ ლიტერატურას, რომელმაც საუკუნებრივი ბრძოლების ქარ-ცეცხლი გამოიარა. თუმცა თელი წიგნი გაელენილია ქართული ერისადმი უნაზესი გრანძობით, ეტორის ვერაჯიბთა შემთხვევაში ვერ დაწამებთ ტენდენციურობას, რადგან იგი გულსიტყვილით ხედავს იმ მარჯორ მხარეებს საქართველოს ცხოვრებაში, რომლებიც ამბიინჯებენ ამ მშვენიერი ქვეყნის სახეს.

„ქარგად განათლებულმა ხალხმაც — კი იმის მეტი არა იცის რა, რომ საქართველო განთქმულია ლამაზი ქალებით, მგერამ ის კი დანადვილებით არ იციან სპარსეთისა, სათათურეთისა, თუ რუსეთის მფლობელობაში არიან ეს მშვენიერი არსებანი. ვე რად გინდათ — ათასში ერთმა მღვინს იცის, რომ ქართველები და ჩერკეზები სხვა-და-სხვა ხალხია... ბოტანიკი იქნება თუ გეოლოგი, არხეოლოგი თუ ფილოლოგი, ყველისათვის საქართველოში ზღვის ოდენა მ-

<sup>1</sup> „ივერია“, 1891 წ., № 268.

სალა, რომელიც ჯერ ხელუღლებულია თავ-  
თავიანთის შეცინებათ. მთების მოყვარენი  
უკვე გაეცნო ამ ქვეყანას მისტერ ფრეშფილ-  
დმა თავისი ჩინებულის წყნითა, თამაშისა და  
გართობის მოყვარენი — მისტერ უოლმ. შატ-  
ერებისათვის საქართველო არის სრულებით  
ახალი მედანი მათის სამხატვროს სავარჯი-  
შოთ. მაგრამ ყველა ამას აღმატება საქათ-  
ველოს უმთავრესი ძალა და ეს ძალა ქართვე-  
ლის ღირსებაა. ქართველი მარტო სახით კი არ  
არის სასიამოვნო სანახაო, ეს ხალხი მართლაც  
არის სავარჯიშო ხალხი. ანდაზა სწორედ მარ-  
თაღს ამბობს რომ „სომხის სული თავშია  
და ქართველისა კი — თვალებიდან გამოიჭყე-  
ტება“. ვისაც უნდა გულიდამ გადაიყაროს  
ჯაერი, დაღერგილობა, შეღანობა და მი-  
ზანტრობა, ამაზე უეთეს წამალს ვერ იშო-  
ვის, რომ წაეიდეს და იცხადოს ამ მხიარულ  
გულგანსნილ, ხელგამილ, პატიოსან და  
გულუბრყვილო ხალხის შირსი“<sup>1</sup>.

ოღვერ უორდროპმა არათუ გულწრფელად  
შეიყვარა ქართველი ხალხი, არამედ იგი თავ-  
დაუვიწყრით შეეყვარა მის მეუბრებს, განსა-  
კუთრებით კი მის დას — მარჯროს უორდ-  
როპს. ახალგაზრდა მარჯროპი ჯერ კიდევ  
ინგლისში დაიწყო ქართული ენის შესწავლა  
ქართული საზარებით, ბროსეს ლექსიონისა  
და მისივე გრამატიკის შემუშავებით. „ოცი წლას  
გოგონამ, მან, ეს აირჩია თავისი ცხოვრებას  
აზრად“<sup>2</sup>. მაშინადაც, თავისივე ქვეყანაში  
მ. უორდროპს თავისი სიუცხლედ ქართული  
კულტურის სამსხვერპლოზე მიეტანია. მ. უორ-  
დროპს არ გასცრდებია თავისი იმედები —  
საქართველოში ჩამოსვლისთანავე იგი დარწ-  
მუნდა, რომ ქართველი ხალხი სწორედ ისე-  
თია, როგორც ოლივერი ახასიათებდა მას, რომ  
მისი იმდროინდელი პოლიტიკური დამატუნება  
დიდხანს არ გასტანდა, რომ ქართველი ერი  
თავისი საკუთარი სისხლით ჩამოიბანდა მონო-  
ხის იარებს.

მ. უორდროპი მეტად სწრაფად დაეუფლა  
ძველ ქართულ ენას. იგი კარგად წერდა და  
კითხულობდა. დიდ ინტერესს იწვევს მის მიერ  
1894 წელს დაწერილი წერილი, რომელშიც  
იგი ილია ჭავჭავაძეს სთხოვს ინგლისურიდან  
ნათარგმნი „განდევლის“ გამოცემის ნებაათ-  
ვის:

„მოწყალეო ხელწიფე,  
ინგლისურად თარგმანი ექმენ თქვენსა „გან-  
დევლისა“, რომელსა უეთესისა ლექსისაა თქვე-  
ნი შვენიერი ენაში, რომ მე მკითხველს და  
რომელსა ქონება ყველას მწერლობის დიდება  
უნდა იყოს.

<sup>1</sup> „ივერია“, 1888 წ., № 257.

<sup>2</sup> მ. უორდროპი, „ვეფხისტყაოსანი“, გვ.  
XIV.

მე დიდი სურვილი მაქვს გავეზიარო ჩემს  
თანამეამულეთსა ის სიამოვნება, რომელიც მე  
ამ ლექსმა მაგრძნობინა. ამისთვის ვსადრებ  
თხოვნა თქვენი ნება ეს ჩემი დარგმანი გამო-  
ცემად. ვცადე სიტყვათა სიტყუითად მას გამო-  
თქმა, მაგრამ ბევრი მისი მშვენიერება უნდა  
იყოს, სპიროდ, დაკარგული უცხო თარგმანი.

ჩემი ძმა დიდი პატივი ქონდა რაოდენმე წე-  
ლიწადნი უკან, ტფილოსში, თქვენი გაეცნობა  
ქმნა და მე დიდი იმედი მაქვს, რომ მეც მაგას-  
თან მალე მოვალ საქართველოში, ქვეყანა, რომ-  
ლისკენ მე გულწრფელი სიყვარული ვგრძნობ  
და სურვილი მაქვს, რომ მეტრე მე შემეღებ პირ-  
დაპირ გამოთქმა უღრესი პატივისცემა თქვე-  
ნის ნიჭისათვის და დიდებულის მსახურებისა-  
თვის მიცემული თქვენგან ძველებერს მეფო-  
ბას საქართველოსათვის.

მე ვარ, ბატონო. მამლოდინე ჩემთვის სასი-  
ხარული ნებისა თქვენი პატივისცემული მარჯ-  
რო უორდროპი“<sup>1</sup>.

მ. უორდროპის წერილს დიდი სიხარულით  
შეხვდა ქართველი საზოგადოებრიობა. მას დი-  
დი ინტერესით კითხულობდნენ საზოგადოების  
სხვადასხვა წრეებში.

ილია ჭავჭავაძე, ნასიამოვნები იმით, რომ  
საზღვარგაგეთ აღმოჩნდნენ აღმანიები, რა-  
მელთა უფრადლება მიიპყრო საქართველომ,  
მისმა ისტორიამ და ლიტერატურამ, რასაკერ-  
ველია, მაშინვე დათანხმდა და საპასუხო წერი-  
ლი მისწერა მ. უორდროპს.

„გვიპირდებით ჩვენში მობრძანებას, სიხარუ-  
ლით დაგვეხვებით. იმედიც გვაქვს, რომ ჩვე-  
ნი უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა თავს  
მოგაწონებთ და დაგანახებთ, რომ იგი ღირსია  
თქვენის უფრადლებისა და სიყვარულისა“<sup>2</sup>.

1894 წლის დეკემბერში მ. უორდროპი მართ-  
ლაც ესტუმრა საქართველოს. ეს ვიზიტი 1895  
წლამდე გაგრძელდა. ქართველობა დიდი ენ-  
თუზაზშით შეხვდა მისი სიხარულისა და მწე-  
ხარების თანამოზიარე აღმანიის — მარჯროპი  
უორდროპის ჩამოსვლას.

მარჯროპი უორდროპი საქართველოდან —  
ძმასთან ერთად — ლონდონისკენ გაემგზავრა  
1895 წლის 7 ნოემბერს. ოდესის რკინიგზის  
სადგურზე მ. უორდროპისათვის ქართველ სა-  
ზოგადოებას ქართველი ხალხის სახელით მიტრ-  
თქვია შესანიშნავი უკავილების თაივული,  
რომელზედაც დიდი შგონისა — ილიას სიტყვე-  
ბი იყო წარწერილი:

„რომ ბელში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,  
ეგ ვერაფერი სიყვარულია,  
საქმე ის არის, რომ ის გიყვარდეს,  
იწი ბედისაგან დაჩაგრულია“.

მ. უორდროპს მიწერ-მოწერა ჰქონდა საქართ-

<sup>1</sup> „ივერია“, 1894 წ., № 8.

<sup>2</sup> „მნათობი“, 1945 წ., № 10.

ველოს მოწინავე აღმინებთან და დიდი გულისყურითა და ინტერესით აღევნება თვალურს ქართული ხალხის ცხოვრებას.

1894 წელს ლონდონში გამოიცა „ქართული ხალხური ზღაპრები“ („Georgian Folk Stories“) როგორც წინასიტყვაობაში აღნიშნული, მ. უორდროპს ზღაპრები ძირითადად სამწყაროდან შეურჩევია:

1. აღნაშვილი, თბილისი, 1891 წ. ქართული ზღაპრები.

2. ცაგარელი — „Мингрельские этюды“ 1880 წ. st. p. 5.

3. Грузинские народные сказки“ st. p. 5-1884 წ.

„ქართულმა ზღაპრებმა“ უდიდესი ინტერესი გამოიწვია ინგლისელ მკითხველთა შორის, აი, რას წერდა თურნალი „Athenacum“-ი ამ წიგნის შესახებ:

„ეს პირველი თარგმანია ამ საკვირველის წიგნისა მათ შორის, რომელიც კი ყოფილა ოდესმე რომელსავე აღმოსავლურის ენაზე დაბეჭდილი, რამდენისავე ზღაპრის გარდა, რომლებიც გადმოთარგმნილა ფრანგულად. ეს წიგნი ძალიან ძვირფასია ფოლკლორისტიკებისათვის.“

იმავვე გაზეთის სხვა ნომერში (1895 წ. № 3515. მარტი) გამოქვეყნებული იყო იმავე ავტორის შემდეგი სტატია:

„სანტიერესო წიგნი დაიბეჭდა ამას წინათ: ქართული ზღაპრები თარგმანი ვარდროპისა. ჩვენ არა გვეუნდა არაერთი ცნობანი, რადგანაც ამ წიგნების დაწერებმა, თავისი ვნის გარდა, სხვა არ იცოდნენ. ისინი ჰხედავდნენ შაოლოდ საქართველოს გადამღილს მშვენიერ სურათს, თვალის დამატყვევებელ პანორამას და სხვა არაფერს.“

არის მშვენიერი წიგნი ეტნოგრაფიულის რუკითი საქართველოს შესახებ ვინდერბაუმისა და ერკერტისა — „Der Kaukasus und Seine Völker“. ბევრმა ჩვენმა შემამულემ ნახა მთები ამ მშვენიერ ქვეყნისა. miss ვარდროპი პირველია, რომელმაც დაამადა აზრი, რომ სახალხო ზღაპრები დიდად საინტერესოა და იმის წიგნს ვინც წაიკითხავს, მართლაც გულში მადლობა აღეძერება მისდამი...

ვერჩევთ ჩვენს მკითხველებს, წაიკითხონ ესე ზღაპრები და დასტებენ, რადგან შიგ ნახავენ მდიდარს ფანტაზიას და ბევრს გადაკერულს სიტყვას ძველ კრემორწმუნობის შესახებ, რომელიც ქრისტიანობამ წმინდა ნინოლგან — მეთოზე საუკუნითან დაწებებული ვერ აღმოუხვრა აღამიანთა გულიდან.“

მ. უორდროპის დამახებრება იმაში მდგომარეობს, რომ მან სწორედ ხალხურ შემოქმედებას, და კერძოდ, ქართულ ზღაპრებს მიაქცია უდიდესი ყურადღება, რათა უფრო დაეინტერესებინა თავისი თანამემშენებლები.

მ. უორდროპმა ხალხურ შემოქმედებაში დანახა სობრძნის დუშრებელი წყარო, ხალხის თავისებურება, მისი ზნე-ჩვეულებანი და მისი ნად დაისახა ყოველივე ეს თავისეულ ხალხისთვის გაეზიარებინა. მ. უორდროპს, რომელიც მებრად მტკუნველად განიცდიდა ქართული ხალხის ავსაც და კარგავდა, მტკიცედ სწამდა, რომ ხალხის გულსტკიოვლს ისევე და ისევე ხალხი გაიგებდა და მკითხველთა ფართე მსებისათვის გამოსცა ეს წიგნი.

მ. უორდროპმა იცოდა, რომ გენიოსებს სწორედ ხალხი ქმნის, „...ჯერ უნდა ხალხმა დაიმუშავოს თავისი სულიერო საღარო, შეანზრის თავისი უცდავეების ძარღვი და, მერე, ძლიერი სული გენიოსა ძლიერად გამოსცემს პასუხს ხალხის განვითარებასა“ (ლილი).

უორდროპებმა გაიარეს ოდესა და ჩავიდნენ ქერჩში, სადაც ოლიგერ უორდროპი დანიშნულ იქნა ინგლისის კონსულად. როგორც 1895 წლის „იერიის“ № 95 იუწყებოდა, უორდროპს „განზრახვა ჰქონდა პრაქტიკულად ემეცადინა ქერჩში ქართული ვნის უცეთ შესასწავლად“.

1895 წელს ლონდონში გამოვიდა ილ. ქავეკაიას „განდვლის“ უორდროპისეული თარგმანი.

„ეს პოემა ნათარგმნია ქართული ენიდან. დიდად საყურადღებოა, ვითარცა ნიმუში უცხო მწერლისა, თავადი ი. ქავეკაე. უაქველი სუცეთისო პოეტო უნდა იყოს თავის ქვეყანაში. ამ პოემის დამწერს აშკარად ეტყობა დიად ნიჭი და ძლიერება პოეტური ფანტაზიისა“. წერდნენ იქუერი თურნალ-გაზეთები.

1896 წლის 4 აპრილის ნომერში მოთავსებულ იყო პოემის შინაარსი, უორდროპის წინასიტყვაობა, თარგმანი და ამ უცანასკნელის ანალიზი. მ. უორდროპმა, შეიძლება ითქვას, იმდენად სრულიყოფილად თარგმნა ეს ნაწარმოები, რომ ინგლისელებმა ამ ერთ პატარა პოემაში სამართლიანად დაინახეს XIX საუკუნის ბუმბერაზი ქართველი პოეტი და მოზროქნი.

1896 წელს მ. უორდროპი მეორედ ეწეო საქართველოს. მაგრამ ამჯერად მას ახლდნენ თავისი დედა და მამა, რომლებიც მარჯორის მოუჯადოებები საქართველოს ქება-დღევნით. „მე გიამებთ ამ საოცრებო ქვეყნის შესახებ, რის თქმაც ენით ვერ მოვახებრებ, თქვენ თქვენის თვალთ იხილეთო“, თუქვამს მათთვის მარჯორის.

მარჯორი უორდროპის ეს სტუმრობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამ მხრივ, რომ „...ი დაუახლოვდა ხალხის ყოველ კლასს“ (ეფთხისტყაოსანი“, გვ. XV).

თუ პირველი ვიზიტის დროს მ. უორდროპი უმთავრესად ინტელეგენციის წრეში ტრიალებდა, ახლა იგი უფრო ფართოდ გაეცნო ქართული ხალხის ცხოვრებას.

ნინო ორბელიანიმაც ლექსიც კი მიუძღვნა მ. უორდროს: „უძღვნი მარჯორი უორდროსის ქალს“:

„უცხოთა მხრიდან მოფრენილო,  
უცხო სტუმარი,  
გრძნობით აღესილო, მხიარულო,  
ტყბილ მოუბარო!  
ჩვენი თანაგრძნობელს, აწ ჩვენ მცნობელს  
და მეგობარსა,  
მეც აწ მოგიძღვნი ტყბილად სალამს,  
ქართველთ მკობარსა,  
რომ ჩვენი ენა შეიფარე და შეითვისე,  
ჩვენი თანაგრძნობით, როგორც ჩვენ შეიღს,  
გუფრებთ ისე.  
შენ გსურს გააცნო უცხო ტომთა  
ჩვენი ზნეობა,  
წარსულთა ძველთა, ქართველთ გმირთა  
ბრძოლა, მხნეობა.  
სისხლით მარწყული საქართველო  
მტერთან დევნილი,  
მამა-პაპთა მძლავრი მკლავით  
აწ განდევნილი.  
შენ შეგვიყვარე, შეგვიერთდი,  
უცხო ტომთ სქესი,  
ჩვენ გულში ღრმად არს შენი ხსოვნა  
შენგან ნათესი“ I.

მ. უორდროსმა იმოგზაურა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში — გორში, სიღნაღში, ყვირილის ხეობაში და სხვა და აწვდნაზე ხელდავდა ქართული ხალხის სტუმართმოყვარეობას, ზღვაგაშლილობას, სულერ სიღამაზესა და სინატიდეს.

დღი პატივი სცა მ. უორდროსს ქიზიყ-სიღნაღის საზოგადოებამ. „მომღერალთა გუნდი საქმურად მღეროდან თამარის დროშა გამაღლს“, აღსდევ, გმირთგმირო, წუ გძინავს“, „ქართველო ხელი ხმალს იყარ“ და ტყბილი დღეუკაც მწარე კვნესით ბანს აძლევდა იმით ტყბილ-მწუხარი ხმას. საღამოზე გაიმართა ლექსითი ცეკვა და ძვირფასი სტუმრები დიდდ სასამოვნებში ქართველთა სტუმართმოყვარეობით და ქიზიყის მშვენიერი ბუნების დიდებულებით, გამოემშვიდობენ ყველა იმ მყოფთ. ბევრი ქართველი ქალი და კაცი დააფიქრა საკეთილთ ქნ უორდროსის ტყბილმა ქართულმა სიტყვა-პასუხმა...

ამ თვის 9-ს სიღნაღიდან ტბილისში გაემგზავრა ქ-ნი უორდროსი, რომელმაც სიღნაღის მახლობელ მინდორში, ერთ მუხის ქვეშ შეკრება ახლო მახლო ყანებიდან ქართველი მუშა-შოშქვლები, გადილო ფორტგრაფიული აპარატით მათი სურათი, დაპატივა მუშები პურ-ღვინოზე, უთხრა რამდენიმე მშური სიტყვა

და დაასაჩუქრა ფულითაც. მუშებმა რომ გააგეს ქ-ნი უორდროსის ვინაობა, გამირულ და აღტაცებული გაემარჯოს. ძაბლით და ქედღების ქნეით გააცალეს ძვირფასი სტუმრებმა I.

დაუფიქარი შთაბეჭდილება დატოვა მ. უორდროსზე მოგზაურობამ ზემო იმერეთშიც, როგორც ამას ექრნალი „კვალი“ იუწყებოდა (1896 წ. № 32 გვ. 568).

კახეთიდან უორდროსი ეწვია გ. წერეთლის სოფელ ჭალას (ყვირილის ხეობაში):

